

ბრიტოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

აკადემიური მაცნე

სამართალი

№ 2

თბილისი - 2013

სარედაქციო კოლეგია

მამუკა თავხელიძე - მთავარი რედაქტორი (თბილისი, საქართველო)
გიორგი ღლონტი - მთავარი რედაქტორის მოადგილე (თბილისი, საქართველო)
ნინო ქემერტელიძე - მთავარი რედაქტორის მოადგილე (თბილისი, საქართველო)

დევი ხვედელიანი	(თბილისი, საქართველო)
მალხაზ ბაძაღვა	(თბილისი, საქართველო)
ზურაბ ძლიერიშვილი	(თბილისი, საქართველო)
გია დეკანოზიშვილი	(თბილისი, საქართველო)
იაკობ ფუტყარაძე	(თბილისი, საქართველო)
ოთარ გამყრელიძე	(თბილისი, საქართველო)
მანანა მოსულიშვილი	(თბილისი, საქართველო)
დავით ძამუკაშვილი	(თბილისი, საქართველო)
ვალერიან ხრუსტალი	(თბილისი, საქართველო)
თემურ თოდრია	(თბილისი, საქართველო)
ლევან იზორია	(თბილისი, საქართველო)
ხათუნა ღორია	(თბილისი, საქართველო)

ჰანს იორგ ალბრეხტი	(ფრაიბურგი, გერმანია)
ანა მარგარიანი	(ერევანი, სომხეთი)
ჯეიმს ო. ფინკენაუერი	(ნიუ არკი, ნიუ ჯერსი, აშშ)
ტრევიორ კარტლეჯი	(ნოტინჰემი, დიდი ბრიტანეთი)
ალექსანდრე სილაგაევი	(ყაზანი, რუსეთი)
ელიკო წიკლაური-ლამიხი	(ფრაიბურგი, გერმანია)
კამილ სალიმოვი ნაზიმოდღუ	(ბაქო, აზერბაიჯანი)
ალენა შოსტკო	(ხარკოვი, უკრაინა)
ჯოვან შოპოვსკი	(კოსანი, მაკედონია)
დეკან მაროლოვი	(კოსანი, მაკედონია)

ადმინისტრაციული რედაქტორი:

გიორგი თოდრია (თბილისი, საქართველო)

წინამდებარე აკადემიურ მაცნეში წარმოდგენილია ქართველი და უცხოელი მეცნიერების ნაშრომები სამართალმცოდნეობის აქტუალურ საკითხებზე.

© გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა

სარჩევი

	4
დევი ხვედელიანი	
კვალიფიკაციის პრობლემები საერთაშორისო კერძო სამართალში	
გიორგი თოდრია, მანანა მოსულიშვილი, ამირან მოსულიშვილი	17
პოლიციის მმართველობის ევოლუციის თავისებურებანი: საზღვარგარეთის გამოცდილების სტრატეგია და ტაქტიკა	
პეტრე დაუთაშვილი	32
სასამართლოს ზოგიერთი უფლებამოსილების დელეგირების კონსტიტუციურობის შესახებ.	
გია დეკანოზიშვილი, გურამ როსტიაშვილი, დიმიტრი დეკანოზიშვილი	40
ჩადენილ დანაშაულზე ჩვენების ვერიფიკაციის პრობლემები	
გიორგი თოდრია	50
კრიმინოლოგიის ზოგიერთი ფილოსოფიური საკითხი	
გიორგი ბერიაშვილი, დავით ძამუკაშვილი	56
საქართველოში არსებული საპატენტო უფლებათა მოპოვებასთან დაკავშირებული დავების განხილვის ზოგიერთი პრობლემური საკითხის შესახებ	
მანანა კოპალიანი	65
მოქალაქეთა კატეგორიები რომის სამართალში	
გივი ამირანაშვილი	72
საკანონმდებლო ცვლილებების გავლენა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე	
ლეილა არხოშაშვილი	82
პრაქტიკაში არსებული პრობლემური საკითხები, რომლებიც ეხება სარჩელისაგან მოპასუხის პროცესუალური თავდაცვის საშუალებებს	
ზურაბ ლაზაშვილი	89
ანტიკორუფციული კანონმდებლობის პრევენციული თავისებურებანი აშშ -სა და დიდი ბრიტანეთის კანონმდებლობაში	
ლია ჭილაშვილი	98
ქორწინების ფორმები - ზოგადი მიმოხილვა	
ქეთევან სვინტრადე	104
კრედიტორის უფლებების დაცვის პრობლემა სახელშეკრულებო ვალდებულების არსებობისას	
მაია ცქიტიშვილი	113
სარჩელების კლასიფიკაცია	
გიორგი შაშიაშვილი	120
ქმედების შემადგენლობის ანალიზის სქემის გამოკვლევის აქტუალობა (საქართველოს სსკ-ის 194-ე მუხლი)	

კვალიფიკაციის პრობლემები საერთაშორისო კერძო სამართალში

რეზიუმე

წარმოდგენილ სტატიაში პირველად საქართველოს იურიდიულ ლიტერატურაში განხილულია რა კვალიფიკაციის ისეთი საკითხები, როგორცაა სამართლებრივი ტერმინების კვალიფიკაციის პრობლემა, პირველადი საკითხი და ე.წ. “კოჭლი ურთიერთობები”, შემოთავაზებულია მათი გადაწყვეტის გზები, რაც მას საინტერესოს ხდის თეორეტიკოს და პრაქტიკოს იურისტებისათვის.

განხილული თეორიების შედარებით—სამართლებრივი ანალიზი შესაძლებლობას გვაძლევს მივიჩნიოთ, რომ კვალიფიკაციის პრობლემის გადაწყვეტა უნდა მოხდეს კონკრეტული შემთხვევის გათვალისწინებით ისე, რომ არ დაირღვეს სამართლის ნორმების შინაარსი. ამდენად მიზანშეწონილია, რომ ამ პრობლემის რეგლამენტაცია განხორციელდეს საკანონმდებლო დონეზე, რისთვისაც საჭიროა შესაბამისი დამატებითი მუხლი შევიდეს სკს-ის შესახებ საქართველოს კანონში.

„პირველადი კოლიზიური საკითხის“ გადაწყვეტის სხვადასხვა მოდელების განხილვისას ჩვენ მივიღივართ დასკვნამდე, რომ ყველაზე ოპტიმალური მოდელი არის ის, რომელიც ითვალისწინებს ძირითადი და დამატებითი საკითხის მიმართ დამოუკიდებელი კოლიზიური საბამის გამოყენებას, რითაც მიიღწევა სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა ინტერესების მაქსიმალური დაცვა.

კვლევიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს “კოჭლი ურთიერთობების” არა მხოლოდ საკანონმდებლო რეგლამენტაცია, არამედ ამ საკითხის გადაწყვეტის ერთიანი თეორიული მოდელიც. “კოჭლი ურთიერთობების” გადაწყვეტის საუკეთესო საშუალებაა სხვადასხვა ქვეყნის კოლიზიური და მატერიალური ნორმების უნიფიკაცია, ვინაიდან სხვა შემთხვევაში ყველა სახელმწიფო ცდილობს გაავრცელოს საკუთარი კოლიზიური და მატერიალური ნორმების მოქმედება სამართლებრივ ურთიერთობებში, რაც შეუძლებელს ხდის ამ საკითხის საკანონმდებლო დონეზე ერთიან მოწესრიგებას.

შესავალი

საერთაშორისო კერძო სამართლის პრაქტიკაში შეიძლება წარმოიშვას კონკრეტული შემთხვევების კვალიფიკაციის პრობლემა, რაც გამოწვეულია არა მხოლოდ იმ სამართლებრივი მრავალფეროვნებით, რომელიც არსებობს ცალკეული ქვეყნების სამართალში, არამედ იმითაც, რომ ზოგიერთი საკითხის გადაწყვეტა საერთოდ არ არის

რეგლამენტირებული საკანონმდებლო დონეზე. წარმოდგენილ სტატიაში პირველად საქართველოს იურიდიულ ლიტერატურაში განხილულია რა კვალიფიკაციის ისეთი საკითხები, როგორცაა სამართლებრივი ტერმინების კვალიფიკაციის პრობლემა, პირველადი საკითხი და ე.წ. “კოჭლი ურთიერთობები”, შემოთავაზებულია მათი გადაწყვეტის გზები, რაც მას საინტერესოს ხდის თეორეტიკოს და პრაქტიკოს იურისტებისათვის. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

\$1. კვალიფიკაციის პრობლემა

სამართლის ნორმის გამოყენება შეუძლებელია მისი განმარტების გარეშე: მისი შინაარსის დადგენა იმ ფაქტობრივ გარემოებებთან იდენტიფიკაციის გარეშე, რომელშიც ის უნდა იქნეს გამოყენებული. ფაქტების იურიდიული კვალიფიკაცია სამართლის ნორმის და მისი გამოყენების პირობების შესაბამისად წარმოადგენს სამართლის განმარტების ერთ-ერთ ასპექტს. განმარტების კონკრეტული ხერხი და წესი შეიძლება განსხვავებული იყოს, მაგრამ ის არ უნდა სცილ-დებოდეს იმ სახელმწიფოს სამართლებრივ სისტემას, რომლის ნორმა განმარტება და გამოიყენება. ნებისმიერ შემთხვევაში სამართლის ნორმის განმარტების შედეგი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს სამართლის ძირითად პრინციპებს, მიზნებსა და ნორმატიულ დანაწესს” აღნიშნავს ლ.პ.ანუფრიევა(6, 150). მაგრამ კოლიზიური ნორმის განმარტება და იურიდიული კვალიფიკაცია მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვა იურიდიული ნორმების განმარტებისაგან. აღნიშნული გამოწვევებია იმით, რომ ფაქტობრივი გარემოებები, რომლებშიც კოლიზიური ნორმა უნდა იქნეს გამოყენებული, უკავშირდება სხვადასხვა სახელმწიფოს და შესაბამისად იმყოფება სხვადასხვა სახელმწიფოს სამართლებრივ სივრცეში. კვალიფიკაციის პრობლემის არსი მდგომარეობს იმაში, თუ რომელ კოლიზიურ საბამს დაექვემდებარება ფაქტობრივი სამართ-ლებრივი ურთიერთობა. თერმინი “კვალიფიკაცია” უთითებს კითხვაზე: თუ როგორ შეიძლება დაკვალიფიცირდეს ფაქტობრივი-სამართლებრივი ურთიერთობა(1, 152). საერთაშორისო კერძო სამართ-თაღში კვალიფიკაციის პრობლემა უფრო ხშირად წარმოიშვება, ვიდრე ნაციონალურ სამართალში, რაც გამოწვეული სამართლებრივ სისტემებში არსებული განსხვავებებით(11, 90).

ლ.ა. ლუნცის აზრით კვალიფიკაციის პრობლემის წარმოშობის ისტორიული მიზეზები დაკავშირებულია იმასთან, რომ ნაციონალური სამოქალაქო კოდექსების გაჩენასთან ერთად დაეცა რომის სამართლის, როგორც ერთიანი სამართლის ტერმინების წყაროს მნიშვნელობა კონტინენტური ევროპისათვის და ნაწილობრივ ინგლისისათვის. XIX საუკუნეში შემუშავებულმა ნაციონალურმა კოდექსებმა გამოიწვია ის, რომ სხვადასხვა ქვეყნის იურისტები განსხვავებული იურიდიული ტერმინებით ალაპარაკდნენ. ერთნაირი ეკონომიკური საფუძვლის არსებობისას ეს განსხვავებები ეხება დეტალებს, მაგრამ გააჩნიათ არსებითი მნიშვნელობა კონკრეტული საკითხების გადაწყვეტისას (8, 283).

შეიძლება მოყვანილ იქნეს ორი მაგალითი, რომლიდანაც დაიწყო ამ საკითხის განხილვა. პირველი არის – ე.წ. მალტის საქმე. ინგლი-სელის და მალტელის საქორწინო წყვილმა

იქორწინა მალტაზე და იქ ცხოვრობდა 1870 წლამდე. შემდეგ ისინი საცხოვრებლად გადავიდნენ ფრანგულ ალჟირში, სადაც ქმარმა იყიდა მიწა და გარდაიცვალა 1889 წელს. მმისმა ქვრივმა წამოაყენა პრეტენზია საფრანგეთის სასამართლოში ქონების ნახევრზე (მეუღლეთა თანასაკუთრების წილი) და უზუფრუქტზე გარდაცვლილის ქონების 1/4-ზე. მალტის მატერიალური სამართლის თანახმად მისი პრეტენზიები საფუძვლიანი იყო, საფრანგეთის მატერიალური სამართლის თანახმად კი არა. წარმოიშვა კითხვა: მიეკუთვნება თუ არა ეს ურთიერთობა მემკვიდრეობის ინსტიტუტს, თუ მეუღლეთა ქონებრივ უფლება-მოვალეობების ინსტიტუტს? თუ ეს ურთიერთობა განიხილება როგორც მემკვიდრეობის ურთიერთობა (საფრანგეთის სამართლის თანახმად), მაშინ იმოქმედებს ფრანგული კოლიზიური ნორმა, რომელიც მიუთითებს გარდაცვლილის უკანასკნელი დომიცილის სამართალზე, ე.ი. საფრანგეთის სამართალზე და ქვრივის პრეტენზიები უსაფუძვლო იქნება. თუ აღნიშნული ურთიერთობა განიხილება როგორც მეუღლეთა თანასაკუთრების ინსტიტუტი, საფრანგეთის კოლიზიური ნორმა მიუთითებს ამ შემთხვევაში ქორწინების პირველ დომიცილზე, ე.ი. მალტის სამართალზე და ქვრივის პრეტენზიები საფუძვლიანი იქნება (11, 89).

სხვა ცნობილი შემთხვევაა თენესესე-ჰეცსელ-ფალლ , რომლის არსი მდგომარეობს შემდეგში – აშშ-ს ტენესის შტატში გამოშვებულ და საგადამხდელო საშუალებად გამოყენებულ თამასუქის თაობაზე ბრემენში სარჩელი აღძრა გამოფენის მომწყობმა. მოსარჩელე უთითებდა თამასუქიდან წარმოშობილი ხანდაზმულობის ვადის გასვლაზე. თამასუქი ექვემდებარებოდა ტენესის შტატის სამართალს. ხანდაზმულობის ვადა ტენესის შტატში მიეკუთვნებოდა საპროცესო სამართალს და არა მატერიალურ სამართალს. ხანდაზმულია იყო არა მატერიალ-ლური სამართლიდან წარმოშობილი მოთხოვნა, არამედ საპროცესო სამართლიდან წარმოშობილი პრეტენზია. სასამართლომ ეს შემთხვევა გადაწყვიტა შემდეგნაირად: ვინაიდან “თამასუქის შესახებ” კანონის 93-ე მუხლი უთითებდა ტენესის მატერიალურ და არა საპროცესო სამართალზე, ტენესის შტატის ნორმები ხანდაზმულობის შესახებ არ იქნა გამოიყენებული როგორც საპროცესო ნორმები. გერმანიის ხანდაზმულობის ვადის გამოყენება (“თამასუქის შესახებ” კანონის 93 I მუხლი) ნათელს ხდიდა, რომ გერმანიის მატერიალური სამართალი არ გამოიყენება. აქედან გამომდინარე სასამართლოს აზრით ეს თამასუქი არ იქნა მიჩნეული ხანდაზმულად (1, 135).

იმ ქვეყნის სამართალს, რომელიც გამოიყენება კვალიფიკაციის საკითხის გადასაწყვეტად ეწოდება (კვალიფიკაციონსტატუტი). არსებობს კვალიფიკაციის საკითხის გადაწყვეტის ორი აღიარებული მიდგომა. კვალიფიკაცია იმ ქვეყნის სამართლის მიხედვით, რომლის გამოყენებაზე უთითებს სადაო კოლიზიური ნორმა (ლეს ცაუსაე). მმისი ალტერნატივაა კვალიფიკაცია იმ ქვეყნის სამართლის მიხედვით, რომლის კოლიზიური ნორმის მოქმედებას უნდა დაექვემდებაროს სამართლებრივი ურთიერთობა (ლეს ფორი). აღსანიშნავია, რომ ამჟამად არ არსებობს კვალიფიკაციის საკითხის გადაწყვეტის ერთიანი მოდელი. ოორივე მოდელს გააჩნია თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. კვალიფიკაცია ლეს ფორი

პრინციპის საფუძველზე არის საკითხის გადაწყვეტის ყველაზე გავრცელებული საშუალება. კოლიზიური ნორმა არის ნაციონალური სამართლის ნორმა და ამიტომ გულისხმობს ნაციონალური სამართლებრივი სისტემის ცნებების გამოყენებას. ყველა სამართლებრივ ტერმინს, რომელსაც შეიცავს კოლიზიური ნორმა (უფლება-ქმედუნარიანობა, ქორწინების ფორმა, ანდერძის შედგენის უნარი, საცხოვრებელი ადგილი და სხვა), გააჩნია იგივე შინაარსი, რაც კონკრეტული სახელმწიფოს კერძო მატერიალურ სამართალში. კანონმდებელი ქმნის რა კოლიზიურ ნორმებს, იყენებს საკუთარ და არა უცხო სამართლის ცნებებს (6,155) კვალიფიკაციის საკითხის გადაწყვეტის ამ მოდელის სასარგებლოდ მეტყველებს რამდენიმე არგუმენტი: 1) კოლიზიური ნორმა არის სამამულო სამართლის ნორმა, შექმნილია სამამულო კანონმდებლის მიერ და მისი განმარტება უნდა მოხდეს სამამულო სამართლის შესაბამისად; B2) შეუძლებელია ურთიერთონის კვალიფიკაცია სხვა სამართლის მიხედვით, რადგან ამ სამართლის არჩევის საკითხი კოლიზიური ნორმის გამოყენებამდე არ დგას; G3) სასამართლოს სამართლის პრინციპის გამოყენება უზრუნველ-ყოფს კოლიზიური ნორმის გაგების ერთიანობას და ერთიან სამართალ-შემფარდებელ შედეგს; 4) თუ სამართალურთიერთობა დაკავშირებულია ორი ან მეტი სახელმწიფოს მართლწესრიგთან, კვალიფიკაცია შესაძლე-ბე-ლია მხოლოდ სასამართლოს ქვეყნის სამართლის მიხედვით. ამ მნიშვნე-ლოვანი დადებითი მხარეების მიუხედავად ლებ ფორი პრინციპს გააჩნია უარყოფითი მხარეც, კერძოდ, თუ განმარტებას საჭიროებს სხვა ქვეყნის სამართლით გათვალისწინებული ისეთი ინსტიტუტი, რომელიც არ არის ცნობილი ნაციონალური სამართლისათვის. აქედან გამომ-დი-ნარე შეუძლებელია დამახინჯების გარეშე ასეთი ინსტიტუტის განმარტება.

მ. ვოლფი აკრიტიკებს ლებ ფორი Mპრინციპს და აღნიშნავს, რომ უცხოური სამართლის გამოყენების საკითხის განხილვა მისი კვალიფი-კაციის გამოკვლევის გარეშე ნიშნავს უცხოური სამართლის განხილვას არა ისეთად, როგორც ის არის. B”ზარტენი და მისი მომხრეები თვალს ხუჭავენ ჭეშმარიტი პორტრეტების წინაშე და კმაყოფილდებიან კარი-კატურათა კოლექციით”-აღნიშნავს მეცნიერი. მ.ვოლფის აზრით კოლი-ზი-ური ნორმა “შემკვიდრეობის უფლება ექვემდებარება გარდაცვლილის უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილის ქვეყნის სამართალს” უნდა წაკითხულ იქნეს შემდეგნაირად; “როდესაც ვინმე გარდაიცვლება სასამართლო იყენებს მის უკანასკნელ დომიცილში მოქმედ ნორმებს, რომლებიც ამ დომიცილის თანახმად კვალიფიცირდებიან როგორც შემკვიდრეობის უფლების ნაწილი” (7, 174–175). ლებ ცაუსაეPპრინციპის სასარგებ-ლოდ მეტყველებს ის გარემოება, რომ თუ სამართლებრივი ურთიერთობა მეტწილად დაკავშირებულია უცხო ქვეყნის სამართალთან და უცხო ქვეყნის სამართლის ნორმით უნდა ნიწესრიგდეს, აუცილებელია სამართლებრივი ურთიერთობის კვალიფიკაცია ამ უცხო ქვეყნის სამართლის მიხედვით. მმაგრამ ამავე პრინციპს გააჩნია ერთი მნიშვნელოვანი უატყოფითი მხარე – სამართლებრივი ურთიერთობის კვალიფიკაცია დამოკიდებულია კოლიზიური ნორმის არჩევაზე. შეუძლებელია ურთიერთობის კვალიფიკაცია ლებ ცაუსაე თანახმად, ვინაიდან ჯერ უცნობია, თუ რომელი ქვეყნის სამართალს მიუთითებს კოლიზიური ნორმა და რომელი

მართლწესრიგი იქნება ლეხ ცაუსაე. როგორც მ. ისაადი აღნიშნავს “იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც უცხოური კანონით უნდა გადაწყდეს დავის არსი, ეს შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც სასამართლოს ქვეყნის სამართლის კოლიზიური ნორმა მიუთითებს მის გამოყენებაზე, ხოლო ის შეიძლება ამოქმედდეს მხოლოდ შესაბამისი კვალიფიკაციის შემდეგ” (10, 107) იხილავს რა კვალიფიკაციის პრობლემას, ლ. რააპე ყურადღებას ამახვილებს ადგილობრივი კოლიზიური ნორმის და უცხო სამართლის ურთიერთობაზე. მშენიერი აკეთებს ხატოვამ შედარებას: “კასრები ღვინისათვის აირჩევა ღვინის სახეობის და რაოდენობის მიხედვით. მაგრამ ჩამომსხმელმა ჯერ უნდა დაადგინოს არის თუ არა მძალაგა ის ღვინო, რომელსაც აქვს ეს სახელწოდება და ჩაასხას მისთვის განკუთვნილ კასრში” (12, 116)

კვალიფიკაციის საკითხის გადაწყვეტის კიდევ ერთი მოდელი შეიძლება გამხდარიყო ტერმინების ე.წ. “ავტონომიური კვალიფიკაცია”. ავტონომიური კვალიფიკაციის თეორია საერთაშორისო კერძო სამართალში შეიმუშავა რაბელმა. არაბელის თანახმად კოლიზიურ ნორმებში გამოყენებულ იურიდიულ ცნებებს არ შეიძლება მიეცეს იგივე მნიშვნელობა, რომელიც მათ გააჩნიათ მოცემული სახელმწიფოს მატერიალურ კერძო სამართალში, რადგან კოლიზიური ნორმის გამოყენება უკავშირდება სხვადასხვა ქვეყნის სამართლებრივი ინსტიტუტების კვალიფიკაციის აუცილებლობას (8, გვ. 256). იმისათვის, რათა კოლიზიურმა ნორმამ შეასრულოს დამაკავშირებელი როლი სხვადასხვა ქვეყნის სამართალს შორის, მას უნდა გააჩნდეს სხვადასხვა სამართლისათვის დამახასიათებელი ნიშნები, რაც მიღებულ უნდა იქნეს სხვადასხვა სახელმწიფოს სამართლის შედარებითი შესწავლისა და ერთგვაროვანი ცივილისტური ცნებების გაერთიანების შედეგად (5, 47–60). კოლიზიური სამართლის ცნებების ზენაციონალური ავტონომიური სისტემის შექმნა შედარებითი სამართლებრივი ანალიზის მეშვეობით არ იყო რეალიზებული პოლიტიკური ხასიათის სიძნელეების გამო (13, 28). ამასთანავე გაუგებარია თუ რა საერთო ცნებებით შეიძლება ვიხელმძღვანელოთ და სად შეიძლება მათი მოძიება? ასეთი ცნებების ჩამოყალიბება შესაძლებელია შედარებითი სამართლებრივი ანალიზის შედეგად, რომელსაც ახდენენ კომპარატივისტები. მაგრამ მათ დასკვნებს არ გააჩნიათ იურიდიულად სავალდებულო ხასიათი. გამონაკლისი შეიძლება შეეხოს კოლიზიური ნორმების საერთაშორისო უნიფიკაციას და ისიც მხოლოდ ზოგიერთ საკითხთან მიმართებაში. ამის ერთ-ერთი მაგალითია ვენის 1980 წლის კონვენცია, რომელიც საერთაშორისო ნასყიდობის ცნების გარდა, შეიცავს ასევე სხვა ცნებების განმარტებას. ასეთ საერთო ცნებებს გააჩნიათ იურიდიული ძალა მხოლოდ ხელშეკრულების მოქმედების სფეროში.

აღსანიშნავია, რომ კვალიფიკაციის საკითხთან დაკავშირებით გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში განხილულია კიდევ ერთი თეორია – ე.წ. ფუნქციონალური კვალიფიკაციის თეორია, რომელიც ამჟამად ითვლება გაბატონებულ თეორიად და წარმოადგენს თეორიების ერთგვარ სინთეზს. ფუნქციონალური კვალიფიკაციის თეორია აერთიანებს ლეხ ფორი–ს თეორიას და შედარებითი სამართლებრივი კვალიფიკაციის თეორიას (4, 204)

ფუნქციონალური კვალიფიკაციის მიზანია ლეხ ცაუსაე-ეს ნორმები დაექვემდებარონ კოლიზიურ სამართლის ნორმებს, რაც შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გათვალისწინებული იქნება უცხოური ნორმის მატერიალური შინაარსი და პასუხი გაეცემა კითხვაზე არის თუ არა ეს შინაარსი გერმანიის საერთაშორისო კერძო სამართლის სისტემური ცნებების ადეკვატური(5, 101) რაუშერი ფუნქციონალური კვალიფიკაციის თეორიის თაობაზე აკეთებს განზოგადებულ შედარებასაც: “ჩვენ ვაგებთ კარადას საკმარისი ზომის უჯრებით ისე, რომ უცხო სამართალწესრიგის ყველა ნორმას გააჩნდეს თავისი ადგილი და არ გვიკვირს, რომ ეს კარადა სხვაგვარად გამოიყურება, ვიდრე BGB” _ აღნიშნავს ის(5, 102)

ფუნქციონალური თეორიის ფარგლებში მნიშვნელობა ენიჭება როგორც მატერიალურ, ისე კოლიზიური სამართლის ნორმების მიზნებს. ამ მიზნებში უპირატესობა ენიჭება ლეხ ფორი სამართალს რო-გორც ამოსავალ წერტილს(4, 205) ფუნქციონალური თეორიის არსი ნათლად ჩანს გერმანიის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილების შინაარსში, რომელშიც ნათქვამია:”გერმანელ მოსამართლეთა ამოცანაა გერმანიის სასამართლოებისათვის უცნობი უცხო ქვეყნის სამართლის დანაწესი გაიგონ მისი შინაარსის და მიზნის მიხედვით, მისი მნიშვნელობა დაადგინონ იმის მიხედვით, თუ რა მნიშვნელობა აქვს მას უცხო სამართალში და შეადარონ ის გერმანიის მართლწესრიგის დანაწესთან. ამ საფუძველზე გერმანიის სამართლის ცნებებისა და შეზღუდვების გათვალისწინებით ის უნდა მიესადაგოს გერმანიის კოლიზიური სამართლის ნორმებს”(4, 205-206)

კვალიფიკაციის პრობლემის რეგულირების კიდევ ერთი გზა არის მისი საკანონმდებლო რეგლამენტაცია. კვალიფიკაციის საკითხის სირთულის გამო, როგორც წესი, ის საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგებული არ არის. მმაგრამ იმ ქვეყნების კანონმდებლობა, რომელიც ახდენს კვალიფიკაციის საკითხის საკანონმდებლო რეგლამენტაციას, ემხრობა ლეხ ფორი პრინციპს. მაგალითად, უნგრეთის მოქმედი კანონი “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” შეიცავს შემდეგ დანაწესს “თუ წარმოიშობა დავა საქმეში არსებული ფაქტებისა და სამართლებრივი ურთიერთობის კვალიფიკაციის შესახებ, ის გადაწყდება უნგრეთის სამართლის ნორმებისა და ცნებების განმარტების შედეგად. თუ რომელიმე სამართლებრივი ინსტიტუტი უნგრეთის სამართლისათვის უცნობია ან ცნობილია სხვა შინაარსით ან სახელწოდებით და მისი დადგენა შეუძლებელია უნგრეთის სამართლის ნორმების განმარტების შედეგად, სამართლებრივი რეგულირება ხორციელდება ამ ინსტიტუტის მარეგულირებელი უცხო ქვეყნის სამართლის შესაბამისად” (მუხლი მე-3, პუნქტი პირველი, მე-2). ანალოგიურ რეგულირებას შეიცავს რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსი. აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო კოდექსის VI თავის მიღებამდე იგი არ შეიცავდა კვალიფიკაციის საკითხის მარეგულირებელ წესს. 1187-ე მუხლის პირველი ნაწილი საერთო წესის სახით ადგენს, რომ გამოსაყენებელი საკითხის გადაწყვეტისას იურიდიული ტერმონები უნდა განიმარტოს რუსეთის სამართლის მიხედვით. თუ კვალიფიკაცია შეუძლებელია, ე.ი. თუ შესაბამისი ტერმინი რუსეთის სამართლისათვის უცნობია ან

ცნობილია სხვა სახელწოდებით ან შინაარსით, შესაძლებელია კვალიფიკაცია უცხო ქვეყნის სამართლის საფუძველზე(10,196,197). კვალიფიკაციის პრობლემის გადაწყვეტის ასეთ ალტერნატიულ მიდგომას იზიარებდა ლუნციც, რომელიც დასაშვებად მიიჩნევდა სიტუაციიდან გამომდინარე კვალიფიკაციისათვის სხვადასხვა საშუალებების გამოყენებას (12, 90)

რაც შეეხება საქართველოს აღსანიშნავია, რომ კვალიფიკაციის პრობლემა არ არის განხილული იურიდიულ ლიტერატურაში და არ არის მოწესრიგებული საკანონმდებლო დონეზე. ეს საკითხი ღიად არის დატოვებული. კვალიფიკაციის საკითხის მნიშვნელობის საილუსტრაციო შეიძლება კიდევ ერთი მაგალითის მოყვანა, რომელიც უკავშირდება მემკვიდრეობის ურთიერთობებს. მაგალითად, საქართვე-ლოში მცხოვრებმა საქართველოს მოქალაქემ შეადგინა ანდერძი. ინგლისში ყოფნის დროს იგი ცოლად გაყვა ინგლისის მოქალაქეს, მაგრამ შეინარჩუნა საქართველოს მოქალაქეობა. მისი გარდაცვალების შემდეგ მეუღლემ _ ინგლისში დომიცილირებულმა ინგლისის მოქალა-ქემ პრეტენზია წამოაყენა საქართველოში არსებულ ცოლის ქონებაზე. აღმოჩნდა, რომ არსებობდა ანდერძი, რომლის თანახმადაც საქართვე-ლოს მოქალაქე თავის ქონებას უტოვებდა შვილს პირველი ქორწინე-ბიდან. ინგლისის მოქალაქე თავის პრეტენზიას ასაბუთებდა იმით, რომ ინგლისის სამართლის თანახმად მომდევნო ქორწინება აბათილებდა იმ პირის ანდერძს, რომელიც ხელეხლა დაქორწინდა. ამდენად სასამართლომ უნდა აირჩიოს, თუ რომელი ქვეყნის სამართალს გამოი-ყენებს. საქმის ფაქტობრივი გარემოებები შეიცავს როგორც მემკვიდ-რეობის, ისე საოჯახო სამართლის ნორმებს. წარმოიშვება კითხვა, თუ რომელი კოლიზიური ნორმა უნდა იქნეს გამოყენებული? საქართველოს სამართალი არ იცნობს ანდერძის გაუქმებას ქორწინებით. სამართლის არჩევაზე დამოკიდებულია, თუ რომელი ქვეყ-ნის სამართლით მოხდება კვალიფიკაცია, ხოლო ეს გავლენას ახდენს საქმის საბოლოო შედეგზე. თუ ურთიერთობა დაკვალიფიცირ-დება საქართველოს სამართლით, მაშინ ეს იქნება მემკვიდრეობის ურთი-ერთობა და შვილი მიიღებს ნაანდერძე ქონებას. თუ ურთიერ-ობა დაკვა-ლიფიცირდება ინგლისის სამართლით, ანდერძი გაუქმდება და შესაბამისად მოანდერძის შვილი ანდერძის საფუძველზე ქონებას ვერ მიიღებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ, თუ კვალიფიკაციის პრობლემა აისახება საქართველოს კანონმ-დებ-ლობაში, მიზანშეწონილია, რომ სკს-ის შესახებ საქართველოს კანონში შევიდეს დამატება, რომელშიც გაითვალისწინებული იქნება ამ საკითხის გადაწყვეტის ორივე ლეხ ფორი და ლეხ ცაუსაე პრინციპი, რაც შესაძლებლობას მოგვცემს ეფექტურად გადავწყვიტოთ კვალიფიკაციის პრობლემა. აღნიშნული მუხლი მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. გამოსაყენებელი სამართლის დადგენისთვის იურიდიული ტერმინების განმარტება ხორციელდება საქართველოს სამართლის შესაბამისად;

2. თუ იურიდიული ტერმინი საქართველოს სამართლისათვის უცნობია ან ცნობილია სხვა სახელწოდებით და მისი შინაარსის დადგენა შეუძლებელია საქართველოს სამართლის ნორმების განმარტების გზით, ამ ტერმინის განმარტება შეიძლება განხორციელდეს უცხო ქვეყნის სამართლის შესაბამისად”.

§2. პირველადი საკითხის პრობლემა საერთაშორისო კერძო სამართალში

თუ სამართლის ნორმას დაქვემდებარებული ფაქტობრივად შემა-დგენ-ლობის რეგულიების წინაპირობა არის უკვე არსებული კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობა, მაშინ სანამ შესა-ძლებელი გახდება ძირითადი საკითხის გადაწყვეტა აუცი-ლებელია ჯერ გადაწყდეს ე.წ. ”პირველადი საკითხი”. პირველადი საკითხის პრობლემა შეიძლება წარმოიშვას როგორც მატერიალური, ისე კოლიზიურ-სამართლებრივი რეგულირების დროს; ამ შემთხვევაში მას “პირველადი საკითხი” ეწოდება(2, 20გვ). პირველადი საკითხი ეწოდება შემთხვევას, რომლის დროსაც ერთი პროცესის ფარგლებში განიხილება ორი ურთიერთობა – ძირითადი და დამატებითი, რომლებიც რეგულირდება სხვადასხვა კოლიზიური ნორმებით(12, 81).

აღნიშნული პრობლემის საილუსტრაციოდ შეიძლება შემდეგი მაგალითის მოყვანა. მოქალაქე ლ-მა 1937 წელს თეირანში ცოლად შეირთო ირანის მოქალაქე ამალია პ. მათი ქორწინება შედგა მართლმადიდებლურ ეკლესიაში. ირანის კანონმდებლობა აღიარებდა ქორწინების რელიგიურ ფორმას. 1958 წელს მოქალაქე ლ-მა, რომელიც ამ დროისათვის უკვე ქ. თბილისში ცხოვრობდა, ცოლად შეირთო რაისა შ. 1960 წელს მოქალაქე ლ. გარდაიცვალა. ამალია პ-მ, რომელსაც პრეტენზია ჰქონდა სამკვიდრო ქონებაზე, საქართველოში აღძრა სარჩელი ლ-ს მეორე ქორწინების ბათილად ცნობის მოთხოვნით. საქმე განიხილა რამდენიმე ინსტანციამ და საბოლოოდ დააკმაყოფილა მოსარჩელე(9, გვ.239). ამ მაგალითში ქორწინების ფორმის ნამდვილობის საკითხი წარმოადგენს პირველად საკითხს სხვა ძირითადი ანუ მემკვიდრეობის საკითხის გადასაწყვეტად და თითოეული საკითხის მიმართ სასამართლომ გამოიყენა დამოუკიდებელი კოლიზიური საბამი.

აღსანიშვანია, რომ პირველად საკითხის პრობლემა იურიდიულ ლიტერატურაში განსხვავებულად არის გადაწყვეტილი. ეს პრობლემა საერთაშორისო კერძო სამართლის ისტორიაში ცნობილი გახდა უფრო გვიან, ვიდრე უკუმიტითების და კვალიფიკაციის პრობლემა. პირველად 1932 წელს მელქიორმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ე.წ. პირველადი საკითხი დამოუკიდებლად უნდა გადაწყდეს. ვენგლერმა ორი წლით უფრო გვიან წამოაყენა თეორია, რომლის თანახმად პირველადი საკითხი უნდა გადაწყდეს არა დამოუკიდებლად, არამედ ძირითადი საკითხის სტატუტის შესაბამისად (9, 240). აღნიშნულ მოსაზრებას აკრიტიკებს ლუნცი, რომლის აზრით ასეთი პოზიცია არღვევს წარმოდგენას პირის სამოქალაქო მდგომარეობაზე, რომელსაც უნდა გააჩნდეს ერთიანობის თვისება – განსაზღვროს პირის ურთიერთობების მთელი წრე; ამას კი ეწინააღმდეგება დებულება, რომლის დროსაც პირი ერთი ურთიერთობისათვის ჩაითვლებოდა დაქორწინებულად, ხოლო სხვა ურთიერთობებისათვის კი არა.; ერთი ურთიერთობისათვის ჩაითვლებოდა

ნაშვილებად, ხოლო მეორისათვის არა; ერთი ურთიერ-თო-ბისათვის ჩაითვლებოდა გარდაცვილად, ხოლო მეორისათვის ჩაითვლებოდა ცოცხლად (9, 240).

ლ.რააპე პირველადი საკითხის გადაწყვეტაში ხედავს კოლიზიური ნორმების ურთიერთგანდევის პრობლემას. მისი აზრით “პასუხი აქ არ შეიძლება იყო ცალსახა. საკითხის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენი (ამ შემთხვევაში გერმანიის) და უცხოური გადაწყვეტილების ურთიერთშესაბამისობისათვის უნდა შთანთქოს თუ არა ერთმა გერმანულმა კოლიზიურმა ნორმამ ჩვენი სხვა კოლიზიური ნორმა, შესაბამისად დასაშვებად მიიჩნევს თუ არა ეს უკანასკნელი შთანთქვას. აღნიშნული დამოკიდებულია ნორმათა შინაარსზე და მიზანზე, მათ საერთო ტენდენციაზე”(13, 127).

პირველადი საკითხის გადაწყვეტას ერთგვარი არჩევანის მეშვეობით ყოველი კონკრეტული შემთხვევის ხასიათიდან გამომდინარე გვთავაზობს გერმანელი მეცნიერი ა.იუნკერი, რომელიც აღნიშნავს შემდეგს: “პირველადი საკითხის დამოუკიდებელი და დამოკიდებული გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია, თუ რომელი სამართლებრივი სისტემის ინტერესი დგას პირველ ადგილზე. თუ ჩვენ პირველად საკითხს დამოუკიდებლად გადავწყვეტთ და გამოვიყენებთ უცხოურ კოლიზიურ ნორმას, მაშინ ვაღიარებთ უცხოური სტატუტის გავლენას ძირითადი საკითხის გადაწყვეტაზე. ამით ჩვენ მივალწევთ გადაწყვეტილების საერთაშორისო ჰარმონიულობას. თუ ჩვენ, პირიქით, პირველად საკითხს დამოუკიდებლად არ გადავწყვეტთ და გამოვიყენებთ გერმანულ კოლიზიურ ნორმას, ამას ექნება ის უპირატესობა, რომ ჩვენ შესა-ბამისობაში ვიქნებით გერმანიის საერთაშორისო კერძო სამართალთან და ამით მივალწევთ გადაწყვეტილების შიდა ჰარმონიულობას”(1, 240).

სხვა გერმანელი მეცნიერი კ-ჰ.კუნცი ასევე აღნიშნავს, რომ ორ მოდელს შორის სწორი არჩევანის გაკეთება შესაძლებელია შემდეგნაირად: თუ საქმის ფაქტობრივი შემადგენლობა მეტწილად უკავშირდება შიდაურთიერთობას, მაშინ გადაწყვეტილების შიდა ჰარმონია უფრო მნიშვნელოვანია. ამდენად გამოიყენება დამოუკიდებელი კოლი-ზიურ-სამართლებრივი საბამი. თუ საქმის ფაქტობრივი შემად-გენლობა ნაწილობრივ ან მთლიანად უკავშირდება უცხოურ ურთიერთობას, მაშინ გადაწყვეტილების საერთაშორისო ჰარმონია უფრო მნიშვნელოვანია. ამდენად გამოიყენება არადამოუკიდებელი კოლიზიურ-სამართლებრივი საბამი(3,29გვ) აღნიშნულის საილუსტრაციოდ შეიძლება შემდეგი მაგალითების მოყვანა. პირველი მაგალითი უკავშირდება შიდასამართლებრივ ურთიერთობას, როდესაც უცხო ქვეყნის მოქალაქე საქართველოში ცოლად შეირთავს საქართველოს მოქალაქეს და ქორწინება იქნება რეგისტრირებული.

საქართველოში ცხოვრების დროს წყვილს შეეძინა შვილები. ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ წარმოიშვა საკითხი – არიან თუ არა ცოცხ-ლად დარჩენილი მეუღლე და ქორწინებაში დაბადებული ბავშვები მემკვიდრეები და რომელი ქვეყნის სამართლის მიხედვით? ამ შემთხვევაში მემკვიდრეობის საკითხი თეორიულად შეიძლება გადაწყ-დეს დამოუკიდებელი კოლიზიურ-სამართლებრივი საბამის მეშვეობით, რადგან

გადაწყვეტის შიდაჰარმონია უფრო მნიშვნელოვანია. მ მეორე მაგალითი შეიძლება შეეხოს შემთხვევას, როდესაც საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქე რელიგიური წესის დაცვით ცოლად შეირთავს საქართველოს მოქალაქეს. ქორწინების შემდეგ წყვილი საცხოვრებლად გადავიდა ირანში და შეემინა შვილები. რამდენიმე წლის შემდეგ ერთ-ერთი მეუღლე გარდაიცვალა და მას სამკვიდრო დარჩა საქართველოში. მემკვიდრეობის საკითხი შეიძლება განიხილოს საქართველოს სასამართლომ. წარმოიშვება საკითხი – არიან თუ არა ცოცხლად დარჩენილი მეუღლე და ქორწინებაში დაბადებული ბავშვები მემკვიდრეები და რომელი ქვეყნის სამართლის მიხედვით? ამ შემთხვევაში მემკვიდრეობის საკითხი შეიძლება გადაწყდეს არა დამოუკიდებელი კოლიზიურ-სამართლებრივი საბამის მეშვეობით, რად-გან გადაწყვეტილების საერთაშორისო ჰარმონია უფრო მნიშვნელოვანია.

ერთგვარი უნივერსალური ხასიათის მიუხედავად, პირველადი საკითხის ამ გზით გადაწყვეტა ზედმიწევნით თეორიული გვეჩვენება. კანონზე დაყრდნობით ვერ დასაბუთდება, თუ რატომ ირჩევს სასამართლო საერთაშორისო და არა შიდა ჰარმონიას ან პირიქით, როდესაც საქმეს იხილავს ადგილობრივი სასამართლო, რომელმაც თავისი გადაწყვეტილება უნდა დააყრდნოს კონკრეტულ ნორმას. ყველაზე მისაღები და კანონთან ახლოს მდგომი არის პირველადი საკითხის გადაწყვეტა დამოუკიდებელი კოლიზიური საბამის მეშვეობით, რომლის დროსაც გათვალისწინებულია საქმის ყველა ფაქტობრივი გარემოება. ზემოაღნიშნული მაგალითების გარდა, ძირი-თადი და დამატებითი საკითხის მიმართ დამოუკიდებელი კოლიზიური საბამის გამოყენებით გადაწყვეტაზე ასევე მიუთითებს უცხოეთის სასამართლო პრაქტიკა. “თუ საქმეში ფიგურირებს უცხი ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილება მამობის დადგენის შესახებ, მაშინ საქმის განმხილველი ადგილობრივი სასამართლო ვალდებულია პირველადი საკითხის სახით დაადგინოს მშობელსა და შვილს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის ნამდვილობა. მხოლოდ ამ პირველადი საკითხის დადგენის შემდეგ სასამართლო კომპეტენტური იქნება გადაწყვეტის უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხი” – აღნიშნავენ უცხოელი ავტორები(2, 285).

§3. ე.წ. “კოჭლი ურთიერთობების” პრობლემა საერთაშორისო კერძო სამართალში

საერთო კოლიზიური ნორმების არ არსებობა წარმოშობს ე.წ. “კოჭლ ურთიერთობებს”, როდესაც ერთი და იგივე სამართლებრივი ურთიერთობა შეიძლება დაცული იქნეს ერთ ქვეყანაში და არ გააჩნდეს ასეთი დაცვა სხვა ქვეყანაში.

ფიზიკური პირის სამოქალაქო სტატუსი ზოგიერთ ქვეყანაში განისაზღვრება “ნაციონალური კანონით”, ხოლო სხვა ქვეყანაში პირის “დომიცილის კანონით”. შესაძლებელია წარმოიშვას ისეთი სამართლებ-რივი მდგომარეობა, როდესაც უგზოუკლოდ დაკარგული პირი ერთ ქვეყანაში ჩაითვლება გარდაცვლილად, ხოლო მეორე ქვეყანაში ის შეიძლება ჩაითვალოს ცოცხლად. ქორწინების მარეგულირებელი კოლიზიური სამართლის ნორმების განსხვავებების გამო ქალისა და მამაკაცის კავშირი ერთ ქვეყანაში შეიძლება ცნობილ იქნეს

ოფოციალურ ქორწინებად, ხოლო სხვა ქვეყანაში კი ასეთი კავშირი განხილული იქნება როგორც ფაქტობრივი საქორწინო ურთიერთობა. მემკვიდრეობის ურთიერთობების მარეგულირებელ კოლიზიურ ნორმებს შორის არსებული განსხვავებების გამო სამკვიდრო ქონება ერთ ქვეყანაში შეიძლება ჩაითვალოს ერთ მემკვიდრეზე გადასულად, ხოლო სხვა ქვეყანაში კი სხვა მემკვიდრეზე გადასულად. იმის გამო, რომ სხვადასხვა ქვეყანა იზიარებს იურიდიული პირის ეროვნულობის განსაზღვრის განსხვავებულ კრიტერიუმებს შეიძლება მოხდეს ისე, რომ ერთი და იგივე ორგანიზაცია განიხილებოდეს ქვეყანა “ა”-ს იურიდიულ პირად, ხოლო მეორე ქვეყანაში “ბ”-ს იურიდიულ პირად(9, 244)

სკს-ის შესახებ საქართველოს კანონის 55-ე და 56-ე მუხლების თანახმად, როგორც კანონით, ისე ანდერძით მემკვიდრეობის ურთიერთობების მიმართ გამოიყენება მამკვიდრებლის მოქალაქეობის ქვეყნის სამართალი, მაშინ როდესაც სხვა სახელმწიფოსათვის მემკვიდრეობის ურთიერთობების რეგულირებისათვის ამოსავალი პრინციპი შეიძლება იყოს მამკვიდრებლის დომიცილი. მაგალითად, რუსეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქის გარდაცვალების შემდეგ დარჩა სამკვიდრო ქონება საქართველოსა და რუსეთში. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად მემკვიდრეობის ურთიერთობების მიმართ გამოიყენებულ უნდა იქნეს საქართველოს სამართალი. რუსეთის კანონმდებლობის თანახმად, მემკვიდრეობის ურთიერთობების მიმართ გამოიყენება მამკვიდრებლის საცხოვრებელი ქვეყნის სამართალი. რომელი ქვეყნის სამართალი უნდა იქნეს გამოყენებული? თუ არ გავითვალისწინებთ მინსკის 1993 წლის 22 იანვრის კონვენციას, აეს კითხვა პასუხგაუცემელი რჩება.

როგორც მოქალაქეობის, ისე დომიცილის პრინციპს გააჩნია დადებითი და უარყოფითი მხარეები. დომიცილის პრინციპის სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტი, რომ პირი შეიძლება უკეთ იცნობდეს იმ ქვეყნის სამართალს, სადაც ის ცხოვრობს და არა მოქალაქეობის ქვეყნის სამართალს. პირს შეუძლია უფრო მარტივად, იაფად და სწრაფად მოიპოვოს ინფორმაცია სამართალზე, რომელიც მოქმედებს მის საცხოვრებელ ადგილზე, რაც ხელს უწყობს მის ინტეგრაციას უცხო ქვეყანაში.

დომიცილის პრინციპის წინააღმდეგ მეტყველებს ის, რომ ეს პრინციპი არის დენადი და შეიძლება ადგილს იკვლიდეს ერთი სახელმწიფოდან მეორე სახელმწიფოში. გარდა ამისა მოქალაქეობის პრინციპთან შედარებით ხშირად ძნელია იმ განსხვავებების დადგენა, რომელიც არსებობს დომიცილსა და ჩვეულებრივ ადგილსამყოფელს შორის. მმოქალაქეობის ქვეყნის სამართალი, მაგალითად, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი შეიძლება უფრო ახლო იყოს უცხოეთში მცხოვრები პირისათვის, ვიდრე დომიცილის სამართალი. თუმცა ის სირთულე, რომელიც უკავშირდება რამდენიმე საცხოვრებელი ადგილის არსებობას ასევე დამახასიათებელია პირის მიერ რამდენიმე ქვეყნის მოქალაქეობის ფლობისთვის(13, 53,54).

მაგრამ გასათვალისწინებელია ერთი გარემოება, რომ მიუხედავად იმისა, თუ რომელ პრინციპს ანიჭებს უპირატესობას ესა თუ ის სახელმწიფო, ე.წ. “კოჭლი ურთიერთობების” გადაწყვეტას აღნიშნული არ უწყობს ხელს. ამ საკითხთან მიმართებაში ერთმანეთს ემთხვევა მეცნიერთა პოზიცია. “იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეები არ მიმარ-თავენ სასამართლოს და მათ მხოლოდ სურთ დაადგინონ თავიანთი უფლებების შინაარსი, კომპეტენტური იურისტი მათ ეტყვის: პასუხი დამოკიდებულია იმაზე სარჩელი შეტანილია ქვეყანა X თუ Y. X ქვეყნის კოლიზიური სამართლის თანახმად გამოყენებულ უნდა იქნეს შვეიცარიის მატერიალური სამართალი, რომლითაც პრეტენზია დასაბუთებულად ითვლება: Y ქვეყნის სამართლის თანახმად გამოყენებულ უნდა იქნეს საფრანგეთის სამართალი, რომლის თანახმად პრეტენზია არის უსა-ფუძვლო. და თუ მხარეები მაინც არ ისურვებენ მიმართონ სასამართ-ლოს და შემოიფარგლებიან უფლებების დადგენის შინაარსით, მაშინ კომპეტენტური იურისტი იძულებული იქნება მათ განუმარტოს: დასმულ კითხვაზე შეუძლებელია პასუხის გაცემა, თუმცა მოქმედი სამართლის შინაარსი ექვს არ იწვევს” – აღნიშნავს ვოლფი(9, 245).

სხვა მეცნიერი ლ.ა.ლუნცი “კოჭლი ურთიერთობების” განხილვისას აღნიშნავს: “არსებულ პირობებში, როდესაც სხვადასხვა ქვეყნის კოლიზიური სამართალი ხელმძღვანელობს სხვადასხვა კოლიზიური ნორმებით, საქმის საბოლოო გადაწყვეტა ხშირად დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ ქვეყნის სასამართლოში იქნება შეტანილი სარჩელი”(9, გვ. 277). ძნელია არ დავეთანხმოთ მეცნიერთა ასეთ შეფასებას. დამატებით შეიძლება ითქვას, რომ “კოჭლი ურთიერთობების” გადაწყვეტის საუკეთესო საშუალებაა სხვადასხვა ქვეყნის კოლიზიური და მატერიალური ნორმების უნიფიკაცია, ვინაიდან სხვა შემთხვევაში ყველა სახელმწიფო ცდილობს გაავრცელოს საკუთარი კოლიზიური და მატერიალური ნორმების მოქმედება სამართლებრივ ურთიერთობებში, რაც შეუძლებელს ხდის ამ საკითხის საკანონმდებლო დონეზე ერთიან რეგლამენტაციას.

დასკვნა

განხილული თეორიების შედარებით-სამართლებრივი ანალიზი შესაძლებლობას გვამძლევს მივიჩნიოთ, რომ კვალიფიკაციის პრობლემის გადაწყვეტა უნდა მოხდეს კონკრეტული შემთხვევის გათვალისწინებით ისე, რომ არ დაირღვეს სამართლის ნორმების შინაარსი. ამდენად მიზანშეწონილია, რომ ამ პრობლემის რეგლამენტაცია განხორციელდეს საკანონმდებლო დონეზე, რისთვისაც საჭიროა შესაბამისი დამატებითი მუხლი შევიდეს სკს-ის შესახებ საქართველოს კანონში. იგი შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. “გამოსაყენებელი სამართლის დადგენისთვის იურიდიული ტერმინების განმარტება ხორციელდება საქართველოს სამართლის შესაბამისად;
2. თუ იურიდიული ტერმინი საქართველოს სამართლისათვის უცნობია ან ცნობილია სხვა სახელწოდებით და მისი შინაარსის დადგენა შეუძლებელია საქართველოს სამართლის ნორმების განმარტების გზით, ამ ტერმინის განმარტება შეიძლება განხორციელდეს უცხო ქვეყნის სამართლის შესაბამისად”.

პირველადი კოლიზიური საკითხის გადაწყვეტის სხვადასხვა მოდელების განხილვისას ჩვენ მივდივართ დასკვნამდე, რომ ყველაზე ოპტიმალური მოდელი არის ის, რომელიც ითვალისწინებს ძირითადი და დამატებითი საკითხის მიმართ დამოუკიდებელი კოლიზიური საბამის გამოყენებას, რითაც მიიღწევა სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა ინტერესების მაქსიმალური დაცვა.

კვლევიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს “კოჭლი ურთიერთობების” არა მხოლოდ საკანონმდებლო რეგლამენტაცია, არამედ ამ საკითხის გადაწყვეტის ერთიანი თეორიული მოდელიც. “კოჭლი ურთიერთობების” გადაწყვეტის საუკეთესო საშუალებაა სხვადასხვა ქვეყნის კოლიზიური და მატერიალური ნორმების უნი-ფიკაცია, ვინაიდან სხვა შემთხვევაში ყველა სახელმწიფო ცდილობს გაავრცელოს საკუთარი კოლიზიური და მატერიალური ნორმების მოქმედება სამართლებრივ ურთიერთობებში, რაც შეუძლებელს ხდის ამ საკითხის საკანონმდებლო დონეზე ერთიან მოწესრიგებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Abbo Junker. 1998. *Internationales Privatrecht*, München.
2. Harald Koch, Ulrich Magnus, Peter Winkler von Mohrenfels. 2004. *IPR und Rechtsvergleichung*. München.
3. Karl-Hainz Kunz. 1998. *Internationales Privatrecht*, Köln, Berlin, München.
4. Karl Firsching, Bernd von Hoffmann. 1998. *Internationales Privatrecht einschliesslich der Grundzüge des Internationalen Zivilverfahrensrecht*. München,
5. Thomas Rauscher. 2002. *Internationales Privatrecht*. Heidelberg.
6. Rabel E. 1945. *The Conflict of Laws: A Comparative Study*. Vol.1. Chicago.
7. Ануфриева Л.П., Бекашев К.А., Дмитриева Г.К. 2004. *Международное частное право*. М.
8. Вольф М. 1949. *Международное частное право*. М.
9. Лунц Л.А. 2002. *Курс международного частного права в двух томах*. М.
10. Сергеева А.П., Толстой Ю.К., Елисеев И.В. 2002. *Комментарий к ГК РФ*, часть третья, М.
11. Иссад П. 1989. *Международное частное право*. М.
12. Толстых В.Л. 2002. *Коллизионное регулирование в международном частном праве*. М.
13. Раапе Л. 1960. *Международное частное право*. М.
14. Х.Кох, У.Магнус, П.Винклер фон Моренфельс. 2001. *МЧП и сравнительное правоведение*. М.

*გიორგი თოდრია, მანანა მოსულიშვილი, ამირან მოსულიშვილი
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო*

**პოლიციის მმართველობის ევოლუციის თავისებურებანი:
საზღვარგარეთის გამოცდილების სტრატეგია და ტაქტიკა**

რეზიუმე

ავტორებს აღნიშნულ სტატიაში განსახილველი პრობლემები სამ ძირითად საკითხად აქვთ დაყოფილი. კერძოდ: I. მმართველობის ფორმები; II. პოლიცია, როგორც მეცნიერების კვლევის საგანი და III. 'Community policing'-ის პროგრამა პოლიციის რეფორმირებაში.

პირველი საკითხის განხილვისას საუბარია იმაზე, თუ ისტორიულად რა ფაქტორები მონაწილეობენ პოლიციის მმართველობის ფორმირებაში, რომლებიც ერთობლიობაში ქმნიან საპოლიციო კონტროლის სახეს. სწორედ პოლიციაა მოსახლეობასთან ყველაზე უფრო მჭიდრო კავშირში. ავტორები ანალიზებენ საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებას და განიხილავენ ოთხ მოდელს: 1. მილიტარიზებული ცენტრალური მმართველობის მოდელი; 2. დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის მოდელი; 3. მუნიციპალური პოლიციის მოდელი და 4. პოლიციის მმართველობის პერსპექტიული მოდელი. დახასიათებულია თითოეული მათგანი.

მეორე საკითხის გაშუქებისას ავტორებს მოყვანილი აქვთ ჰ.შნაიდერის მოსაზრებანი მისი მონოგრაფიული გამოკვლევიდან „კრიმინოლოგია“, განსაკუთრებით საშიშადაა წარმოდგენილი პოლიციის მიერ თავისი უფლებამოსილების გადამეტება. მოცემულია სხვადასხვა მეცნიერის კონცეფციები, ჩამოყალიბებულია მათი თეორიების ძირითადი აქცენტები და გაკეთებულია დასკვნა, რომ პოლიციის სისასტიკის მოდული ვითარდება მაშინ, როცა საზოგადოებას და პოლიციას შორის დაპირისპირებაა და როცა საზოგადოება არ თანამშრომლობს პოლიციასთან.

მესამე საკითხის განხილვისას აღნიშნულია პოლიციის სისტემის რეფორმის შესახებ თანამედროვე ქვეყნებში. ასეთი ცხოვრების მოდელის დანერგვა პოლიციელთა შორის ზრდის სამართლებრივ კულტურას, დადებითად მოქმედებს საზოგადოებრივ აზრზე და მთლიანად სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარებაზე. მოყვანილია დიდი ბრიტანეთის, აშშ-ს, იაპონიისა და სხვა ქვეყნების მაგალითები.

ნაშრომში მოცემულია საკითხის ზოგადი მონახაზი, რაც გასაგები მიზეზების გამო, საკმარისი არ არის, მაგრამ უდავოა, რომ პოლიციის რეფორმას სჭირდება სერიოზული ღრმა კვლევა, რადგან სხვა ქვეყნების გამოცდილების ცოდნა შეუქმნის ხელსაყრელ პირობებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარე რეფორმას.

I. მმართველობის მოდელები

პოლიციის მმართველობის ფორმირებაში ისტორიულად მთელი რიგი ფაქტორები მონაწილეობს: პოლიტიკური რეჟიმი, მოსახლეობის კულტურული დონე, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა და სხვ. ისინი, ამა თუ იმ ქვეყანაში, ერთობლიობაში ქმნიან საპოლიციო კონტროლის სახეს. სხვა სამართალდამცავი ორგანოებისაგან განსხვავებით, სწორედ პოლიციაა

მოსახლეობასთან ყველაზე უფრო მჭიდრო კავშირში. უფრო მეტიც, სწორედ მას ეკისრება დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევებისაგან საზოგადოებრივი სიმშვიდის დაცვა. პოლიცია, ფართო გაგებით, საზოგადოებრივი ცხოვრების კონტროლის განსაკუთრებული ორგანოა, ამიტომ, მოსახლეობისათვის სულერთი არ არის, თუ როგორი პოლიცია იცავს საზოგადოების წევრთა სიმშვიდეს.

პოლიციისადმი, მისი სტრატეგიისა და ტაქტიკისადმი, იძულებითი ზომებისა და მისი მართვისადმი ინტერესი როგორც სახელისუფლებო ყველა შტოსთვის, ისე თვით მოსახლეობისათვის ყოველთვის იყო და იქნება ყურადღების საგანი. გამონაკლისს არც საქართველოს პოლიცია წარმოადგენს, რომლის საქმიანობაც, ძირითადად განსაზღვრავს სახელმწიფოებრივ მართვასა და ქვეყნის მოქალაქეთა უფლებების დაცვის ხარისხს. როგორც უკანასკნელი წლების მოვლენები გვიჩვენებს, წესრიგის დამცავი თვითონ საჭიროებს წესრიგის დაცვას. ზოგიერთ მაღალი რანგის წარჩინებული მოხელის თანამდებობის ბოროტად გამოყენება, ცალკეულ პოლიციელთა თვითნებობა, მათ რიგებში კორუფციის ფაქტები, მოსახლეობაში შიშს, კანონმდებლებისადმი და მრავალი საზოგადოებრივი ორგანიზაციისადმი უკმაყოფილებას იწვევს. ყველა ეს ნეგატიური ფაქტი, კიდევ ერთხელ, გადაგვიკრავს სიტყვას იმაზე, რომ ქართული პოლიციის ორგანიზაციაში მთელი რიგი ხარვეზები არსებობს. მათი აღმოფხვრა, მხოლოდ კოსმეტიკური ზომებით, შეუძლებელია. საჭიროა მოსახლეობისათვის მისაღები საპოლიციო კონტროლის მოდელის აგებულების პრინციპების სერიოზულად გააზრება, პოლიციის მართვის სისტემის ფორმირება. ამ მიმართულებით მუშაობა წარმატებული შედეგებით დამთავრდება, თუ, რა თქმა უნდა, გათვალისწინებული იქნება საზღვარგარეთის გამოცდილება. საზღვარგარეთის ქვეყნების, მათ შორის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ პოლიციის მმართველობა ევოლუციას განიცდის, იგი გადის ეტაპებს, რომლებიც მნიშვნელოვანია პერსპექტივების გასაგებად.

მილიტარიზებული ცენტრალური მმართველობის მოდელი განსაკუთრებით განვითარებული იყო საბჭოთა სახელმწიფოში, აგრეთვე ევროპის სოციალისტურ რესპუბლიკებში. ამ მოდელისათვის სახელმწიფო მოხელეთა ფართო უფლებამოსილებებთან ერთად დამახასიათებელია საიდუმლო თანამშრომლობის იძულება, საყოველთაო თვალთვალი, მოსახლეობის იდეოლოგიური კუთხით დამუშავებაში მონაწილეობა, წამება და ძალადობრივი რადიკალიზმის სხვა მეთოდები [1, 61]. კაპიტალიზმზე გადასვლის სტადიაზე ეს მოდელი ისტორიულად უარყოფილი იქნა. თუმცა, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მმართველობის ამ ტიპის ადგილი შემორჩენილია. გაეროს პირველი მიმოხილვითი ანგარიშის თანახმად, განვითარებულ ქვეყნებში 100 ათას მოსახლეობაზე პოლიციელთა რაოდენობა შეადგენდა 302 კაცს, განვითარებად ქვეყნებში – 394-ს, ხოლო მოსამართლეთა რიცხვი, შესაბამისად, 11,3-ს და 4,1 შეადგენდა. მეოთხე მიმოხილვის (1990 წ) თანახმად, ეს მონაცემები შესაბამისად შეადგენდა 266-სა და 350-ს; 11,03-ს ა და 4,72-ს. ამ მონაცემების მიხედვით, როგორც ამას კრიმინოლოგები აღნიშნავენ, განვითარებად ქვეყნებში პოლიციელთა რაოდენობა ისევ მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა. მოსამართლეთა რაოდენობა განვითარებად ქვეყნებში იზრდება, მაგრამ ეს რიცხვი, მაინც ორჯერ უფრო ნაკლებია, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში არსებული რაოდენობა. მიუხედავად ნაკლები ეკონომიკური საშუალებებისა, განვითარებულ ქვეყნებში 100 ათას მოსახლეზე დიდი რაოდენობით ფიქსირდება სისხლის სამართლის იუსტიციის სისტემის ხაზით მომსახურე პერსონალის რაოდენობა. უფრო ზუსტად

რომ ვთქვათ, საპოლიციო ძალების შესანახად უფრო მეტი რესურსები გამოიყენება, ვიდრე სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დაწესებულებებისათვის [2, 35]. ყოველივე კი, იმაზე მეტყველებს, რომ ადამიანთა ქცევაზე მკაცრ დისკრიმინაციულ საპოლიციო კონტროლზე დადებული ფსონი, ჯერ კიდევ მაღალი რჩება განვითარებად ქვეყნებში, რაც, თავის მხრივ, მილიტარიზებულ ცენტრალიზებულ მმართველობას ნეგატიურად ახასიათებს.

დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის მოდელი ფორმირდება, როგორც პოლიციის მმართველობის ორგანიზაციაში ჩიხიდან გამოსვლის მცდელობა. მეოცე საუკუნის 60-იან წლებში კრიმინოგენური მდგომარეობის გაუარესების გამო, დასავლეთის მთელ რიგ ქვეყნებში და განსაკუთრებით კი აშშ-ში სტიმულირებს პოლიციის სოციალური ფუნქციის გაძლიერების იდეა. ამ იდეიდან გამომდინარე, პროცესი დახუნძლულია არქაული აბსტრაქტული ფორმალიზმით. არც თუ ისე იშვიათია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ნორმების გამოყენების პრობლემატიკა [3, 208], [4, 470]. ამიტომ, აუცილებელია დანაშაულთან ბრძოლის არაორდინალური ზომები. ამ მიმართულებით 70-80-იან ქლებში გაუქმდა ან შემსუბუქდა პასუხისმგებლობის სანქციები იმ დამნაშავეთა მიმართ, ვინც ინანიებდა ჩადენილ ქმედებას. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ზომები საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას ნასვამ მდგომარეობაში გამოჩენისათვის, წვრილმანი ქურდობისათვის, მარიხუანის ფლობისათვის, პროსტიტუციისათვის და ა.შ. ქმედებებისათვის შეიცვალა სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ზომებით. გფრ-ში, საფრანგეთსა და იტალიაში, მსოფლიოს სხვა ქვეყნებში სისხლის სამართლის საქმეთა უმრავლესობის გამოძიება გადაეცემოდა საპოლიციო სამსახურებს [1]. სკანდინავიურ სახელმწიფოებში, მთელი რიგი მნიშვნელოვანი საპროცესო ქმედებები (დაპატიმრება, ამოღება, ჩხრეკა და ა.შ) ხორციელდებოდა პოლიციის თვალის მიდევნებით, მისი შეხედულებით, სამართალდამრღვევის სასამართლოში წარდგენის მიზნით. მრავალი დასავლური ქვეყანა გადავიდა სასამართლოში საქმეთა გამარტივებულ წარმოებაზე, რადგან ემყარებოდნენ რა პოლიციური ორგანოების „ნდობას“.

„დანაშაულობაზე კონტროლის“ იდეა ტოტალიტარული რეჟიმის პოლიციის საქმიანობაზე ნეგატიურ რეაქციას წარმოადგენდა. თუმცა, მრავალი ქვეყანა დადგა პოლიციის თვითნებობის ზრდის პრობლემის წინაშე. თავის ნაყოფს იძლეოდა პოლიციის გაუაზრებელი „დემოკრატიზაცია“. თუ ტოტალურ სახელმწიფოებში ძალადობის თვითნებობა სახელმწიფო პოლიტიკის რანგში იყო აყვანილი, დემოკრატიულ სახელმწიფოებში წარმოიშვა ახალი ფენომენი – ცალკეული პოლიციელის თვითნებობა, მისი სუბიექტივისმის უსაზღვრობა. მხოლოდ აშშ-ში ყოველწლიურად ხდებოდა პოლიციელების მიერ ადამიანის უფლებათა დარღვევის 20 ათასზე მეტი შემთხვევის რეგისტრაცია. პოლიციელთა სისასტიკე, იარაღის დაუსაბუთებლად გამოყენება, ეჭვიმტანილთა ცემა და დაკავებულთა მკვლელობებიც კი, გახდა პოლიციისადმი „დემოკრატიული“ მიდგომის მუდმივი ატრიბუტი. უფლებათა დამცველი ორგანიზაცია „საერთაშორისო ამნისტია“ აფიქსირებს პოლიციელთა მხრიდან ადამიანების წამებისა და შეურაცხყოფის 100-ზე მეტ შემთხვევას [5, 16]. ამასთან ერთად, ხშირდება კანონის დამცველთა მიმართ საქმის შეწყვეტის ფაქტები. მხოლოდ გფრ-ში 1980-1987 წლებში შეწყვეტილი იქნა სისხლის სამართლის საქმეთა 90%-ზე მეტი და მხოლოდ საქმეთა 1-6% მთავრდებოდა საბრალდებო დასკვნით [6, 212-220]. რაოდენ უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, ვენის, ლონდონის, მადრიდის, პარიზის, რომისა და აშშ-ს მოსახლეობის გამოკითხულთა 60% პოლიციის გაძლიერების მომხრენი იყვნენ [7, 75].

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, როგორც „ტოტალიტარული“, ისე „დემოკრატიული“ ხასიათის პოლიციის ორგანიზაციის მოდელებმა არ გაამართლეს. პრობლემური სიტუაციიდან გამოსვლის ყველა დეტალის განხილვის გარეშე, აღვნიშნავთ, რომ ჩიხიდან გამოსვლის გზა თვით ცხოვრებამ მოძებნა. აღმოჩნდა, რომ პოლიცია ეფექტურია იმ შემთხვევებში, როდესაც ის არ ეწინააღმდეგება საზოგადოებას და საზოგადოებასთან ერთად ებრძვის დამნაშავეობას. პოლიციისა და მოსახლეობის გაერთიანება „ურთიერთდახმარების ჯგუფებში“, ქუჩების ერთობლივი პატრულირება, ახალგაზრდების მომსახურების ბიურო, ადრენასამართლევთა დასახმარებელი სპეციალური ფონდი და ერთობლივი საქმიანობის სხვა ფორმები მიუთითებენ პოლიციის საქმიანობის ორგანიზაციის ახალი ტიპის გამოჩენაზე – პოლიცია გაძლიერებული სოციალური ფუნქციით. შევნიშნავთ, რომ ამდაგვარი მიდგომის ზოგიერთი ელემენტი ცნობილი იყო საბჭოთა სახელმწიფოსათვის: უზნის ინსპექტორი, არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები; მზრუნველთა საბჭოები და ა.შ. მაგრამ, სამწუხაროდ, სიახლის ეიფორიამ წყალთან ერთად გამოსტყორცნა ბავშვიც, რითაც წარსულის საინტერესო აღმოჩენები გაანადგურა.

მიუხედავად აშშ-ში არსებული დიდი პრობლემებისა, პოლიციის ორგანიზება სწორედ სოციალური მიმართულებით ხდება. კანონმდებლობის დონეზე განისაზღვრება ფედერალური კანონები – ზოგადი პრევენციის პროგრამები, რომელთა განხორციელებაშიც მოქალაქეთა უმრავლესობა იღებდა მონაწილეობას. ამასთან, სახელმწიფო ფართოდ იღებს მონაწილეობას ამ კანონთა და პროგრამების სრულყოფასა და რეალიზაციაში. და ბოლოს, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იწყებენ იმის გაგებას, რომ სამართალდარღვევათა წარმატებული პრევენცია ეფექტური მხოლოდ მაშინ იქნება, როცა ეს საქმიანობა შეძლებს მოიცვას მთელი საზოგადოება, რომელიც პოლიციის პარტნიორად გარდაიქმნება [8, 34]. ამათან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ კრიმინოლოგთა გარკვეულმა ნაწილმა გამოთქვეს სოციალური ანტიკორუფციული მოძრაობის იდეა [9, 11-14], რომელშიც მონაწილეობას პოლიციის წარმომადგენლებიც მიიღებდნენ. თუმცა, მოცემული იდეა უარყო სახელმწიფო ბიუროკრატიაში.

პოლიციის სოციალიზაციის იდეას მიემხრნენ აშშ-ს სხვადასხვა თეორიის წარმომადგენლები. შემთხვევითი არ არის, რომ „კომუნალური პოლიციის“ მომხრეები (თემის დონეზე პოლიციისა და მოსახლეობის პარტნიორობა) ისეთ კრიმინოგენურ სიტუაციებში, როგორიცაა: უსახლკაროები, მეძავები და ახალგაზრდა ბანდები, საზოგადოებრივ ადგილებში ლოთობა, ნარკოტიკებით ღიად ვაჭრობა, ჭუჭყი საზოგადოებრივ ადგილებში, გამოყოფენ ისეთ მაჩვენებელს, როგორიცაა თემისა და პოლიციის სუსტი კავშირი, სამართალდამცავი ორგანოებისადმი მოსახლეობის მხრიდან დახმარების არ არსებობა [10, 137].

მ უ ნ ი ც ი პ ა ლ უ რ ი პ ო ლ ი ც ი ის მ ო დ ე ლ ი ახდენს პოლიციისა და მოსახლეობის შემდგომი კონტაქტების გაფართოვებისა და რეალიზებისაკენ სწრაფვას. მსოფლიოს მრავალ მსხვილ ქალაქსა და მეგაპოლისებში (ამსტერდამი, მადრიდი, რომი, ლონდონი, ვაშინგტონი, ნიუ-იორკი და ა.შ.) იქმნება მუნიციპალური პოლიცია, ე.ი. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ ტერიტორიულ წარმონაქმნებში შექმნილი პოლიციური ფორმირებანი, რომლებიც უშუალოდ მათ ექვემდებარებიან, მათი სრული ან ნაწილობრივი დაფინანსება ადგილობრივი ბიუჯეტიდან ხდება და მოქმედებენ მკვეთრად განსაზღვრულ იურისდიქციაში. ასეთი საქმიანობა განსაკუთრებით განვითარებულია დიდ ბრიტანეთში [11, 359].

მუნიციპალური პოლიციის საქმიანობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების ანალიზი გვიჩვენებს, რომ იგი წარმატებულია იმ ქვეყნებში, სადაც ადგილებზე კარგადაა განვითარებული საბაზრო ეკონომიკა, დანაშაულთან საბრძოლველად აქტიურად გამოიყენება ადგილობრივი ბიუჯეტები, მაგალითად, აშშ-ში ადგილებზე მართლწესრიგის დასაცავად გამოიყოფა ადგილობრივი ბიუჯეტის დაახლოებით 90% [12, 13-14]. თუმცა, შევნიშნავთ, რომ მუნიციპალური პოლიცია პანაცეა სულაც არ არის. მრავალი ანალიტიკოსი აღნიშნავს, რომ ძლიერი დეცენტრალიზებული პოლიციური სისტემები გავრცელებული ყველა საზღვარგარეთის ქვეყანაში სულაც არ არის, მხოლოდ იქ არის, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი არ ცხოვრობს სიღარიბის ზღვარს მიღმა და სადაც საბიუჯეტო სფეროს მილიონი მუშაკი ხელფასს თავის დროზე ღებულობს, ხოლო მათ, ვისაც ძლიერ უჭირს, დროულად გამოეყოფა სოციალური დახმარება. ეს კი, პირველ რიგში, საზოგადოებაში საფრთხის ქვეშ აყენებს სამოქალაქო სამყაროს. გარდა ამისა, როგორც შემდგომში აღინიშნება – საჭიროა გათვალისწინებული იქნას, რომ დეცენტრალიზებული პოლიცია უპირატესად მოქმედებს ან მონონაციონალურ სახელმწიფოებში, ან/და იმ ფედერაციებში, სადაც სუბიექტების ნაციონალურ ელიტასთან ერთად არ შეიმჩნევა სეპარატიზმის ტენდენციები. და ბოლოს, განვითარებული მუნიციპალური პოლიცია არსებობს მხოლოდ იქ, სადაც ადგილობრივი ხელისუფლება მის შესანახად განკარგავს (მეტად მნიშვნელოვან) „ფინანსურ შესაძლებლობებს“ [1, 77].

პოლიციის მმართველობის პერსპექტიული მოდელი. დასავლური ქვეყნების რეალიები გვიჩვენებს, რომ პოლიციის მმართველობის ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული საწყისების შეფარდების პრობლემათა გადაჭრა ხდება მხოლოდ იმ პრინციპის საფუძველზე, რომ დომინირებულ როლს თამაშობენ ზოგადსახელმწიფოებრივი ინტერესები, რომლებიც მოითხოვენ დაცული იქნას პოლიციის მკაცრად შემოწმებული ცენტრალიზებული მმართველობა. თანამედროვე მმართველობითი პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ პოლიციის ზედმეტად დეცენტრალიზაციას მივყავართ იქამდე, რომ იწყება რეგიონალური მმართველი წრეების მხრიდან მნიშვნელოვანი ზეგავლენა, მათი პოლიტიკა არც თუ იშვიათად, არ პასუხობს ზოგადსახელმწიფოებრივ ინტერესებს. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, პოლიციის საქმიანობა მაიც ცენტრალიზებულია. შვეციაში ასეთ ფუნქციას ასრულებს ნაციონალური საპოლიციო კომისარიატი, იაპონიაში – საზოგადოებრივი უსაფრთხოების სახელმწიფოებრივი პოლიცია, იტალიაში – შინაგან საქმეთა სამინისტრო, ანალოგიურადაა – ფინეთში, რუსეთში, დიდ ბრიტანეთში და ა.შ. მაშასადამე, დღეისათვის, საზღვარგარეთის სამყაროში, ცენტრალური ორგანოების როლი იზრდება. სამინისტროს მმართველობის მნიშვნელობა განპირობებულია შემდეგი გარემოებებით:

- სამინისტროს მმართველობა ცხოვრებაში უშუალოდ ატარებს სამართალდამცავ პოლიტიკას, რომელიც ხელისუფლების მიერ განისაზღვრება. საკანონმდებლო ორგანო, თავისი კომიტეტებისა და კომისიების მეშვეობით ახორციელებს კონტროლს პოლიციის საქმიანობისადმი. შესაბამისად წყდება შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობის ნორმატიული ბაზის სრულყოფის პრობლემა.
- რეგიონული საპოლიციო სამსახურების დაგეგმვა, კოორდინაცია და კონტროლი შედარებით წარმატებით ხორციელდება სწორედ სამინისტროს მმართველობის მეშვეობით, რითაც ხდება განსხვავებული, დაქსაქსული მეთოდის, ინსტრუქციების და ა.შ. დამღევა. აქედან გამომდინარე, იქმნება პოლიციისადმი სისტემური და მიზანმიმართული მმართველობა.

- რეგიონალური სამსახურების, როგორც ერთიანი სისტემის რგოლების, ერთიანი საინფორმაციო მომსახურება მიიღწევა სამინისტროს მმართველობის დონეზე მხოლოდ მიზანმიმართული სისტემური მიდგომებით.
- კადრების მომზადებასა და დაკომპლექტებაში პრიორიტეტული როლისამინისტროს ეკუთვნის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პოლიციისადმი ცენტრალიზებული მმართველობა ზოგიერთი დეცენტრალიზებული საწყისების გათვალისწინებით, განსაკუთრებით, როგორცაა პოლიციასა და მოსახლეობას შორის კონტაქტები – ასეთია პოლიციის მმართველობის ევოლუციის ძირითადი ტენდენციები. პერსპექტიულად ითვლება მოსახლეობასა და სამინისტროს შორის მჭიდრო კავშირების დადგენის ახალი ფორმების ძიება. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოდელის თეორიული და პრაქტიკული დამუშავება უნდა შეესაბამებოდეს საზღვარგარეთის გამოცდილების ევოლუციას, ექვგარეშეა, რომ პოლიციისადმი ცენტრალიზებული სამინისტრო მმართველობისა და პოლიციური საქმიანობის სოციალური ფუნქციების გაფართოების სინთეზი, ჩიხიდან გამოსვლის შედარებით უკეთესი გამოსავალია, იგი, ჩვენს სახელმწიფოში არსებობს, როგორც განვითარებადი, ქვეყანაში, რომელიც იხლიჩება სეპარაზმით, ადგილუფროსობით.

II პოლიცია, როგორც მეცნიერების კვლევის საგანი

წინამდებარე წერილის შესავლის ნაცვლად მოვიყვანთ ცნობილი გერმანელი კრიმინოლოგის ჰ. შნაიდერის აზრს, რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ საკითხის ფილოსოფიური დასაბუთების მიზნით.

ჰ. შნაიდერი მონოგრაფიულ გამოკვლევაში „კრიმინოლოგია“ გულისტკივილით აღნიშნავს, რომ თითქმის 200 წლის განმავლობაში კრიმინოლოგია ხელმძღვანელობდა ხელისუფლების თვალსაზრისით, მაგრამ მარტო თანამედროვე დროს გახდა კრიმინოლოგიური აღმოჩენა. ის ფაქტი, რომ სახელმწიფოს მიერ შექმნილი დანაშაულობის მაკონტროლებელი ორგანოები თვითონ ითხოვენ კონტროლს. ავტორის აზრით, კარგა ხანია საძლეულია წარმოდგენა პოლიტიკოსთა დანაშაულის შესახებ, როგორც არანორმალურ მოვლენაზე. დემოკრატიულ სამართლებრივ სახელმწიფოში მოხელეს (პოლიტიკურ მოღვაწეს) შეუძლია გამოიყენოს თავისი თანამდებობრივი მდგომარეობა და ხელსაყრელ დროს ჩაიდინოს დანაშაული. ჰ. შნაიდერი გამოყოფს ამ ტიპის დანაშაულებისათვის დამახასიათებელ ნიშნებს. მისი კონცეფციის თანახმად, პოლიტიკოსები იდენენ სამართალდარღვევის კანონის სახელით. ისინი იყენებენ უფლებამოსილებას დანაშაულებრივი მიზნით, ამიტომ ძნელია გამოვლინდეს მათ მიერ პოლიტიკური ხელისუფლების ბოროტად გამოყენების ფაქტები. ამ ტიპის დანაშაულები ბოროტად იყენებენ საზოგადოებრივ აზრს, რომელსაც სჯერა მათი, რატომღაც ბატონობს აზრი, რომ სახელმწიფო და მისი დაწესებულებები უნდა მოქმედებდნენ ლეგალურად და იქონიონ სისხლისსამართლებრივი დაცვა. ხშირად ისინი იყენებენ იმ სახელმწიფო აპარატს, რომლის დანიშნულებაც დანაშაულობასთან ბრძოლაა. ამ სიტუაციაში განსაკუთრებით საშიშია პოლიციის მიერ თავისი უფლებამოსილების გადამეტება, რადგან უშუალოდ ირღვევა მოქალაქის კონსტიტუციური უფლებები [13, 437-438].

პოლიციას უკავია განსაკუთრებული ადგილი სახელმწიფოს სტრუქტურაში. აღნიშნულის გარდა, მნიშვნელოვანია, კიდევ ერთი თვისება. სათანადო კონტროლის გარეშე კი, პოლიციას შეუძლია შეასრულოს მეტად საშიში კრიმინოგენური როლი.

ყოველივე აღნიშნულიდან, პოლიციის საქმიანობა თანამედროვე პირობებში იძენს განსაკუთრებულ აქტუალობას და ხდება მეცნიერული მეცნიერული კვლევის საგანი.

პირველად პოლიციის საქმიანობა მეცნიერულად იყო შესწავლილი 30-იან წლებში აშშ-ში, მაგრამ მარტო 60-იან წლებში კრიმინოლოგებმა არსებითად სცადეს შეესწავლათ პოლიციის საქმიანობა, მისი ნაკლი და პრობლემები. ამ მიმართულებით მკვლევარებმა შეიმუშავეს არაერთი თეორიული მოსაზრება, მათი სიმრავლე არ გვაძლევს საშუალებას განვიხილოთ ისინი დაწვრილებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია განვიხილოთ მარტო საკვანძო კონცეფციები, რომლებშიც ნათლად აისახება პოლიციის შესახებ წარმოდგენათა ევოლუცია.

სამოციან წლებში ჯ. სკოლნიკმა გამოსცა მონოგრაფიული გამოკვლევა, სადაც მან მკითხველს შესთავაზა პოლიციელთა თვითშეფასების თეორია [14]. ძირითადად შემუშავებული კონცეფტუალური სქემა ემყარებოდა პოლიციელთა ანკეტირების მეთოდზე. კვლევის მიზანი იყო პოლიციელთა დამოკიდებულება ექვიტანის კონსტიტუციური უფლების დაცვისადმი და პოლიციელთა მიერ თავის პრესტიჟის შეფასება. გამოკვლევის შედეგი იყო დადგენილი პოლიციელთა მოსაზრება თავისი საქმიანობის შესახებ, როგორც გამოვლინდა, პოლიციელები თვლიდნენ, რომ საზოგადოებრიობა მეტად გულგრილია მათი სამუშაოსადმი, არ ეხმარება მათ პოლიციელების აზრით, მათი სამუშაო ძალზედ სახიფათოა და ცუდად ანაზღაურებადი, პოლიციელები თვლიდნენ, რომ მათი საქმიანობის პრესტიჟი საზოგადოებაში, საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებში მეტად მცირეა. თავის საქმიანობისადმი პოლიციელები იყვნენ მეტად ზომიერნი, მაგრამ დამნაშავეთა მიმართ ისინი ავლენდნენ მეტად რადიკალურ პოზიციას, რადგან თვლიდნენ, რომ ყველა დაკავებული დამნაშავეა. ამრიგად, მათი გამოკითხვა ავლენდა, რომ პოლიციელები უარყოფდნენ უდანაშაულობის პრეზუმფციას. პოლიციელთა აზრით, მხოლოდ მათ გააჩნიათ უნარი დაადგინონ ბრალეულობა და ამიტომ სასამართლოში, უმრავლესობის აზრით, ტყუილად „იურება“ ბევრი ფული.

საინტერესოა, რომ ჯ. სკოლნიკის მიერ იყო დადგენილი პოლიციელთა სოციალური მდგომარეობა. მეცნიერი საკითხს სვამდა პოლიციელის ფუნქციონალური პიროვნების შესწავლის შესახებ, რაც ნიშნავდა მათი ცხოვრების წესის ღრმა გამოკვლევას.

ოცდაათიანი წლების მიწურულს ცნობილმა ამერიკელმა მეცნიერმა გამოსცა შრომა, რომელშიც იგი იკვლევდა კულტურათა კონფლიქტის პრობლემას [15]. მის მიერ შემუშავებული თეორია დანაშაულობის მიზეზად აცხადებდა კულტურათა კონფლიქტს, შემდგომში ეს კრიმინოლოგიური მოსაზრება იყო განვითარებული მრავალი მეცნიერის მიერ, მაგრამ მთავარია ის, რომ დ.სელინის კონცეფციამ მეტად მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა პოლიციის საქმიანობასთან დაკავშირებულ პრობლემატიკასთან, რადგან კონფლიქტის ანალიზი უშუალოდ ავლენდა ძალადობის ფაქტორს. ამასთან დაკავშირებით, მეცნიერებაში დაისვა კითხვა: რა ზეგავლენას ახდენს დაპირისპირებათა, კულტურათა კონფლიქტში წამოჭრილი ძალადობა პოლიციის საქმიანობაზე? წამოჭრილი პრობლემა სპეციალურად გამოიკვლია აშშ-ს იუსტიციის ყოფილმა მინისტრმა რ.კლარკმა [16, 211-240]. ვინაიდან, ავტორის

მიერ მოტანილი მოსაზრება აისახება ჟურნალისტიკურ სტილში, ჩვენ ვეცდებით მივცეთ მას ლოგიკური ენის ხასიათი და მოკლედ მოვათავსოთ თეზისების ფორმაში.

თეზისი: დანაშაულობის კონტროლისა და კრიმინოგენური სიტუაციის თავიდან აცილების მეთოდების არცოდნა განაპირობებს იმას, რომ პოლიციის ქვედანაყოფები შეიძლება აღმოჩნდნენ საზოგადოებრივი აზრის ზეწოლის ქვეშ და განახორციელონ არაადექვატური მოქმედება.

სიტუაცია: ქ.ვოტსში მასობრივი გამოსვლების შედეგად სხეულის დაზიანება მიიღო 800-ზე მეტმა პირმა. დაინგრა 295 და გაიძარცვა 150 შენობა. იყო მსხვერპლი. საზოგადოებრივი აზრი იყო აღშფოთებული მომხდართ და ითხოვდა რეპრესიებს. ამ ზეწოლის შედეგად პოლიციამ განახორციელა თავდასხმა `შავი მუსულმანების მეჩეთზე იმ საბაბით, რომ თითქოს და ემებდა იარაღს.

თეზისი: პოლიცია არ ერევა კრიმინოგენურ სიტუაციაში იმის გამო, რომ არ გააჩნია ძალები.

სიტუაცია: 1967 წელს ნიუ-იორკში დეტროიდში მასობრივი გამოსვლების შედეგად დაიღუპა 200-ზე მეტი ადამიანი, რადგან პოლიცია არ ჩაერია კონფლიქტში და ელოდებოდა სიტუაციის განმუხტვას.

თეზისი: საზოგადოებრივი აზრის უშუალო ზეგავლენისა და პოლიციის უძლურობის შედეგად მის მუშაობაში შეიძლება წარმოიშვას განტევების ვაცის ძიების მოთხოვნა და არა პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარების აუცილებლობა.

სიტუაცია: უწესრიგობის გავრცელებამ გამოიწვია მოსახლეობაში ვიღაცის შეთქმულების ძიების მოთხოვნა. ალაბამაში პოლიცია აწყობდა თავდასხმებს დაცარიელებულ შენობებზე, ვერტფრენით ემებდა მიგდებულ ნაგებობებს, სადაც მონაჭორის ვარაუდით იყო იარაღი და უცხოელ შეთქმულთა ბრონირებული მანქანები, ვარაუდობდნენ, რომ ეროვნული ბრალის გრძნობისაგან თავის დაღწევა შეიძლება მარტო შეთქმულების არსებობის „შექმნით“, ზოგიერთი პოლიტიკოსი, გუბერნატორი მერილენდ სპირო აგნიუს მსგავსად, წერს რ.კლარკი, აცხადებდნენ, რომ ვითომ გააჩნიათ უტყუარი მტკიცებულებები შეთქმულების შესახებ.

თეზისი: კრიმინოგენური სიტუაციის კონტროლირება პოლიციას შეუძლია არაძალადობრივი ხასიათის ხერხებით (დაპატიმრებებით, სასამართლოში გამოძახებით, დამნაშავეთა იდენტიფიკაციით და სხვ.) და არა ძალადობის, იარაღის გამოყენებით, ძალის უზომო გამოყენება, არაადამიანური მოპყრობა სისხლისღვრა არაა ეფექტური და იწვევს დაპირისპირების გავრცელებას, ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ ძალადობის ახალ ტალღას. აშშ-ს გამოძიების ფედერალური ბიუროს და პოლიციის უფროსთა საერთაშორისო ასოციაციის თვალსაზრისით, იარაღის გამოყენება პოლიციის მიერ დასაშვებია მხოლოდ თავდაცვისა და მოქალაქეთა სიცოცხლის დაცვის მიზნით.

რ. კლარკის აზრით, აშშ-ს პოლიციის, როგორც სოციალური ინსტიტუტის ჩამოყალიბების ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ ის ატარებს ნახევრადგასამხედროებულ ხასიათს. ინგლისში კი პირიქით, მოქმედებს წესი: თამაშში, რომელსაც ჰქვია დანაშაულობა, თამაშობენ იარაღის

გარეშე. რ.კლარკი თვლის, რომ პოლიცია უნდა იყოს აღჭურვილი თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით, იყოს მრავალრიცხოვანი და მობილური, მაგრამ მთავარია ის, რომ პოლიციის საქმიანობაში უნდა დამკვიდრდეს ჰუმანიზმი, საზოგადოებისაკენ სწრაფვა, აღმოიფხვრას პოლიციელთა ფსიქოლოგიაში ძალადობის ფენომენი.

პოლიციის და კანონის წინააღმდეგობათა თეორია იყო შემუშავებული კრიმინოლოგი ჯ.ვილსონის მიერ [17]. მისი აზრით, კანონი ვერ ეხმარება პოლიციელს, რადგან პოლიციელს მიუთითებს მხოლოდ გარკვეული ქცევის აკრძალვაზე, ხოლო კონკრეტულ მითითებას იმის შესახებ, თუ რა უნდა გააკეთოს მან ამა თუ იმ სიტუაციაში კანონი არ არსებობს. ეს მომენტი კი მთავარია იმიტომ, რომ პოლიციელის წინაშე დგას კონფლიქტური, კრიზისული სიტუაციის კონტროლის ამოცანა. პოლიციელისათვის არ არის კანონით შემუშავებული კრიზისულ სიტუაციაში ქცევის წესი. ამიტომ მას ხშირად უხდება რისკის ხარჯზე გადაწყვეტილების მიღება.

მოსამართლეთა და პოლიციელთა შორის არაა დაძლეული კონფლიქტური ურთიერთობა,- წერს ჯეიმს ვილსონი. ხშირად, ასეთი ურთიერთობა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ როგორც პოლიციას, ასევე სასამართლოს აქვთ სურვილი დამოუკიდებლად გამოიტანონ გადაწყვეტილება. პოლიციელები თვლიან, რომ მათ გააჩნიათ მცირე ინფორმაცია და ამიტომ იძულებულნი არიან მიიღონ სწრაფი გადაწყვეტილება მოსამართლესთან შედარებით, რომელსაც მიტოვებული ჰყავს პოლიციელი. პოლიციელი თვლის თავის თავს ბრალდებულად იმ შემთხვევაში, როდესაც მოსამართლე იღებს გადაწყვეტილებას, რომელიც არ ემთხვევა პოლიციის გადაწყვეტილებას.

კონფლიქტის თეორიის ნაირსახეობად შეიძლება ჩაითვალოს ე.წ. „სადისტური ტიპის“ ფორმირების თეორია, რომელიც შემუშავდა სტენფორდის უნივერსიტეტის ექსპერიმენტალური ფსიქოლოგიის ინსტიტუტში. გამოკვლევა მიზნად ისახავდა ექსპერიმენტალურად შექმნილ „ცხენში“ „პოლიციელი ზედამხედველის“ და „მსჯავრდებულის“ ურთიერთობის შესწავლას. მათ როლს ნებაყოფლობით ასრულებდნენ დაქირავებული პირები [18, 69-97].

დაწყებული ექსპერიმენტი ვადაზე ადრე იყო შეწყვეტილი, რადგან გამოვლინდა მოულოდნელი ფსიქოლოგიის ატიმაციის ზოგიერთი ფენომენი, „მსჯავრდებულთა“ ნაწილს უკვე ექსპერიმენტის მეორე დღეს ემართებოდა ისტერიკა, ალგზნებადობა, შიშის დეპრესიის სინდრომი და სხვა ფსიქოსომატური მოვლენები. „მსჯავრდებულთა“ უმრავლესობა კი დარწმუნებული იყო თავის უსუსურობაში. მათი ქცევა იყო პასიური, პიროვნების დამოუკიდებლობას იყო მოკლებული.

„მსჯავრდებულთა“ მიმართ „პოლიციელი-ზედამხედველი“ ამჟღავნებდა სათანადო ქცევას. ექსპერიმენტის მიხედვით მათ ჰქონდათ უფლება ურთიერთობის ყველა ფორმა, მაგრამ „მსჯავრდებულთა“ მიმართ ისინი ირჩევდნენ ნეგატიურ, მტრულ დამოკიდებულებას. საუბრები „მსჯავრდებულთან“ იყო მოკლებული სიტხობს. მიმართვის ერთადერთი ფორმა იყო ბრძანება. სიტუაცია მათ მიერ იყო შექმნილი მძიმე. ექსპერიმენტის დამთავრების შემდეგ პოლიციელები ნანობდნენ, რომ ამით დასრულდა მათი როლიც. სააღსრულებო დაწესებულების სოციოდინამიკა ნათელი იყო: აგრესიული მოქმედება იყო განპირობებული იმ „ხელისუფლებით“, რომელიც როლის სახით ენიჭებოდათ მათ.

პოლიციის ამერიკულ და ევროპულ მოდელებს 60-70 წლებში გულდასმით სწავლობდა საბჭოთა მეცნიერებაც [19], [20], [21, 141-177]. გამომდინარე რა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებიდან საბჭოთა მეცნიერები ცდილობდნენ შეესწავლათ პოლიციის ინსტიტუტი კლასობრივი მიდგომის თვალსაზრისიდან გამომდინარე. ამ კონცეფციის თანახმად, ბურჟუაზიული პოლიციის საქმიანობაში აისახება ჯალათის და „მოდვარის“ ფუნქციები. „ჯალათის“ ფუნქცია გამოიხატება რეპრესიულ საქმიანობაში, ხოლო „მოდვარის“ ფუნქცია – იდეოლოგიურ-მასობრივ-პროპაგანდისტულ საქმიანობაში. ი.მიხაილოვსკაიას აზრით, აშშ-ს პოლიციის საქმიანობაში აღნიშნული ორი ფუნქცია შეხამებულია და ემსახურება ბურჟუაზიული თვალთახედვას სამართლიანობაზე [21, 141-161]. ავტორს შერჩევით მოყავს ის ფაქტები, რომლებიც შავ ფერებში ხატავენ პოლიციის საქმიანობას. ზანგების დარბევის, განგსტერებთან და ბიზნესმენებთან კავშირების და სხვა მოვლენების წინა პლანზე წამოწევა საბჭოურ თეორიებში იყო განპირობებული კლასობრივი მიდგომით და ამიტომ პოლიციის კვლევა იყო ცალმხრივი. ასეთ მიდგომას ხელს უწყობდა თვითონ ამერიკული პრესაც და ზოგიერთი მეცნიერის პუბლიკაციაც [22] გასაგებია, რომ უარყოფით მოვლენებს აქვს ადგილი ყველა პოლიციის საქმიანობაში, მაგრამ იმისათვის, რომ პოლიციის არსი იყოს შესწავლილი მთლიანობაში საჭიროა მისი სისტემური, იურიდიული ანალიზი, რომელიც არ იქნება გამრუდებული იდეოლოგიური ლოზუნგებით და დებულებებით.

კონფლიქტების თეორიათა ნაირსახეობას წარმოადგენენ ევროპულ კრიმინოლოგთა კონცეფციები. გერმანელი მეცნიერის ე. ბლანკენბურგის მიერ იყო შემუშავებული „ეჭვიანობის თეორია“ [23, 120-150], [24]. მისი აზრით, პოლიციელები ცოდნას იძენენ პრაქტიკაში, რადგან პრაქტიკა განაპირობებს პოლიციელთა ყოველდღიურ მოქმედებებს, გამოკვლევის შედეგად გამოვლინდა ფსიქოლოგიური ფენომენი, რომელიც ახასიათებს „პოლიტიკურ სამყაროს“. დადგენილი იყო, რომ პოლიციელთა შორის არსებობს გარკვეული სოლიდარობა, როდესაც საკითხი ეხება გარე სამყაროს. პოლიციელთა დამოკიდებულება სხვათა მიმართ კი ცალსახაა: პოლიციელი ყველას უყურებს ეჭვის თვალით, რადგან მოქმედებს ეჭვმიტანილის გამოვლენის სიტუაციაში.

პოლიციის გაუცხოებული დამოკიდებულება საზოგადოებისადმი დადგენილია ინგლისელ მეცნიერთა მიერ. მ. პანჩის აზრით, პოლიციელი მოქმედებს უცხო გარემოში [25]. მისი თეორიის („უცხო უცხოთა შორის“) თანახმად, პოლიციის ნამეტანი დემოკრატიზაცია წარმოშობს მის საქმიანობაში ლიბერალურ მიდგომებს, საზოგადოებისაგან იზოლირებულ ძალას, რომელიც ხორციელდება მისთვის არადაძაბვისათვის ფორმებში.

„კონფლიქტების თეორიების“ გავრცელებამ ბიძგი მისცა „სოციალური ხელშეწყობის“ კონცეფციების განვითარებას, მისი ერთ-ერთი მიმდევარია ცნობილი კრიმინოლოგი ალბერტ რეისი. თავის გამოკვლევაში მან გამოაქვეყნა პოლიციის საქმიანობისა და პოლიციელების მოქალაქეებთან კონტაქტების შესწავლის შედეგები [26]. განვიხილოთ მისი თეორიის ძირითადი მომენტები:

- დანაშაულთა უმრავლესობას პოლიცია ხსნის მოქალაქეთა დახმარებით (მათ მიერ შემოსული სატელეფონო ზარებით, პოლიციაში მისვლით და სხვ.), ამიტომ მიუღებელია ე.წ. კლასობრივი შეფასება, რომლის თანახმად, პოლიცია ემსახურება გარკვეულ უმცირესობას. პირიქით, მოქალაქეები თანამშრომლობენ პოლიციასთან,

ეხმარებიან მას. ასეთი ურთიერთობების გარეშე შეუძლებელია სოციალური კონტროლი, პოლიციას შეუძლია იყოს არაფორმალური კონტროლის ელემენტი, რადგან არსებობს სოციალური ხელშეწყობის მდგომარეობა, საზოგადოების ეს თვისება უნდა გამოიყენოს პოლიციამ და უფრო აქტიურად ითანამშრომლოს ოჯახებთან, სკოლებთან და სხვ.

- მხოლოდ პოლიციისადმი პატივისცემა ხელს უწყობს ძალის არ გამოყენებას. მოწიწება და პოლიციის მოთხოვნათა გაგება არ ითხოვს პოლიციელისაგან მის ხელისუფლების დამტკიცებას ძალით და მოქალაქის ღირსების დამცირებით უმრავლეს შემთხვევაში პოლიცია მიმართავს აგრესიულ მოქმედებას მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს ხელისუფლების უგულვებელყოფას.

აღნიშნული დებულებიდან არის ასკვნის, რომ პოლიციის სისასტიკის მოდული ვითარდება მაშინ, როდესაც საზოგადოებას და პოლიციას შორის არსებობს დაპირისპირება, როდესაც საზოგადოება არ თანამშრომლობს პოლიციასთან.

რა დასკვნამდე მიდის მეცნიერება პოლიციის ევოლუციის შესწავლის შედეგად?

III. “Community policing”-ის პროგრამა პოლიციის რეფორმირებაში

პოლიციის სისტემის რეფორმა თანამედროვე ქვეყნებში ეკუთვნის ერთ-ერთ ურთულეს სოციალურ პრობლემათა ცენტრს, რადგან ამ სისტემის ეფექტური მოდელირების შედეგად იქმნება ხელსაყრელი პირობა დანაშაულობასთან ბრძოლაში. ასეთი მოდელის ცხოვრების დანერგვა პოლიციელთა შორის ზრდის სამართლებრივ კულტურას, დადებითად მოქმედებს საზოგადოებრივ აზრზე და მთლიანად სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარებაზე.

მსოფლიოში პოლიციის სისტემის რეფორმის ძირითადი საკითხია – მისი პრინციპების ძიება. განვითარებულ ქვეყნებში ცდილობენ შეათავსონ პოლიციის როგორც მომკვლევო ორგანოს ფუნქციები რესოციალიზაციის ფუნქციებს. პოლიციის თანამედროვე ისტორია არის ამ შეთავსების ძიების ისტორია. “Community policing”, ე. ი. „პოლიციის საზოგადოებრივი საქმიანობის“ შექმნის მოდელი არის ამ ძიების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმა, რომლის ზოგადი მონახაზი ჩვენ გვინდა შემვთავაზოთ მკითხველს.

დასავლეთ ევროპის პოლიციის სისტემის რეფორმა, როგორც ცნობილია, ხორციელდებოდა არაერთგვაროვნად. 70-იანი წლების მიწურულს დიდ ბრიტანეთში მ.ტეტერის ხელისუფლებამ ქვეყანაში დანერგა პოლიციის ღონისძიებათა გამკაცრების მოდელი. ხელისუფლების კონცეფციის მიხედვით დანაშაულობასთან ბრძოლა შესაძლებელი იყო მხოლოდ პოლიციის ძალების განმტკიცებისა და მათი „დასჯადობის“ ღონის ამაღლების კვალობაზე [27, 16].

მაგრამ პოლიციის უზრუნველყოფამ და პოლიციელთა უფლებამოსილების გაფართოებამ ვერ მოახდინეს არსებითი ზეგავლენა დანაშაულობაზე აკვირდებოდნენ, რომ მთელი 80-იანი წლების განმავლობაში ხარჯები პოლიციაზე იზრდებოდა სამჯერ, მაგრამ ამავე დროს იზრდებოდა რეგისტრირებულ დანაშაულთა რიცხვი. ასეთ უიმედო სიტუაციაში საზოგადოებრივი აზრი მეტად სკეპტიკურად აფასებდა პოლიციის მუშაობას. პოლიციისადმი უკმაყოფილების გრძნობა განსაკუთრებით იყო განპირობებული რეციდივის და ორგანიზებული დანაშაულობის გავრცელებით.

„რკინის ლედის“ ექსპერიმენტი ექვს იწვევდა მეცნიერთა წრეშიც [28, 157-159]. სულ უფრო ხშირად გაისმოდა კითხვა: არის თუ არა რაიმე კავშირი პოლიციის რეფორმასა და დანაშაულობის ცვალებადობას შორის? საზოგადოებაში წარმოშობილი პრობლემის კვლევა იტვირთა დიდი ბრიტანეთის პოლიციის ფონდმა. გამოკვლევათა შედეგად დადგინდა, რომ პოლიციის ზეგავლენა დანაშაულობის განვითარებაზე მეტად შეზღუდულია და რომ საჭიროა დანაშაულობასთან ბრძოლაში სულ სხვა გეზი. კვლავ აღმოცენდა სოციალური კონტროლისა და ადრინდელი პრევენციის კონცეფციების შემუშავების აუცილებლობა.

სოციალური კონტროლის მექანიზმის მიების პროცესში პოლიციის საქმიანობამ განიცადა სერიოზული ცვლილება. კერძოდ, უმრავლეს ქვეყნებში პოლიციის ძალთა ორგანიზაცია იყო ორიენტირებული სოციალურ ღონისძიებათა განხორციელებაზე, მისაღები იყო პოლიციის ისეთი სტრუქტურები, რომლებსაც შეეძლოთ მზრუნველობითი, დაცვითი ფუნქციების განხორციელება. ანტიკრიმინალური პოლიტიკა სულ უფრო ხშირად ვლინდებოდა არასრულწლოვანთა შორის აღმზრდელობით მუშაობაში, მოსახლეობაში განმარტებით ღონისძიებებში, კონფლიქტური სიტუაციების ოპერატიულად გადაწყვეტაში და სხვ.

პოლიციის ორგანოების სტრუქტურაც განიცდიდა ხარისხობრივ ცვლილებას. ამ სისტემაში იქმნებოდა ისეთი ქვედანაყოფები, რომლებიც უშუალოდ განახორციელებენ სოციალური, ადრინდელი პრევენციის ფუნქციებს. ზოგიერთი ქვეყნის პოლიციაში იქმნებოდა ისეთი ქვედანაყოფები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ფართო სოციალური პრობლემების გადაწყვეტას. ასე მაგალითად, დანიის პოლიციაში შეიქმნა ეთნომორისი კონფლიქტების დაძლევის ქვედანაყოფი.

სერიოზული ცვალებადობა განიცადა აშშ-ს პოლიციის საქმიანობამ. აშშ-ს პოლიციის უწყების შემოწმებამ მრავალი კომისია მიიყვანა დასკვნამდე, რომ სისტემაში სუფევს მისთვის დამახასიათებელი სუბკულტურა, მოსახლეობისაგან დამოუკიდებლობა, ხალხთან კავშირის გაწყვეტა. პოლიციის შეფასებისას კეთდებოდა თითქმის რადიკალური დასკვნა, რომ ამ სისტემის ქვედანაყოფები ქვეყანაში ვერ აკონტროლებენ დანაშაულობას.

ამერიკელ მეცნიერთა გამოკვლევები ადასტურებდნენ, რომ საპატრულო მანქანების რიცხვის ზრდა არ იწვევს უბნებში დანაშაულობის შემცირებას და მოსახლეობაში არ ცვლის უშიშროების გრძნობას. პოლიციის მოტორიზებული, პატრულის ეფექტურობის შესწავლამ აგრეთვე დაადგინა მათი დაბალი შედეგიანობა. კერძოდ, აღმოჩნდა, რომ საპატრულო მანქანა დანაშაულის ადგილზე მისვლისათვის ხარჯავდა 5-დან 15 წთ-მდე. ამ დროის განმავლობაში დამნაშავე, როგორც წესი, ასწრებდა დამალვას. დადგინდა იყო ის გარემოებაც, რომ პოლიცია აფიქსირებდა დანაშაულობის უმნიშვნელო რაოდენობას, ასევე უეჭველი იყო, რომ დანაშაულის შესახებ გარკვეულ შეტყობინებას პოლიცია უყურადღებოდ ტოვებს, ხოლო რეგისტრირებულ დანაშაულთა დიდი წილი რჩება გაუხსნელი.

ამერიკულ საზოგადოებაში იზრდებოდა პოლიციისადმი სკეპტიკური დამოკიდებულება, მხოლოდ მოსახლეობის 35%-ს სჯეროდა, რომ პოლიციას შეუძლია შეასრულოს პრევენციული ამოცანები.

90-იანი წლების დასაწყისში ამერიკაში, ისევე, როგორც ევროპაში, განვითარდა პოლიციის რეფორმის ახალი სტრატეგია, რომელიც ცნობილი იყო პოლიციის საზოგადოებრივი საქმიანობის სახელით (“Community policing”) [29, 245], [30, 4], მისი ძირითადი ამოცანა იყო ადრინდელი პრევენცია და არა პასიური რეაგირება მომხდარ ფაქტებზე. ამ მიმართულებით, აშშ-ში, ისევე, როგორც იაპონიაში, ძირითადი ტვირთი გადატანილია იმ ადრინდელი პრევენციული ხასიათის ღონისძიებებზე, რომლებიც უნდა გატარებულიყო მიკროგარემოს პირობებში (ქუჩაში, უბანში, რაიონში და სხვ). რეფორმის კონცეფცია ითხოვდა პოლიციელისაგან მიკროგარემოში აქტიურ დასწრებას, მოსახლეობასთან მჭიდრო კონტაქტს. პოლიცია ცდილობდა უარი ეთქვა ავტომობილზე და მოსახლეობასთან დაახლოების მიზნით ახორციელებდა პატრულირებას ველოსიპედით ან ქვეითად. განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში უნდა ყოფილიყო იმ კონკრეტული ფაქტორების კრიმინოგენური ზეგავლენის თავიდან აცილება, რომლებსაც შეეძლოთ შეესრულებინათ დანაშაულის მიზეზის როლი. ამ მიმართულებით აქტუალური იყო ქუჩებში საზოგადოებრივი წესრიგის დამყარება, კონფლიქტური სიტუაციების დამლევა და სხვა.

აშშ-ს პოლიციის სოციალური ფუნქციის გაძლიერებამ ხელი შეუწყო მოსახლეობაში განმარტებითი სამუშაოს ჩატარებას, რამაც გამოიწვია პოლიციისადმი მოქალაქეთა ნდობის ზრდა, დამნაშავეთა შესახებ შეტყობინებათა რიცხვის გაზვიანება [31].

კრიმინოლოგთა გამოკვლევებმა დაადგინეს, რომ “Community policing” ვერ ახორციელებდა თავით პოლიციის დაცვას, რადგან პოლიციის ეფექტურობის ზრდასთან ერთად არ მცირდებოდა მსხვერპლი პოლიციელთა რიგებში. აშშ-ში ყოველ წელიწადს იღუპებოდა 60-მდე პოლიციელი. ამის გარდა, აღმოჩნდა, რომ პროგრამა ეფექტურია მხოლოდ შემთხვევით დამნაშავეთა მიმართ, რაც შეეხება დამნაშავეთა სხვა ტიპებს, ისინი აფასებდნენ პოლიციის საქმიანობას, როგორც მათთვის ხელსაყრელ აქციას და პრინციპში არ ახდენდნენ რეაგირებას პოლიციის აქტივობაზე. კრიმინოლოგები აღმოჩნდნენ ურთულესი პრობლემის წინაშე: პოლიციის დემოკრატიზაციამ ვერ დაძლია დაუსჯელობის ფენომენი სუბკულტურაში.

პრობლემის გადაწყვეტის ხერხად იყო შემოღებული მოკლევადიანი დაკავების ინსტიტუტი, რამაც კრიმინოლოგთა შორის გამოიწვია არაერთგვაროვანი შეფასება. ლიბერალური კრიმინოლოგიის მიმდევრები დადებითად აფასებდნენ აღნიშნული ხასიათის ღონისძიებებს, რადგან მათი აზრით, დამნაშავე მოკლევადიანი დაკავების შემდეგ, წლის განმავლობაში კვლავ არ ჩაიდნენ დანაშაულს. სტიგმატიზაციის თეორიის მიმდევრები კი უარყოფითად აფასებდნენ აღნიშნულ ღონისძიებებს. მათი აზრით, დამნაშავე მაქსიმალურად უნდა იყოს იზოლირებული საზოგადოებისაგან.

სტიგმატიზაციის თეორიამ ვერ გაიძვრა ფესვები ამერიკულ საზოგადოებაში: ყოველ წელიწადს აშშ-ში სასამართლოს მიერ თავისუფლების აღკვეთით მისჯილთა რაოდენობა 56-ჯერ ნაკლები იყო დაკავებულ პირთა რაოდენობასთან შედარებით. ციხეში მოთავსება, როგორც წესი, განისაზღვრებოდა ერთი დღიდან ერთ კვირამდე.

მოკლევადიანი რეპრესიის შემოღება არ იყო განპირობებული მხოლოდ ჰუმანიზაციის ფაქტორით. აქ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი განეკუთვნებოდა ეკონომიკურ ფაქტორსაც.

მაგალითად, უვადო პატიმრობა საშუალო გაანგარიშებით სახელმწიფოს უჯდებოდა 600 ათასიდან 1 მლნ. დოლარამდე.

ამერიკელ კრიმინოლოგთა გამოკვლევების მიხედვით, ქუჩებში და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებში პოლიციელთა რიცხვის ზრდა იწვევს პრევენციულ ეფექტს. მათი აზრით, პოლიციელთა საქმიანობის საკვანძო ელემენტებს უნდა ეკუთვნოდეს აგრეთვე მოსახლეობაში კონფლიქტებისა და დანაშაულთა ინტენსიურად გამოვლენა.

პოლიციის სოციალური ფუნქციების ძიების და დანერგვის საკითხი აშშ-ში ბოლომდე არაა გადაწყვეტილი. მაგრამ, როგორც მეცნიერთა, ასევე პრაქტიკოსთა შორის საყოველთაოდ აღიარებულია პოლიციის მუშაკთა ეკიპირებისა და მათი ტექნიკური აღჭურვილობის აუცილებლობა, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ დამნაშავის სოციალურ-ფსიქოლოგიური პორტრეტის მეთოდების შემუშავებას, პრაქტიკაში ფართოდ ინერგება ინფორმაციული უზრუნველყოფის ქვედანაყოფები. ასე მაგალითად, 1993 წელს გამოძიების ფედერალურ ბიუროში შეიქმნა კრიმინალური იუსტიციის ინფორმაციული სამსახური, რომელშიც გაერთიანდნენ დანაშაულის შესახებ საინფორმაციო ეროვნული ცენტრი, დანაშაულთა აღრიცხვის და რეგისტრაციის უნიფიცირებული სისტემა და თითების ანაბეჭდების იდენტიფიკაციის ავტომატიზირებული სისტემა [32, 22].

ამერიკული მოდელისაგან განსხვავებით იაპონიის პოლიციაში უფრო გაძლიერებულია “Community policing”. კრიმინოლოგთა აზრით, იაპონური პოლიცია ატარებს პატერნალისტურ ხასიათს და ეს არაა გასაკვირი, რადგან იაპონური კულტურის თავისებურების გამო, დანაშაულობისადმი საზოგადოება უფრო დაკვირვებულია, ვიდრე ამერიკული. იაპონიის პოლიციის დახასიათებისას უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოვყოთ პრევენციული დაკვირვების პრაქტიკა. იაპონიის ტერიტორია დაყოფილია 15 ათას უბნად, ყოველ მათგანში შექმნილია სპეციალური სტრუქტურული ქვედანაყოფი – ე.წ. პოლიციის ჯიხური. დღე-ღამის განმავლობაში მას ემსახურება პოლიციის რამდენიმე ბრიგადა. ჯიხური უზრუნველყოფილია ტრანსპორტით და კავშირგაბმულობით. მათი მუშაობის მეთოდიკა არ არის რთული: ერთო პოლიციელი უვლის ობიექტს, ხოლო მეორე მორიგეობს ჯიხურში და მზადაა მიიღოს მოქალაქეთა განცხადებები. სარეზერვო პოლიციელს დავალებული აქვს დოკუმენტაციის გაფორმება [33], [34].

აღსანიშნავია, აგრეთვე არასრულწლოვანებთან და ახალგაზრდობასთან მუშაობის თავისებურებანი. მათე ზეგავლენის აცილების მიზნით, პოლიციოელი ახალგაზრდებთან მუშაობს ნებაყოფლობით: ასწავლის სპორტის სხვადასხვა სახეს, ხატვას, მუსიკას და სხვ.

პოლიცია ფართოდ იყენებს მოსახლეობის მონაწილეობას დანაშაულობის თავიდან ასაცილებლად. ეს პრაქტიკა იაპონიაში დამკვიდრდა XX საუკუნის 80-იან წლებში. იმ დროს ქალაქების ზოგიერთ რაიონს აკონტროლებდნენ კრიმინალური ჯგუფები, რომლებიც მოსახლეობაში იწვევდნენ შიშს, ოპერატიულ საქმიანობასთან ერთად, პოლიციამ მოსახლეობაში განახორციელა სპეციალური ხასიათის საორგანიზაციო ღონისძიებები, მოქალაქეებს შეასწავლა კრიმინალებისადმი დაპირისპირების სპეციალური ხერხები, პოლიციელებთან ერთად განსახორციელებელი დაცვის ფორმები და სხვ. ამ მიმართულებით კრიმინოგენურ კვარტლებში შეიქმნა უშიშროების ჯგუფები. მოსახლეობასთან მჭიდრო კონტაქტმა გამოიღო თავისი

შედეგები. ტოკიოში, მაგალითად, მხოლოდ თვეში ერთხელ ფიქსირდება მკვლელობა, 12 დღის განმავლობაში – ერთი გაუპატიურების ფაქტი, ერთი კვირის განმავლობაში – ოთხი ძარცვა.

იაპონიაში დანაშაულობის თავიდან აცილებაში მეტად მნიშვნელოვანია კრიმინალური პოლიციის ისეთი ქვედანაყოფების შექმნა, რომლებიც სპეციალიზირდებიან რთული დანაშაულების გახსნაში.

შედარებითი კრიმინოლოგიური გამოკვლევები გვიჩვენებენ, რომ მკვლელობების გახსნაში იაპონიას, გერმანიასთან, დიდ ბრიტანეთთან და აშშ-თან შედარებით პირველი ადგილი უჭირავს.

როგორც ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, ნაშრომში მოცემულია საკითხის ზოგადი მონახაზი, რაც გასაგები მიზეზების გამო, საკმარისი არ არის, მაგრამ უდაოა, რომ პოლიციის რეფორმებს სჭირდება სერიოზული ღრმა კვლევა, რადგან სხვა ქვეყნების გამოცდილების ცოდნა შეუქმნის ხელსაყრელ პირობებს საქართველოში მიმდინარე შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარე რეფორმას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Губанов А.В. 1999. *Полиция зарубежных стран*. М.: МАЭП. с. 61.
2. Лунеев В.В. 1997. *Преступность XX века*. М.: НОРМА. с. 35.
3. Smith A., Polloch B. 1975. Some Sins are not Crimes. N.Y., p. 208.
4. Judicature. 1982. Chicago. vol. 65. #10., p.470.
5. *Polisia Nuova*.1995, #12, p. 16.
6. Гесснер Р., Херцог Х. 1990. *За фасадом права. Методы новой тайной полиции*. М. с.212-220.
7. *International Police Reviet*. 1993, #5, p.75.
8. *Practical ways to Crack Crime*. L.,1989, p.34.
9. თოდრია გ., ბაძაღვა მ. 1999. ანტიკორუფციული საზოგადოებრივი მოძრაობა საზოგადოების განვითარების აუცილებლობა! *სამართალი*. #1. გვ. 11-14.
10. *Police and Order in USA*. 1990, p.137
11. *The Yale law journal*. 1970, vol.79. #3. p. 359
12. *International Police Revier*.1996 #8. p. 13-14.
13. Шнайдер Г. 1994. *Криминология*. М.: Прогресс. С. 437-438.
14. Skolnick J. 1966. *Justice without Trial*. New york-London-Sudney.
15. Sellin T. 1938. *Culture Conflict and Crime*. N.Y.
16. Кларк Р. 1975. Полиция в эпоху потрясений. *Преступность в США*. М. „Прогресс“. с.211- 240.
17. Wilson J. 1972. *Varieties of Police Behavior*. New York.
18. Harey C., Banks C., Limbaro P. 1973. Linterpersonal. *Dynamics in a Simulated Prison*, IntjcrimPen., #1,p. 69-97.

19. *Организованная преступность в Соединенных Штатах Америки* - под ред. Б. С. Никифорова. М. 1953.
20. Громаков С. 1958. *Антидемократическое законодательство США*. М.
21. Михайловская И.С. 1971. Полиция США, её организация и классовая сущность. *Вопросы борьбы с преступностью*. М., вып. 13, с.141-177.
22. Harrison R. *Jfe C.G.D. and F.B.G.* London, 1956.
23. Blankenburg E. 1973. Die Selektivital rechtlicher Sanktionen. Jurgen Freidrichs (Hrsq.) – *Teilnehmende Beobachtung a bweichenden Verhaltens*. Stuttgart, p. 120-150.
24. Blankenburg E., Klaus S., Wibke S. 1978. *Sozialkontrolie*. Berlin.
25. Punch M. 1979. Policing the Inner City. *A Study of Amsterdam’s Warmoesstraat*. London-Basingstoke.
26. Reiss A. 1971. *The Police and the Public*. New Haven-London.
27. Дискуссия по поводу двухуровневого построения системы охраны общественного порядка в Великобритании. 1995. *Борьба с преступностью за рубежом*. №5, с.16.
28. Bottomley A. 1979. *Criminology in focus*. N.Y. p.157-159.
29. McCorkle R. 1993. Punish and Reabilutate? *Crime and Delinquency*. v.39, #2. P. 245.
30. Профилактика преступности. 1993. *Борьба с преступностью за рубежом*. №12, с. 4.
31. О влиянии экономических факторов на преступность. 1994. *Борьба с преступностью за рубежом*, №11.
32. Информационное обеспечение в системе правоохранительных органов США. 1993. *Борьба с преступностью за рубежом*. № 10, с. 22.
33. Ames W. 1981. *Police and Community in Jaraп*. Berkley.
34. Чада К. 1989. *Преступность и криминология в Современной Японии*. М.

პეტრე დაუთაშვილი

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

სასამართლოს ზოგიერთი უფლებამოსილების დელეგირების კონსტიტუციურობის შესახებ.

რეზიუმე

წინამდებარე სტატიაში მსჯელობა ეხება სასამართლოს ზოგიერთი უფლებამოსილების დელეგირების კონსტიტუციურობას. ამ პრობლემის იურიდიული ანალიზისათვის შესწავლილი და გააზრებული იქნა საქართველოს კონსტიტუციისა და სხვა მრავალი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი თუ კანონმდებლობა, რომლებზე დაყრდნობითაც დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ დარღვეული იქნა მართლმსაჯულების განხორციელების პრინციპი მხოლოდ სასამართლოების მიერ. ჩვენ მიერ არ მოიძებნა (და ბუნებაშიც არ არსებობს) არც ერთი სხვა ნორმატიული აქტი, რომელიც, თუნდაც

გამონაკლისის სახით, მიუთითებდეს სასამართლოს რაიმე უფლებამოსილების დელეგირებას სხვა უწყებასა თუ თანამდებობის პირზე. ნიშანდობლივია, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში გაუაზრებლად შეტანილმა ცვლილებებმა საფუძველი დაუდო სასამართლოს უფლებამოსილებათა დელეგირების ანტიკონსტიტუციურობას, განსაკუთრებით ისეთ სამთავრობო უწყებაში, როგორცაა: სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭო. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სასურველი და აუცილებელიცაა, რომ:

1. კანონმდებელმა გაიზიაროს ჩვენი დასკვნები და რეკომენდაციები და ქართულ სამართლებრივ სივრცეში სასწრაფოდ აღმოფხვრას სასამართლო უფლებამოსილებათა არაკონსტიტუციური დელეგირება ზემოთ აღნიშნულ კანონმდებლობებსა თუ უწყებებში, რათა მომავალშიც დარღვეული არ იქნას მართლმსაჯულების განხორციელების პრინციპი მხოლოდ სასამართლოების მიერ.

2. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაისვას საკითხი საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე ამ ორი უწყების: სასამართლოსა და სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა ადგილობრივ საბჭოს უფლებამოსილებათა კოლიზიის აღმოსაფხვრელად.

უკანასკნელ პერიოდში, საქართველოს ხელისუფლების სისხლის სამართლის პოლიტიკაში დამკვიდრება იწყო ზოგიერთი სასჯელის დეპენალიზაციის მიმართულებამ, რომლის მიზანია სისხლის სამართლის ამა თუ იმ კატეგორიის დამნაშვეთა მიმართ გამოყენებული იქნას, როგორც არასაპატიმრო სასჯელები, ასევე სხვა სახის სისხლისსამართლებრივი, სოციალური, სასულიერო თუ სხვა აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებანი. ამ მიზნის მისაღწევად, მრავალმა სამართალდამცავმა უწყებამ, თავისი უფლებამოსილების კომპეტენციის ფარგლებში, განახორციელა სათანადო ღონისძიებების გატარების მცდელობა, რომელმაც გარკვეულწილად გამოიწვია მხოლოდ სასამართლოს მიერ მართლმსაჯულების განხორციელების კონსტიტუციური პრინციპის სერიოზული დარღვევა. პირველი ასეთი დარღვევა გამოვლინდა 2010 წლის 3 მარტს კანონმდებლის მიერ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში 44-ე, 72-ე, 73-ე და 98-ე მუხლებში შეტანილ ცვლილებებში, რომლის შედეგადაც „დომინოს პრინციპით“ სხვადასხვა კანონმდებლობასა თუ ნორმატიულ აქტში ჰპოვა გავრცელება. პირველ რიგში განვიხილოთ ისინი სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით:

1. 72-ე მუხლის „სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლება 1-ლი პუნქტის თანახმად: „ ის, ვინც სასჯელს იხდის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის, გამასწორებელი სამუშაოს, სამხედრო პირის სამსახურებრივი ან თავისუფლების შეზღუდვის სახით, შეიძლება პირობით ვადამდე გათავისუფლდეს, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ მისი გამოსწორებისათვის საჭირო აღარ არის დანიშნული სასჯელის მთლიანად მოხდა, ხოლო თუ პირი სასჯელს იხდის თავისუფლების აღკვეთის სახით, იგი შეიძლება პირობით ვადამდე გათავისუფლდეს, თუ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა ადგილობრივი საბჭო მიიჩნევს, რომ მისი გამოსწორებისათვის საჭირო აღარ არის დანიშნული სასჯელის მთლიანად მოხდა, ამასთანავე იგი შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლდეს დამატებითი სასჯელის მოხდისაგან.[2]

2. ხოლო ამავე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად: „მსჯავრდებული უვადო თავისუფლების აღკვეთის მოხდისაგან შეიძლება გათავისუფლდეს, თუ მან ფაქტობრივად მოიხადა თავისუფლების აღკვეთის ოცდახუთი წელი და თუ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭო მიიჩნევს, რომ საჭირო აღარ არის, მსჯავრდებულმა გააგრძელოს ამ სასჯელის მოხდა.[2]

სისხლის სამართლის კოდექსის 73-ე მუხლის ”სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სახის სასჯელით“ 1-ლი ნაწილის თანახმად: „საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივ საბჭოს შეუძლია ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთა მსჯავრდებულს უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეუცვალოს. ამასთანავე, იგი შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლდეს სასჯელის მოხდისგან(გარდა ქონების ჩამორთმევისა)”[2]. ხოლო ამავე მუხლის მე- 7 ნაწილით: „მსჯავრდებულს უვადო თავისუფლების აღკვეთა შეიძლება შეეცვალოს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით, თუ მან ფაქტობრივად მოიხადა თავისუფლების აღკვეთის ოცი წელი და თუ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს ადგილობრივი საბჭო მიიჩნევს, რომ საჭირო აღარ არის მსჯავრდებულმა გააგრძელოს ამ სასჯელის მოხდა”.

ზემოთ აღნიშნული მუხლების წესებისა და პირობების შინაარსიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივ საბჭოს არაკონსტიტუციურად (და თანაც გადაჭარბებულად) მინიჭებული აქვს სასამართლოს უფლებამოსილება სასჯელის დანიშვნისა და მისგან გათავისუფლების სფეროში. გამოდის, რომ სისხლის სამართლის სასჯელთა ცხრა სახიდან შვიდზე აღნიშნულ საბჭოს უფლება აქვს მოახდინოს:

1. მკაცრი სასჯელის შეცვლა სხვა მსუბუქი სასჯელით;
2. 72-ე მუხლის თანახმად, ნებისმიერი კატეგორიის დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთის შეცვლა პირობითი მსჯავრით;
3. 72-ე მუხლითვე (პუნქტი 7) მსჯავრდებულის უვადო თავისუფლების მოხდისაგან გათავისუფლება;
- 4.ზოგიერთი დამატებითი სასჯელისაგან მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლება, ხოლო 73-ე მუხლით, გარდა ქონების ჩამორთმევისა;
5. 73-ე მუხლის მე-3 ნაწილით თავისუფლების აღკვეთის სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით, თუ მსჯავრდებულის თანხმობა იქნება;
6. 73-ე მუხლით უვადო თავისუფლების აღკვეთის ფაქტობრივად ოცი წლის მოხდისას შეუცვალოს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით.
7. 98-ე მუხლის “სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლება” 1-ლი ნაწილით: „საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ან გამასწორებელი სამუშაოთი მსჯავრდებული არასრულწლოვანი სასამართლომ, ხოლო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული

დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივმა საბჭომ შეიძლება პირობით ვადამდე გაათავისუფლოს სასჯელის მოხდისაგან და ა.შ.[2]

მაშასადამე, კანონმდებელმა მოახდინა სასამართლოს, როგორც მართლმსაჯულების ორგანოს უფლებამოსილების არაკონსტიტუციურად დაკანონება საქართველოს სასჯელის აღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს ადგილობრივი საბჭოს მიმართ, რომელიც პირდაპირ მიუთითებს „მართლმსაჯულების ორგანოს ქვესახეობაზე“ ან მის „დუბლიკატზე“ ან „სასამართლოს ფილიალზე“ და ა.შ. აქედან გამომდინარე, მართლმსაჯულების ასეთი ე.წ. სასამართლო ორხელისუფლებიანობა, მიუთითებს მათ, თუნდაც ასეთ არასრულ უფლებამოსილების განხორციელებაზე დროსა და სივრცეში. ე.ი. ის, ვინც პირველად დააყენებს (ანუ დაასწრებს) დღის წესრიგში მსჯავრდებულის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისა ან სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების შესახებ, მიიღებს ავტონომიურად გადაწყვეტილების მიღების უფლებას და თუ მივყვებით კანონმდებლის ასეთ არასამართლებრივ და არალოგიკურ მსჯელობას, აღმოჩნდება, რომ სასამართლო სტატისტიკას დაემატება (რა თქმა უნდა, დამოუკიდებლად) კიდევ ერთი სახის: სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სტატისტიკა, რომელიც, ჩვენი აზრით, შექმნის (თუ არაა უკვე შექმნილი) მსჯავრდებულებთან დაკავშირებით აღრიცხვიანობის, თუ სათანადო სრული ინფორმაციის მიღების პრობლემებს. ე.ი. უნდა მოხდეს ინდივიდუალური მსჯავრდებულის მიმართ მისი სამართლებრივი, სოციალური სტატუსის, თუ სხვა მონაცემების იდენტიფიცირება ორივე უწყების საინფორმაციო ბლოკში და ა.შ. რათქმა უნდა, ამ ერთეული პრობლემით არ შემოიფარგლება ამ ორი უწყების უფლებამოსილებათა დუბლირება და თუ ასეთი ტენდენციით კანონმდებელი შემდეგშიც გააგრძელებს სასამართლოს უფლებამოსილების დელეგირებას ზემოთ აღნიშნული უწყების საბჭოში, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ უკანასკნელს მიეცემა სრული უფლება პირის მიმართ ნასამართლობის მოხსნის ან გაქარწყლების ან ამნისტიის ან სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის აღსრულების ხანდაზმულობის საკითხის გადაწყვეტაშიც, რაც აბსურდის ტოლფასია.

გარდა ამისა, საქართველოს პატიმრობის კოდექსის (რომელიც მიღებული და დამტკიცებულია 2010 წლის 9 მარტს და ამოქმედდა 2010 წლის 1 ოქტომბრიდან) 41-ე მუხლის „სამინისტროს ადგილობრივი საბჭო“ 1-ლი პუნქტით დაკანონებულია სასამართლოს უფლებამოსილების დელეგირება, რომ: „სამინისტროს ადგილობრივი საბჭო (შემდგომში–საბჭო) არის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებასთან და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლასთან დაკავშირებით საკითხების განმხილველი ორგანო“.[4] ხოლო ამავე კოდექსის 43-ე მუხლის „საბჭოს უფლებამოსილება სასჯელის მოუხდელი ნაწილის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით შეცვლის თაობაზე“ 1-ლი ნაწილით: „საბჭო უფლებამოსილია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 73-ე მუხლის მე-3 -მე-7 ნაწილებით გათვალისწინებული პირობების არსებობისას, მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისათვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით შეცვლის თაობაზე“.[4] მაშასადამე, ამ ორი მუხლით აშკარაა, რომ სასამართლოს უფლებამოსილების არაკონსტიტუციურად დელეგირება სისხლის სამართლის კოდექსიდან გრძელდება პატიმრობის კოდექსშიც ე.ი. ადგილობრივი საბჭო, კი არ უნდა იყოს სასჯელის შეცვლასთან დაკავშირებით საკითხების გადაწყვეტილების მიმღები ორგანო, არამედ, უნდა იყოს ამ საკითხების სასამართლოს წინაშე

დაყენების შუამდგომლობის ორგანო. აქაც, ბუნებრივია, დარღვეულია კონსტიტუციური პრინციპი, რომელიც ჩადებულია კანონში „საერთო სასამართლოების შესახებ“, რომ: „სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება, შეცვლა ან შეჩერება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს კანონით განსაზღვრული წესით.[4] ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს ზემოთ აღნიშნულ ნორმებში კონსტიტუციის პრინციპის დარღვევის გამოსწორება და სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭოსათვის სასამართლოს უფლებამოსილებათა ჩამორთმევა და მისი, როგორც სასჯელთან დაკავშირებით საკითხების გადაწყვეტის შუალედურ რგოლად ანუ შუამდგომლობის უფლებამოსილების ორგანოდ გადაქცევა. წინააღმდეგ შემთხვევაში, აბსურდია იმაზე საუბარი, რომ მოხდეს ზემოთ აღნიშნულ კანონმდებლობათა კონკრეტულ ნორმებში არაკონსტიტუციურობის „გამოსწორება“ მოქმედ კონსტიტუციაში და შემდეგ კანონში „საერთო სასამართლოების შესახებ“ ასეთი კორექტირების შეტანით: „სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება, შეცვლა ან შეჩერება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს ან სხვა შესაბამის ორგანოს კანონით განსაზღვრული წესით“. აქედან გამომდინარე, კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ, რომ ქვემდებარე ანუ კონსტიტუციიდან გამომდინარე ნორმატიულ აქტში შეტანილი ცვლილება გახდეს საფუძველი კონსტიტუციაში ცვლილების შეტანისა ყოვლად მიუღებელია ე.ი. ჩვენს შემთხვევაშიც, კანონმდებლის ასეთი პოზიციის გაკონსტიტუციურებაც კი, აბსურდის ტოლფასია, ვინაიდან საქართველოში მართლმსაჯულებას ახორციელებენ მხოლოდ საერთო სასამართლოები.” ამ პრინციპის მიხედვით, სასამართლოს გარდა, არც ერთ სხვა ორგანოს არ აქვს უფლება განახორციელოს მართლმსაჯულება, ანუ განიხილოს და გადაწყვიტოს სისხლისა და სამოქალაქო და ზოგიერთ შემთხვევაში ადმინისტრაციული სამართლის საქმეები.[12, 410]

ცალკე საუბრის თემაა პროკურატურის უფლებამოსილებაში მართლმსაჯულების განხორციელების პრინციპი. მოქმედი საქართველოს კონსტიტუციის 76-ე მუხლით პროკურატურა ამავდროულად წარმოადგენდა მართლმსაჯულების ერთ-ერთ დაწესებულებას. აქედან გამომდინარე, საქართველოს 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 23–26-ე და 44-ე მუხლის 43-ე პუნქტის მიხედვით პროკურატურა ახორციელებდა სისხლისსამართლებრივ დევნას. ე.ი. დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში ან აღძრავდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საქმეს ან აღძრულ საქმეს შეწყვეტდა შესაბამისი დადგენილებით. ეს უკანასკნელი პროცესუალური დოკუმენტი კი აღარ საჭიროებდა სასამართლოში სასამართლოს მიერ განჩინების სახით დამტკიცებას. მაგრამ 2009 წლის ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის: „გამომიების შეწყვეტის ან და სისხლისსამართლებრივი დევნის არ დაწყების ან შეწყვეტის საფუძველები“ (ნებისმიერი პუნქტით და მათ შორის) მე-5-ე პუნქტით: „ამ მუხლის მე-4-ე ნაწილით განსაზღვრული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, პროკურორი უფლებამოსილია არასრულწლოვანთან გააფორმოს ხელშეკრულება განრიდების ან მედიაციის შესახებ, რომლის პირობები განსაზღვრულია საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით“. სწორედ, კონსტიტუციის 76-ე მუხლის გაუქმებამ შექმნა ლოგიკური და სამართლებრივი საფუძველი იმისა, რომ ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლში პროკურორისათვის მინიჭებული ნებისმიერი უფლება გამომიების შეწყვეტის ან სისხლისსამართლებრივი დევნის არ დაწყების ან შეწყვეტის რომელიმე საფუძველით შეფასებიდან გამომდინარე, გამოტანილ დადგენილებას უნდა მიეცეს (თუნდაც ფორმალური, მაგრამ კონსტიტუციურად გამართული) შემდეგი მსვლელობა სასამართლოში სასამართლოს

მიერ გამოტანილი განჩინებით მისი დამტკიცება. კანონმდებლის მიერ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში სასურველი ასეთი შინაარსის ციტირების შეტანა ასახვას პოვებს კონსტიტუციაშიც, რომელიც პირდაპირ აღნიშნავს მხოლოდ სასამართლოს მიერ მართლმსაჯულების განხორციელების კონსტიტუციურ პრინციპზე.

ჩვენი ლოგიკური მსჯელობის აზრი კი პირდაპირაა ჩამოყალიბებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 107-ე მუხლის "სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ განჩინების გასაჩივრება" პირველ ნაწილში: "განჩინება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ შეიძლება გასაჩივროს პროკურორმა". მე-2-ე პუნქტით: "სასამართლო უფლებამოსილია ამ მუხლით გათვალისწინებული საჩივარი განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე. ზეპირი მოსმენის შემთხვევაში სასამართლო აცხადებს განჩინების სარეზოლუციო ნაწილს". ხოლო მე-3-ე პუნქტით: "გათვალისწინებულ საჩივართან დაკავშირებული გამოტანილი განჩინება არ გასაჩივრდება." მაშასადამე, 107-ე მუხლის 1-ლი ნაწილი პირდაპირ მიუთითებს სასამართლოში პროკურორის მიერ გამოტანილი დადგენილების დამტკიცების შემდგომ პროცედურაზე (თუმცა საჭიროებს ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნულ რედაქტირებას). ეს კი იმას არ ნიშნავს, რომ თითქოს სასამართლო გადაიქცა ან გადაიქცევა "სასამართლო კანცელარიად", პირიქით, იგი, როგორც მართლმსაჯულების განხორციელების ორგანო ავტომატურად, ნებისმიერი სამართალწარმოების ამა თუ იმ პროცესუალური ფორმით დამთავრების რეგისტრაციის სასამართლო რეესტრის ორგანოცაა.

სწორედ, კანონმდებლის მიერვე კონსტიტუციაში არსებული თუ შეტანილი ცვლილებების იგნორირებამ გამოიწვია ზემოთ აღნიშნულ კანონმდებლობებში სერიოზული ხარვეზები. ჩვენი ლოგიკური მსჯელობის მიხედვით, ასეთ ხარვეზებად მოიაზრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის № 216 ბრძანებაში (მისგან გამომდინარე, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა და სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრების ბრძანებები), რომლებიც ეხება "განრიდებისა და მედიაციის შესახებ პროკურორებისათვის სახელმძღვანელო მითითებებისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების შესახებ".

ჩვენ არ გამოვთქვამთ რაიმე პრეტენზიას ასეთი ღონისძიების ჩატარების თაობაზე არასრულწლოვანთა მიმართ. პირიქით, მისასალმებელია "არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის დახვეწა და თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება, რაც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მთავარი პრიორიტეტია. მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა არასრულწლოვანთა დამნაშავეობის პრევენციას, არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ალტერნატიული მექანიზმის დანერგვასა და ფართო გამოყენებას" –აღნიშნულია ბრძანების პრეამბულაში." პროგრამის მიზანია , იმ არასრულწლოვანის გათავისუფლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, რომელმაც პირველად ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული. თუ ამ დრომდე არასრულწლოვანის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება შეეძლო მხოლოდ სასამართლოს, ახლა უკვე პროკურორს აქვს უფლებამოსილება განარიდოს არასრულწლოვანი სისხლის სამართალწარმოებას და მის შედეგებს."

სწორედ, ამ ბრძანების პრეამბულამ მიიპყრო ჩვენი ყურადღება, რომელშიც აშკარაა სასამართლოს უფლებამოსილების დელეგირების ანტიკონსტიტუციურობა პროკურატურაზე. ასეთი (მაგრამ არა კანონის აშკარა დარღვევით) ნორმატიული აქტის გამოცემის სრული და კანონიერი უფლება გააჩნია ნებისმიერი უწყების ხელმძღვანელს კანონის "საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის შესახებ" (13.02.2004) 21-ე მუხლის თანახმად:

„ 3-1. საქართველოს კონსტიტუციის 81² –ე მუხლის შესაბამისად, მინისტრი კანონის საფუძველზე და მის შესასრულებლად გამოსცემს ბრძანებებს;

3.2. მინისტრი, რომელიც ხელს აწერს ბრძანებებს, პასუხისმგებელია მისი კანონიერებისა და მიზანშეწონილობისათვის.”

სწორედ, ამ კანონის მე-2 პუნქტი აშკარა შეუსაბამისობაშია საქართველოს კონსტიტუციასთან და მისგან გამომდინარე, საქართველოს კანონთან “პროკურატურის შესახებ”. ამ კანონის 1-ლი პუნქტით: “საქართველოს პროკურატურა (შემდგომში პროკურატურა) არის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, რომელიც თავის უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ფარგლებში”. მამასადამე, პროკურატურა “სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაა [7] და არა მართლმსაჯულების ორგანო, რომელიც არ ნიშნავს იმას, რომ არასრულწლოვანის მიმართ სასამართლოს გადაწყვეტილების გვერდის ავლით, გამოიყენოს განრიდების ე.წ. შეფარდების უფლება. ამის უფლებას არ იძლევა თუნდაც “საქართველოს კანონი პროკურატურის შესახებ” მე-17 მუხლის მე -2 პუნქტით: “პროკურორი ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს”, ხოლო მე-18 მუხლის მე- 3 პუნქტის თანახმად: „საქმის სასამართლო განხილვის სტადიაზე პროკურორს უფლება აქვს: განაცხადოს შუამდგომლობა და აცილება; წარადგინოს მტკიცებულებები; მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხის განხილვაში; სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერების, დამატებითი გამოძიებისათვის საქმის დაბრუნების, სასამართლოში საქმის წარმართვის და სხვა საკითხების განხილვაში” [7] და ა.შ. და არა სასამართლო გადაწყვეტილებების მიღებაში თუნდაც “განრიდებისა და მედიაციის” პროგრამის პირობების მიხედვით. სწორედ, “საქართველოს კანონი პროკურატურის შესახებ” 22-ე მუხლის მე-6 პუნქტი კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ: “აკრძალულია სასამართლოს კომპეტენციაში ჩარევა და რაიმე მასალების ან საქმის გამოთხოვა სასამართლოდან, გარდა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.“[7]. გარდა ამისა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით პროკურორს მინიჭებული აქვს სისხლისსამართლებრივი დევნის დისკრეციულობის უფლება (სსსკ 166-ე მუხლი), რომელიც არანაირად არ შეიცავს პროკურორის უფლებას არასრულწლოვანის მიმართ, განარიდოს იგი სისხლის სამართალწარმოებას და მის შედეგებს. იგი მხოლოდ უფლებამოსილია დააყენოს შუამდგომლობა სასამართლოს წინაშე ასეთი ღონისძიების შეფარდების თაობაზე. ასეთი ან სხვა იდენტური უფლებამოსილების გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილია მხოლოდ სასამართლო საქართველოს სისხლისსამართლის კოდექსის შემდეგი მუხლებით: 91-ე, 92-ე, 93-ე, 95-ე და 96-ე.

რაც შეეხება პროკურორის მიერ კანონით მინიჭებულ ერთ-ერთ უფლებამოსილებას სასამართლოს გარეშე გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ, გათვალისწინებულია "საქართველოს კანონში ამნისტიის შესახებ" მე-6 მუხლში: „ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტიის გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილებას ბრალდებულის მიმართ იღებს შესაბამისი პროკურორი“, ხოლო მე-2-ე პუნქტით:“ ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტიის გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილებას მსჯავდებულის მიმართ, რომლის მიმართაც სამართალწარმოება არ დასრულებულა, იღებს შესაბამისი სასამართლო“.[11]

ამრიგად, წინამდებარე სტატიაში მსჯელობა ეხებოდა სასამართლოს ზოგიერთი უფლებამოსილების დელეგირების კონსტიტუციურობას. ამ პრობლემის იურიდიული ანალიზისათვის შესწავლილი და გააზრებული იქნა საქართველოს კონსტიტუციისა და სხვა მრავალი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი თუ კანონმდებლობა, რომლებზედაც დაყრდნობით დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ დარღვეული იქნა „მართლმსაჯულების განხორციელების პრინციპი მხოლოდ სასამართლოების მიერ“. ჩვენს მიერ არ მოიძებნა (და ბუნებაშიც არ არსებობს) არც ერთი სხვა ნორმატიული აქტიც კი, რომელიც, თუნდაც გამონაკლისის სახით, მიუთითებდეს სასამართლოს რაიმე უფლებამოსილების დელეგირებას სხვა უწყებასა, თუ თანამდებობის პირზე. ნიშანდობლივია, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში გაუაზრებლად შეტანილმა ცვლილებებმა, საფუძველი დაუდო სასამართლოს უფლებამოსილებათა დელეგირების ანტიკონსტიტუციურობას განსაკუთრებით ისეთ სამთავრობო უწყებაში, როგორცაა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ დახმარებათა საკითხთა სამინისტროს ადგილობრივ საბჭოს უფლებამოვალეობებში. ამ საბჭოს შექმნის მიზანი კი არ არის და არც უნდა იყოს თვითნებურად გადაწყვიტოს მსჯავრდებულთა სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლება, სასჯელის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით, არამედ ასეთი გადაწყვეტილების მისაღებად სასამართლოს წინაშე შუამდგომლობის დაყენება. გარდა ამისა, ამ საბჭოს შექმნის მიზანში ჩაწერილია საზოგადოების უშიშროების უზრუნველყოფა, რომლის შესრულების მექანიზმზე მის დებულებაში ფაქტობრივად არაფერია მოხსენებული და მეტად ბუნდოვანია. აღნიშნული ჩვენი კვლევის საგანს სცილდება, მაგრამ გამოდის, რომ აღნიშნული ორგანო კი არასრულებს მასზე კანონით დაკისრებულ მოვალეობას, არამედ პირიქით, სასამართლოს მიერვე მინიჭებული ზოგიერთი უფლებამოსილებათა უზურპაციით, ცდილობს "გაამართლოს" თავისი დანიშნულება. არადა მისი დანიშნულება ფაქტობრივად იდენტურია 2000 წლამდე მოქმედი "სპეცკომენდატურის" ინსტიტუტისა, რომელსაც არანაირი სასამართლო უფლებამოსილება არ გააჩნდა და არც შეიძლებოდა ჰქონოდა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სასურველი და აუცილებელიცაა, რომ:

1. კანონმდებელმა გაიზიაროს ჩვენი დასკვნები და რეკომენდაციები და ქართულ სამართლებრივ სივრცეში სასწრაფოდ აღმოფხვრას სასამართლო უფლებამოსილებათა არაკონსტიტუციური დელეგირება ზემოთ აღნიშნულ კანონმდებლობებსა თუ უწყებებში, რათა მომავალშიც დარღვეული არ იქნას მართლმსაჯულების განხორციელების პრინციპი მხოლოდ სასამართლოების მიერ.

2. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაისვას საკითხი საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე ამ ორი უწყების: სასამართლოსა და სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა ადგილობრივ საბჭოს უფლებამოსილებათა კოლიზიის აღმოსაფხვრელად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კონსტიტუცია.1995(უახლესი რედაქციით). თბილისი
2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი.1999 (უახლესი რედაქციით). თბილისი
3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. 2009 (უახლესი რედაქციით). თბილისი
4. საქართველოს პატიმრობის კოდექსი. 2009. (უახლესი რედაქციით). თბილისი
5. სასჯელაღსრულებითი სამართალი. 2011. თბილისი.
6. კანონი საქართველოს მთავრობის სტრუქტურის უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ. 2004. თბილისი.
7. კანონი პროკურატურის შესახებ. 2008. თბილისი.
8. კანონი საერთო სასამართლოების შესახებ. 2008. თბილისი.
9. არასრულწლოვანთა მიმართ განრიდებისა და მედიაციის პროგრამა 2010. თბილისი.
10. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს ადგილობრივი საბჭოს დებულება. 2010. თბილისი.
11. საქართველოს კანონი ამნისტიის შესახებ. 2008. თბილისი.
12. მოსულიშვილი მ. 2008. "სასამართლო ხელისუფლება", კრიმინოლოგია. თბილისი.

*გია დეკანოზიშვილი
გურამ როსტიაშვილი
დიმიტრი დეკანოზიშვილი*

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

ჩადენილ დანაშაულზე ჩვენების ვერიფიკაციის პრობლემები

რეზიუმე

მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილის და ბრალდებულის ჩვენება მტკიცებულების რთული სახეა, რომელიც ზოგჯერ ფორმირდება ისეთი ადამიანების განგებაში, რომლებიც ვერ ათვითცნობიერებენ მომხდარს, მაგრამ ამავე დროს განსაკუთრებით საჭიროა ობიექტური რეალობის დადგენისათვის. გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ სისხლის სამართლის საქმეების ბედი დამოკიდებულია ამ ჩვენებებზე, რადგან უმეტეს წილად ისინი წარმოადგენენ მტკიცებულების დამოუკიდებელ სახეს. აქედან გამომდინარე, მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილის და ბრალდებულის ჩვენების სისრულის და მართებულობის დადგენა წარმოადგენს გამოძიებისათვის ერთ-ერთ მთავარ პრობლემას.

სტატიაში განხილულია ჩვენებების ვერიფიკაციის - ჩვენს შემთხვევაში ჩვენების სინამდვილის დადგენის სხვადასხვა არსებული ხერხები, (Vérification - რისამე ჭეშმარიტების შესწავლა, რისამე სინამდვილის დადგენა) მათთან დაკავშირებული სირთულეები, ვინაიდან ჩვენების დიაგნოსტიკა და შეფასება, რომლებიც შეიცავენ გაუთვითცნობიერებელ შეცდომებს, აუცილებელია სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებისას.

ბოლო წლებში მტკიცებულებითი ინფორმაციის სიზუსტის დადგენაში (ვერიფიკაციაში) გავრცელება ჰპოვა სამედიცინო კვლევებში გამოყენებულმა სპეციალურმა მეთოდებმა, რომლებიც ადამიანის ჯანმრთელობის კონტროლისა და დიაგნოსტიკისათვის გამოიყენება, კერძოდ „მაგნიტურ-რეზონანსულმა ტომოგრაფიამ“ (მრტ) (Magnetic resonance imaging-MRI), რაც სტატიაში განხილულია, როგორც აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის ერთერთი საშუალება.

მოწმის, დაზარალებულის, ექვმიტანილის და ბრალდებულის ჩვენება მტკიცებულების რთული სახეა, რომელიც ზოგჯერ ფორმირდება ისეთი ადამიანების განგებაში, რომლებიც ვერ ათვისებენ ცნობიერებენ მომხდარს, მაგრამ ამავე დროს განსაკუთრებით საჭიროა ობიექტური რეალობის დადგენისათვის. გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ სისხლის სამართლის საქმეების ბედი დამოკიდებულია ამ ჩვენებებზე, რადგან უმეტეს წილად ისინი წარმოადგენენ მტკიცებულების დამოუკიდებელ სახეს. აქედან გამომდინარე მოწმის, დაზარალებულის, ექვმიტანილის და ბრალდებულის ჩვენების სისრულის და მართებულობის დადგენა წარმოადგენს გამოძიებისათვის ერთ-ერთ მთავარ პრობლემას.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნით, ჩვენების სისრულის დადგენა გულისხმობს ყველა არსებული მტკიცებულების ცალ-ცალკე გამოკვლევას, მათი სხვა მტკიცებულებებით გადამოწმებას ანუ ჩვენების სისრულე წარმოადგენს გარკვეული ტაქტიკური, ფსიქოლოგიური, პროცესუალური, თუ ტექნიკური ხერხებისა და საშუალებების ერთობლიობით მათ ფორმირებას, რის მიხედვითაც გამოგვაქვს დასკვნა რაიმე ფაქტების, გარემოებების და მოვლენების გარშემო. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენების შინაგანი მხარის სისრულე გულისხმობს მოწმის, დაზარალებულის, ექვმიტანილისა და ბრალდებულის ჩვენებაში არსებული გონებრივი დასკვნების და ფიზიკური შესაძლებლობების დეტალურ კვლევას.

ამავე დროს დადგენილია, რომ გარკვეულ შემთხვევებში გამომძიებლები ცდილობენ გვერდი აუარონ ამ პრობლემას, რადგან არ იციან, როგორი ინტერპრეტაცია გაუკეთონ ამგვარ მოვლენებს.

სირთულეს ჩვენების დიაგნოსტიკაში და შეფასებაში, რომლებიც შეიცავენ გაუთვითცნობიერებელ შეცდომებს, წარმოადგენს მათი ფსიქოლოგიური არსი. უნებური შეცდომები ჩვენებებში არის ადამიანის ფსიქიკის გაუთვითცნობიერებულ და

გაუთვითცნობიერებელ კომპონენტებს შორის გაუაზრებელი და არაკონტროლირებადი ურთიერთქმედების შედეგი, რომელიც განისაზღვრება პიროვნების ინდივიდუალურობით: განწყობით, მიზანმიმართულებით, ტემპერამენტით, კულტურული, ეთნიკური, ეროვნული თავისებურებებით.

ფსიქოლოგიურ-ტაქტიკური ხერხების გაუმჯობესებაში ვგულისხმობთ, პროცესის მონაწილეების ცნობიერებაში და ქვეცნობიერებაში გამომძიებლის ღრმად ჩაწვდომას არა მარტო ლოგიკური ურთიერთქმედების, არამედ ემოციურ ქცევის დონეზეც.

თავისთავად ცხადია, რომ ჩვენების მიღების და ანალიზის ტაქტიკურ-ფსიქოლოგიური ხერხების გაუმჯობესება ითვალისწინებს და ითხოვს გამომძიებლის პროფესიული დონის ამაღლებას. უმეტესი ყურადღება ამ კონტექსტში დათმობილი აქვს გამომძიებლის პროფესიული ცოდნის დონის ისეთ საკითხებს, როგორცაა დაკვირვება - დაკითხვის პერიოდში დასაკითხის რეაქციების შესწავლას; კომუნიკაბელურობა - როგორც ფსიქოლოგიური კონტაქტის დამყარების საშუალება; მოქნილობა - ანუ ტაქტიკურ არსენალში საკმაოდ რაოდენობის ტაქტიკური ხერხების ქონა, კონფლიქტური სიტუაციიდან გამოსვლისათვის და საგამომძიებო სიტუაციის დიაგნოსტიკისათვის.

დანაშაულში ეჭვმიტანილის ფსიქოლოგიური მდგომარეობა, ამ მდგომარეობის ცვალებადობა და ემოციური მდგომარეობა, მხილებისას და დანაშაულთან დაკავშირებული საჭირო ინფორმაციის მიღებისას ძველთაგანვე იწვევდა მეცნიერების და იურისტების ინტერესს.

ძველი დროიდანვე შემჩნეული იყო, რომ დაკითხვისას ადამიანი, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული, განიცდიდა მხილების, სიმართლის გამოჩვენების შიშს, რის გამოც იცვლებოდა მისი ფიზიოლოგიური ფუნქციები. ასე მაგალითად ძველ ჩინეთში ეჭვმიტანილებს პირში ჩაგუბებული ჰქონდათ მშრალი ბრინჯი, მხილების პროცესში თუ ბრინჯი რჩებოდა მშრალი (შიშისაგან ადამიანს პირი უშრება), მტკიცდებოდა ეჭვმიტანილის დანაშაული. ძველ ინდოეთში ეჭვმიტანილს ეუბნებოდნენ დანაშაულთან დაკავშირებულ ნეიტრალურ და კრიტიკულ სიტყვებს, მას უნდა ეპასუხა თავში მოსული პირველივე სიტყვით და თან ნელა უნდა დაერთყა დოლისათვის. მიაჩნდათ, რომ თუ კრიტიკული სიტყვის დასახელებისას ეჭვმიტანილი მაგრად დაარტყამდა დოლს იგი იყო დანაშაულზე.

თუ გავანალიზებთ ზემოთ მოყვანილ ძველჩინურ და ძველინდურ მეთოდებს, არ იქნება რთული დავასკვნათ, რომ დანაშაულის გამორკვევისთვის მამხილებლები იყენებდნენ ადამიანის ცალკეული ფიზიოლოგიური ცვლილებების კონტროლს. ამ შემთხვევებში, ნერწყვის გამოყოფასა და მოძრაობის აქტივობას.

სისხლის სამართლებრივი საქმეების განხილვისას, ჩადენილ დანაშაულზე მტკიცებულებითი ჩვენების ვერიფიკაციისათვის, თანამედროვე ფსიქოლოგიური, ქიმიური, თუ ტექნიკური საშუალებების გამოყენება ზოგჯერ ღებულობს მოულოდნელ ფორმებს.

ჩვენების ვერიფიკაციის ფორმას მიეკუთვნება „ფსიქოენერგეტიკული მეთოდები“. ასეთი ერთ-ერთი მეთოდია ჰიპნოზი, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა სიტუაციებში მსოფლიოს 32 ქვეყანაში. ყოფილ საბჭოთა კავშირში, და დღესდღეობით საქართველოშიც, მსგავსი მეთოდი არ გამოიყენება, რადგან იგი ითვლება არატრადიციულ, ბოლომდე შეუსწავლელ მეთოდად. მეცნიერები მაინც ბოლომდე არ არიან დარწმუნებულები დაკითხვისას ადამიანზე ამ სახით ზემოქმედების უსაფრთხოებაზე, ამიტომ ითვლება, რომ ექვმიტანილების დაკითხვისას ჰიპნოზის გამოყენება არაჰუმანურია. იმ ქვეყნებშიც კი სადაც დაშვებულია დაკითხვის დროს ჰიპნოზის გამოყენება, მას იყენებენ მხოლოდ მოწმეების შემთხვევაში.

მიუხედავად ამისა, ცნობილია გახმაურებული საქმეები, სადაც დაკითხვისას გამოყენებული იქნა ჰიპნოზი, კერძოდ არასრულწლოვანთა გაუპატიურების საქმესთან დაკავშირებით. დაზარალებულებს სტრესის შედეგად არაფრის გახსენება არ შეეძლოთ, მაგრამ ჰიპნოზის ქვეშ დაკითხვისას მათ გაახსენდათ ისეთი მცირედი ნიშნებიც მოძალადეზე, როგორცაა ლოყაზე ხალი, შრამი, და სხვადასხვა ჭრილობები და ასე შემდეგ. როგორც წინა თავებში აღვნიშნეთ, ადამიანი აფიქსირებს ვიზუალურად თითქმის ყველაფერს, მაგრამ მეხსიერებას არ შეუძლია აღქმის შემდეგ ყველაფრის გახსენება. ჰიპნოზის ქვეშ კი შესაძლებელია, პრაქტიკულად ყველაფრის გახსენება, ისეთი მოვლენებისაც კი, რომელსაც ადგილი ჰქონდა 20-30 წლის უკან.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ჰიპნოზის ქვეშ დაკითხვა ნებადართულია მხოლოდ იუსტიციის მინისტრის და ფედერალური პროკურორის თანხმობის საფუძველზე. აუცილებელია, რომ გამომძიებლის გარდა დაკითხვას ესწრებოდნენ დამკვირვებელი და ექიმი.

ექსტრასენსორიკის მექანიზმი ჯერჯერობით არ არის მეცნიერების მიერ საფუძვლიანად შესწავლილი, ამიტომ პრაქტიკაში მითი გამოყენება და მით უმეტეს საქართველოს შემთხვევაში არ არის კანონიერი და ჰუმანური.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ გარკვეულ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში ბრალდებული (ექვმიტანილი), მტკიცებულებების წარდგენის შემდეგ აღიარებს დანაშაულს და სცნობს თავს დამნაშავედ, მაგრამ ზოგჯერ იმყოფება ისეთ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში, როცა მსგავსი მტკიცებულების წარდგენისას იგი არ რეაგირებს მასზე და სულერთია, თუ რა მამხილებელი მასალა წარუდგინეთ მას.

ვერიფიკაციის ერთ-ერთ მეთოდია ბიორიტმოლოგია - ბიორიტმოლოგებმა დაადგინეს, რომ ადამიანის ორგანიზმში იმყოფება ასზე მეტი ბიოლოგიური რითმი, რომლებიც გამოხატავს ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე სხვადასხვა ფიზიოლოგიურ მდგომარეობას. ეს არის ყოველდღიური ძილისა და სიფხიზლის, სხეულის ტემპერატურის ცვალებადობის, გულსისხლძარღვთა სისტემის მუშაობის და სხვადასხვა ბიორიტმები. არსებობს ბიორიტმები, რომელთა გამოვლინების ციკლი შეადგენს თვეებს და წლებს. უმეტესობა

მათგანი დამოკიდებულია მზის გამოსხივების რიტმულ ცვალებადობაზე, მთვარის ფაზებზე და დედამიწის ელექტრომაგნიტური ველის ცვალებადობაზე. სხვადასხვა ქვეყნებში მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ გეომანტიურ აქტივობისას იზრდება ავადმყოფთა რიცხვი ფსიქიატრიულ სამკურნალო დაწესებულებებში, იზრდება თვითმკვლელობები და სხვადასხვა დანაშაულობათა რიცხვი. შემჩნეულია დამოკიდებულება მთვარის ფაზებსა და განზრახ მკვლელობათა რიცხვს შორის.

გამომძიებლისათვის აუცილებელია არა მარტო დასაკითხის ცალკეული ემოციების გამოვლინების შეფასება, არამედ მისი განწყობის ცოდნაც. ამაში მას დაეხმარებიან ბიორიტმოლოგები, რომელთაც შეუძლიათ განსაზღვრონ დაკითხვისათვის ხელსაყრელი პერიოდი.

ბიორიტმოლოგების გამოკვლევებით დადგენილია, რომ იმ პირების ექსპერიმენტულ დაკითხვისას, რომლებმაც ჩაიდინეს მძიმე დანაშაული, 36 შემთხვევიდან 28 შემთხვევაში (78%) მიღებულ იქნა დაწვრილებითი ჩვენება ჩადენილი დანაშაულის გარშემო. 8 შემთხვევაში (22%) ბრალდებულებს პოზიცია არ შეუცვლიათ, მაგრამ წამოცდენიან ფაქტები, რომლებიც ადასტურებდა დანაშაულის ჩადენაში მათ მონაწილეობას. შემდგომში დაკითხვის ვიდეო ჩანაწერები გამოყენებული იქნა დამნაშავეების მხილებაში.

ტაქტიკური თვალსაზრისით დასაკითხები არ იყვნენ ინფორმირებულები, რომ მათთან მუშაობის პერიოდი შერჩეული იყო სპეციალურად, ბიორიტმოლოგების გამოთვლების შედეგად და ადვოკატების ყოფნას დაკითხვაზე ხელი არ შეუშლია გამოძიებლისათვის მათგან დაწვრილებითი რეალური ჩვენების მიღებაში.

შესაბამისი სასიამოვნო მუსიკალური ფონის შექმნა და გამოყენება არის ერთ-ერთი დასაშვები ხერხი ისეთი ბრალდებულის დაკითხვისას, რომელიც იძლევა ცრუ ჩვენებას. ეს ხერხი ემყარება იმ ფსიქოლოგიურ გამოკვლევებს, რომლის მიხედვითაც დამტკიცებულია, რომ მუსიკას შეუძლია იმოქმედოს ადამიანის ემოციურ სფეროზე.

ადამიანზე მუსიკის ზეგავლენა უმეტესად დამოკიდებულია კონკრეტულ ცხოვრებისეულ პირობებზე, რომელშიც ისინი იმყოფებიან. თითქმის ყველა ბრალდებულს აქვს ისეთი მუსიკალური ნაწარმოები, რომლის მოსმენაც მას სიამოვნებას ანიჭებს. მუსიკა ალაგზნებს, წარმოქმნის ადამიანში შესაბამისი აზრებისა და გრძნობების ასოციაციას, რომელიც იწვევს მისი ქცევის გარკვეულ ფორმირებას. გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ ბრალდებულის შინაგანი განწყობის ნეიტრალიზება, ცრუ ჩვენების მიცემაზე, შესაძლებელია (თუნდაც გარკვეული პერიოდით) მისთვის საყვარელი მუსიკალური ნაწარმოების ზემოქმედებით.

მუსიკის გამოყენება იძლევა ეფექტს მაშინ, როცა კარგად არის შესწავლილი ბრალდებულის (ექვმიტანილის) პიროვნული ნიშან-თვისებები, მისი ემოციონალური სფეროს თავისებურებები, ტემპერამენტი.

სუნს შეუძლია შექმნას ან გაახანგრძლივოს გარკვეული განწყობა, იმოქმედოს ადამიანის ქცევაზე, შრომისუნარიანობაზე, გულ-სისხლ-ძარღვთა სისტემაზე, შიდა თავის ქალის წნევაზე, ტონუსზე, მხედველობაზე, სმენაზე, პულსზე. ბევრ ადამიანში სუნს შეუძლია გამოიწვიოს მოგონებები. ეს აიხსნება იმით, რომ ყნოსვის მექანიზმი დაკავშირებულია თავის ტვინის იმ ნაწილთან, რომელიც მართავს მეხსიერებას და ემოციებს.

ბრალდებულების დაკითხვის შესახებ ამჟამად არსებულ ლიტერატურაში თითქმის არ გვხვდება რეკომენდაციები, რომლებიც ითვალისწინებს სქესის მიხედვით დასაკითხების ფსიქოლოგიური თავისებურებების გარჩევას, როცა ამავე დროს ფსიქოლოგები და ფიზიოლოგები მიუთითებენ ქალთა სქესის წარმომადგენლების მიერ სუნის აღქმის თავისებურებებზე და მის ქცევაზე გავლენის შესახებ.

1974-1990 წლებში, რუსეთში ირკუტსკის ოლქის პროკურატურაში ჩაატარეს ცდები იმ ქალებზე, რომელთაც ჩადენილი ჰქონდათ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებები და რომლებიც არ აღიარებდნენ დანაშაულს. ჩატარებული ცდებიდან 40 შემთხვევა დადებითი შედეგით დამთავრდა.

პიროვნებების გარშემო განხორციელებული საგამომიებო ოპერატიულ ღონისძიებების გატარების შედეგად, შეგროვებულ ინფორმაციებზე დაყრდნობით, რომელიც ახასიათებდა დასაკითხ პიროვნებას, გამორკვეული იქნა მონაცემები თუ რომელი სუნამო უყვარს ბრალდებულს და რა ასოციაციებს აუძრავდა მათ ესა, თუ ის სუნამო.

ფსიქოლოგების რჩევით ბრალდებული ქალბატონების დაკითხვა წარმოებდა 17-დან 21 საათამდე. სანდო გარემოს შესაქმნელად კაბინეტში იმყოფებოდა ერთი გამომძიებელი. ბრალდებულის მოყვანამდე 10 წუთით ადრე გამომძიებელი კაბინეტს ანიავებდა კარგად, რომ არ ყოფილიყო რაიმე სხვა სუნი, ასხურებდა სათანადო სუნამოს შალის ნაჭერს და დებდა მაგიდის თაროზე. დაკითხვები გრძელდებოდა 2-დან 4 საათამდე, ამასთანავე ყველა ეპიზოდში არც ერთი დაკითხულთაგანი არ იყო ინფორმირებული და ვერც ხვდებოდა სუნის სპეციალური გამოყენების ფაქტს.

ინფორმაციის მიღების მიზნით აშშ-ს საპოლიციო პრაქტიკაში ტარდებოდა ექსპერიმენტები დაკითხვის დროს ნარკოტიკული საშუალებების გამოყენებით. დასაკითხების ვენაში შეყავდათ მორფის, ქლოროფორმის, ქლორიანი სკოპოლომინის შრატები, რომლებიც ასუსტებდა ტვინში გარკვეულ უჯრედებს და მოქმედებდა ადამიანზე როგორც ალკოჰოლი. იმის შემდეგ, როცა ადამიანი მივიდოდა ნახევრად უგონო მდგომარეობამდე ანუ პარალიზებული იყო ტვინის გარკვეული შემაჩერებელი უნარი, იწყებდნენ მის დაკითხვას. ამერიკელი მეცნიერი გ. მულბარი 1944 წელს აღნიშნავს იმ ფაქტებს, რომ სკოპოლომინის გამოყენებისას 50% შემთხვევაში ბრალდებულები ნახევრად უგონო მდგომარეობაში ლაპარაკობდნენ სიმართლეს.

დაკითხვის მსგავსი მეთოდები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1958 და 1960 წლებში ცნობილი იქნა, როგორც არასამართლიან ქმედებად, ადამიანის ღირსების შელახვად და ადამიანის უფლებების დარღვევად, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს სამართალწარმოებასთან.

ზოგიერთ ქვეყანაში ღიად არ რეკლამირდება დაკითხვისას ნარკოტიკული საშუალებების გამოყენება, ზოგჯერ დეკლარირებასაც უკეთებენ მისი გამოყენების არაჰუმანურობას. ამიტომ სასურველია, რომ საპროცესო კოდექსში ნათლად იყოს აღნიშნული მსგავსი ნივთიერებების გამოყენების დაუშვებლობა.

სირთულე მსგავსი დაკითხვებისას მდგომარეობს პრეპარატის ოპტიმალური მუშა დოზის შერჩევაში. დაუშვებელია დოზის გადამეტება, რადგან ამან შეიძლება გამოიწვიოს დასაკითხის სრული გათიშვა ან სულაც სიკვდილი და მცირე დოზა კი ვერ იწვევს სასურველი „ეფექტის“ მიღწევას.

ნარკოდაკითხვისას იყენებდნენ და დღესაც საზღვარგარეთ ზოგან იყენებენ შემდეგ დაუშვებელ მეთოდებს:

- სასმელში ბელადონას („Atropa belladonna“ ლათ. ველური ბალი) ნაყენის გარევა, იმ მიზნით, რომ ნახევრად მიძინებულ მდგომარეობაში ადამიანს დააცდევინონ სიმართლე;
- ვენაში სკოპოლომინის მცირე დოზის (0,5-1 მლგრ, 0,05% ხსნარი) ნელ-ნელა შეყვანა. ამის შემდეგ სუბიექტი ვერ აკონტროლებს თავს, ხდება ზედმეტად გახსნილი ურთიერთობაში, გულღია და ყვება იმას, რასაც ჩვეულებრივ მდგომარეობაში არ მოყვებოდა;
- ნატრიუმის-ტიოპენტალის ანუ პენტატოლის ხსნარის (ნარკოზული საშუალება ბარბიტურატი) 2-8 მლგრ, 10%-იანი ხსნარის ნელ-ნელა ვენაში შეყვანით (1 მლგრ-1 წუთში). ამის შემდეგ 10-15 წუთში შუქი ნელ-ნელა ბინდდება, ნივთები პატარავდება ზომებში, დამალული აზრები ამოტივტივდება ზედაპირზე, ქრება თავდაჭერილობა, სიფრთხილე, თუმცა ურთიერთობის სურვილი არ მჟღავნდება.
- ნატრიუმის ამიტალის ანუ ბარბამილის (Amylat Natrium. Amilat. Amobarbital. Estimalum. Isoamyl. Pentimal.) 2-8 მლგრ, 10%-იანი ხსნარის ნელ-ნელა ვენაში შეყვანით (3-5 წუთში), ნარკოტიკულ ძილში გადასვლის შემდეგ, ამფიტამინის (C9H13N) ანუ 2-ამინი-1-ფენილპროპანის პსიქოსტიმულატორის ძლიერი დოზით გაგრძელებით. მიძინებული ადამიანის ფორსირებული გაღვიძების შედეგად აძლევს მას ენერჯის მოზღვავებას, რაც იწვევს ლაპარაკის სურვილს; ხმები და გარშემო ყველა სახე ხდება ნათელი და რელიეფური, პულსი და სუნთქვა ხშირდება, მთელი აზრები ნათდება და სურვილი ჩნდება ყვირილის ყველაფრის გადმონთხევის.

დანაშაულის გამოძიებისას დაკითხვის პროცესში, ინფორმაციის ვერიფიკაციისათვის გარკვეულ წილად ეფექტურობით გამოირჩევა „სიცრუის დეტექტორის“ ანუ „პოლიგრაფის“

გამოყენება. ამ აპარატს ლიტერატურაში მოიხსენიებენ, კიდევ როგორც „ლაი-დეტექტორს“ (lie detector), „ვარიოგრაფს“, „პლექტიზმოგრაფი“.

სიტყვა „პოლიგრაფი“ წარმოდგება ბერძნული სიტყვების ნაკრებს და თარგმანი ნიშნავს „მრავალრიცხოვან ჩანაწერს“ (πολις - ნიშნავს მრავალს, მრავალრიცხოვანს, ფართოს და γράφω - ჩაწერას, წერას).

„პოლიგრაფი“ წარმოადგენს მრავალფუნქციურ ოსცილოგრაფს, რომელიც საზღვრავს და არეგისტრირებს 4-დან 16-მდე (ზოგჯერ 40-მდე) ადამიანში მიმდინარე ფიზიოლოგიურ პროცესს, რაც დაკავშირებულია ემოციების წარმოქმნასთან: სუნთქვის სიხშირესთან, სისხლის წნევასთან, ხელისგულების სინოტივესთან, ბიოდენებთან (ტვინის, გულის, კუნთების) და ასე შემდეგ. მონაცემების ფიქსაციის მიხედვით არსებობს ანალოგური და ციფრული პოლიგრაფები. ანალოგურ პოლიგრაფზე მონაცემების ფიქსირება ხდება გრაფიკულ ქაღალდზე დიაგრამის სახით (საორიენტაციო მოდელები Lafayette-761, Stoelting-80506), ხოლო ციფრულ პოლიგრაფზე - ელექტრონულ მატარებლებზე, კომპიუტერის მეშვეობით (საორიენტაციო მოდელები Limestone, Paragon, Lafayette-LX4000, Stoelting-86225; არსებობს რუსული წარმოების მოდელებიც „Барьер“, „Диагноз“, „Диана“, „Поларг“ და სხვა).

პოლიგრაფიის მეშვეობით ფსიქოფიზიოლოგიური კვლევისას აუცილებელი მოთხოვნაა სუნთქვის, სისხლძარღვების აქტივობის, კანის ელექტროგამტარობის ფიზიოლოგიური მონაცემების ფიქსირება, რომლისთვისაც გამოიყენება ძირითადი გადამწოდები: სუნთქვის - ზედა (მკერდის) და ქვედა (მუცლის, დიაფრაგმის); სისხლძარღვების აქტივობის - არტერიული წნევის, პულსის, სისხლძარღვების სისხლით შევსების და კანის ელექტროგამტარობის - კანის წინალობის, გალვანური რეფლექსის.

აღნიშნული ფიზიოლოგიური პარამეტრებიდან რომელიმეს გამორიცხვა კვლევის პროცესს ხდის არასანდოს (არავალიდურს), ხოლო დანარჩენ პარამეტრებს გააჩნია დამხმარე ფუნქციები.

ამერიკის შეერთებული შტატების პოლიგრაფის ოპერატორების ასოციაციის კვლევებმა აჩვენეს, რომ „პოლიგრაფის“ მიერ მიღებული ინფორმაციის 87-96% ეფექტურად გამოიყენება სისხლის სამართლის საქმეების გამოძიებისას.

უმეტესი ქვეყნების კანონმდებლობით „პოლიგრაფის“ გამოყენება იკრძალება და მისი საშუალებით მიღებულ შედეგებს არა აქვს მტკიცებულებითი ძალა. ზოგიერთ ქვეყანაში „პოლიგრაფის“ გამოყენება დაშვებულია მხოლოდ გამოძიებისათვის საჭირო ინფორმაციის მისაღებად. დასავლეთ ევროპას ამ მხრივ უკავია ნეიტრალური მდგომარეობა, ოფიციალური მონაცემებით, მსგავს შემოწმებებს პოლიციურ პრაქტიკაში ადგილი არა აქვს. საქართველოში „პოლიგრაფის“ გამოყენების შესახებ ოფიციალური ინფორმაცია არ არსებობს.

ბოლო წლებში მტკიცებულებითი ინფორმაციის სიზუსტის დადგენაში (ვერიფიკაციაში) გავრცელება ჰპოვა სამედიცინო კვლევებში გამოყენებულმა სპეციალურმა მეთოდებმა, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობის კონტროლისა და დიაგნოსტიკისათვის გამოიყენება, კერძოდ „მაგნიტურ რეზონანსულმა ტომოგრაფიამ“ (მრტ) (Magnetic resonance imaging-MRI). კრიმინალისტიკაში მას სასამართლო ნეიროვიზუალიზაცია ეწოდა. (Forensic neuroimaging)

მაგნიტურ რეზონანსზე დაფუძნებით შესაძლებელია ადამიანის ორგანიზმიდან განსაზღვრული გამოსახულების მიღება. მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია ორგანიზმში არსებული წყალბადის ატომბირთვებისგან ინფორმაციის მიღებას გულისხმობს. წყალბადი ორგანიზმის ყველა ქსოვილსა თუ უჯრედში ყველაზე უხვად არის წარმოდგენილი. მაგნიტური რეზონანსის პრინციპზე დაყრდნობით ხდება ორგანიზმში არსებული ატომბირთვების აღზნება, ელექტრომაგნიტური ტალღების გარკვეული კომბინაციით, მაღალი ძაბვის მუდმივ მაგნიტურ ველში, რაც უკან სიგნალის სახით ბრუნდება, ამ სიგნალის კომპიუტერული დამუშავებით კი მიიღება გამოსახულება. მაგნიტური რეზონანსი განსაკუთრებით ინფორმაციულია ნერვული სისტემის, კერძოდ, ცენტრალური ნერვული სისტემის კვლევის დროს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ კვლევის აღნიშნული მეთოდი სხვა ორგანოებსა და ქსოვილებთან მიმართებით არაინფორმაციულია.

მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიით შესაძლებელია ცენტრალურ ნერვულ სისტემაში, კერძოდ თავის ტვინშიც, ამა თუ იმ ნეირონულ აქტივობასთან დაკავშირებული მიკროცირკულაციის ძვრების გამოვლენა და ანალიზი. შესაბამისად, ის არა მხოლოდ ანატომიური, არამედ ფუნქციური კვლევის მეთოდიც არის.

როდესაც ადამიანი ფიქრობს გარკვეულ მოვლენაზე, აღიზნება და აქტიურდება თავის ტვინის შესაბამისი მოტორული უბანი; გააქტიურების კვალად ტვინის აღნიშნული უბნის სისხლით მომარაგება ძლიერდება. მაგნიტურ-რეზონანსული გამოსახვით შესაძლებელია ამ ჭარბად მომარაგებული არის გამოვლენა და ამის კვალობაზე თავის ტვინის განსაზღვრული უბნის ფუნქციურ აქტივობაზე მსჯელობა. ეს ძალზე გამარტივებული მაგალითია, თუმცა ნათლად აჩვენებს, რაოდენ ეფექტური გამოკვლევაა მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია და რა შესაძლებლობები აქვს მას ჩვენების დიაგნოსტიკაში და შეფასებაში. ამიტომ ამ მიმართულებით შემდგომაც არაერთი კვლევა განხორციელდა და მუშაობა დღესაც გრძელდება.

ფილადელფიის უნივერსიტეტის ტვინის ფუნქციონირების ცენტრის მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ სიმართლის თქმა იოლი ყოფილა ვიდრე ტყუილის, რაც გამოიხატა მათ მიერ ჩატარებულ ექსპერიმენტში, როცა სიმართლის მთქმელი ადამიანების ტვინის ბევრად ნაკლები უბნები აქტიურდებოდა ვიდრე ტყუილის მთქმელებისა..

მიუხედავად ძალზე დახვეწილი აპარატების არსებობისა, რადიოლოგიის ეს დარგი კვლავაც განაგრძობს განვითარებასა და სრულყოფას, ამიტომ ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება ვთქვათ, რომ ჩადენილ დანაშაულზე ჩვენების სიზუსტის დადგენისათვის წლების განმავლობაში გამოყენებული სხვადასხვა ტექნიკური და ქიმიური საშუალებები, თუ ფსიქოლოგიური მეთოდები არ იძლეოდა საჭირო ეფექტს, რითაც შესაძლებელი იქნებოდა სამართალდამცავებს მიეცემოდათ საშუალება დაედგინათ ჭეშმარიტება. მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ჩადენილ დანაშაულზე მტკიცებულებითი ჩვენების ვერიფიკაციის საკითხში „მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია“ დამაიმედებელ შედეგებს იძლევა, რადგან თავის ტვინის გარკვეული უბნების აქტივირების სკანირება, ფიქსაცია არ ექვემდებარება გამოსაკვლევი ადამიანის მიერ თავისივე შეგნების კონტროლს და არ საჭიროებს სუბიექტურ ინტერპრეტაციას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დეკანოზიშვილი გ. 2010. დაკითხვის თანამედროვე მეთოდები სისხლისსამართალ-წარმოებასა და კრიმინალისტიკაში. თბილისი: გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი.
2. Володина А.Н. 2004. *Методы получения информации при осуществлении допроса. Актуальные проблемы юриспруденции.* Тюмень.
3. Энциклопедия преступлений и катастроф. Наркотические средства и психотропные вещества. 1998. М.
4. Плотников А. А. 1996. *Использование полиграфа в раскрытии преступлений,* лекция. Хабаровск.
5. Хорнак Дж. П. 1996—1999. *Основы МРТ.*
6. Lauterbur P.C. *All science is interdisciplinary — from magnetic moments to molecules to men.*
7. Mansfield P. Snap-shot MRI // Les Prix Nobel. The Nobel Prizes 2003. — Nobel Foundation.
8. <http://www.mkurnali.ge/diagnostika/1866-2010-04-20-15-39-17.html>.

კრიმინოლოგიის ზოგიერთი ფილოსოფიური საკითხი.

რეზუმე

აღნიშნულ სტატიში მოკლედ არის გადმოცემული დანაშაულობის ნეგაციის თეორიის საკვანძო საკითხები, რომლებიც ასახულია გამოსაცემად მომზადებულ ნაშრომში “დანაშაულობის ნეგაციის თეორია: ფიქრები კრიმინოლოგიაში „მივიწყებული ყოფიერების“ პრობლემის დაძლევის გზებზე”. სტატიაში განიხილება ჰეგელის მიერ გამოთქმული დებულება დანაშაულობის არსის დადგენის შესახებ. ამ მიმართულებით კეთდება დასკვნა, რომ დანაშაულის რაოდენობრივი მაჩვენებლები ასახავენ ამ მოვლენის “მოჩვენებითობას”. ემპირიული მასალის ანალიზით დასტურდება ფაქტი, რომ მოსახლეობის არსებობის პირობების გაუარესების სიდიდე იზომება ირიბად, სახელმწიფოში საქმეთა მდგომარეობის მაჩვენებლის საშუალებით, ე. ი. დანაშაულთა რაოდენობის მიხედვით. მაგრამ აქედან არ გამომდინარეობს საპირისპირო დებულება, რომ სამართლებრივი წესრიგის მიმართ დამოკიდებულების მაჩვენებელი ამავე დროს არის აუცილებლად არსებობის პირობების გაუარესების მაჩვენებელი.

ფენომენოლოგების წარმოდგენებისაგან განსხვავებით ჯერ კიდევ ჰეგელმა შენიშნა, რომ ქმედების, როგორც დანაშაულის, ე. ი. როგორც უმართლობის არსი, არის არა არსი, არამედ “არსის მოჩვენებითობა, რომელიც საკუთარ თავს ვარაუდობს, როგორც რაღაც დამოუკიდებელს”. ამრიგად, დანაშაულის შესახებ ჰეგელის მიხედვით მსჯელობისას უნდა დავიწყოთ არა დანაშაულის, როგორც “არსის მოჩვენებითობის” გაგებიდან. ჩვეულებრივ კრიმინოლოგიური გამოკვლევები გამოდიან იმ ე. წ. საფრთხიდან, რაც თან სდევს დანაშაულებს სიცოცხლის მოსპობის, მიყენებული მატერიალური ზარალის, მუქარის სახით და ა. შ. უარყოფდა რა მსგავს ილუზიებს, ჰეგელი აფრთხილებდა, რომ ჯერ მნიშვნელოვანია ვაჩვენოთ „როგორია ის არსებობა, რაც გააჩნია დანაშაულს. ეს არსებობა არის ნამდვილი ბოროტება...“ ამიტომ საჭიროა იმის „გამოკვლევა, რაში მდგომარეობს იგი“ და ამის შემდეგ გადავიდეთ „არსის მოჩვენებითობაზე“ .

მაგრამ როგორ მივუდგეთ დანაშაულის არსს? პასუხობს რა ამ კითხვაზე, ჰეგელი წერს: „მხოლოდ ამ გარეგნული ფორმის მხრიდან ქურდობა, მარცვა, აგრეთვე სასჯელი ფულადი ჯარიმების, ციხეში ჩასმის სახით და ა. შ, სრულიად არათანაბარია, მაგრამ თავიანთი ფასეულობით, მათი იმ საყოველთაო თვისების მიხედვით, რომ წარმოადგენენ დარღვევებს, ისინი ურთიერთშედარებადია...“.

მაშასადამე, ჭეშმარიტი გზა დანაშაულის არსის შეცნობისაკენ უნდა დავიწყოთ იმ ფენომენის შეცნობიდან, სადაც მოცემულია „არსებითი კავშირი დანაშაულსა და მის განადგურებას შორის“, ე. ი. დანაშაულობასა და სამართალს (სახელმწიფოს) შორის. ცხადია, რომ ეს ამოცანა იურიდიული აზროვნების შესაძლებლობებს აღემატება,

რამეთუ იურისტი აზროვნებს გონის კატეგორიებით. მისთვის ფორმალური საერთო არის არსი . ამიტომ „გონის ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ მას (იურისტს - გ. თ.) ცალმხრივი განსაზღვრა აჰყავს ერთადერთისა და უზენაესის რანგში“. არა ნამდვილ მეცნიერულ აზროვნებაში, არამედ სწორედ იურისტის გონებრივ აზროვნებაში სამართალი და დანაშაული მოცემულია ბარიკადის სხვადასხვა მხარეს.

რა პარადოქსამდე მივყავართ მსგავს ზედაპირულ აზროვნებას, ამას ჩვენ ვაჩვენებთ მოგვიანებით, დანაშაულობის საზოგადოებრივი ფორმის ანალიზისას. მაგრამ ამ შემთხვევაში ცოტა წინ წავიწევთ და გაკვრით შევხებით პარადოქსს, რომელიც ელოდება კრიმინოლოგს.

რა არის ათვლის წერტილი „არსებითი კავშირი დანაშაულსა და მის განადგურებას შორის“? ნებისმიერ ისტორიულ ეტაპზე სახელმწიფო იწყებს ბრძოლას დანაშაულობასთან იმ მომენტიდან, როცა ის ხდება დანაშაულობის გენეზისის საშუალება. გამონაკლისს არ წარმოადგენს თანამედროვე საზოგადოება. ნორმატიულად ამყარებს რა კაპიტალის დაგროვების პირობებს, სახელმწიფო ამავე დროს უსიტყვოდ უშვებს არსებობის პირობების გაუარესებას კაპიტალის განვითარების ელემენტის სახით. მამასადამე, სახელმწიფო იწყებს ბრძოლას დანაშაულობის წინააღმდეგ, როგორც არსებობის პირობების გაუარესებასთან, იმ შემთხვევაში, თუ ამ გაუარესებაში იგი თვითონვე მონაწილეობდა. ზედაპირზე კი ისე ჩანს, რომ დანაშაულობის ზრდას საზოგადოებაში ადგილი აქვს სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად, რომ იგი აღმოჩნდება დანაშაულობასთან პირისპირ, რომელიც განვითარდა სახელმწიფოს მინაწილეობის გარეშე. აი სად მოგვევლინა ჰეგელის „არსებითი კავშირი დანაშაულსა და მის განადგურებას შორის“. მისმა გამჭრიახმა გონმა უკვე მაშინ შენიშნა დაბრკოლება დანაშაულობის არსის გაგების გზაზე. იგი წერდა: „სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ დანაშაული და მისი მოხსნა წარმოედგინათ, როგორც სხვადასხვა ბუნების მატარებლები, მამასადამე, არ აღიარებდნენ ორივეს აუცილებელ იგივეობას, იმას, რომ დანაშაულში უკვე დავანებულია მისი განადგურება“ .

კიდევ ერთი გაკვეთილი, რომელიც უნდა გავითვალისწინოთ. „დანაშაულს თავისი ნაღდი ყოფიერებით, - წერდა ჰეგელი, - აქვს გარკვეული თვისობრივი და რაოდენობრივი მოცულობა და ამით მისი უარყოფა (სასჯელი, სახელმწიფო რეაქცია - გ. თ.) როგორც ნაღდ ყოფიერებას აქვს ასეთივე „მოცულობა“ .[1, 99]

დანაშაულობის „ნაღდი ყოფიერების“ როლში გამოდის მისი რაოდენობრივი გარკვეულობა. თანამედროვე მსოფლიოში იგი გამოიხატება რიცხვში, ხოლო მონათვლობელურ და ფეოდალურ საზოგადოებაში იგი მიახლოებით აისახებოდა სახელმწიფო მოხელეების მოხსენებებში, ჭორებში და ა. შ. ყველა შემთხვევაში ანალიზის გასაადვილებლად არ შევალთ საუკუნეთა სიღრმეში და შემოვიფარგლებით თანამედროვე წარმოდგენებით. სწორედ დანაშაულთა „ნაღდი ყოფიერება“ არის მათი რიცხვი. მაგრამ თუ რიცხვი არის „არსის მოჩვენებითობა“, მაშინ საჭიროა წინასწარ გავერკვეთ დანაშაულობის თვისობრივ მახასიათებლებში, ე. ი. გავარკვიოთ თუ რა

ვლინდება რიცხვში. ბოლოს დგინდება „როგორია ის არსებობა, რომელსაც მოიცავს დანაშაული“, ე. ი. სინამდვილეში რა განსახიერდება დანაშაულთა რიცხვში.

„არსის მოჩვენებითობისადმი“ კრიმინომეტრული მიდგომა. აღნიშნული ფილოსოფიური კონცეპციის ფარგლებში ჩვენ ვავითარებთ სხვაგვარ მიდგომას დანაშაულობის გაზომვის მიმართ. ეს თეორია ეფუძნება დებულებას, რომ რეგისტრირებული დანაშაულთა რიცხვი როგორც არსებობის პირობების გაუარესების მაჩვენებელი ამავე დროს არის სახელმწიფოს მიერ დაცული სამართლებრივი წესრიგის მიმართ გარკვეული დამოკიდებულების მაჩვენებელი. დანაშაულობის არსებობის პირობების გაუარესობის სიდიდე, საბოლოო ანგარიშში, იზომება მოგების საერთო ნორმის რყევებით (დანაშაულობის “არსებობის ნამდვილი ბოროტება” - ჰეგელი).

როგორც მართლწესრიგის მაჩვენებელი, დანაშაულობა იზომება მხოლოდ დანაშაულთა რიცხვის რყევებით. პირველი მონაცემი ატარებს დაფარულ ხასიათს, ხოლო მეორე ასახულია საუწყებო ანგარიშში სახელმწიფო საქმეების მდგომარეობის ინდიკატორის სახით.

მოსახლეობის არსებობის პირობების გაუარესობის სიდიდე იზომება ირიბად, სახელმწიფოში საქმეთა მდგომარეობის მაჩვენებლის საშუალებით, ე. ი. დანაშაულთა რაოდენობის მიხედვით (თუ მხედველობაში ვიქონიებთ, რომ ეს რაოდენობა იმავდროულად მოცემულია საუწყებო ანგარიშგების შემადგენელი ელემენტის სახით). მაგრამ აქედან არ გამომდინარეობს საპირისპირო დებულება, რომ სამართლებრივი წესრიგის მიმართ დამოკიდებულების მაჩვენებელი ამავე დროს არის აუცილებლად არსებობის პირობების გაუარესების მაჩვენებელი.

მეტიც, მსგავსი დამთხვევა რეალობაში არაა და არც შეიძლება იყოს, რამეთუ არსებობის პირობების გაუარესობის სიდიდე არაა დამოკიდებული იმაზე, გამოხატულია თუ არა ის დანაშაულთა მეტ ან ნაკლებ რაოდენობაში. მსგავსი დაუმთხვეველობა არაერთგზის იწვევს კადრების ცვლის, სტრუქტურების რეფორმების სულ სხვადასხვა ტრაგიკომიკურ სიტუაციებს სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობაში, პოლიტიკურ ბატალიებს ხელისუფლების კულუარებში, გრანტმადიებელთა მოჩვენებით აქტიურობას და სხვ.

აიგივებენ რა დანაშაულთა რაოდენობას არსებობის პირობების გაუარესობის სიდიდესთან, სახელმწიფო ორგანოები აღმოჩნდებიან სიტუაციაში, როცა კითხვა: რა მოძრაობს დანაშაულობაში, - დანაშაულობასთან ბრძოლის პრაქტიკისათვის მიუღწეველი რჩება. იგი იფარება ირაციონალური კითხვით: როგორ განასხვავებენ დანაშაულებს მათი „სხეულებრივი ნივთიერების“ რაოდენობის მიხედვით. შედეგად დანაშაულობის რეალური სურათი მახინჯდება. დანაშაულთა რაოდენობრივი აზვირთება განსაზღვრავს სახელმწიფო ორგანოების პრევენციული აქტიურობის ზრდას. მაგრამ ეს აქტიურობაც ასევე იწვევს დანაშაულთა რიცხვის, არსებითად კი - გახსნის მაჩვენებლის ზრდას. იქმნება შეკრული წრე: ორივე ეს ფაქტორი განსაზღვრავს ერთმანეთს, მაგრამ ისინი არ ცვლიან დანაშაულობის ბუნებას. დანაშაულობის იმანენტური შინაარსი გროვდება, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს აქტიურობის ზრდა ყოველთვის თან სდევს დანაშაულთა რაოდენობრივ ზრდას და ამავე დროს არ იწვევს მასში დავანებული ძირითადი ბუნების ცვლილებას. მოცემული

კანონზომიერების ილუსტრაციის სახით შეიძლება მოვიყვანოთ აშშ-ში დანაშაულობასთან ბრძოლის რეიგანისეული პოლიტიკის მარცხი.

80-იან წლებში რეიგანის პოლიტიკა ითვალისწინებდა დანაშაულობის შეჩერებას რამდენიმე მიმართულებით. უპირველესად გაძლიერებული იქნა სახელმწიფო რეაგირება ეკონომიკაზე საგადასახადო, საკრედიტო-ფულადი და არაპირდაპირი ზემოქმედების სხვა ზომების გამოყენების გზით. ამასთან, გაიზარდა გადასახადები პირად შემოსავლებსა და გადარიცხვებზე, მაგრამ შემცირდა კორპორაციული გადასახადები. საგადასახადო პოლიტიკა ასტიმულირებდა საინვესტიციო აქტიურობას. ამ პოლიტიკამ აამაღლა ყველაზე მდიდარი ამერიკელების სტატუსი და საშუალება მისცა საშუალო კლასს გაეუმჯობესებინა საკუთარი მატერიალური მდგომარეობა. ამავე დროს გაიზარდა გადარიცხვები სადაზღვეო ფონდში დაქირავებული შრომის ანაზღაურებიდან. უფრო მეტიც, აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ 1984 წელს თავისი გადაწყვეტილებით კორპორაციებს უფლება მისცა ცალმხრივი წესით გაეწყვიტათ შრომითი ურთიერთობები თუ მათ გაკოტრება ემუქრებოდათ. ამავე დროს ლიკვიდირებული იქნა ფედერალური სოციალური პროგრამების უმრავლესობა. მიღებული ზომების შედეგად 1982 წელს დანაშაულობა შემცირდა 3 პროცენტით, ხოლო 1983 წელს - კიდევ 7 პროცენტით. [3]

მაგრამ ეს შემცირება ხანგრძლივი არ აღმოჩნდა, თუ გავითვალისწინებთ, რომ არსებობის პირობების გაუარესობის სიდიდე არ იცვლებოდა. კონგრესის მოხსენებაში (1991 წ.) აღნიშნული იყო, რომ 80-იანი წლების მეორე ნახევრის დასაწყისიდან შიმშილი გაიზარდა 50 პროცენტით და მოშიმშილეთა რაოდენობამ შეადგინა 30 მილიონი ადამიანი. შიმშილის მთავარი მსხვერპლი აღმოჩნდნენ სწორედ ბავშვები. სწორედ ის სოციალური პროგრამები იქნა შემცირებული, რომლებიც მიმართული იყო დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახების უზრუნველყოფისაკენ. საგადასახადო წნეხი შეეხო საშუალო შემოსავლების მქონე ოჯახებს: ხელფასის გადასახადმა შეადგინა 8,2 პროცენტი, ხოლო მოგების გადასახადმა - 9,5 პროცენტი. გასაკვირი არაა, რომ 1955 წელს აშშ-ში რეგისტრირებულ დანაშაულთა რაოდენობა 5 პროცენტით გაიზარდა (ხოლო სამხრეთის შტატებში ზრდამ შეადგინა 9 პროცენტი), უფრო მეტიც, დანაშაულობის განვითარებაში გაჩნდა საკმაოდ დრამატული ტენდენციები: იმის შედეგად, რომ სოციალური კონტროლის მექანიზმების განვითარებას პოლიციელის ხელკეტის იმედზე ყოფნის პერიოდში არასაკმარისი ყურადღება ექცეოდა, ამერიკას გადაუარა ძალადობის ტალღამ. განსაკუთრებული შეშფოთება გამოიწვია იმან, რომ ეს ტალღა მსხვილი ქალაქებიდან გავრცელდა წვრილ და საშუალო ქალაქებში .

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ თუ დანაშაულობასთან ბრძოლის პოლიტიკა არ ცვლის მოსახლეობის არსებობის გაუარესებულ პირობებს და საკუთარ ინტერესებს აგებს იმ ღონისძიებებზე, რომლებიც ამცირებენ დანაშაულთა მხოლოდ რაოდენობას, ამით დანაშაულობის რეალური სურათი არ შეიცვლება. ქვეყანაში ყოველთვის ექნება ადგილი დანაშაულთა სწორედ იმ რეალურ რიცხვს, რაც საკმარისია არსებობის პირობების გაუარესობის მოცემული სიდიდის გამოსახატავად. და როგორც ყოველთვის, ამ საშინელი სურათის უკან ყოველთვის დგას მოგების საერთო ნორმის ნება, რომელიც ადგენს დანაშაულობის „შესაძლებლობათა“ ზღვარს. მონოპოლიურ მოგებათა ზრდა,

ერთი მხრივ, და შიმშილის - მეორე მხრივ, წარმოადგენს ამ კანონზომიერების სარწმუნო მტკიცებულებას.

2013 წელს ანალოგიური პრობლემის წინაშე აღმოჩნდა საქართველო. დანაშაულთა რიცხვის ცვალებადობა გახდა სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების პოლემიკის საგანი. „ოცნების“ მომხრეები დანაშაულთა გაზრდილ რაოდენობას ხსნიდნენ დანაშაულთა გახსნის გაზრდით, ხოლო „ნაციონალები“ - სიტუაციის გაუარესებით. მაგრამ მოყვანილი არგუმენტები არ შეესაბამება არსებობის პირობების გაუარესობის რეალობას. გახსნილობას შეუძლია მხოლოდ გააშიშვლოს დანაშაულობის აისბერგი, ამ მოვლენის რაღაც დაფარული ნაწილი. მაგრამ არ შეეხოს არსებობის პირობების გაუარესობის სიდიდეს.

სხვა მხრივ, დანაშაულთა რიცხვის ზრდა არ შეიძლება იყოს საზოგადოებაში მდგომარეობის გაუარესების მაჩვენებელი, რამეთუ არსებობის პირობების გაუარესების წინაპირობები საქართველოში რეალურად არ შეცვლილა: არ აშენებულა ქარხნები, ფაბრიკები, მოსახლეობა ძირითადად დაკავებულია წვრილი წარმოებით და ვაჭრობით. სოფლის მეურნეობაში ისევ დომინირებს წვრილი კუსტარული წარმოება და ა. შ. უმუშევრობა ნარჩუნდება ერთსა და იგივე დონეზე. მოსახლეობის ნაწილის არსებობის წყაროს წარმოადგენს იმ პირთა შემოსავლები, რომლებიც სამუშაოდ საზღვარგარეთ წავიდნენ და ა. შ. მოკლედ, ქვეყანაში არა შექმნილი აღწარმოების მექანიზმი. ეკონომიკა ცალმხრივად ვითარდება მარო სოფლის მეურნეობისა და ვაჭრობის ხარჯზე, ხოლო სამრეწველო პროდუქციაზე მოთხოვნა კამყოფილდება საზღვარგარეთ არსებული წარმოებებით. ამ პირობებში უცვლელია მოსახლეობის არსებობის გაუარესების “ნორმა” და დანაშაულთა რიცხვის მერყეობა ვერ ასახავს რეალურ სურათს. დანაშაულთა რიცხვის მერყეობაზე აგებული დანაშაულობასთან ბრძოლის პოლიტიკა ყოველთვის იქნება უშედეგო. ამიტომ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არსებობის პირობების გაუარესობის კანონი ობიექტურია და მას ვერსად ვერ გავექცევით.

კრიმინოლოგია არ უნდა აგებდეს თავის პროგნოზს “სამართლებრივი ურთიერთობიდან”, სახელმწიფოს მხრიდან ნეგატიური პროცესებისადმი დამოკიდებულებიდან გამომდინარე, რადგანაც ამ მაჩვენებელზე გავლენას ახდენს მრავალი ფაქტორი, სახელმწიფო მმართველობის გადაცდომათა ჩათვლით. სამართლის სოციალური პროცესებისადმი დამოკიდებულების მაჩვენებელი წარმოადგენს იმ რალური ურთიერთობების გარეგნულ ფორმას, რომლებიც წარმოდგენილია დამახინჯებული სახით, რაც ზოგჯერ ეწინააღმდეგება საქმის არსს. აქ რეალობა ყოველთვის თავდაყირაა დაყენებული.

აშშ-ს დანაშაულობის სტატისტიკა აფიქსირებს საინტერესო კანონზომიერებას, რომელიც ადასტურებს ჩვენი დასკვნის სისწორეს, რომ არსებობის პირობების გაუარესობის სიდიდე არაა დამოკიდებული იმაზე, გამოხატულია თუ არა იგი დანაშაულთა დიდ ან ნაკლებ რაოდენობაში. ამ ქვეყანაში კრიზისების დროს (1960-1961, 1969-1970, 1973-1975, 1980-1982) დანაშაულობა იზრდებოდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ეკონომიკური კრიზისი დაკავშირებულია მოგების საერთო ნორმის შემცირებასთან, გასაგები გახდება, რას წარმოადგენს დანაშაულობის რეალური საფუძველი. [2]

მაგრამ, 90-იანი წლებიდან დაწყებული დანაშაულობა მცირდება, რაც კრიმინოლოგების გაუგებრობას იწვევს. მათ იგნორირება გაუკეთეს იმ ფაქტს, რომ ამ პერიოდში უფრო ინტენსიურად მოქმედებენ ხელფასის შემცირება, სამუშაო დროის შემცირება, არამონოპოლიზირებული სექტორის განვითარება, კაპიტალის გატანის გაფართოება და სხვა ფაქტორები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან მოგების ნორმის შემცირებას. სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, არსებობის პირობების გაუარესება რადენადმე რბილდება და ამის შედეგად დანაშაულობის დონე ძირს იწევს.

ეს კანონზომიერება აქამდე გაუგებარია სხვადასხვა შეფერილობის მქონე კრიმინოლოგებისათვის. სპონტანურად ჩამოიშალა ყველა კრიმინოლოგიური თეორია, როცა, 90-იანი წლებიდან დაწყებული დანაშაულობამ კლება დაიწყო. როგორც სტივენ ლევიტი წერს, წამყვანი ექსპერტები წინასწარმეტყველებდნენ დანაშაულობის ზრდას. მართლაც, წერს ს. ლევიტი, ასეთი შემცირება მოულოდნელად მოხდა. თუმცა ექსპერტებმა ვერ იწინასწარმეტყველეს ასეთი დაცემა, მაგრამ ჰიპოთეზების ნაკლებობა ნამდვილად არ იგრძნობოდა, სადაც ცდილობდნენ აეხსნათ დანაშაულობის შემცირების მიზეზები.

ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გავიხსენოთ ამერიკელი მეცნიერის ჯ. რიტცერის სიტყვები, როცა ის წერდა, რომ სოციალურ სისტემაში განვითარდა სიღრმისეული ტენდენციები, რომლებსაც შეუძლიათ შეცვალონ დევიაცია. ისინი აღმოჩნდებიან კონტროლის მიღმა ჩვეულებრივი სანქციების მხრიდან მოწონების ან არმოწონების და ჯილდის ან სასჯელის სახით. [4] ამასთან ნაცვლად იმისა, რომ გამოავლინონ „სიღრმისეული ტენდენციები“, რომლებსაც შეუძლია შეცვალონ დევიაცია“, კრიმინოლოგები დაკავებული არიან ზედაპირული მოვლენების შესწავლით, კერძოდ “შემცირების ასეთ ფაქტორებს აკუთვნებდნენ პატიმართა რაოდენობის ზრდას, კოკაინის ბაზრის ცვლილებებს, მოსახლეობის ასაკის ზრდას, ცეცხლსასროლი იარაღზე უფრო მკაცრ კანონებს, ძლიერ ეკონომიკას და პოლიციელთა რიცხვის ზრდას”.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Гегель Г.В.Ф. 1993. Лекции по философии истории. - СПб.: Наука.
2. <https://www.ncjrs.gov/pdffiles1/Digitization/129886NCJRS.pdf>
3. Социальная политика Рональда Рейгана в США 1980-х годов
4. Джордж Ритцер. Современные социологические теории <http://socioline.ru/book/dzhordzh-rittser-sovremennye-sotsiologicheskie-teorii>

გიორგი ბერიაშვილი,
ადვოკატი
დავით ძამუკაშვილი

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

საქართველოში არსებული საპატენტო უფლებათა მოპოვებასთან დაკავშირებული დავების განხილვის ზოგიერთი პრობლემური საკითხის შესახებ

რეზიუმე

სტატიაში გაშუქებულია ინტელექტუალური საკუთრების, კერძოდ, სამრეწველო საკუთრების საპატენტო სამართლის ინსტიტუტის ობიექტებზე - გამოგონება, სასარგებლო მოდელი უფლებათა მოპოვების პროცედურებთან დაკავშირებული ზოგიერთი პრობლემა და შემოთავაზებულია მათი აღმოფხვრის შესაძლო გზები. ამ სტატიაში განხილული პრობლემების აღმოფხვრა შესაძლებლობას მისცემს ჩვენს ქვეყანას, არ დაუშვას კორუფციული გარიგებების წარმოქმნის საკანონმდებლო საფუძვლების არსებობა, რაც ხელს შეუწყობს სამართლიანი გადაწყვეტილებების მიღებას ჩვენს ქვეყანაში, რაც თავის მხრივ, დადებითად იმოქმედებს გამომგონებელ შემოქმედთა მიერ მეწარმეობის წამოწყებასა და განვითარებაზე, კონკურენციის წახალისებაზე. გარდა ამისა, განხილული საკანონმდებლო ხარვეზების გამოსწორება მნიშვნელოვანწილად ჰარმონიზებულს გახდის საქართველოს ინტელექტუალურ სამართლებრივ კანონმდებლობას ევროკავშირის კანონმდებლობასთან.

პრობლემა

ამ სტატიის დაწერა გვიბიძგა სასამართლო საქმემ, რომელმაც არსებული პრობლემური საკითხები ნათლად დაგვანახა. ამ საქმეში განმცხადებელი (რომელმაც შეიტანა განაცხადი მცირე გამოგონების, ანუ სასარგებლო მოდელის დასაპატენტებლად) იცავს პატენტის მოპოვების კონსტიტუციურ უფლებას, ხოლო მისი მოწინააღმდეგე - ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“ იცავს პატენტის გაცემაზე უარყოფით „საკუთარ გადაწყვეტილებას“. სასამართლომ პროცესში მესამე პირად დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე ჩააბა პირი, რომელიც განმცხადებლის კონკურენტია და დაინტერესებულია, რომ პატენტი არ იყოს გაცემული. ამ მესამე პირმა შეიტანა სააპელაციო საჩივარი საქპატენტის სააპელაციო პალატაში და მოითხოვა, რომ არ ყოფილიყო გაცემული პატენტი განმცხადებლის სახელზე, რაზეც საქპატენტის ექსპერტიზას დადებითი გადაწყვეტილება ჰქონდა მიღებული, რის შემდეგაც გამოქვეყნდა მონაცემები სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენში. საქართველოს საპატენტო კანონის მე-40³ მუხლის მე-2 დე მე-3 პუნქტებით დადგენილი წესით, ამ გამოქვეყნების შემდეგ, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, სამი თვის განმავლობაში შეეძლო შედავებოდა პატენტის გაცემას საქპატენტის სააპელაციო პალატაში გასაჩივრების გზით (ან სასამართლოში), რაც მოხდა კიდევაც. საქპატენტის სააპელაციო პალატამ დააკმაყოფილა მომჩივანის მოთხოვნა. ამის

შემდეგ განმცხადებელმა მიმართა სასამართლოს. საქპატენტს ამ დავაში იურიდიული ინტერესი არ გააჩნია, სამაგიეროდ ეს ინტერესი საქპატენტში სააპელაციო საჩივრის შემტან პირს აქვს, რომელიც, აღნიშნული გარემოების გამო სასამართლომ მოიწვია მესამე პირად, მაგრამ ისეთად, რომელსაც მოთხოვნის წამოყენების უფლება არა აქვს. პრობლემა ამ კუთხითაც მოითხოვს განხილვას, რადგან, მოცემული მაგალითიდან ნათელია, რომ საქპატენტი სხვის ინტერესს იცავს, მაშინ, როცა ეს ორგანო არ შეიძლება იყოს რომელიმე პირის ინტერესის გამტარებელი.

ინტელექტუალური საკუთრების, კერძოდ, სამრეწველო საკუთრების ნებისმიერ ობიექტზე უფლებათა მოპოვება მოითხოვს გარკვეული პროცედურების ჩატარებას, რომელიც დაკისრებული აქვს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს „საქპატენტს“. საქართველოში დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, უფლებათა მოპოვების პროცედურების მსვლელობისას წარმოშობილი დავები ყველა შემთხვევაში განიხილება ადმინისტრაციულ სამართლებრივი წესით. უკვე ძალაში შესული უფლების გაქარწყლების (გაუქმება, გაბათილება) მოთხოვნით წამოწყებული დავები კი იხილება სამოქალაქო სამართლებრივი წესით. უფლებათა დარღვევასთან დაკავშირებული დავები იხილება სამოქალაქო სამართლებრივი პროცესის გამოყენებით და ამ სტატიაში განხილვის საგანი არ არის. პრობლემას წარმოადგენს უფლებათა მოპოვებასთან დაკავშირებული დავების ადმინისტრაციული პროცედურებით განხილვა, რადგან, ჩვენი შეხედულებით, არსებული ადმინისტრაციული პროცედურები წარმოშობს ორგვარ უარყოფით მოვლენას. ერთ შემთხვევაში საქპატენტი გამოდის უფლებათა მოპოვებლის (განმცხადებლის) მხარეზე, ხოლო მეორე შემთხვევაში იმ დაინტერესებული პირის მხარეზე, რომელმაც აღძრა დავა. შედეგად, უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანო - საქპატენტი ხდება „რომელიმე მხარის ინტერესების დამცველი“, რაც, ვფიქრობთ ცხადია, რომ უსამართლო ვითარებას ქმნის და კორუფციული გარიგების წარმოქმნასაც კი მნიშვნელოვანწილად უწყობს ხელს. არსებულ წესრიგს ამართლებენ იმით, რომ თითქოს, რადგან საქპატენტი აწარმოებს საპატენტო ექსპერტიზას, დავები ყოველთვის დაკავშირებულია მისი გადაწყვეტილების, ანუ ადმინისტრაციული აქტის გაუქმებასთან ან გაბათილებასთან, აქედან გამომდინარე მიჩნეულია, რომ ამგვარი დავა ყველა შემთხვევაში ადმინისტრაციულ სამართლებრივი პრცესუალური ნორმების გამოყენებით უნდა მიმდინარეობდეს და ერთ-ერთ მხარედ საქპატენტი უნდა გამოვიდეს. ქვემოთ წარმოვადგენთ ჩვენს მოსაზრებას თუ სინამდვილეში როგორ უნდა იყოს გადაწყვეტილი პრობლემა. იმისათვის, რომ ნათლად წარმოვაჩინოთ ჩვენი მოსაზრების ყველა მხარე ჯერ წარმოვადგენთ საპატენტო პროცედურის მოკლე მიმოხილვას და შემდეგ განვიხილავთ სხვა საკითხებს. საპატენტო პროცედურა იმიტომ ავირჩიეთ, რომ იგი მოიცავს გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის გარდა სამრეწველო საკუთრების სხვა ობიექტებზე: სასაქონლო ნიშანი, დიზაინი, მცენარეთა ახალი ჯიში, აგრეთვე, ინტეგრალური მიკროსქემების ტოპოლოგია უფლებათა მოპოვების პროცედურებისათვის დამახასიათებელ ყველა პროცედურულ საფეხურს.

დაპატენტების პროცედურა

საქართველოს საპატენტო კანონით დადგენილია პატენტის მიღების პროცედურა, რომელიც იყოფა ოთხ იურიდიულად მნიშვნელოვან საფეხურად და სქემატურად შემდეგნაირად გამოიყურება: განაცხადის ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა -- განაცხადში აღწერილი გამოგონების (მცირე გამოგონების) არსობრივი ექსპერტიზა -- გამოქვეყნება და მესამე პირების მიერ სამი თვის განმავლობაში შედავების შესაძლებლობა -- პატენტის გაცემა.

ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის იურიდიული მნიშვნელობა ის არის, რომ, თუ შეტანილი განაცხადი ისეთი ნაკლოვანებებით ხასიათდება, რომელთა გამოსწორებაც შეუძლებელია განცხადი უკუგდებული იქნება ისე, რომ ის შეტანილად არ ჩათვლება და სწორად გაფორმებული განაცხადისაგან განსხვავებით მას არც შეტანის თარიღი არ დაუდასტურდება და არც პრიორიტეტი წარმოეშობა. ამ ექსპერტიზის შედეგად მიღებულმა გადაწყვეტილებამ თუ არ დაკმაყოფილა განმცხადებელი მას უფლება აქვს გაასაჩივროს ექსპერტიზის გადაწყვეტილება საქპატენტის სააპელაციო პალატაში (სხვა პირი ამ დავაში ვერ ჩაერთვება იმიტომ, რომ საპატენტო კანონით დადგენილი წესით სანამ არ გამოქვეყნდება მონაცემები საქპატენტს არა აქვს უფლება განაცხადი გააცნოს მესამე პირებს). ეს პროცესი პირწმინდა ადმინისტრაციულ სამართლებრივია და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილ ნორმებს სრულად ექვემდებარება. შესაბამისად, სასამართლო დავაც, თუ ის აღიძრება, ადმინისტრაციულ სამართლებრივი იქნება. მხარეებად საქპატენტი და განმცხადებელი გამოვლენ, ხოლო დავის საგანი საქპატენტის გადაწყვეტილება იქნება.

არსობრივი ექსპერტიზის იურიდიული მნიშვნელობა ის არის, რომ განისაზღვროს განაცხადში წარმოდგენილი გამოგონების (მცირე გამოგონების) არსობრივი ფარგლები, ანუ დაცვის ობიექტი და დადგინდეს მისი შესაბამისობა სამრეწველო გამოყენებადობის, სიახლისა და საგამომგონებლო დონისადმი. საამისოდ ტარდება შემდეგი საქმიანობა: საქპატენტის ექსპერტი შეისწავლის განაცხადს, დაადგენს რამდენად სრულად არის აღწერილი გამოგონება (მცირე გამოგონება) და რამდენად შეესაბამება ამ კუთხით ის კანონით დადგენილ მოთხოვნებს. ამავე დროს, ექსპერტი განსაზღვრავს რამდენად პასუხობს დაცვის ობიექტი სამრეწველო გამოყენებადობის კრიტერიუმს. თუ ექსპერტი გადაწყვეტს რომ კანონის მოთხოვნა არ კმაყოფილდება, უკვე ამ დროს იგი გამოიტანს გადაწყვეტილებას საქმისწარმოების შეწყვეტაზე. ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის მსგავსად, პროცესში მხოლოდ განმცხადებელი და საქპატენტი მონაწილეობენ და დავა კვლავ შეიძლება მხოლოდ განმცხადებელმა აღძრას. ამ შემთხვევაშიც დავის საგანი მხოლოდ საქპატენტის გადაწყვეტილება იქნება, ხოლო მხარეებად მოგვევლინებიან განმცხადებელი და საქპატენტი.

არსობრივი ექსპერტიზის შემდეგი საფეხური საინფორმაციო ძიების ჩატარებაა - ტექნიკის დონის დასადგენად. ამასთან, საქართველოს საპატენტო კანონის თანახმად, გამოგონების შემთხვევაში ძიება ტარდება და ტექნიკის დონე დგინდება მსოფლიო მასშტაბით ცნობილი

საჯარო საინფორმაციო მონაცემების მიხედვით. ექსპერტი ამზადებს ჩატარებული ძიების შესახებ ანგარიშს, სადაც ინფორმაციის წყაროს ჩვენებით უთითებს თუ რა ანალოგიური ობიექტები იქნა მოძიებული, რომლებთანაც შედარებითაც მოგვიანებით გამოაქვს პატენტის გაცემის შესახებ ან საპირისპირო გადაწყვეტილება. ამ წესით გადაწყვეტილების გამოტანამდე საქპატენტი უგზავნის ძიების ანგარიშს განმცხადებელს, რომელიც იქმნის ტექნიკის დონის შესახებ სრულ სურათს და ან შეაქვს კორექტივები საგანაცხადო მასალებში, მისთვის მიწოდებული ინფორმაციის გათვალისწინებით, ან ტოვებს ყველაფერს უცვლელად. ამის შემდეგ, განმცხადებელი საკუთარ მოსაზრებას აცნობს ექსპერტს, რომელიც ადგენს დასკვნას ტექნიკის დონის შესახებ, რომელშიც იძლევა სავარაუდო შეფასებას სიახლის კრიტერიუმის მიმართ. შეფასებისას ექსპერტი ცალ-ცალკე ადარებს გამოვლენილ ანალოგებს აღწერილ გამოგონებას. თუ სახეზე არ არის შესადარებელი ობიექტების არსებითი ნიშნების სრული დამთხვევა სიახლისადმი შესაბამისობა უეჭვოა. სიახლის შესახებ წინასწარი შეფასება ეგზავნება განმცხადებელს ტექნიკის დონის შესახებ დასკვნასთან ერთად. განმცხადებელს შეუძლია შეეპასუხოს ექსპერტს ან დაეთანხმოს მას. ამგვარი პროცედურა მცირე გამოგონების მიმართაც ტარდება, ოღონდ საპატენტო კანონის მიხედვით საინფორმაციო ძიება და ტექნიკის დონის დადგენა ტარდება მხოლოდ საქპატენტში შეტანილი განაცხადებისა და გაცემული პატენტების მიმართ [1]. საქპატენტის უფლებამოსილება სიახლის მიმართ გადაწყვეტილების გამოტანასთან დაკავშირებით ამ ფარგლებს არ შეიძლება გასცდეს. საპატენტო ექსპერტიზის ამ საფეხურზე შედავებასთან დაკავშირებული ვითარება სრულად ემთხვევა წინა საფეხურებთან არსებულს და დავა მხოლოდ ადმინისტრაციულ სამართლებრივია, სასამართლოში ისევ საქპატენტი და განმცხადებელი იქნებიან მხარეებად.

საპატენტო კანონი საქპატენტს უფლებამოსილებას არ ანიჭებს გამოიტანოს გადაწყვეტილება საგამომგონებლო დონის მიმართ. ამიტომ ტექნიკის დონის შესახებ დასკვნაში იგი არ იძლევა ამ კრიტერიუმის შეფასებას. კანონით ნაგულისხმებია, რომ განმცხადებელი თავად შეაფასებს საკუთარი გამოგონების საგამომგონებლო დონეს და, თუ დარწმუნდება, რომ ამ კრიტერიუმს იგი არ პასუხობს, მოერიდება შემდგომი ხარჯების გაწევას და თავად გაიხმობს საკუთარ პატენტს. მაგრამ, იმის გათვალისწინებით, რომ ზოგიერთი განმცხადებელი აღნიშნული ხარჯების გაწევას არ გაეცევა, განაგრძობს ექსპერტიზას (ან შეატყობინებს, რომ მისი აზრით საგამომგონებლო დონეს გამოგონება შეესაბამება, ან არაფერს არ უპასუხებს, რაც იმის მანიშნებელი იქნება, რომ მას პატენტის მიღების სურვილი აქვს) და მიიღებს გასაბითელებელ პატენტს. საპატენტო კანონში 2010 წლის ცვლილებებით შევიდა ნორმა, რომელიც საქპატენტის ექსპერტს აძლევს უფლებას შეაფასოს საგამომგონებლო დონე იმ შემთხვევაში, როდესაც მას შეექმნება სრული შთაბეჭდილება, რომ გამოგონება თუ მცირე გამოგონება იმდენად დაბალი საგამომგონებლო დონისაა, რომ მისი ცოდნიდან გამომდინარე არ შეიძლება ამგვარმა გამოგონებამ (მცირე გამოგონებამ) დააკმაყოფილოს საგამომგონებლო დონის კრიტერიუმი. ექსპერტმა რომ ეს უფლებამოსილება განახორციელოს უნდა წერილობითი დასაბუთებით მიმართოს ხელმძღვანელობას და იშუამდგომლოს, რომ მიიღოს ექსპერტიზის ამ კუთხით გაგრძელების ნებართვა[2]. თუ მას ხელმძღვანელობა დაეთანხმება

ექსპერტი ასეთ ნებართვას მიიღებს და გამოიტანს საგამომგონებლო დონის მიმართ გადაწყვეტილებასაც.

ზემოთ განხილული პროცედურების ჩატარების შემდეგ ექსპერტიზის მომდევნო საფეხურია მიღებული გადაწყვეტილების შესაბამის ობიექტზე პატენტის გაცემის შესახებ საჯარო ინფორმაციის გამოქვეყნება, რომლის შემდეგაც დაინტერესებულ მხარეს წარმოეშობა უფლება გაეცნოს განმცხადებლის მიერ საქპატენტში შეტანილ ყველა საგანაცხადო მასალას, მიების ანგარიშს, ტექნიკის დონის შესახებ დასკვნას და, თუ საჭიროდ ჩათვლის შეეწინააღმდეგოს პატენტის გაცემას. პირობითად რომ ითქვას, ექსპერტიზაში ერთვის დაინტერესებული პირი, რომელსაც აქვს უფლება საქპატენტის სააპელაციო პალატაში საჩივრის შეტანითვე მიაღწიოს მიზანს ან აირჩიოს სასამართლოსადმი მიმართვის გზა. ამ სტატიის მიზნებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ამ საფეხურთან დაკავშირებული შესაძლო დავების პროცედურაა პრობლემატური და დაწვრილებითი ანალიზის საგანი. გამოქვეყნების შემდეგ განმცხადებელს ექსპერტიზასთან სადაო აღარაფერი არა აქვს - იგი ელოდება დადგენილი სამი თვის გასვლას და იცის, რომ, თუ შედავება არ იქნება წამოწყებული დაინტერესებული პირის მიერ, იგი პატენტს მიიღებს, რომლის მონაცემებიც შეიტანება სამრეწველო საკუთრების ობიექტების რეესტრში, რომელსაც აწარმოებს საქპატენტი. დავა შეიძლება დაინტერესებულმა პირმა აღძრას, რომლის მიზანიც საქპატენტის გადაწყვეტილების ბათილობა ან გაუქმება კი არ არის, არამედ პატენტის არგაცემის მიღწევაა. მაშასადამე, ადმინისტრაციული აქტის გაუქმების ან გაბათილების ინტერესი კი არ ამოდრავებს დაინტერესებულ პირს, არამედ მას სურს თავიდან აარიდოს მისი საქმიანობის ხელშემშლელი პატენტის არსებობა, რომელიც აიძულებს მას ან საკუთარი სხვა გამოგონება შექმნას, რაც დიდ დროსა და დანახარჯებს მოპითხოვს, ანდა პატენტის მფლობელს მიმართოს სალიცენზიო ხელშეკრულების დასადებად, რაც დამატებით ფინანსურ ხარჯებთან იქნება დაკავშირებული. სააპელაციო შედავების სამართლებრივი წესი და საფუძვლები მოცემულია საქპატენტო კანონში[3].

საქპატენტი

იმისათვის რომ გავერკვეთ რომელ ურთიერთობესთან გვაქვს საქმე სააპელაციო ან სასამართლო დავის დროს, როდესაც გამოქვეყნების შემდეგ დაინტერესებული პირი აღძრავს საქმეს, საჭიროა გამოვყოთ თუ რა უფლებები და მოვალეობები აკისრია საქპატენტს, როგორც ურთიერთობათა სუბიექტს. კერძო და სამართლებრივი ურთიერთობების გამიჯვნის ერთ-ერთი აღიარებული საშუალებაა ინტერესთა თეორია, რომლის მიხედვითაც გამიჯვნისათვის საკმარისია გაირკვეს თუ ვისი ინტერესები დგას წინა პლანზე [4, 42], საჯარო თუ კერძო პირისა. მოცემულ შემთხვევაში საქპატენტის იურიდიული ინტერესი, როგორც საჯარო სამართლის სუბიექტისა ვერც შეილახება და ვერც შეიცვლება, ანუ პატენტი გაიცემა თუ არა საქპატენტის სამართლებრივი მდგომარეობა არანაირად არ შეიცვლება. აქედან გამომდინარე, მისი დავაში ჩაბმა მხარის სახით საპროცესო სამართლებრივი კუთხით გაუმართლებელია. ისმის კითხვა, როგორ დაიცავს თავის ინტერესსა თუ უფლებას

საპატენტი, როდესაც მისი ინტერესი და უფლება-მოვალეობები არ შეიძლება შეილახოს მოცემული ურთიერთობის შედეგის მიხედვით?. საერთოდ, მეცნიერულ ლიტერატურაში და მსოფლიო პრაქტიკაში უპირობოდ არის აღიარებული, რომ საპატენტო უწყებები თავისი საქმიანობის მიხედვით წარმოადგენენ ე.წ. „კვაზი სასამართლოებს“, რადგან ისინი სასამართლოებისათვის დამახასიათებელი უფლებამოსილებებით ებმებიან ურთიერთობებში.¹ მათი მოვალეობაა მიიღონ განაცხადები, შეამოწმონ მათი გაფორმების შესაბამისობა კანონისადმი და შემდეგ, განმცხადებლის მიერ ჩამოყალიბებული გამოგონების ფორმულის მიხედვით² გამოიკვლიონ გარემოებები (მოიძიონ რა ანალოგიური ობიექტები არსებობს), შეისწავლონ გამოგონების არსი და გამოიტანონ ობიექტური გადაწყვეტილება. თუ კანონით დადგენილ ფარგლებში მესამე პირი საპატენტო უწყებას მოსთხოვს განიხილოს მისი საჩივარი, მხარეებად განმცხადებელი და მომავალი პატენტის მფლობელი გამოდიან, ხოლო საპატენტო უწყება (ჩვენს შემთხვევაში საქპატენტი) მოსამართლის როლს ასრულებს, ადგენს ვის მხარეს არის ჭეშმარიტება და გამოაქვს სამართლიანი გადაწყვეტილება, რომელიც რომელიმე მხარის ინტერესების შესაბამისი იქნება და არც ერთ შემთხვევაში არ შეეხება საქპატენტის ინტერესებს. ამ მიზეზთა გამო მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ არის დაწესებული, რომ საპატენტო უწყება მხარედ გამოვიდეს. მას არც იმის უფლება აქვს, რომ მოიძიოს დამატებითი ფაქტები და მოდავე მხარის ნაცვლად ჩამოაყალიბოს მოთხოვნები, წარუდგინოს და დაიცვას ისინი სასამართლოში, რადგან ასეთ შემთხვევაში რომელიმე მოდავე მხარის ინტერესების გატარებას მოემსახურება.

საპატენტო უწყებაში წარმოებული შედავების პროცესი.

საპატენტო უწყებებთან დავა შეიძლება განმცხადებელმა ან მესამე პირმა აღძრას. პირველი შემთხვევის შესაბამის ურთიერთობაში საპატენტო უწყება ადმინისტრაციული ორგანოს ფუნქციას ასრულებს და შედავებაც ადმინისტრაციული პროცესით მიმდინარეობს. სასამართლოში დავის გაგრძელებაც ადმინისტრაციული წესით წარიმართება. **საქართველოში ამ მიმართებით პრობლემა არ არსებობს.** მეორე შემთხვევაში, როდესაც დავა წამოიწყება მესამე პირის მიერ ვითარება იცვლება და ურთიერთობა სამოქალაქო სამართლებრივი ხასიათისაა - ერთი მხარე, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე ითხოვს რომ პატენტი არ გაიცეს, ხოლო მეორე მხარე დაინტერესებულია მიიღოს პატენტი, რომლის გაცემის შესახებაც მესამე მხარისათვის ცნობილი გახდა საპატენტო უწყების მიერ ოფიციალური გამოქვეყნების შემდეგ.

-
1. შენიშვნა: გამოგონების ფორმულა სასარჩელო მოთხოვნის როლს ასრულებს, რადგან უწყებას ექსპერტიზის დროს არა უქვს უფლება გასცდეს მის ფარგლებს, აღსანიშნავია, რომ ინგლისურად სასარჩელო მოთხოვნა და გამოგონების ფორმულა ერთიდაიგივე ტერმინით გამოიხატება „Claims“.
 2. ის, რომ საპატენტო უწყება დავის პროცესში მხარედ არ ებმის ნათელი ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის მიერ მსოფლიო გამოცდილების ამსახველი გამოცემიდან: WIPO Intellectual Property Handbook, WIPO Publication No 489(E), Wipo, Geneva, 2004, p. 221.

საქართველოს საპატენტო კანონის მიხედვით, ამ შემთხვევაშიც დავა ორგვარი თავისებურებით ხასიათდება. ერთ შემთხვევაში დაინტერესებული პირი ასაჩივრებს საქპატენტის გადაწყვეტილებას იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც იყო ეს გადაწყვეტილება მიღებული.³ აქ თითქოს დავა წმინდა ადმინისტრაციულ სამართლებრივია, მაგრამ მსოფლიოში გავრცელებული პრაქტიკიდან გამომდინარე, რომელიც ქვეყნებს კანონის ნორმებით აქვთ განმტკიცებული, საპატენტო უწყება კვლავ მხოლოდ სასამართლოს ფუნქციას ასრულებს, ხოლო მხარეებად განმცხადებელი და დაინტერესებული პირი გვევლინება. საპატენტო სამართლის სრულყოფაზე მომუშავე ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის მუდმივმოქმედმა კომიტეტმა 2011 წელს გამოაქვეყნა მე-17 სესიაზე განხილული დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია მსოფლიოში არსებული საპატენტო შედავებების სისტემების ანალიზი, დაყრდნობილი უშუალოდ ქვეყნების მიერ წარდგენილ ინფორმაციაზე[5]. ამ დოკუმენტში განხილულია მოცემული შემთხვევის ანალოგიური ურთიერთობის მომწესრიგებელი წესები, მათ შორის გვსურს ყურადღება შევაჩეროთ აშშ-ის მაგალითზე. საპატენტო უწყება დავას არსებითად გადაწყვეტს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დარწმუნდება, რომ მომჩივანი საპატენტო ექსპერტიზის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან შედარებით რაიმე ახალ გარემოებაზე აფუძნებს საკუთარ მოთხოვნას. ამ საქმეში გასარკვევად მომჩივანის შედავება განმცხადებელს ეგზავნება, რომელიც საკუთარ მოსაზრებებს წარუდგენს საპატენტო უწყებას და ამის გათვალისწინებით, მხარეთა დასწრების გარეშე, მიიღება გადაწყვეტილება. დავის სასამართლოში გაგრძელების შემთხვევაც სპეციალური ნორმებით წესრიგდება, რომლებიც სამოქალაქო საპროცესოს მსგავსია და საპატენტო უწყება მოპასუხედ არ გამოდის, რადგან, როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, აღიარებულია, რომ იგი სამართალწარმოების „კვაზი“ ორგანოა. ეს წესი პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების წესის ამსახველია - სასამართლო ხომ პროცესში მხარედ არ მონაწილეობს არც სამოქალაქო და არც ადმინისტრაციული დავის შეწმთხვევაში. სამაგიეროდ, კანონი არ იძლევა სხვისი კერძო ინტერესების დაცვის დაკისრების ვალდებულებას სახელმწიფო ორგანოსათვის - საპატენტო უწყებისათვის.

საქართველოს საპატენტო კანონით გათვალისწინებულ მეორე შემთხვევაში დაინტერესებული პირი საქპატენტის გადაწყვეტილებას კი არ ასაჩივრებს, არამედ იმ გარემოებების შესწავლის საფუძველზე, რომლებზეც საქპატენტს არ უმსჯელია, საპატენტო კანონის მე-40³ მუხლის მე-3 პუნქტის პირობების საფუძველზე მოითხოვს პატენტუნარიანობის შეფასებას და პატენტის არ გაცემას, წარდგენილი დასაბუთებისა და

3. საქართველოს საპატენტო კანონი, მუხლი 35, პუნქტი 1² ”ტექნიკის დონის განსაზღვრისას საქპატენტი ატარებს კვლევას და სიახლის ექსპერტიზას. თუ დადასტურდა, რომ განაცხადი აკმაყოფილებს სიახლის ექსპერტიზის მოთხოვნებს, საქპატენტი იღებს გადაწყვეტილებას პატენტის გაცემის შესახებ.”

მტკიცებულების მიხედვით.⁴ ამ ნორმიდან ცხადია, რომ საქპატენტი (სააპელაციო პალატის სახით) არ არის უფლებამოსილი და ადმინისტრაციული ორგანოს ჩვეულებრივ უფლებამოსილებას მოკლებულია, რომ თავად გამოიკვლიოს საგამომგონებლო დონესთან დაკავშირებული ყველა გარემოება, მოიპოვოს შესაბამისი მტკიცებულებანი და ისე შეაფასოს მომჩივანის მიერ მოთხოვნილი გამოგონების შესაბამისობა საგამომგონებლო კრიტერიუმისადმი. ეს დანაწესი სავსებით ლოგიკურია, წინააღმდეგ შემთხვევაში ექსპერტიზის პროცედურის საინფორმაციო მოძიების საფეხურის ხელახლა განხორციელება მოუწევს. ამ შემთხვევაში, იგულისხმება, რომ საპატენტო უწყებამ, ჩვენს შემთხვევაში, საქპატენტის ექსპერტიზამ გადაწყვეტილება სამრეწველო გამოყენებადობისა და სიახლის შეფასების საფუძველზე კანონის სრული დაცვით გამოიტანა და, თუ მომჩივანი მხოლოდ საგამომგონებლო დონის მიმართ აყენებს მოთხოვნას, მაშინ მას არა აქვს ექსპერტის აღნიშნული გადაწყვეტილების მიმართ შეწინააღმდეგების საფუძველი. სამაგიეროდ საპატენტო კანონი აძლევს მას უფლებას საქპატენტს ჩაატარებინოს საგამომგონებლო დონის კრიტერიუმის შემოწმება, რასაც ექსპერტმა ვერ გააკეთებდა, რადგან, როგორც აღნიშნეთ, კანონი ასეთ უფლებამოსილებას არ ანიჭებს. ასეთი პროცედურა სხვა ქვეყნებშიც არსებობს და პროცესში საპატენტო უწყება არსად არ ერთვის მხარედ. განხილული წესი სრულიად სამართლიანია, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, საპატენტო უწყება თავისუფლად შეიძლება გაურიგდეს ნებისმიერ მხარეს და მისი ინტერესის გატარების სანაცვლოდ გამოიტანოს მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილება. მითუმეტეს, რომ საგამომგონებლო დონე იმდენად თავისებური შეფასების კრიტერიუმია, რომ გადაწყვეტილების გამომტანს ვერასოდეს ვერ დაუმტკიცდება, რომ ის ანგარებით მოქმედებდა (სინამდვილეში ეს რომც ასე იყოს).

არსობრივ დავებთან გახილულ ყველა შემთხვევაში საქპატენტი არ შეიძლება მოპასუხედ გამოვიდეს სასამართლოში, იგი ვალდებულია მხოლოდ თავისი შეხედულება აცნობოს სასამართლოს, რომელიც გაითვალისწინებს მას და დაინტერესებული პირის დასაბუთებასთან ერთად გაითვალისწინებს გადაწყვეტილების გამოტანის დროს. სრულიად დაუშვებელია ნამდვილი დაინტერესებული პირი არ იყოს ამ დავის მხარე და არ ჰქონდეს მას დამოუკიდებელი მოთხოვნის წაყენების უფლება. ამ აზრის გამოთმის აუცილებლობისაკენ გვიბიძგა მცხეთის რაიონულ სასამართლოში გამართულ პროცესზე ა.წ. 05 თებერვალს განმცხადებლის წარმომადგენლად მონაწილეობამ, რომელიც ეხებოდა მისი სასარგებლო მოდელის პატენტის გაცემაზე საქპატენტის სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების

⁴ საქართველოს საპატენტო კანონი, მუხლი 40³, პუნქტი 3 ". დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს, მიმართოს სააპელაციო პალატას, შეაფასოს პატენტუნარიანობის ის კრიტერიუმები, რომლებზედაც არ უმსჯელია ექსპერტს საპატენტო ექსპერტიზის ჩატარებისას, და ამის საფუძველზე მოითხოვოს პატენტის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანა. სააპელაციო პალატის მიერ პატენტუნარიანობის კრიტერიუმების შეფასებისას გაითვალისწინება მხოლოდ დაინტერესებული მხარის მიერ წარმოდგენილი დასაბუთება, რომელიც ეფუძნება შესაბამის დოკუმენტებს."

გასაჩივრებას. დაინტერესებული პირი, რომელმაც სააპელაციო საჩივარი აღძრა და რომელიც სააპელაციო პალატამ დაუკმაყოფილა, დავის მონაწილედ სასამართლომ მესამე პირად ჩააბა დამოკიდებული მოთხოვნის გარეშე. ვითარება ისეთი შეიქმნა, რომ საქპატენტს მხოლოდ სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების სისწორე უნდა დაეცვა, მაგრამ ის ყველა ღონეს ხმარობდა, რომ "საკუთარი მუნდირის ღირსება დაეცვა" და, ფაქტობრივად, დამატებით ისეთ გარემოებებს იშველიებდა, რომლებიც დავაში ჩაბმულ მხოლოდ მესამე პირს შეიძლება სცოდნოდა, რადგან ისინი წარდგენილიც არ ყოფილა და საქპატენტს არ განუხილია სააპელაციო საჩივარზე საქმის წარმოებისას. გამოვიდა, რომ საქპატენტი დაინტერესებული პირის კერძო სამართლებრივი ინტერესის დაცვას ემსახურებოდა მნიშვნელოვანწილად, მასთან ერთად ცდილობდა დაეზნა მოსარჩელეცა და სასამართლოც და, ფაქტობრივად კერძო პირის "ადვოკატად" მოგვევლინა. სასამართლომ თავისი გადაწყვეტილება ა.წ. 17 თებერვალს უნდა გამოაქვეყნოს.

დასკვნა და რეკომენდაციები

ეს სტატია დაიწერა საკითხის იმ დონეზე დასმის მიზნით, რომ წარმოჩენილიყო საქართველოში არსებული დავების განხილვის საკანონმდებლო ხარვეზები, რამაც დაამკვიდრა სამართალწარმოების ისეთი პრაქტიკა, რომლის შედეგადაც სახელმწიფო ორგანო - საქპატენტი, როგორც წესი, ცდილობს საკუთარი გადაწყვეტილება დაიცვას "რადაც არ უნდა დაუჯდეს". ასეთ მიდგომას კი შედეგად მოაქვს მისი იმ მხარის სასარგებლოდ მოქმედება ვისთვისაც იყო ხელსაყრელი მასტან არსებული სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება. ამგვარი ვითარება აუცილებლად მოითხოვს გამოსწორებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, დიდი ალბათობაა, რომ საქპატენტი კორუფციული გარიგებების მრავალი შემთხვევის ორგანოდ წარმოჩინდეს. რადგან საპატენტო დავების ზემოთ აღწერილი თავისებურებები იმდენად სფეციფიკურია, რომ ძნელია თეორიულადაც კი ზუსტად გაირკვეს როდის რა სახის სამართალწარმოების წესების გამოყენებაა საჭირო (ადმინისტრაციულია თუ სამოქალაქო სამართლებრივისა) აუცილებელ ღონისძიებად გვესახება სპეციალურ კანონებში არსებული საქპატენტში შედავებებისა და შეწმდგომ სასამართლოში განხილვის პროცესული ნორმები გადაიხედოს, ხოლო ამავე კანონებში ანდა ადმინისტრაციულ და სამოქალაქოსაპროცესო კოდექსებში ჩაირთოს ნორმები, რომლებიც გაითვალისწინებს ინტელექტუალური სამართლის ობიექტების თავისებურებების ამსახველ, სხვა ქვეყნებში ფართოდ გავრცელებულ სამართლიან, თანამედროვე წესებს. ეს ამოცანა რომ წარმატებით შესრულდეს საჭიროა გულმოდგინედ იქნეს შესწავლილი სხვა ქვეყნების, მათ შორის, ევროკავშირის ქვეყნების ეროვნული და საერთაშორისოდ აღიარებული თანამედროვე პროცედურები და შესაბამისად აისახოს ისინი საქართველოს კანონმდებლობაში. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა საშუალებას მისცემს ჩვენს ქვეყნას ერთდროულად შეასრულოს ევროკავშირის კანონმდებლობასთან საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციის ვალდებულებანი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს საპატენტო კანონი, 71¹ მუხლის მე-8 პუნქტი.
2. იქვე, მუხლი 35, პუნქტი 1³.
3. იქვე, მუხლი 40³.
4. ჭანტურია ლ. 1997. *შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში*. თბილისი: სამართალი. გვ. 42.
5. SCP/17/9, Standing Committee on the Law of Patents, Seventeenth Session, Geneva, December 5 to 9, 2011, Opposition Systems. Document prepared by the Secretariat

მანანა კოპალიანი

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

მოქალაქეთა კატეგორიები რომის სამართალში

რეზიუმე

აღნიშნულ ნაშრომში საუბარია რომში მცხოვრებ მოქალაქეებზე, მათ იერარქიულ დაყოფასა და კატეგორიებზე; უძველესი დროიდან არსებულ დაპირისპირებაზე რომში მცხოვრებ დიდგვაროვან წევრებსა და მდაბიო ფენას შორის. ასევე, დახასიათებულია კლიენტთა და მხედართა ფენა, მათი ყოფა და მნიშვნელობა რომის სახელმწიფოში. რომის პრივილეგირებულ მოქალაქეთა სენატში მოხვედრისა და დაწინაურების წესი. აქვე განხილულია მონობა, მონად ქცევისა და მონობის უღლისაგან დაღწევის გზები. ვფიქრობთ, აღნიშნული სტატია რომის მოქალაქეთა კატეგორიების დახასიათებით, საინტერესო და მნიშვნელოვანია, როგორც სამართლის სკოლის სტუდენტებისათვის, ასევე რომის სამართლით დაინტერესებულ პირთათვის!

რომის სამართლის ისტორიის პერიოდი ხასიათდება რომის მოსახლეობის ორ ნაწილად დაყოფით, პატრიციებად და პლებეებად. სავარაუდოდ, ეს დაყოფა უნდა მომხდარიყო ეთნიკურ ნიადაგზე, ასეთ ცნობას გვაწვდის რომის სამართლის უნიკალური წყარო „თორმეტი ტაბულის კანონები“, სხვა არანაირ ინფორმაციას წყაროები არ გვაწვდიან (მაგ. პლებეები იყვნენ ლათინური წარმოშობის, ხოლო პატრიციები საბინთა ტომის, ან პირიქით...)[7]

რომაული წყაროების თანახმად, პლებეები არ განიხილებიან, როგორც უცხო ტომის წარმოშობის ადამიანები, ისინი მსგავსად პატრიციებისა ითვლებოდნენ რომის მოქალაქეებად. განსხვავება მათ შორის მდგომარეობდა პოლიტიკური,სოციალური და ეკონომიკური ნიშნით. [1]

ისეთი გამორჩეული და ნაღები ფენა რომის სამართლის ისტორიაში,როგორცაა პატრიციები განეკუთვნებოდა დიდგვაროვანთა შტოს.შესაბამისად, ისინი ფლობდნენ დიდძალ ქონებას,რაც გამოიხატებოდა მიწის ნაკვეთების,მონებისა და საქონელის უხვად ქონაში. გარდა მდიდარი ქონებრივი მდგომარეობისა,პატრიციები სამართლებრივად დაწინაურებულ ფენასაც წარმოადგენდა,კერძოდ სწორედ პატრიციებს გააჩნდათ გავლენა რომში არსებულ კანონმდებლობაზე,სასამართლოში გამოსვლის შესაძლებლობა და საარჩევნო ხმის უფლება[2].

რაც შეეხება პლებეებს ისინი ხელოსნობასა და მიწათმოქმედებას მისდევდნენ. ზოგიერთი შედარებით უკეთესი ეკონომიკური შესაძლებლობის მქონე პლებეი მცირე ბიზნესითაც იყო დაკავებული,თუმცა მათი ბიზნესი, რომში არსებული ხშირი საომარი მდგომარეებიდან გამომდინარე,იოლად ექცეოდა შესაძლო გაკოტრების რისკის ქვეშ.რადგან მათ არ ჰყავდათ მონები და დამხმარე ძალა, რაც საგანგებო ვითარების დროს ბიზნესის შენარჩუნებაში დაეხმარებოდა. გარდა ამისა,მათ არ გააჩნდათ მოქალაქეობრივი უფლებები: არ გააჩნდათ ქორწინების უფლება პატრიციებთან (შერეული ქორწინება პატრიციებსა და პლებეებს შორის თორმეტი ტაბულის კანონების თანახმად იკრძალებოდა),არ შეეძლოთ სახელმწიფო მმართველობაში მონაწილეობის მიღება,არ გააჩნდათ პასიური და აქტიური საარჩევნო ხმის უფლება[5].

რესპუბლიკის პერიოდის პირველ წლებში,ღარიბ პლებეებთან რიცხვმა იმატა,იმავედროულად ზოგიერთი პლებეური ოჯახი გამდიდრდა და პატრიციებს გაუტოლდა.ამან გამოიწვია დამაბულობა და დაპირისპირება პატრიციებსა და პლებეებს შორის,რაც გადაიზარდა გრძელვადიან ბრძოლაში პატრიციებისა და პლებეების განსხვავებული უფლებების მოსპობისათვის. ჩვ.წ.აღ.-მდე 471 წ, პლებეებს მიენიჭათ საკუთარი ყრილობის მოწვევის უფლება, ე/წ “Plebis”კონსილიუმისა,და მასზე საკუთარი წარმომადგენლის არჩევის შესაძლებლობა,რომელიც,ცხადია,პლებეებთან უფლებებს დაიცავდა საკუთარი ხელისუფლების განხორციელების ფარგლებში, მათ ჩვენამდე მოაღწიეს ტრიბუნის სახელით[6].

პლებეებისათვის მნიშვნელოვან მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს წერილობითი ჩანაწერი თორმეტი ტაბულის კანონებში,რომელიც უფლებამოსილად მიიჩნეოდა პლებესის ტრიბუნს,გაცნობოდა კანონებს,რომელიც კანონებიც ეფექტურად დაიცავდა პლებეებთან უფლებებს იმ პატრიციათა კატეგორიისაგან,რომლებიც მაგისტრატები ან სასულიერო პირები იყვნენ და ბოროტად იყენებდნენ მათთვის მინიჭებულ ხელისუფლებას[5].

აქვე უნდა აღნიშნოს, რომ ჩვ.წ.აღ.-მდე 367წ მიღებულ იქნა ე/წ „Leges Licinia Sextae”, რომლის საფუძველზეც პლებეებს მიეცათ მაგისტრატურაში მოღვაწეობისა და მაგისტრად არჩევის შესაძლებლობა, და ასევე უფლება კონსულად გახდომისა.

ხოლო, „Lex Canuleia”-თი დასაშვები გახდა ქორწინება პატრიციებსა და პლებეებს შორის, რაც, რაღა თქმა უნდა, ხაზს უსვამდა პლებეებთან უფლებრივი მდგომარეობის გაზრდას.

რომის სამართლის ძირითადი წყაროს, “თორმეტი ტაბულის კანონების” გარდა, რომის მოქალაქეების უფლებრივ მდგომარეობაზე მნიშვნელოვან ცნობას გვაწვდის ე/წ „გორტინის კანონები”, რომელიც წარმოადგენდა კრებულს ძველბერძნული კანონებისა, დაიწერა ქალაქ გორტინში, კუნძულ კრეტაზე, მისი სახელწოდებაც სწორედ აქედან მოდის და მოქმედებდა ძვ.წ.აღ-ით მეხუთე საუკუნეში.[5]

“გორტინის კანონების” თანახმად, პლებიციისტი აუცილებელ საჭიროებად ითვლებოდა მთლიანად მთელი რომაული საზოგადოებისათვის, მათ შორის პატრიციებისა და პლებეებისათვის.

ავლნიშნავთ, რომ

პლებიციისტი არის კენჭისყრით საერთო-სახალხო გამოკითხვა განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხებზე. მაშასადამე, ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე პოლიტიკური განსხვავება პატრიციებსა და პლებეებს შორის სამუდამოდ გაქრა, თუ არ ჩავთვლით მათ სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობას. ცხადია, მოქალაქეებს შორის იქნებოდა ქონებრივი განსხვავება, ანუ ვხვდებოდით მდიდარსა და ღარიბ ფენას.[7]

ცნობილია, რომ რომის ქალაქ-სახელმწიფომ განვითარებასთან ერთად, თანდათან იწყო მის გარშემო არსებული და მოსაზღვრე ტერიტორიების დაპყრობა, და საზღვრებიც შესაბამისად გააფართოვა, კერძოდ ეს ეხება ცენტრალურ და სამხრეთ იტალიის მიწებს. ჩვენ განვიხილეთ რომის ორი მნიშვნელოვანი ფენის პატრიციებისა და პლებეების უფლებრივი მდგომარეობა რომის სახელმწიფოში, ასევე საინტერესოა ჩვენთვის შემოერთებულ მიწებზე მცხოვრებთა ბედი და მათი სამართლებრივი სტატუსი. უნდა აღნიშნოს, რომ ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ ტომებს ჰქონდათ სრული უფლება არსებული კანონმდებლობის შესატყვისად ემოქმედათ, და ის სტატუსიც შეენარჩუნებინათ, რაც გააჩნდათ. თუმცა იმავდროულად, შეეძლოთ რომის მოქალაქეებისათვის განკუთვნილი ის პრივილეგიები გამოეყენებინათ, რასაც მათ რომაული სამართალი თავაზობდა. სწორედ, ასეთი რეალური სურათი იძლევა სრულიად ახალი ფენის ჩამოყალიბებას, რომელიც რომის სამართლის ისტორიაში, ცნობილია, როგორც კლიენტთა (“Clientes”) ფენა! ხოლო თავად მოვლენა, როგორც „Clientela”[4].

საინტერესოა, ვინ იყვნენ კლიენტები(“clientes”)? კლიენტები იყვნენ უცხო ტომის შვილები,რომელთაც მიეცათ დიდი შანსი რომაული სამართლით ესარგებლათ და საკუთარი უფლებები დაეცვათ.[6]

რესპუბლიკის პერიოდის დასაწყისში რომში, დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლებისათვის(„პლებეი“)რომის მოქალაქეობა უფლებების დაცვასა და მაღალი თანამდებობის მოპოვებასთან ასოცირდებოდა[2]. მით უმეტეს,კლიენტატის რომის მოქალაქეობის მიღება დიდი პრივილეგია უნდა ყოფილიყო.იურიდიული გაგებით,“კლიენტები“ იყვნენ თავისუფალნი,მაგრამ მათ ჰყავდათ მფარველი, რომლის მიმართაც პატივისცემითა და ლოიალობით იყვნენ განწყობილნი,და ასევე მხარდაჭერასა და თანადგომას უცხადებდნენ პოლიტიკური ამბიციების განხორციელებაში.კერძოდ,ეს ნიშნავდა იმას,რომ კომიციაში „Clientes“ ხმა ისევე უნდა მიეცა,როგორც მათ მფარველს. სანაცვლოდ, კლიენტები მფარველთაგან ღებულობდნენ მიწის ნაკვეთებს,იურიდიულ კონსულტაციებს და წარმომადგენლობას სასამართლოში.კლიენტთა მფარველებს თავის მხრივ, ეკრძალებოდათ თავიანთი მფარველობის ქვეშ მყოფი პირების მიმართ საწინააღმდეგო ჩვენების მიცემა სასამართლოში,რაც გულისხმობდა იმას,რომ ისინი ვალდებულნი იყვნენ კლიენტთა ინტერესები დაეცვათ,როგორც სასამართლოში,ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში[5].

მაშასადამე, აქედან შეიძლება დავასკვნათ,რომ კლიენტებს,პატრიციებისა და პლებეების შემდეგ, საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირათ რომის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ,რომის საზოგადოებაში იგრძნობოდა,როგორც სოციალური,ისე პოლიტიკური და ქონებრივი დიფერენციაცია. რომის მოქალაქეები იბრძოდნენ საკუთარი უფლებებისა და,რომაულ საზოგადოებაში მყარი ადგილის დამკვიდრებისათვის. ამისათვის, საუკეთესო სვლად ითვლებოდა სენატში ადგილის მოპოვება. ამიტომაც,ის ოჯახები,რომელთაგანაც ერთი ან ორი წევრი მოღვაწეობდა სენატში, გამოირჩეოდნენ დიდი პატივითა და განსაკუთრებული მდგომარეობით რომის საზოგადოებაში.უნდა აღინიშნოს,რომ სენატის წევრად გახდომის შესაძლებლობა ჰქონდათ მხოლოდ მდიდარი ოჯახის წევრებს. მათი სიმდიდრე აუცილებლად უნდა გადამოწმებულიყო ორი ცენზორის მიერ. ცენზორები მხოლოდ სიმდიდრეს როდი ამოწმებდნენ,მათ უნდა შეეფასებინათ,აგრეთვე,კონკრეტული პირის სამხედრო და ფინანსური მზაობა,თუ რამდენად დასაშვებია იყო ამ პირის მოსვლა სენატში, ან სულაც სენატორად დაწინაურება. ჩვ.წ.აღ.-მდე მეოთხე საუკუნეში,ცენზორების გარდა შეფასების უფლება ჰქონდა ყველას,ვისაც მაღალი თანამდებობა ეჭირა რომის მაგისტრატურაში(მაგ.კონსულებს,პრეტორებს,კურთხის ედილებს). ჩვ.წ.აღ.-მდე მეორე საუკუნეში კი,პლებეებმა, ედილებმა და ტრიბუნებმა მოიპოვეს სენატორად გახდომის უფლება[6]. რაღა თქმა უნდა, ეს პოლიტიკური უფლება უპირობოდ გააჩნდათ მაღალი არიტოკრატიისა და იმ პირთა ჩამონათვალს,რომელნიც მემკვიდრეობით სენატორთა წრიდან იყვნენ,ან მათი სენატორობა იმ ოჯახთა ინტერესებიდან გამომდინარეობდა,ვისაც შთამომავალი არ ჰყავდა და გადაშენების პირას იყო. ძირითად,

სენატორთა სიმდიდრედ ითვლებოდა იტალიასა და მის მიმდებარე პროვინციებში არსებული მამულები.[6] ტრადიციულად, ეს იყო სიმდიდრის ერთადერთი, ცნობილი სახეობა რომში. როგორც ზემოთ ითქვა, რომის სამართლის თანახმად, სენატორები სენატში უნდა მოსულიყვნენ გარკვეული ქონებრივი მდგომარეობით. ამას ცხადყოფს ჩვ.წ.აღ-მდე 213წ მიღებული „Lex Claudia“, რომლის თანახმადაც სენატორებს ეკრძალებოდათ ხომალდების შექმნა, განსაკუთრებით მძიმე ტვირთის გადამზიდი საშუალებისა. ასევე სენატორებს არ შეეძლოთ გადასახადების აკრეფა. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რომაული სამართალი და კანონმდებლობა კატეგორიულად გამორიცხავდა სენატში მოღვაწეობის დროს სენატორთა მიერ დიდძალი ქონების დაგროვებას. ეს კი მეტყველებდა ხელისუფლების ბოროტად გამოყენებისა და სახელმწიფო სამსახურში მოსვლის სხვა მოტივაციის მინიმალურ დონემდე დაყვანაზე. თუმცა არსებობდა რაღაც გამონაკლისებიც, სენატორებს, რომელთაც ეჭირათ მაღალი თანამდებობა ჯარში და შესაბამისად, მაღალ სამხედრო წოდებასაც ფლობდნენ, ჰქონდათ უფლება შეეძინათ მიწები დაპყრობილ ტერიტორიებზე შეღავათიან ფასში („Precium“), ან საერთოდ უფასოდ.[6]

ასევე, გვიანდელი პერიოდის რომში ადგილი აქვს სრულიად ახალი კლასის ჩამოყალიბებას, რომელიც რომის საზოგადოებაში ცნობილია მხედრების (ცხენოსნები) სახელწოდებით. ამ კლასის ჩამოყალიბება და რეორგანიზაცია დაკავშირებულია სერვიუს ტულიუსის რეფორმებთან. სერვიუს ტულიუსი რომის მეექვსე რექსია, რომელიც რომს მეექვსე საუკუნის შუა ხანებში მართავდა (ჩვ.წ. აღ.-მდე 578-533 წწ).[1] მათი არჩევა ხდებოდა მოქალაქეთა იმ ფენიდან, რომლებიც ფინანსურად, ფიზიკურად და სულიერად მზად იყვნენ ქვეყნის სამსახურში მოსასვლელად. უნდა აღინიშნოს, რომ დიდი ხნის განმავლობაში არანაირი განსხვავება არ იყო მხედრებსა და სენატორებს შორის, პირიქით მხედრები (ცხენოსნები), უფრო ეფექტურად მოქმედებდნენ ომიანობის დროს, რაც მათ მდგომარეობას უფრო გავლენიანს ხდიდა.[4]

მხედრებმა (ცხენოსნები), როგორც ცალკე კლასმა ფორმირება დაიწყო, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მიღებულ იქნა, ე/წ „კლაუდიუს კანონი“, რომელიც კანონის ძალითაც, სენატორებს ეკრძალებოდათ ვაჭრობა და კომერციის უფლება. სწორედ ამ აკრძალვის შემდეგ, ვაჭრობა, როგორც სარფიანი საქმიანობა, ჩაუვარდათ მხედრებს ხელში, რაც მათ ქონებრივ მდგომარეობაზე დადებითად აისახა. სენატორები ამ დროს ორიენტირებულნი იყვნენ მხოლოდ პოლიტიკაზე, მხედრები კი ფინანსურ მდგომარეობას იუმჯობესებდნენ. რამაც, აშკარად გამოიწვია მხედართა ქონებრივი მდგომარეობის გაძლიერება სენატორებთან მიმართებაში. მხედართა კლასი დაკომპლექტებული იყო ყველა იმ ფენის წარმომადგენლებისაგან, რომელსაც რომის საზოგადოებაში ვხვდებით, ესენი იყვნენ: ოფიცრები, მსხვილი მიწათმფლობელები, საჯარო მოხელეები, წამყვანი ოჯახის წევრები და ასე შემდეგ...[8]

მამასადამე, მხედრებს (ცხენოსნები), როგორც სამხედრო ძალას, მნიშვნელოვანი, შეიძლება ითქვას წამყვანი ადგილი ეჭირა რომის სენატში[6].

საინტერესოა, ვინ წარმოადგენდა საშუალო და დაბალ ფენას რომში? ესენი უნდა ყოფილიყვნენ იმ ადამიანთა ჯგუფიდან, რომლებიც არც მხედართა და არც სენატორთა მაღალ არისტოკრატიას განეკუთვნებოდა და იერარქიულად დაბალ საფეხურზე იდგა. ქალაქში, ისინი ძირითადად, ხელოსნობითა და ოსტატობით იყვნენ დაკავებული, ხოლო სოფელში წვრილ მიწათმოქმედებას მისდევდნენ. ამ ადამიანთა ჯგუფებს, თავიანთი შრომისმოყვარეობიდან და გარჯილობიდან გამომდინარე, შეეძლოთ ქონება დაეგროვებინათ, მდიდარ ადამიანებად ქცეულიყვნენ, და ამით მაღალ არისტოკრატულ, ან მხედართა კლასამდე მიეღწიათ. თუმცა აქვე, ამ ჯგუფში იყვნენ ის კატეგორია ადამიანებისა, რომლებიც სოფლის მუშაკები და ქალაქის მასა იყო, რომელთაც არ შეეწევდათ უნარი საკუთარი თავის გამოკვებისა, რომელსაც რომაული სამართალი იცნობს, როგორც ქალაქის პროლეტარიატს[8]. აღნიშნული ე/წ ქალაქის პროლეტარიატი ძირითადად დამოკიდებული იყო სახლმწიფოზე, ან მდიდარ მოქალაქეებზე, რომელთა პოლიტიკური ინტერესები სურდათ თუ არ სურდათ უნდა გაეთვალისწინებინათ. ეს კი უნდა აღინიშნოს, რომ სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა რომის ქალაქ-სახელმწიფოს პოლიტიკურ სტაბილურობას[8].

და ბოლოს, რა შეიძლება ითქვას მონის უფლებრივ მდგომარეობაზე რომში? მონები ძირითადად იყვნენ დაპყრობილი ტერიტორიიდან წამოსხმული პირები, სამხედრო ტყვეები, რომლებიც მონებად იქცნენ. რა თქმა უნდა, მონა არ წარმოადგენდა სამართლის სუბიექტს, იგი სამართლის ობიექტად მიიჩნეოდა, რადგან ნივთთან იყო გათანაბრებული[1] თუმცა ზოგჯერ მონა შეიძლება უკეთეს პირობებში აღმოჩენილიყო, ვიდრე ზემოთ აღნიშნული ქალაქის მშვიერი და ღარიბი პროლეტარიატი. გამომდინარე იქედან, რომ მონები, მონათა ბაზარზე გაყიდვამდე ღებულობდნენ კარგ განათლებას, რაც მათ აძლევდა შანსს, გაყიდვის შემდეგ გაცილებით უკეთეს პირობებში აღმოჩენილიყვნენ. კერძოდ, ემუშავათ ბიზნესის მენეჯერად, მასწავლებლად, ექიმად... და უფრო მეტიც, შესაძლებელი იყო მონობის შეწყვეტაც[4]. მონობიდან განთავისუფლების გარკვეული საფუძვლები არსებობდა, კერძოდ[1]:

1. მონათმფლობელი საჯაროდ აცხადებდა მაგისტრატის წინაშე, რომ ათავისუფლებდა მონას...
2. მოქალაქეთა სიების შედგენისას, რაც ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ ხდებოდა- ბატონს ჰქონდა უფლება თავისი მონა თავისუფალ მოქალაქეთა სიაში შეეტანა, ოღონდ ეს უნდა სცოდნოდა ცენზორს.
3. განთავისუფლების საშუალება იყო მონათმფლობელის ანდერძი, რომელშიც ეწერა, რომ სიკვდილის შემდეგ მისი მონა თავისუფალი იქნებოდა.[1]

განთავისუფლების შემდეგ ყოფილ მონას შეეძლო რომის მოქალაქის სტატუსით ესარგებლა, და ეცხოვრა, როგორც რომის მოქალაქეს! მონების მასიური განთავისუფლება (გააზატება) დაიწყო ახალი წელთაღრიცხვის პირველ, მეორე საუკუნეებში.[2]

მეცნიერთა აზრით,რომაულ სამართალს მონობის მარადიული უღლისგან თავის დაღწევის საკითხის გადაწყვეტის დროს, უნდა ესარგებლა ე/წ სოლონის კანონმდებლობით. ცნობილია, რომ სოლონის კანონმდებლობაში მნიშვნელოვანი იყო შემდეგი მუხლობრივი ჩამონათვალი:

1. ათენის მოქალაქეები გათავისუფლდნენ ვალის გადახდის ვალდებულებიდან. ამ კანონით ვალის ქონით გამოწვეული მონობა მოისპო. სოლონის რეფორმას ათენელი გლეხები „სისახფია“-ს ანუ „ტვირთის ჩამოფერთხვას“ უწოდებდნენ.

2. გლეხებს საკუთრებაში დაუბრუნდათ მიწის ნაკვეთები, რომლებიც მანამდე ვალის გამო დაგირავებული ჰქონდათ.

3. აიკრძალა ვალის გამო ადამიანის მონად გაყიდვა, ყველა გაყიდული მონის გამობსნის ვალდებულებას სახელმწიფო თავის თავზე იღებდა. რეფორმამ მნიშვნელოვნად შეარყია წარჩინებულთა ძალაუფლება, რადგან რეფორმამდე მიწებს ძირითადად ევპატრიდები ფლობდნენ, რეფორმის შემდეგ კი მიწის მცირე ნაკვეთები გლეხობას გადაეცა.[9]

მიგვაჩნია, რომ სოლონის კანონებს მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა რომის სამართალზე.მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ 12-ტაბულის კანონების მიღების წესს. ვფიქრობთ,სწორედ მონებით მთავრდება ადამიანთა ჯგუფების დახასიათება რომის საზოგადოებრივ წყობილებაში,რადგან მონების შემდეგ სხვა ჩამონათვალს პრაქტიკულად აღარ ვხვდებით.[9]

ძირითადად, მოქალაქეთა ამ კატეგორიებს ვხვდებით რომის საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ასეთი ფორმით წარმოგვიდგება ის იერარქიული კიბე, რომელზედაც თანმიმდევრულად იყვნენ განლაგებული რომის მოქალაქეები,და ქმნიდნენ გარკვეულ სოციალურ,პოლიტიკურ და კულტურულ კლიმატს რომის სახელმწიფოს ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მეტრეველი ვ. 2009. *რომის სამართალი*. თბილისი: მერიდიანი.
2. ლობჯანიძე გ. 2010. *რომის სახელმწიფო სამართალი*, 1 ნაწილი.
3. ლობჯანიძე გ. 2011. *რომის სახელმწიფო სამართალი*, 2 ნაწილი,თბილისი.
4. Sherwin-белый, 1973. „*Римское гражданство*“, 2-е издание, Оксфорд, Кларендон.
5. Уотсон А. 1975. *Рим из таблиц XII*. Принстон, Принстон Ун-та.
6. Талберт Р. 1984. „*Сенат императорского Рима*“, Принстон, Принстон Ун-та, г.
7. Вестбрук Р. 1988. *Природа и происхождение Двенадцати таблиц*. в SZ 105.
8. Робинсон О. 1992. *Древний Рим: Город Планирование и управление*, Лондон и Нью-Йорк.
9. <http://ka.wikipedia.org/wiki/>

საკანონმდებლო ცვლილებების გავლენა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე

რეზიუმე

სტატია ეძღვნება იმ საკანონმდებლო ღონისძიებების დეტალურ განხილვას, რამაც სერიოზული გავლენა მოახდინა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდზე და არჩევნების საბოლოო შედეგებზე. კერძოდ, ავტორი ვრცლად მიმოიხილავს საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმის „შუქ-ჩრდილებს“ და განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში შეტანილი ცვლილებების პოლიტიკურ მოტივებზე, რამაც არსებითად შეცვალა პოლიტიკური პარტიების დაფინანსების, ფინანსური ანგარიშგებისა და გამჭვირვალობის მანამდე არსებული წესები, ფაქტობრივად აკრძალა იურიდიული პირების მხრიდან შემოწირულება და ფიზიკური პირებისათვის შემოწირულების განხორციელებაზე სხვადასხვა შეზღუდვები დააწესა.

ავტორი სტატიაში ასევე ეხმიანება, საქართველოს კონტროლის პალატისთვის წინასაარჩევნოდ ახალი, მანამდე არარსებული ფუნქციების მინიჭების საკითხს, რომლის შედეგადაც, კონტროლის პალატა გადაკეთდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურად და იგი დამატებით გახდა ქვეყნის პოლიტიკური სისტემის უმნიშვნელოვანესი რგოლი, რომელსაც შეეძლო პოლიტიკური სუბიექტების დაფინანსების საკითხებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი სანქციების შემოღება.

ავტორის აზრით, აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, საერთო ჯამში, მმართველი ძალის ხელში აღმოჩნდა როგორც საკანონმდებლო, ასევე აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებების რესურსები, როგორც ძლიერი იარაღი პოლიტიკური ოპონენტების არათანაბარ პირობებში ჩასაყენებლად და მმართველი პარტიისთვის უპირატესი მდგომარეობის უზრუნველსაყოფად. აღნიშნული, ბუნებრივია, უარყოფითად აისახა სხვა პარტიების ფინანსურ მდგომარეობაზე და მათი პოლიტიკური ამოცანების განხორციელებაზე, რითაც სერიოზული ჩრდილი მიადგა სამართლიან, თავისუფალ და კონკურენტულ წინასაარჩევნო გარემოს. ყოველივე ამან, როგორც ავტორი ასკვნის, საბოლოო ჯამში, უდიდესი გავლენა მოახდინა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების საბოლოო შედეგებზე.

2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნები მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საქართველოს თანამედროვე პოლიტიკის ისტორიაში და სამართლიანად განიხილება გარდამტეხ ეტაპად ქვეყნის დემოკრატიული განვითარების ურთულეს გზაზე. სწორედ, ამ არჩევნების შედეგად

შესაძლებელი გახდა პირველად საქართველოს სახელმწიფოებრიობის უახლოეს ისტორიაში ხელისუფლების მშვიდობიანი გადაცემა.

საპარლამენტო არჩევნების შედეგად ხელისუფლების შეცვლის პროცესში მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა საქართველოს მოსახლეობის სამოქალაქო აქტიურობა. ამასთან, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საერთაშორისო თანამეგობრობისა და ორგანიზაციების როლი ხელისუფლების მშვიდობიანად გადაცემის საქმეში. გრძელვადიანი და მოკლევადიანი საერთაშორისო დამკვირვებლების ჩართულობა წინასაარჩევნო და კენჭისყრის დღის მონიტორინგის პროცესებში მაღალ შეფასებას იმსახურებს.

მიუხედავად იმისა, რომ მმართველი პარტია საპარლამენტო არჩევნებში დამარცხდა და მოხდა აღმასრულებელი ხელისუფლების ხავერდოვანი შეცვლა, წინასაარჩევნო პერიოდი ნამდვილად არ ხასიათდებოდა მშვიდობიანი პოლიტიკური პროცესებით. ცალკე აღნიშვნის ღირსია ცალმხრივად მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები, რამაც კიდევ უფრო დამაბა პოლიტიკური ვითარება და საარჩევნო გარემო. შეიძლება ითქვას, რომ მთელ რიგ შემთხვევებში, პოლიტიკური კომპრომისების გარეშე მიღებულმა გადაწყვეტილებებმა სერიოზული დაღი დაასვა წინასაარჩევნო პროცესს.

დეტალურად განვიხილოთ ის სამართლებრივი ღონისძიებები, რამაც სერიოზული გავლენა მოახდინა წინასაარჩევნო პერიოდზე.

სამართლებრივი რეფორმები

უნდა ითქვას, რომ საპარლამენტო არჩევნების დემოკრატიულად და სამართლიანად ჩატარების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანი იყო ისეთი წინასაარჩევნო მოსამზადებელი ღონისძიებების განხორციელება, რომელთა მიზანი იქნებოდა საარჩევნო კანონმდებლობის სრულყოფა და ამ მიზნით, შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება.

აქედან გამომდინარე, ლოგიკურად შეფასდა ის ფაქტი, როცა ხელისუფლების ინიციატივით მომზადდა შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი. სამწუხაროა მხოლოდ ის, რომ აღნიშნული ცვლილებები საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების ნაცვლად, ძირითადად მიმართული იყო ახალი პოლიტიკური გუნდისა და მისი ლიდერის, ზიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ და აქედან გამომდინარე, აშკარად პოლიტიკურად მოტივირებული გახლდათ. თავის მხრივ, პოლიტიკურ არენაზე ახალი ძალის გამოჩენა ქვეყანაში საარჩევნო გარემოს უფრო კონკურენტულს ხდიდა.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების მიმართ განსაკუთრებულ ინტერესს არაერთი ფაქტორი განაპირობებდა. მათ შორის აღსანიშნავია, 2010 წელს საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებები, რომლის საფუძველზე საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებულ პარტიას 2013 წლიდან საქართველოს პრემიერ-მინისტრის პოსტზე თავისი კანდიდატურის გაყვანის შესაძლებლობა ეძლევა.

ხაზგასასმელია ასევე, საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმა, რომელზეც ჯერ კიდევ 2010 წლის ნოემბერში დაიწყო, რაც საბოლოოდ, 2011 წლის დეკემბერში ახალი საარჩევნო

კოდექსის მიღებით დასრულდა. აღნიშნულმა რეფორმამ წინა არჩევნებისგან განსხვავებით პარტიათა დაფინანსების კონტროლის მკაცრი მექანიზმები დადგინა [3]

უნდა ითქვას, რომ გარდამავალი დემოკრატიის ქვეყნებში მმართველი ძალის ხელში სამართლებრივი რესურსები ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი იარაღია პოლიტიკური ოპონენტების არათანაბარ პირობებში ჩასაყენებლად და მმართველი პარტიისთვის უპირატესი მდგომარეობის უზრუნველსაყოფად. აღნიშნულ რესურსებში მოიაზრება როგორც სახელმწიფოს საკანონმდებლო, ასევე აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებების პოლიტიკური მიზნებით გამოყენების შესაძლებლობები. როცა საუბარი ეხება საკანონმდებლო ცვლილებებს, პირველ რიგში, იგულისხმება ისეთი ცვლილებები, რომელიც მხოლოდ გარკვეულ პოლიტიკურ ჯგუფებს აყენებს ზიანს და კანონის არაერთგვაროვან აღსრულებას ითვალისწინებს.

ასევე, მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში, რითაც არსებითად შეიცვალა პოლიტიკური პარტიების დაფინანსების, ფინანსური ანგარიშგებისა და გამჭვირვალობის წესები.

განვიხილოთ თითოეული საკანონმდებლო ინიციატივის პოზიტიური და ნეგატიური მხარეები.

ცვლილებები საარჩევნო კანონმდებლობაში

2011 წლის ივნისში, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის უშუალო მონაწილეობით მმართველ პარტიასა და ექვს ოპოზიციურ პოლიტიკურ გაერთიანებას შორის საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებების თაობაზე შეთანხმება შედგა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პარტიების მიმართ საზოგადოებაში გარკვეული ეჭვები არსებობდა მათ ოპოზიციურობასთან დაკავშირებით, საერთო ჯამში, მაინც პოზიტიურად იქნა შეფასებული ამ შეთანხმების შედეგები.

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ საკანონმდებლო ცვლილებების დიდი ნაწილი საარჩევნო გარემოში არსებული ხარვეზების აღმოფხვრას არ ემსახურებოდა [4]. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ინიციატივის ავტორების მიზანი მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციების გულის მოგება იყო.

სამწუხაროდ, საარჩევნო ცვლილებების მიღმა დარჩა არაერთი პრობლემა, რომლის მოგვარებაც მნიშვნელოვან აუცილებლობას წარმოადგენდა, თუნდაც ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებით. მართალია, ახალმა საარჩევნო კოდექსმა ამ კუთხით გარკვეული სიახლეები შემოგვთავაზა, თუმცა, ბოლომდე მაინც ვერ გადაჭრა არსებული პრობლემები. მიუხედავად ამისა, გამოყოფილი რამდენიმე ცვლილებას, რაც, აღნიშნავს უთუოდ იმსახურებს, მაგალითად:

- აიკრძალა სახელმწიფო ხელისუფლების დაწესებულებებისათვის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და იმ ორგანიზაციებისათვის, რომლებიც ფინანსდებიან საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, განკუთვნილი

საკომუნიკაციო საშუალებების, საინფორმაციო მომსახურებისა და სხვადასხვა სახის ტექნიკის გამოყენება;

- აიკრძალა სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება უსასყიდლოდ ან შეღავათიანი პირობებით;
- წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლების მქონე პირს, რომელსაც სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოში უკავია თანამდებობა, აეკრძალა რომელიმე საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიის წარმოების პროცესში თავისი თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება;
- აიკრძალა არჩევნების დანიშვნის დღიდან არჩევნების შედეგების შეჯამებამდე ისეთი პროექტების განხორციელება, რომლებიც მანამდე არ იყო გათვალისწინებული სახელმწიფო/ადგილობრივ ბიუჯეტში, ასევე იმ საბიუჯეტო პროგრამების ზრდა, რომლებიც არჩევნებამდე გათვალისწინებული იყო ბიუჯეტით, არაგეგმური ტრანსფერების ინიცირება ან გეგმური ტრანსფერის ზრდა ადგილობრივ ბიუჯეტში;
- გაიზარდა პოლიტიკური თანამდებობის პირთა წრე და მათ დაემატა სახელმწიფო რწმუნებულის თანამდებობა;
- საჯარო მოსამსახურეების მიერ საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის პრევენციისა და დარღვევებზე რეაგირების მიზნით საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოსთან შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია და განისაზღვრა მისი ფუნქციები;
- შესაძლებელი გახდა წინასაარჩევნო პერიოდში სახელმწიფო/ადგილობრივ ბიუჯეტში განხორციელებული უკანონო ცვლილებებით გამოყოფილი ხარჯების სასამართლო წესით შეჩერება.

ამასთან, დაწესდა გარკვეული სანქცია აღნიშნული მოთხოვნების დარღვევისთვის. მაგალითად, წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის მიღება ამ მოთხოვნათა დარღვევით გამოიწვევს პირის დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით (საარჩევნო კოდექსის 79-ე მუხლი).

გარდა ამისა, ახალმა საარჩევნო კოდექსმა წინასაარჩევნო კამპანიის წარმოებასთან დაკავშირებით საინტერესო სიახლეები შემოგვთავაზა [1].

საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულია წინასაარჩევნო კამპანიის დაწყების პროცედურები. იგი არჩევნების დანიშვნის დღიდან მოქმედებს. აქედან მოყოლებული, საარჩევნო პროცესში ჩართული სუბიექტებისთვის წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების პოლიტიკურად დამაბული საარჩევნო რეჟიმი იწყება.

აღსანიშნავია, რომ წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების პროცესში გარკვეული ვალდებულებები ეკისრებათ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს. ამ კუთხით, ახალმა საარჩევნო კოდექსმა დამატებითი რეგულაციები განსაზღვრა, კერძოდ:

- მედია და სხვა მაუწყებლები ვალდებული არიან დაიცვან წინასაარჩევნო პოლიტიკური რეკლამის განთავსების წესები;
- სოციალურ რეკლამაში აიკრძალა პოლიტიკური სუბიექტის რიგითი ნომრის გამოყენება;

- აიკრძალა სახელმწიფო/ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით ისეთ ბეჭდვითი მასალების დამზადება, რომელზეც გამოსახულია ესა თუ ის საარჩევნო სუბიექტი ან მისი არჩევნებში მონაწილეობის რიგითი ნომერი, ან/და რომელიც შეიცავს ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერ ან საწინააღმდეგო მოწოდებას;

ასევე, მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს საკაბელო ტელევიზიებისთვის დადგენილი სავალდებულო ტრანზიტის განხორციელების წესი.

ამასთან, საარჩევნო კოდექსის 51-ე მუხლით გათვალისწინებულია გარკვეული სახის სანქციები. კერძოდ, წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების საინფორმაციო უზრუნველყოფის ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს გაფრთხილებას, ხოლო გაფრთხილების მიღებიდან 3 დღის ვადაში დარღვევის აღმოუფხვრელობა ან განმეორებით ამ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებული პირისათვის ავტორიზაციის 1 წლის ვადით შეჩერებას.

ცვლილებები საქართველოს ორგანულ კანონში „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“

მმართველ პარტიასა და ოპოზიციურ პოლიტიკურ გაერთიანებებს შორის მიღწეული შეთანხმება ასევე მოიცავდა ცვლილებების განხორციელებას „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში. მმართველი ძალის მიერ მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებების მიზანი პოლიტიკური კორუფციის პრევენცია იყო. თუმცა, გაცხადებული მიზნების გარდა, არსებობდა სხვა ლატენტური მიზნებიც, რამაც აშკარად ჩრდილი მიაყენა განხორციელებული ცვლილებების სამართლებრივ მხარეს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში შესატანი ცვლილებების საკანონმდებლო პაკეტის პირველი ვარიანტი კანონით დადგენილი შემოწირულების ოდენობის ზედა ზღვარის გაორმაგებას ითვალისწინებდა. კერძოდ, იგი უნდა გამხდარიყო 60 000 ლარი ფიზიკური პირებისათვის და 200 000 ლარი იურიდიული პირებისათვის.

აღნიშნული ცვლილება ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა მიზანშეუწონლად მიიჩნიეს. კანონმდებლობით დადგენილი ზღვარი ისედაც მაღალი იყო და ასეთი ცვლილება მათი აზრით, ვერ უზრუნველყოფდა უფრო კონკურენტული საარჩევნო გარემოს შექმნას. მმართველი პარტია აცხადებდა, რომ ეს გადაწყვეტილება არ შეიცვლებოდა, ვინაიდან, პოლიტიკურ პარტიებს შორის შეთანხმება იყო მიღწეული და რომ ცვლილებების განხორციელება მხოლოდ მორიგი შეთანხმების გზით იქნებოდა შესაძლებელი [5].

მოკლე ხანში, 2011 წლის ოქტომბერში მმართველმა პარტიამ წარმოადგინა „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებათა ახალი პაკეტი, რაც არსებით წინააღმდეგობაში მოდიოდა ადრე წარმოდგენილ ვარიანტთან. მაგალითად, კანონპროექტის წარმოდგენილი ვერსია უკვე ითვალისწინებდა იურიდიული პირების მხრიდან შემოწირულების აკრძალვას, ასევე ფიზიკური პირებისათვის

შემოწირულების განხორციელებაზე სხვადასხვა შეზღუდვის დაწესებას. დამატებით შემოვიდა ისეთ პირთა კატეგორიები, რომლებზეც გარკვეულ შემთხვევებში გავრცელდებოდა პარტიებისთვის დადგენილი შეზღუდვები. რაც მთავარია, არგუმენტმოკლებული და სამართლებრივად დაუსაბუთებელი იყო ასეთი ინიციატივების საჭიროება.

სწორედ ამიტომ, საკანონმდებლო პაკეტის ბოლო ვერსიის შემუშავებას, საზოგადოება, მასმედია და პოლიტიკური პარტიები ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენას უკავშირებდა. ამას ადასტურებდა ის ფაქტი, რომ მანამდე წარმოდგენილი კანონპროექტით იურიდიული პირებისათვის შემოწირულების ოდენობის ზედა ზღვარი ორმაგდებოდა, ახალი ვარიანტი კი როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, საერთოდ კრძალავდა იურიდიული პირებისგან შემოწირულების მიღებას. ასეთი გადაწყვეტილება, სავარაუდოდ იმიტომ იქნა მიღებული, რომ ბიძინა ივანიშვილს პოლიტიკური პარტიების დაფინანსების საშუალება არ მისცემოდა [5].

ცალკე თემაა საქართველოს კონტროლის პალატისთვის კანონმდებლობით მინიჭებული ფუნქციების სამართლებრივი მხარის განხილვა. კონტროლის პალატას პოლიტიკური სუბიექტების დაფინანსებისა და შემოწირულების საკითხებთან დაკავშირებით აქამდე არარსებული ფუნქციები დაეკისრა. ბევრი მათგანი, აშკარად აღემატებოდა კონტროლის პალატის იმჟამინდელ ამოცანებსა და უფლებებს და სამართლიანად იძენდა პოლიტიკურ ელფერს. სწორედ ამიტომ, კონტროლის პალატა მოკლე ხანში გადაკეთდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურად. მას პარტიის ფინანსური საქმიანობის კანონიერებასა და გამჭვირვალობაზე მონიტორინგთან ერთად უნდა შეესრულებინა წინასაარჩევნო კამპანიის დროს შემოწირულებების განხორციელებასთან დაკავშირებული სხვა არაერთი საკითხი. რაც მთავარია, იგი უფლებამოსილი გახდა კანონის მოთხოვნათა დარღვევის გამო პოლიტიკური სუბიექტების მიმართ გამოიყენოს სათანადო სანქციები (ჯარიმა).

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34¹-ე მუხლის მიხედვით სახელმწიფო აუდიტის სამსახური უფლებამოსილია:

- დაადგინოს პარტიის დაფინანსების აუდიტის სტანდარტები;
- შეამოწმოს პარტიის საფინანსო დეკლარაციისა და საარჩევნო კამპანიის ფონდის ანგარიშის სისრულე, სისწორე და კანონიერება;
- ჩაატაროს პარტიის ფინანსური საქმიანობის აუდიტი;
- უზრუნველყოს პარტიის დაფინანსების გამჭვირვალობა და საჭიროების შემთხვევაში პარტიიდან, ადმინისტრაციული ორგანოებიდან და კომერციული ბანკებიდან გამოითხოვოს ინფორმაცია პარტიის ფინანსებთან დაკავშირებით;
- საჭიროების შემთხვევაში პირებისაგან მოითხოვოს ინფორმაცია მათ მიერ პარტიებისთვის და სხვა პირებისთვის გადაცემული ან მათგან მიღებული ქონების წარმომავლობის შესახებ;
- დაინტერესებულ პირებს გაუწიოს კონსულტაცია პარტიის დაფინანსების საკითხებზე;

- მოახდინოს რეაგირება პარტიის დაფინანსებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის დარღვევაზე და გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული სანქციები;
 - დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში მიმართოს პროკურატურის ორგანოებს;
 - საჭიროების შემთხვევაში პირისაგან გამოითხოვოს ფინანსური ანგარიში
 - შეიმუშაოს პარტიის ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის მეთოდოლოგია;
- [2]

დამეთანხმებით ალბათ, რომ კონტროლის პალატა ამ ფუნქციების დამატებით ხდებოდა პოლიტიკური სისტემის უმნიშვნელოვანესი რგოლი, რომელსაც შეეძლო პოლიტიკური სუბიექტების დაფინანსების საკითხებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება.

ამასთან, შემოთავაზებული კანონპროექტი ითვალისწინებდა ისეთ საკითხებსაც, რაც ზღუდავდა პოლიტიკური საქმიანობის, სიტყვისა და თავისუფალი აზრის გამოხატვის თავისუფლებასა და საკუთრების უფლებასაც კი. მაგალითად, აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებებით პარტიებისთვის დაწესებული შეზღუდვები ასევე ეხებოდა რიგით მოქალაქეს ან ორგანიზაციას, რომელიც გამოთქვამდა მოსაზრებას, გამოხატავდა პოლიტიკურ სიმპათიას რომელიმე პოლიტიკური პარტიის მიმართ თუ გააკეთებდა განცხადებას პოლიტიკური პარტიის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ. შედეგად, პოლიტიკურად აქტიური პიროვნება შეიძლებოდა სახელმწიფო აუდიტის სრულ ფინანსურ კონტროლს დაექვემდებარებოდა, ხოლო მის მთელ ქონებას კი ყადაღის დადება ემუქრებოდა. რაც შეეხება, კანონის დარღვევისთვის დადგენილ სანქციებს, შეიძლება ითქვას, რომ იგი გაუმართლებლად მაღალი და არაპროპორციული იყო [6].

უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს ასეთი არაადეკვატური და ამავე დროს დაუსაბუთებელი რეგულაციები პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებად აქტიურად გამოიყენებოდა, რამაც საბოლოო ჯამში, თავისუფალ და კონკურენტულ წინასაარჩევნო გარემოს სერიოზული ზიანი მიაყენა.

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით ფინანსური რეგულაციების დარღვევისათვის გათვალისწინებული სანქციების შემოღების საჭიროება.

ამასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია ევროპის საბჭოს 2003 წლის რეკომენდაცია, რომელიც პოლიტიკური პარტიების მიერ საარჩევნო კამპანიის დაფინანსების დროს კორუფციის აღმოფხვრის მიზნით გარკვეულ წესებს ითვალისწინებს. იგი რეკომენდაციას აძლევს წევრ სახელმწიფოებს, იმ შემთხვევაში, როცა პოლიტიკური პარტიები დაფინანსების ან/და საარჩევნო კამპანიის წესებს დაარღვევენ გამოიყენონ მათ მიმართ ეფექტიანი და ადეკვატური სანქციები [11]. სანქციები რასაკვირველია, აიძულებს პოლიტიკურ პარტიებს და თანამდებობის პირებს, უარი თქვან არაკანონიერ დაფინანსებაზე. აღნიშნული პოლიტიკურ პროცესს უფრო ღიას და გამჭვირვალეს ხდის.

ბუნებრივია აგრეთვე ის გარემოება, რომ შეუძლებელია ეფექტიანი და წარმატებული ბრძოლა პოლიტიკური კორუფციის წინააღმდეგ, თუ არ იქნება გამოყენებული შესატყვისი და ადექვატური სანქციები, მათ შორის, დაფინანსების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროების ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის.

თუმცა, უნდა ითქვას ისიც, რომ პოლიტიკური გაერთიანებების დაფინანსების რეგულირებისთვის საჭიროა უფრო ეფექტური და მოქნილი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს კანონის დარღვევის შემთხვევაში ადექვატური და სამართლიანი სანქციების გამოყენებას [10].

საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებითა და „გრეკოს“ (კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლი ქვეყნების ჯგუფი) რეკომენდაციებიდან და შეფასებებიდან გამომდინარე, კანონმდებლობა არ უნდა ითვალისწინებდეს ისეთ არაპროპორციულ სანქციებს, რაც საერთო ჯამში, ხელს შეუშლის პოლიტიკური საქმიანობის განხორციელებას, პოლიტიკურ კონკურენციასა და ამით ქვეყანაში მრავალფეროვანი პოლიტიკური სპექტრის ჩამოყალიბებას.

თავის მხრივ, სახელმწიფო აუდიტის სამსახური ვალდებულია დიდი სიფრთხილითა და ყურადღებით მოეკიდოს მკაცრი სანქციების გამოყენებას, ვინაიდან, იგი შესაძლოა სახელმწიფოს მიერ პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ ბრძოლის იარაღად იქცეს. სწორედ, ამის ნიშნები გამოვლინდა საქართველოს საპარლამენტო არჩევნების დროს, როცა ხელისუფლების მიერ „კოალიცია ქართული ოცნების“ წინააღმდეგ სანქციების დაწესება პოლიტიკური ბრძოლის საშუალებად იყო განხილული.

ამასთან, პოლიტიკურ პროცესებში საგამომიებო და სამართალდამცავი ორგანოების მიერ კანონის მიკერძოებულმა გამოყენებამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს პოლიტიკური პარტიების დამოუკიდებლობის პრინციპს, რამაც გამოუსწორებელ შედეგებამდე შეიძლება მიგვიყვანოს.

ამის ნათელი დადასტურებაა, 2012 წლის ივნისში, კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრ-პარტიების მიმართ დაკისრებული 2.86 მილიონი ლარის ოდენობის ჯარიმა, რამაც სერიოზული ზიანი მიაყენა კოალიციის ფინანსურ ინტერესებს და ამით არჩევნებში სუბიექტების თანასწორუფლებიანობის პრინციპს [9].

საკანონმდებლო ცვლილებებს შორის ასევე აღსანიშნავია სახელმწიფოს მხრიდან პოლიტიკური პარტიების დაფინანსების უზრუნველყოფის ახალი გარანტიების შემოტანა. ამ თვალსაზრისით, ხაზი უნდა გაესვას საქართველოს საარჩევნო კოდექსის იმ ნორმას, რომლის თანახმადაც, საარჩევნო სუბიექტი, რომელიც საპარლამენტო არჩევნებისას გადალახავს 5%-ან საარჩევნო ბარიერს, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ერთჯერადად მიიღებს არა უმეტეს 1 000 000 ლარს საარჩევნო კამპანიის ხარჯების დასაფარავად, მათ შორის, 300 000 ლარს მიზნობრივად, წინასაარჩევნო სატელევიზიო რეკლამის ხარჯების ასანაზღაურებლად.

საინტერესოა ის გარემოება, რომ პარტიების საბიუჯეტო დაფინანსება დიფერენცირებულად განიხილება. მაგალითად, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის თანახმად, საბიუჯეტო დაფინანსების სახით გამოყოფილი თანხა შედგება საბაზისო ნაწილის, პროპორციული სისტემით არჩეული პარლამენტის წევრისათვის გამოყოფილი დანამატისა და მიღებული ხმების ოდენობის შესაბამისი კომპონენტისაგან, ანუ სახელმწიფო დაფინანსება შესაძლოა სამი გზით განხორციელდეს:

- ყველა პარტია იღებს თანაბარ საბიუჯეტო დაფინანსებას;
- დამატებითი ბონუსი ეძლევა პარტიებს ამომრჩეველთა მიღებული ხმების პროპორციულად;
- დამატებითი ბონუსი ეძლევა პროპორციული სისტემით არჩეული მანდატების რაოდენობის შესაბამისად [2].

2011 წლის საარჩევნო ცვლილებებზე საუბრისას, პირველ რიგში უნდა აღინიშნოს საკუთრივ ამ პროცესის მიმდინარეობის დინამიკა და ის მიდგომები, თუ რა სახით უნდა შესულიყო ცვლილებები საქართველოს კანონმდებლობაში.

მაგალითად, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონში ინიცირებული ცვლილებების მესამე მოსმენის ვერსიაში შემოწირულობის იურიდიული პირისაგან მიღების აკრძალვასთან ერთად, მითითებული იყო, რომ ცვლილებების ამოქმედებამდე (ანუ 2011 წლის ბოლომდე) დაუხარჯავი თანხები შემომწირველებს უნდა დაბრუნებოდა ან სახელმწიფო ბიუჯეტში უნდა გადარიცხულიყო.

უფრო კონკრეტულად, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტში იყო ჩანაწერი, რომ „ამ კანონით“, ანუ თავად ცვლილებებისა და დამატებების შესახებ კანონით დადგენილ მოთხოვნათა დარღვევით მიღებული თანხები (მათ შორის, იურიდიული პირებისგან მიღებული შემოწირულობები), რაც ამ ცვლილებებისა და დამატებების შესახებ კანონის ამოქმედებამდე დაუხარჯავი იყო, არა უგვიანეს სამი კალენდარული დღისა უნდა დაბრუნებოდა შემომწირველებს, ხოლო ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში იგი სახელმწიფოს საკუთრებაში უნდა გადასულიყო. ამით კანონი უკუძალას იძენდა. თუმცა, საბოლოო ჯამში, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციებისა და დიპლომატიური კორპუსის ჩარევის შედეგად, კანონს უკუძალა აღარ მინიჭებია [7].

მიუხედავად ამისა, საქართველოს ხელისუფლების ამ ქმედებას უშედეგოდ არ ჩაუვლია. მაგალითად, რამდენიმე პოლიტიკურმა გაერთიანებამ საკმაოდ დიდი ხარჯი გასწია ძირითადი აქტივებისა და საწვავის შეძენაზე, ასევე ოფისის ქირაზე, რისთვისაც საანგარიშო წლის დასრულებამდე ჩამოწერა თანხები ანგარიშიდან, კერძოდ, მომსახურების/საქონლის მიღებამდე წინასწარ შეასრულა გადახდა [8].

პოლიტიკური პარტიების საქმიანობაზე საკანონმდებლო ბერკეტის აღნიშნული სახით გამოყენება, ბუნებრივია უარყოფითად აისახა პარტიების ფინანსურ მდგომარეობაზე და უდიდესი გავლენა მოახდინა პოლიტიკური ამოცანების განხორციელებაზე, განსაკუთრებით წინასაარჩევნო პერიოდში.

აღსანიშნავია ის, რომ კამპანიის - „ეს შენ გეხება“ აქტიურობის, სამოქალაქო სექტორის, მასმედიის, ექსპერტების, საერთაშორისო ორგანიზაციების, დიპლომატიური კორპუსისა და საზოგადოების ძალისხმევით ხელისუფლება გარკვეულ დათმობებზე წავიდა და მოგვიანებით „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში დამატებით რიგი ცვლილებები განხორციელდა.

აღნიშნულმა ღონისძიებამ საგრძნობლად გამოასწორა ვითარება, თუმცა, ბოლომდე ვერ მოახერხა საარჩევნო კანონმდებლობის „გაკეთილშობილება“ და თავიდან ვერ ააცილა ქვეყანას მწვავე და დამაბული პოლიტიკური პროცესები.

დასასრულს, ვიტოვებთ იმედს, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში, პოლიტიკური პარტიების, სამოქალაქო სექტორისა და დარგის ექსპერტების მონაწილეობით შეიქმნება დამოუკიდებელი კომისია, რომელიც დაიწყებს სერიოზულ მუშაობას საარჩევნო კანონმდებლობაში ძირეული ცვლილებების შეტანის მიზნით და ამავე დროს, აქტიურად ითანამშრომლებს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რათა ერთხელ და სამუდამოდ მოხდეს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საარჩევნო კოდექსის მიღება, რომელიც თავის მხრივ დაეფუძნება პოლიტიკურ პარტიებს შორის მიღწეულ შეთანხმებასა და ჯანსაღ კომპრომისებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველო. იუსტიციის სამინისტრო. 2001. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“. (02/08/2001). თბილისი: სსიპ, „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ №1047. (VI თავი). www.matsne.gov.ge
2. საქართველო. იუსტიციის სამინისტრო. 1997. საქართველოს ორგანული კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ (31/10/1997). თბილისი: სსიპ. „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ №1028. www.matsne.gov.ge
3. „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ (ISFED). 2012. *2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგის მეორე შუალედური ანგარიში 4 მაისი - 4 ივნისი, 2012 წ. 15 ივნისი*. (თავი I გვ. 2) <http://www.isfed.ge/>. (02.01.2013).
4. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“. 2012. *წინასაარჩევნო პროცესის ანალიზი. 2011 წლის 1 ოქტომბერი - 2012 წლის 1 აგვისტო*. (თავი I გვ. 4) <http://transparency.ge/> (10.01. 2013).
5. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“. 2012. *წინასაარჩევნო პროცესის ანალიზი. 2011 წლის 1 ოქტომბერი - 2012 წლის 1 აგვისტო*. (თავი I გვ. 5) <http://transparency.ge/> (10.01. 2013).
6. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“. 2012. *წინასაარჩევნო პროცესის ანალიზი. 2011 წლის 1 ოქტომბერი - 2012 წლის 1 აგვისტო*. (თავი I გვ. 6) <http://transparency.ge/> (10.01. 2013).
7. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“. 2012. *წინასაარჩევნო პროცესის ანალიზი. 2011 წლის 1 ოქტომბერი - 2012 წლის 1 აგვისტო*. (თავი I გვ. 7) <http://transparency.ge/> (10.01. 2013).
8. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“. 2012. *წინასაარჩევნო პროცესის*

- ანალიზი. 2011 წლის 1 ოქტომბერი - 2012 წლის 1 აგვისტო. (თავი I გვ. 8) <http://transparency.ge/> (10.01. 2013).
9. სივილ ჯორჯია. კონტროლის პალატამ საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნება“ და კოალიციაში შემავალი პარტიები სამართალდამრღვევად ცნო. <http://www.civil.ge/geo/article.php?id=25629> .თბილისი. (25/06/12).
 10. ინგრიდ ვან ბიზენი. 2003. პოლიტიკური პარტიების და საარჩევნო კამპანიის დაფინანსება–გაიდლაინები. გაერთიანებული სამეფო. ბირმინგემის უნივერსიტეტი. ევროპის საბჭოს პუბლიკაცია.
 11. Council of Europe. Committee of Ministers. *Recommendation of the Committee of Ministers to member states on common rules against corruption in the funding of political parties and electoral campaigns*. Rec(2003)4 <https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?id=2183> (05.02.2013).

ლეილა არხოშაშვილი
 გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

**პრაქტიკაში არსებული პრობლემური საკითხები, რომლებიც ეხება
 სარჩელისაგან მოპასუხის პროცესულურ თავდაცვის საშუალებებს**

რეზიუმე

დღეს მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი დაფუძნებულია დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მეოთხე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, მოპასუხე სარგებლობს მხარის უფლებით წარადგინოს თავისი მოსაზრებები სარჩელთან დაკავშირებით. აღნიშნული განმტკიცებულია როგორც სამოქალაქო საპროცესო კოდექსით, ასევე სამოქალაქო კოდექსითაც. ჯერ კიდევ განსჯადობის საკითხის გარკვევის ეტაპზეა დაცული მოპასუხის უფლება წარადგინოს შესაგებელი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 21-ე მუხლის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ არ არის დადგენილი ერთმნიშვნელოვნად განსჯადი სასამართლო, მოპასუხის ნებაზეა დამოკიდებული დაეთანხმება თუ არა იგი მოსარჩელეს ამ უკანასკნელის მიერ არჩეული სასამართლო გახდეს განსჯადი. ამას სჭირდება წერილობითი შეთანხმება მხარეებს შორის. თუ საქმის განხილვის ეტაპზე აღმოჩნდება, რომ არაგანსჯადი სასამართლო იხილავს საქმეს, სასამართლო ვალდებულია განუმარტოს მოპასუხეს მისი უფლება, რომ მას შეუძლია წარადგინოს შესაგებელი არაგანსჯადობის წინააღმდეგ. თუ მოპასუხე წინააღმდეგი არ იქნება, მაშინ არაგანსჯადი სასამართლო განსჯადი გახდება.

კანონი განსაზღვრავს მოპასუხის არა მარტო უფლებებს, არამედ ვალდებულებებსაც, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში, მოპასუხე ვალდებულია სასამართლოს წარუდგინოს შესაგებელი სარჩელში დასმულ საკითხებსა და მტკიცებულებებთან დაკავშირებით.

მოსარჩელეს, როდესაც მიაჩნია და არსებობს ამისი ვარაუდი, რომ მოპასუხემ დაურღვია მას უფლება, შეუძლია აღძრას სარჩელი, მაგრამ პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც ამ „ვა-რაუდს“ არანაირი საფუძველი არა აქვს, ე. ი. სარჩელი აშკარად უსაფუძვლოა. ამ შემთხვევაში მოპასუხე, რომელსაც არანაირი უფლება არ დაურღვევია მოსარჩელისათვის, მოსარჩელის უკანონო მოქმედების მსხვერპლი ხდება. ვფიქრობთ, რომ ასეთი დავების შემთხვევაში უნდა არსებობდეს კანონში რაიმე დამცავი მუხლი, რომელიც დაიცავს ასეთ მოპასუხეს. ამგვარი პრობლემების თავიდან აცილების მიზნით, მიგვაჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის პირველ ნაწილს, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველს უნდა დაემატოს ახალი პუნქტი: „სარჩელი აშკარად უსაფუძვლოა“.

მოპასუხეს შეუძლია თავის დაცვა როგორც შესაგებლით, ასევე, შეგებებული სარჩელით. შეგებებული სარჩელი - ჩვეულებრივი სარჩელია. შეგებებული მას იმიტომ ეწოდება, რომ იგი აღიძვრის სხვა ძირითადი (თავდაპირველი) სარჩელის გამო, თუმცა, რომ არა ეს ძირითადი სარჩელი, იგი შეიძლება აღძრულიყო როგორც დამოუკიდებელი და ძირითადი სარჩელი. შეგებებული სარჩელის წარდგენა შეზღუდულია დროში, ისევე როგორც შესაგებლის წარდგენა. მოპასუხეს შეუძლია შეგებებული სარჩელის აღძვრა მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც შეტანილი იქნება ძირითადი სარჩელი პირველი ინსტანციის სასამართლოში.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ პრაქტიკაში არსებობს პრობლემური საკითხები, რომლებიც ეხება სარჩელისაგან მოპასუხის პროცესუალურ თავდაცვის საშუალებებს და რომელთა შეწავლის გარეშე უგულვებელყოფილი იქნება დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპები.

1997 წლის 14 ნოემბერს მიღებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსი დაფუძნებულია დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მეოთხე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. სასამართლოს არა აქვს უფლება თვითონ დაიწყოს იმ ფაქტობრივი გარემოებების დადგენა, რომლებსაც მოთხოვნა ან მოწინააღმდეგე მხარის უფლებები ემყარებიან [1, 34]. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. სარჩელით და შესაგებლით ახორციელებენ მხარეები თავიანთ მატერიალურ-სამართლებრივ უფლებათა პროცესუალურ რეალიზაციას. სარჩელისაგან მოპასუხის თავდაცვის პროცესუალურ საშუ-ალებათა ინსტიტუტი სიღრმისეულად შესწავლილი არ არის. შეჯიბრებითობის პრინციპის

განხორცილებისათვის მეტად მნიშვნელოვანია აღნიშნული ინსტიტუტის შესწავლა, რასაც როგორც თეორიული, ასევე დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, მოპასუხე სარგებლობს მხარის უფლებით წარადგინოს თავისი მოსაზრებები სარჩელთან დაკავშირებით. აღნიშნული განმტკიცებულია როგორც სამოქალაქო საპროცესო კოდექსით, ასევე, სამოქალაქო კოდექსიც. ჯერ კიდევ განსჯადობის საკითხის გარკვევის ეტაპზეა დაცული მოპასუხის უფლება წარადგინოს შესაგებელი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 21-ე მუხლის თანახმად [5, 21], იმ შემთხვევაში თუ არ არის დადგენილი ერთმნიშვნელოვნად განსჯადი სასამართლო, მოპასუხის ნებაზეა დამოკიდებული დაეთანხმება თუ არა იგი მოსარჩელეს ამ უკანასკნელის მიერ არჩეული სასამართლო გახდეს განსჯადი. ამას სჭირდება წერილობითი შეთანხმება მხარეებს შორის. თუ საქმის განხილვის ეტაპზე აღმოჩნდება, რომ არაგანსჯადი სასამართლო იხილავს საქმეს, სასამართლო ვალდებულია განუმარტოს მოპასუხეს მისი უფლება, რომ მას შეუძლია წარადგინოს შესაგებელი არაგანსჯადობის წინააღმდეგ. თუ მოპასუხე წინააღმდეგი არ იქნება, მაშინ არაგანსჯადი სასამართლო განსჯადი გახდება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლი საყოველთაოდ ცნობილი ფაქტების დამადასტურებელი მტკიცებულებათა წარდგენისაგან ათავისუფლებს მოსარჩელეს და მოპასუხეს. მხარეები ასევე თავისუფლდებიან იმ შემთხვევაში, თუ დადგენილ იქნა ფაქტი სამოქალაქო საქმეზე, რომელიც შესულია კანონიერ ძალაში, რომელთა განხილვის დროსაც იგივე მხარეები მონაწილეობდნენ [7, 106].

კანონი განსაზღვრავს მოპასუხის არა მარტო უფლებებს, არამედ ვალდებულებებსაც, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში, მოპასუხე ვალდებულია სასამართლოს წარუდგინოს შესაგებელი სარჩელში დასმულ საკითხებსა და მტკიცებულებებთან დაკავშირებით. აუცილებელია მიუთითოს მოპასუხემ თავისი მოსაზრება სარჩელთან დაკავშირებით, ცნობს თუ არა სარჩელს, თუ არ ცნობს - რა ფაქტებსა და გარემოებებს ემყარება მისი შესაგებელი. აუცილებელია მითითებული იყოს მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებს მის მიერ მითითებულ გარემოებებს. თუ ასეთი მითითებული იქნება, მაშინ აუცილებელია დართული იყოს შესაგებელზე ასეთი მტკიცებულება, ან თუ მოპასუხეს არ შეუძლია იმ ეტაპზე მისი წარდგენა, მოპასუხემ სასამართლოს უნდა მიმართოს მტკიცებულებათა წარდგენის გადავადების მოთხოვნით, წინააღმდეგ შემთხვევაში მოპასუხეს აღარ ექნება უფლება შემდგომ წარადგინოს მტკიცებულება [8, 201].

მოპასუხის მიერ შესაგებლის წარუდგენლობის შემთხვევაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის მე-7 ნაწილი სასამართლოს ავალდებულებს გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება შესაგებლის წარუდგენლობის გამო. ვფიქრობთ, რომ ეს მუხლი ამოღებული უნდა იქნეს. როგორც სასამართლო პრაქტიკამ აჩვენა, აღნიშნული საფუძვლით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა და მისი შედეგები გაცილებით დიდ დროსთან არის დაკავშირებული. თუმცა საწინააღმდეგო მოსაზრება აქვს გამოხატული ბატონ ფ.ბასილიას. მისი აზრით: შესაგებლის წარუდგენლობის გამო, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა განპირობებულია საპროცესო ეკონომიის პრინციპით, რაც გულისხმობს საქმის დროულად, გაჭიანურების გარეშე გადაწყვეტას. ასეთ შემთხვევაში

გადაწყვეტილება, თუ იგი არ გასაჩივრებულა, მალე შედის კანონიერ ძალაში და მისი აღსრულებაც უმოკლეს ვადაში მოხდება [3, 112]. ვიზიარებთ იმ აზრს, რომ თუ დაუსწრებელი გადაწყვეტილება არ გასაჩივრდა, მალე შედის კანონიერ ძალაში, მაგრამ ასეთი გადაწყვეტილებები მეტწილად საჩივრდება და გასაჩივრების შემთხვევაში, როგორც ავლინებით, დიდ დროს აკარგვენ მხარეებს და სასამართლოს. ჩვენი აზრით, შესაგებლის წარუდგენლობის შემთხვევაში უნდა დაინიშნოს ჩვეულებრივ საქმის განხილვა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, მოპასუხეს არ ექნება უფლება წარადგინოს თავისი მოსაზრება სარჩელში მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებებზე და სწორედ ეს იქნება საფუძველი მის წინააღმდეგ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებისა, რაც გასაჩივრდება ჩვეულებრივი გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი წესით და ამით თავიდან იქნება აცილებული შესაგებლის წარუდგენლობის გამო გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის დაკარგული დრო. დღეს მოქმედი ნორმით, სასამართლო ვალდებულია გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოპასუხის მიერ შესაგებლის წარუდგენლობის გამო. თუმცა არის შემთხვევები, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს არ გამოაქვს ამ საფუძველით დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ნიშნავს საქმის განხილვას და ამჯერად მოსარჩელის გამოუცხადებლობის გამო, გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ეს კი მხარეებს არათანაბარ პირობებში აყენებს. უზენაესი სასამართლოს არაერთი განჩინება არსებობს, რომლითაც გაუქმდა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები იმ მოტივით, რომ იმ დროს, როდესაც გამოტანილი იყო დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოსარჩელის გამოუცხადებლობის გამო, მანამდე კი არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის აუცილებლობა მოპასუხის მიერ შესაგებლის წარუდგენლობის საფუძველით და სასამართლომ არ გამოიყენა კანონის ეს მოთხოვნა. # ას 238-224-10 ივლისი 2010 წ. საქმეზე საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ: „კასატორი ზ. ნ-შვილი ჯერ კიდევ სააპელაციო საჩივარში უთითებდა იმაზე, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ უგულებელყოფილ იქნა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის მე-7 ნაწილი, რომლის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლო ვალდებული იყო მოპასუხის მიერ შესაგებლის წარუდგენლობის შემთხვევაში გამოეტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რაც მან არ გააკეთა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლო არ მსჯელობს და არ იკვლევს საქმეში არსებული პროცესუალური ხასიათის ფაქტებს, რაც შეიძლება მიუთითებდეს პირველი ინსტანციის სასამართლოში მოპასუხეების მიერ შესაგებლის წარუდგენლობისათვის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის აუცილებლობაზე. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი შემოწმება შეუძლებელია. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს პირველი ინსტანციის სასამართლოში მოპასუხეების მიერ შესაგებლის წარუდგენლობისა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების არგამოტანის მიზეზი და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება“. ასეთივე გადაწყვეტილება აქვს გამოტანილი უზენაეს სასამართლოს შესაგებლის წარუდგენლობის საფუძველი, დაუსწრებელი გადაწყვეტილების არგამოტანის გამო # ას 839-1125-09 11 მარტი, 2010 წ. საქმეზე. უზენაესი სასამართლო კიდევ ერთხელ განმარტავს კანონის მოთხოვნას: „სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232¹ მუხლის თანახმად, მოპასუხის მიერ ამ კოდექსის 201-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია

არასაკატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთან, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ საჩივარში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს მოთხოვნას, წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო ნიშნავს მთავარ სხდომას“ [10, 79].

პრაქტიკაში არის შემთხვევები, რომ სასამართლო, რომელიც ვალდებულია განუმარტოს მოპასუხეს შესაგებლის წარუდგენლობის შედეგები, არ უმარტავს და ისე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება შესაგებლის წარუდგენლობის გამო. აღნიშნული ხდება გადაწყვეტილების აბსოლუტური გაუქმების საფუძველი. უზენაესი სასამართლოს არაერთი გადაწყვეტილება არსებობს, რომლითაც გაუქმდა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები სწორედ ასეთი საფუძველით. უზენაესმა სასამართლომ #ას-705-925-08 23 თებერვალი, 2009 წ. საქმეზე განმარტა: „შესაგებლის წარუდგენლობის შესაძლო შედეგს წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232¹ მუხლით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება... შესაგებლის წარდგენა მოპასუხის პროცესუალური ვალდებულებაა, რომლის შეუსრულებლობის შემთხვევაში მოქმედებს პრეზუმფცია, რომ მხარეს არ გააჩნია ან დაკარგა ინტერესი დავის მიმართ და ერთგვარი პროცესუალური სანქციის სახით, 232¹ მუხლის შესაბამისად, ხდება დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ იმ პირობებში, როდესაც მხარე ინფორმირებული არ არის თავისი პროცესუალური ვალდებულებებისა და მათი ნეგატიური შედეგების თაობაზე, სასამართლოს ვერ ექნება ვარაუდი, რომ მას არ აქვს ინტერესი თავი დაიცვას სარჩელისაგან. ამდენად, ასეთ შემთხვევაში, დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება დაუშვებელია... საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სასამართლომ, განსაზღვრავს რა შესაგებლის წარდგენის ვადას, იმავე განჩინებით უნდა განუმარტოს მხარეს, რომ სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში შესაგებლის წარუდგენლობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილება იქნება მიღებული. აღნიშნული განმარტება მოცემული უნდა იყოს განჩინების სარეზოლუციო ნაწილში. ამგვარი განმარტების გარეშე სასამართლო არ არის უფლებამოსილი შესაგებლის წარუდგენლობის მოტივით დაუსწრებელი გადაწყვეტილება მიიღოს“ [9, 39].

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი აგებულია შეჯიბრებითობის პრინციპზე. მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები მტკიცებულებები“ [4, 4] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, „თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს“ [6, 102]. ეს მუხლები არეგულირებენ მხარეების უფლებებსა და მოვალეობებს ჩვეულებრივი სასარჩელო წარმოების დროს, როდესაც მოსარჩელეს მიაჩნია და არსებობს ამისი ვარაუდი, რომ მოპასუხემ დაურღვია მას უფლება, მაგრამ პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც ამ „ვარაუდს“ არანაირი საფუძველი არა აქვს, ე. ი. სარჩელი აშკარად უსაფუძველოა. ამ შემთხვევაში მოპასუხე, რომელსაც არანაირი უფლება არ დაურღვევია მოსარჩელისათვის, მოსარჩელის უკანონო მოქმედების მსხვერპლი ხდება. ვფიქრობთ, რომ ასეთი დავების შემთხვევაში უნდა არსებობდეს კანონში რაიმე დამცავი მუხლი, რომელიც დაიცავს ასეთ მოპასუხეს. ამგვარი პრობლემების თავიდან აცილების მიზნით, მიგვაჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო

საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის პირველ ნაწილს, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძვლებს უნდა დაემატოს ახალი პუნქტი: „სარჩელი აშკარად უსაფუძვლოა“.

მოპასუხეს შეუძლია თავის დაცვა როგორც შესაგებლით, ასევე, შეგებებული სარჩელით. შეგებებული სარჩელი - ჩვეულებრივი სარჩელია. შეგებებული მას იმიტომ ეწოდება, რომ იგი აღძვრის სხვა ძირითადი (თავდაპირველი) სარჩელის გამო, თუმცა რომ არა ეს ძირითადი სარჩელი, იგი შეიძლება აღძრულიყო როგორც დამოუკიდებელი და ძირითადი სარჩელი [2, 326]. შეგებებული სარჩელის წარდგენა შეზღუდულია დროში, ისევე როგორც შესაგებლის წარდგენა. მოპასუხეს შეუძლია შეგებებული სარჩელის აღძვრა მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც შეტანილი იქნება ძირითადი სარჩელი პირველი ინსტანციის სასამართლოში. შეგებებული სარჩელის შეტანა შეუძლია მოპასუხეს საქმის ზეპირი განხილვისათვის მომზადების ეტაპზე. საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში კი შესაძლებელია სასამართლო პაექრობის დამთავრებამდე. თუ მოხდა შემთხვევა, რომ მოპასუხემ ვერ დაამტკიცა შეგებებული სარჩელის წარუდგენლობის საპატიო მიზეზი, ვფიქრობთ, რომ იმ შემთხვევაში, თუ შეგებებული სარჩელის აღძვრას აპირებდა იმ საფუძველით, რომ შეგებებულ სარჩელსა და პირვანდელ სარჩელს შორის არის ურთიერთკავშირი და მათი ერთად განხილვის შედეგად აღძრული დავა უფრო სწრაფად და სწორად გადაწყდება, ასეთ შემთხვევაში მოპასუხეს შეუძლია აღძვრას ჩვეულებრივი სარჩელი და შემდგომ, კანონით დადგენილი წესით, მოითხოვოს მის მიერ აღძრული სარჩელი გაუერთიანდეს მის წინააღმდეგ აღძრულ საქმეს, რაც შეასრულებს იგივე ფუნქციას, რასაც შეასრულებდა სარჩელის და მოპასუხის მიერ თავის დროზე აღძრული შეგებებული სარჩელის ერთად განხილვა. შეგებებული სარჩელი არის ჩვეულებრივი სარჩელი, რომელსაც ჰყავს მოსარჩელე და მოპასუხე. თავდაპირველი მოსარჩელე იქნება შეგებებული სარჩელის მოპასუხე და პირიქით, ე.ი. შეგებებულ სარჩელში მხარეები „იცვლებიან“, შეგებებული სარჩელი რადგან ჩვეულებრივი სარჩელია, ამიტომ ყველა იმ მოთხოვნას უნდა პასუხობდეს, რასაც უნდა პასუხობდეს თავდაპირველი სარჩელი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 189-ე მუხლი განსაზღვრავს რა შემთხვევაში შეიძლება შეგებებული სარჩელის აღძვრა, ესენია, თუ: 1. შეგებებული სარჩელის მოთხოვნა მიმართულია პირვანდელი მოთხოვნის ჩასათვლელად; 2. შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება მთლიანად ან ნაწილობრივ გამორიცხავს პირვანდელი სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას; 3. შეგებებულ სარჩელსა და პირვანდელ სარჩელს შორის არის ურთიერთკავშირი და მათი ერთად განხილვის შედეგად აღძრული დავა უფრო სწრაფად და სწორად გადაწყდება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 190-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ შეგებებული სარჩელი მიღებულია საქმის წინასწარი მომზადების დამთავრების შემდეგ, მოსარჩელის თხოვნით ან სასამართლოს ინიციატივით შეიძლება საქმის განხილვის გადადება სხვა დროისათვის. არ არის დაზუსტებული რომელი მოსარჩელის თხოვნაზეა საუბარი, თუმცა იგულისხმება თავდაპირველი მოსარჩელე, რომელსაც, რა თქმა უნდა, სჭირდება მომზადება და სავალდებულოც არის მისი შესაგებლის წარდგენა, ამიტომ აქ კანონი იმპერატიულად უნდა განსაზღვრავდეს საქმის გადადებას და არ უნდა იყოს საჭირო მხარის მოთხოვნა. ამავე მუხლის მეორე ნაწილი მოპასუხეს, რომელმაც დაგვიანებით აღძრა შეგებებული სარჩელი, აკისრებს საქმის განხილვის გადადებით გამოწვეული ხარჯების ანაზღაურებას, რაც მიმაჩნია არასწორად, რადგან მოპასუხეს სასამართლომ თუ მისცა საშუალება წარადგინოს შეგებებული სარჩელი, მაშინ არ უნდა „დასაჯოს“ იგი.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ პრაქტიკაში არსებობს პრობლემური საკითხები, რომლებიც ეხება სარჩელისაგან მოპასუხის პროცესუალურ თავდაცვის საშუალებებს და რომელთა შეწავლის გარეშე უგულებელყოფილი იქნება დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბოელინგი ჰ., ჭანტურია ლ. 2004. *სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია*. თბილისი: ჯისიაი. 34.
2. ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ. 2004. *საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი*. თბილისი. სანი. 326.
3. ბასილია ფ. #1(24)10 მოპასუხის მიერ პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობის შედეგები. *მართლმსაჯულება და კანონი*. #1(24). 112.
4. საქართველოს პარლამენტი. სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. *საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი*. www.matsne.gov.ge. (12.06.2012) მუხლი 4.
5. საქართველოს პარლამენტი. სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. *საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი*. www.matsne.gov.ge. (12.06.2012) მუხლი 21.
6. საქართველოს პარლამენტი. სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. *საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი*. www.matsne.gov.ge. (12.06.2012) მუხლი 102.
7. საქართველოს პარლამენტი. სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. *საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი*. www.matsne.gov.ge. (12.06.2012) მუხლი 106.
8. სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლი.
9. უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა. საქართველოს უზენაესი სასამართლო. *საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და სხვა კატეგორიის საქმეებზე*. www.supremecourt.ge. (23 02 2009 #12) გვ. 39.
10. უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა. საქართველოს უზენაესი სასამართლო. *საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და სხვა კატეგორიის საქმეებზე*. www.supremecourt.ge. (11.03.2010 #11. გვ. 79).

ზურაბ ლაზაშვილი
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

**ანტიკორუფციული კანონმდებლობის პრევენციული თავისებურებანი
აშშ -სა და დიდი ბრიტანეთის კანონმდებლობაში**

რეზიუმე

კორუფცია კაცობრიობის თანხლები პროცესია განვითარების უძველესი დროიდან. ჯარიმა მექრთამეობისათვის ჯერ კიდევ ჰამურაპის (4 ათასი წელი ჩვ.წ.ა.) კანონებით იყო გათვალისწინებული. ამ ანტისაზოგადოებრივი მოვლენის მავნე ზეგავლენა იგრძნობა ყველა ქვეყანაში, მიუხედავად სახელმწიფო წყობისა ან ტრადიციისა. კორუფციის მკვეთრი ზრდა აღინიშნა საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბების პერიოდში XIX საუკუნეში. ამავე დროს დაიწყო კორუფციის საწინააღმდეგო კანონმდებლობის შემუშავების პირველი მცდელობები, მაგრამ ანტიკორუფციული სიტუაციის მნიშვნელოვანი ცვლილება არც მსოფლიოში და არც ცალკეულ სახელმწიფოში არ მომხდარა. მხოლოდ XX საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც რიგ ქვეყნებში კორუფციასთან ბრძოლა სახელმწიფო პოლიტიკის რანგში ავიდა, შესაძლებელი გახდა მისი გავლენის მინიმიზაცია საზოგადოების ყველა სფეროში. ამ მხრივ, საინტერესოა იმ ქვეყნების გამოცდილება, რომლებსაც აქვთ რაოდენობრივად დიდი მმართველობითი აპარატი. ეს, უპირველეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ჩინეთი და კიდევ რამდენიმე ქვეყანაა.

სტატიაში განხილულია პრევენციული ანტიკორუფციული კანონმდებლობის თავისებურებანი შეერთებული შტატების, დიდ ბრიტანეთის, საფრანგეთის, გერმანიის, ფინეთის, იაპონიის, კორეის, სინგაპურის და ჩინეთის მაგალითზე.

ამერიკული სამართლის მიხედვით, ჩინოვნიკმა წახალისება შეიძლება მიიღოს მხოლოდ ოფიციალურად - ხელისუფლების მხრიდან. ამ წესის დარღვევისათვის გათვალისწინებულია ჯარიმა ან თავისუფლების აღკვეთა 2 წლამდე, ან სასჯელთა ერთობლიობა.

დიდ ბრიტანეთში, კორუფციის (მექრთამეობის) სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძველს წარმოადგენს 1889 წლის კანონი საჯარო დაწესებულებებში მექრთამეობის შესახებ და 1906 და 1916 წწ. კანონები კორუფციის პრევენციის შესახებ.

დასახელებულიდან პირველი კანონი გმობს "ქრთამის მოთხოვნის ან მიიღებას, ან საჩუქრის, სესხის ან სხვა რაიმე ღირებულის მიღებაზე თანხმობას, რათა ამგვარი ქმედება არ გახდეს ჩინოვნიკის მხრიდან რაიმე სახის მოქმედებების განხორციელების ან მოქმედებებისაგან თავის შეკავების მოტივაცია."

ანტიკორუფციული ნორმები მიმართულია პოლიტიკური და ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების მიმღები სახელმწიფო ჩინოვნიკების მხრიდან ჩადენილი სამოხელეო

დანაშაულთან ბრძოლისკენ, ასევე პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო კამპანიების უკანონო დაფინანსების აღკვეთისკენ.

კორუფცია კაცობრიობის თანხლები პროცესია განვითარების უძველესი დროიდან. ჯარიმა მექრთამეობისათვის ჯერ კიდევ ჰამურაპის (4 ათასი წელი ჩვ.წ.ა.) კანონებით იყო გათვალისწინებული. ამ ანტისაზოგადოებრივი მოვლენის მავნე ზეგავლენა იგრძნობა ყველა ქვეყანაში, მიუხედავად სახელმწიფო წყობისა ან ტრადიციისა. კორუფციის მკვეთრი ზრდა აღინიშნა საბაზაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბების პერიოდში XIX საუკუნეში. ამავე დროს დაიწყო კორუფციის საწინააღმდეგო კანონმდებლობის შემუშავების პირველი მცდელობები. მაგრამ ანტიკორუფციული სიტუაციის მნიშვნელოვანი ცვლილება არც მსოფლიოში და არც ცალკეული სახელმწიფოებში არ მომხდარა. მხოლოდ XX საუკუნის, მეორე ნახევარში, როდესაც რიგ ქვეყნებში კორუფციასთან ბრძოლა სახელმწიფო პოლიტიკის რანგში ავიდა, შესაძლებელი გახდა მისი გავლენის მინიმიზაცია საზოგადოების ყველა სფეროში. ამ მხრივ, საინტერესოა იმ ქვეყნების გამოცდილება, რომლებსაც აქვთ რაოდენობრივად დიდი მმართველობითი აპარატი. აღნიშნული საკითხის განხილვა საინტერესო არის ამერიკისა და დიდი ბრიტანეთის ქვეყნების მაგალითზე.

პრევენციული ანტიკორუფციული კანონმდებლობის თავისებურებანი შეერთებულ შტატებში. აშშ ანტიკორუფციული კანონმდებლობა ხასათდება განსაკუთრებული სიმკაცრით. მაგალითად, კორუფციის სხვადასხვა სახეებისათვის - ქრთამი, კიკბეკინგი (უკანონოდ მოპოვებული ფულის ნაწილის გადახდა, კორუფციული გარიგების მონაწილისათვის) და სხვა - გათვალისწინებულია ქრთამის სამმაგი ოდენობის ჯარიმები ან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთა, ან ორივე ერთდროულად, დამამძიმებელი გარემოებების არეობისას კი 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთა.

აშშ კანონმდებლობით გათვალისწინებულია სასჯელი იმ შემთხვევაშიც, როდესაც თანამდებობის პირი იღებს გასამრჯელოს იმ ქმედებისათვის, რომელიც მას ისედაც ევალება სამსახურებრივად.

ამერიკული სამართლის მიხედვით, ჩინოვნიკმა წახალისება შეიძლება მიიღოს მხოლოდ ოფიციალურად - ხელისუფლების მხრიდან. ამ წესის დარღვევისათვის გათვალისწინებულია ჯარიმა ან თავისუფლების აღკვეთა 2 წლამდე, ან სასჯელთა ერთობლიობა.

კორუფციულ გარიგებებს განეკუთვნება შეთანხმება ნებისმიერ პირებს შორის და რომელიც ეხება ფედერალურ საჯარო სამსახურში მოწყობას. სისხლისსამართლებრივად დასჯადად ითვლება ფულის ან ქონებრივი სარგებლის მოთხოვნა ან მათი მიღება საჯარო სამსახურში მუშაობის დაწყების ხელშეწყობისათვის. ამგვარი ქმედების ჩამდენი ისჯება თავისუფლების აღკვეთით ერთი წლით ან მოთხოვნილი/მიღებული თანხის ოდენობის ჯარიმით, ან ორივე სახის სასჯელის ერთობლიობით. გამონაკლისს წარმოადგენს სპეციალური რეკრუტების

სააგენტოები, რომლებსაც აქვთ ნებართვა მიიღონ მონაწილეობა საჯარო სამსახურში პირთა შერჩევა-მიღების პროცესში.

აშშ ანტიკორუფციული კანონმდებლობა ატარებს სისტემურ ხასიათს. იგი ასევე შედგება სამართლებრივი აქტებისაგან, რომლებითაც რეგულირდება ლობისტური, საბანკო, საფონდო და სხვა საქმიანობა. მიუხედავად იმისა, რომ ეს არ იძლევა კორუფციის სრულად აღმოფხვრის გარანტიას, მისი დონე აშშ-ში გაცილებით დაბალია, ვიდრე სხვა ქვეყნებში.

აშშ-ში კორუფციასთან ბრძოლას აადვილებს ის ფაქტს, რომ აშშ თანამდებობის პირებს არ გააჩნიათ იმუნიტეტი. ნებისმიერი ჩინოვნიკი, მათ შორის, პრეზიდენტი, კონგრესმენები და სენატორები შეიძლება მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში, თუმცა განსაკუთრებული წესით, მას შემდეგ, როდესაც მოხდება მისი თანამდებობიდან გადაყენება.

აშშ ანტიკორუფციული სტრატეგიის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა - საჯარო სამსახურში კორუფციის პრევენცია. იგი ეფუძნება ე.წ. "ადმინისტრაციული მორალი"-ს დანერგვას, რომელიც წარმოადგენს საჯარო სამსახურის ეთიკური და დისციპლინური სტანდარტების ერთობლიობას.

საჯარო (სამთავრობო) სამსახურის ეთიკის კოდექსი პირველად მიღებულ იქნა 1958 წელს, კონგრესი რეზოლუციის სახით, რომელშიც იყო გათვალისწინებული, რომ ყველა პირს საჯარო (სამთავრობო) სამსახურში:

1. მორალური პრინციპები და სახელმწიფოსადმი ერთგულება დაეყენებინა უფრო მაღლა, ვიდრე ერთგულება პირების, პარტიის ან სამთავრობო ორგანიზაციების მიმართ;
2. შეესრულებინა კონსტიტუციის, აშშ კანონმდებლობის და სახელმწიფო ორგანოების მიერ დადგენილი მოთხოვნები და არასოდეს დაეჭირა მხარი მათთვის, ვინც თავს არიდებდა მათ შესრულებას;
3. შეესრულებინა სამსახურებრივი მოვალეობები დადგენილი ანაზღაურების სანაცვლოდ;
4. დადგენილი ამოცანების შესრულებისას გამოეყენებინა ყველაზე ეფექტური და ეკონომიური საშუალებები;
5. არასდროს მიემართა დისკრიმინაციისთვის, არავისთვის დაეწესებინა სპეციალური შეღავათები ან პრივილეგიები, როგორც ჯილდოს სანაცვლოდ ასევე მის გარეშე; არ მიეღო პირადად და ასევე საკუთარი ოჯახის წევრებისათვის სარგებელი ან საჩუქრები ისეთ ვითარებაში, როდესაც ამგვარი შეიძლება გაგებულ ყოფილიყო როგორც გავლენა მოვალეობების შესრულებისას;
6. არ გაეკეთებინა დაპირებები სამსახურებრივ მოვალეობებთან დაკავშირებით, რადგან მოხელე ვერ იმოქმედებს, როგორც კერძო პირი საჯარო სამსახურის შესრულებისას;

7. პირდაპირ თუ ირიბად არ ეწარმოებინა კომერციული ურთიერთობები მთავრობასთან, თუ ეს ეწინააღმდეგება მოვალეობების კეთილსინდისიერად შესრულებას;
8. არასდროს არ გამოეყენებინა კონფიდენციალური და დაპატენტებული ინფორმაცია საკუთარი სარგებლისათვის;
9. სააშკაროზე გამოეტანა კორუფციის შემთხვევები, ასეთის აღმოჩენის შემთხვევაში;
10. დაეცვა აღნიშნული პრინციპები იმ შეგნებით, რომ საჯარო სამსახური არის საზოგადოების ნდობის გამოხატულება.

მიუხედავად იმისა, რომ კოდექსი ატარებდა სარეკომენდაციო ხასიათს, შემდგომში იგი გახდა აშშ-ს საჯარო (სამთავრობო) მოხელეთა "ადმინისტრაციული ეთიკის" სამართლებრივი რეგლამენტაციის საფუძველი.

კოდექსის განვითარების მიზნით აშშ კონგრესის მიერ 1962 წელს მიღებულ იქნა ე.წ. "ოფიციალური წესები არჩეული თანამდებობის პირთათვის (ორივე პალატის პარლამენტის წევრთათვის) და აღმასრულებელი ხელისუფლების საჯარო მოხელეებისათვის." 1965 წელს პრეზიდენტ ლ. ჯონსონის განკარგულებით დადგინდა ქვევის სტანდარტები, ოფიციალური პირების ეთიკური ნორმები. 1978 წელს ამ წესებმა "სახელმწიფო მოხელეთა ეთიკის შესახებ" კანონის სახე მიიღო.

XX საუკუნის 80-იანი წლების შემდეგ სახელმწიფო სამსახურის ეთიკური პრინციპები უფრო მკაცრი სამართლებრივი რეგულირების ობიექტი გახდა. 1989 წელს აშშ კონგრესის მიერ მიღებულ იქნა კანონი "ეთიკის კანონის რეფორმის შესახებ", რომელმაც მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა ოფიციალური პირების ქვევის ნორმებში და განავრცო ეს ნორმები ფედერალური ხელისუფლების ყველა შტოს მიმართ - საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო.

1990 წ. ოქტომბერში, კანონი გამყარდა აშშ პრეზიდენტის აღმასრულებელი ბრძანებით # 12731 "თანამდებობის პირთა და სახელმწიფო აპარატის თანამშრომელთა ქვევის ეთიკა". ეს პრინციპები განვრობილი იქნა არა მხოლოდ უმაღლესი თანამდებობის პირების მიმართ არამედ სახელმწიფო მოსამსახურეთა რიგითი წევრების მიმართაც.

ბრძანების მიხედვით სახელმწიფო მოხელეები:

1. არ უნდა ჩაერთონ ფინანსურ ოპერაციებში, რომელთა განხორციელებისას ივარაუდება დახურული სამთავრობო ინფორმაციის გამოყენება და არ უნდა გამოიყენონ მსგავსი სახის ინფორმაცია პირადი მიზნებისათვის ;
2. მათ არ შეუძლიათ წაახალისონ ნებისმიერი ფორმით საჩუქრების მიღება პირებისაგან ან პირტა ჯგუფებისაგან იმ ოფიციალური მოქმედებების შესრულებისათვის, რომლებიც ევალება სახელმწიფო მოხელეს სამსახურებრივი უფლებამოსილებით;

3. ასევე არ შეუძლიათ მიიღონ საჩუქრები პირთაგან, რომელთა ინტერესები დამოკიდებულია სახელმწიფო მოხელის მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულება-არშესრულებაზე;

4. ისინი ვალდებული არიან წარუდგინონ ანგარიში "შესაბამის ორგანოებს ყველა შემთხვევაში, თუ დაფიქსირდა ქონების განადგურება, თაღლითობა, ძალადობა და კორუფცია".

კონტროლი ამ დებულების აღსრულებაზე ევალება პირებს ან პირთა წრეს ან კომისიას, რომლებიც მუშაობენ ყველა შესაბამის სახელმწიფო ორგანოში - საჭიროების შემთხვევაში მათ შეუძლიათ დამატებით ინფომრაციის გამოთხოვა, გასაუბრებაზე მოხელეთა დაბარება და შიდა სამსახურებრივი მოკვლების ჩატარება;

დაშვებული დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში ჩინოვნიკის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნას ერთერთი შემდეგი სახის ზემოქმედების ღონისძიებები:

1. ნაწილობრივი ან სრული დისკვალიფიკაცია;
2. სამსახურებრივი დაქვეითება;
3. "ინტერესთა კონფლიქტის" შემცველი ფინანსური კავშირების გაწყვეტა;

სერიოზული დარღვევების შემთხვევაში შესაძლებელია სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება.

გარდა ამისა, სახელმწიფო მოხელეს ეზღუდება დამატებითი შემოსავლების მიღება (შეთავსებით მუშაობა). დამატებითი შემოსავალი არ უნდა აღემატებოდეს ძირითადი სამსახურის ხელფასის ოდენობის 15 %-ს. ეს შეზღუდვა ვრცელდება ხელისუფლებებს ყველა შტოს ჩინოვნიკების მიმართ, გარდა აშშ სენატის წევრებისა.

აშშ პრეზიდენტის მიერ დანიშნულ თანამდებობის პირებს სახელმწიფო სამსახურის მთელი პერიოდის განმავლობაში საერთოდ ეკრძალებათ ნებისმიერი დამატებითი შემოსავლის მიღება.

რაც შეეხება ყოფილ სახელმწიფო მოხელეებს, მათ ეზღუდებათ ბიზნეს საქმიანობა სახელმწიფო სამსახურიდან გადადგომის შემდეგ ორი წლის განმავლობაში.

მათ ასევე ეკრძალებათ ერთი წლის განმავლობაში წარმომადგენლობითი ფუნქციის შესრულება იმ საკითხების მოგვარებაში, რომლებზეც სახელმწიფო ჩინოვნიკი პასუხისმგებელი იყო სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების პერიოდში.

ორწლიანი აკრძალვის ეხება აგრეთვე აღმასრულებელი ხელისუფლების ყოფილ "მაღალჩინოსნებს". მათ უნდა შეწყვიტონ ყოველგვარი კონტაქტები ყოფილს სამსახურთან,

არ შეუძლიათ ვინმეს ინტერესების წარმომადგენლობა, ყოფილ სამსახურში ან ნებისმიერი სხვა სახელმწიფო დაწესებულებაში.

აშშ ანტიკორუფციული სტრატეგიის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი დებულება განსაზღვრავს ჩინოვნიკების მიერ კერძო პირებისაგან და ორგანიზაციებისაგან საჩუქრების მიღების შეზღუდვის ერთიან წესებს.

მაგალითად, აშშ სენატორმა და მისი აპარატის თანამშრომლებმა არ უნდა მიიღოს საჩუქრები

კერძო პირებისაგან და ორგანიზაციებისაგან, რომლებიც შეიძლება იყვნენ ან არიან დაინტერესებულნი სენატის მიერ ამა თუ იმ კანონპროექტის დამტკიცებაში, თუ კალენდარული წლის განმავლობაში საჩუქრების საერთო ღირებულება აღმატება 100 აშშ დოლარს.

სენატორის მიერ სხვა წყაროებიდან (გარდა ნათესავებისა) კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული საჩუქრების საერთო ღირებულება უნდა აღემატებოდეს 300 აშშ დოლარს. კანონი „ეთიკის შესახებ“ ასევე აწესებს შეზღუდვებს კერძო პირების მხრიდან საჩუქრის სახით მოგზაურობების დაფინანსებაზე. სენატმა დაადგინა ლიმიტი სამი დღის (და ორი ღამის) პერიოდზე ქვეყნის შიგნით მოგზაურობაზე და შვიდი დღე (და ექვსი ღამე) საზღვარგარეთ მოგზაურობაზე. ამგვარი შეზღუდვები ასევე ვრცელდება სენატორის ოჯახის წევრებზე.

აშშ კონგრესის წარმომადგენელთა პალატის წევრს აქვს უფლება კალენდარული წლის განმავლობაში ერთი წყაროსაგან მიიღოს საჩუქრები, რომელთა საერთო ღირებულება არ აღემატება 250 აშშ დოლარს. ერთი ასეთი შეზღუდვა ვრცელდება ასევე კონგრესმენის თანამშრომლებზეც.

ამავე დროს ყოველი საჩუქარი, მათ შორის საჩუქრები მოხელის მეუღლესათვის, რომელთა "სამართლიანი საბაზრო ღირებულება" აღემატება 100 აშშ დოლარს უნდა დადეკლარირდეს. ეს შეზღუდვები ვრცელდება ყველა საჩუქრებზე, გარდა ნათესავების მხრიდან მიღებულ საჩუქრებზე.

სხვა კატეგორიის საჯარო მოსამსახურეების მიმართ, ასევე არის დაწესებული საჩუქრების მიღების შეზღუდვები. სახელმწიფო მოხელეს და მის მეუღლეს შეუძლია კალენდარული წლის განმავლობაში მიიღოს საჩუქრები, რომელთა საერთო ფასი არ აღემატება 100 აშშ დოლარს. თუ საჩუქრის ფასი აღემატება დადგენილ ღირებულების ზღვარს, საჯარო მოსამსახურე ვალდებულია 60 დღის განმავლობაში ჩააბაროს იგი საკუთარი სახელმწიფო სამსახურის შესაბამის დეპარტამენტს.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა წესებს, რომლებიც არეგულირებენ საჩუქრების და ჯილდოების მიღებას უცხო ქვეყნების წარმომადგენლებისაგან. მოხელეს, მაგალითად, აქვს უფლება მიიღოს საჩუქარი უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლისაგან იმ შემთხვევაში, თუ ეს

საჩუქარი შემოთავაზებულია როგორც სუვენირი ან პატივისცემის ნიშნად და მისი ღირებულება არ აღემატება „მინიმალური ღირებულების ზღვარს“.

სახელმწიფო მოხელეს "მინიმალური ღირებულების ზღვარს" ზევით საჩუქრის მიღების უფლება აქვს თუ ასეთი საჩუქარი ხელს უწყობს მეცნიერების ან მედიცინის სფეროში აშშ კავშირების განვითარებას და თუ საჩუქრის მიღებაზე უარის თქმამ შეიძლება მჩუქებლის წყენა, შეურაწყოფა გამოიწვიოს ან/და რამე ფორმით ზეგავლენა იქონის საერთაშორისო ურთიერთობებზე.

ანალიზი აჩვენებს, რომ აშშ-ში აგებულია ეფექტური სისტემა, რომელიც ქმნის კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის წინაპირობებს.

დიდი ბრიტანეთის პრევენციული ანტიკორუფციული კანონმდებლობის თავისებურებანი.

დიდ ბრიტანეთში, კორუფციის (მექრთამეობის) სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძველს წარმოადგენს 1889 წლის კანონი საჯარო დაწესებულებებში მექრთამეობის შესახებ და 1906 და 1916 წწ. კანონები კორუფციის პრევენციის შესახებ.

დასახელებულიდან პირველი კანონი გმობს "ქრთამს მოთხოვნის ან მიიღებას, ან საჩუქრის, სესხის ან სხვა რაიმე ღირებულის მიღებაზე თანხმობას, რათა ამგვარი ქმედება არ გახდეს ჩინოვნიკის მხრიდან რაიმე სახის მოქმედებების განხორციელების ან მოქმედებებისაგან თავის შეკავების მოტივაცია.“

პირის, რომელიც ცნობილი იქნება დამნაშავედ ამ გვარ ქმედებებში, მიესაჯება თავისუფლების აღკვეთა ან საჩუქრის, სესხის საფასურის გადახდა. გარდა ამისა, იგი კარგავს უფლებას არჩეულ ან დანიშნულ იქნას ნებისმიერი საჯარო სამსახურში ვადით შვიდ წლამდე. განმეორებითი იგივე ქმედების ჩადენისათვის - შესაძლებელია საჯარო სამსახურში მუშაობის სამუდამო აკრძალვა, ყველა სახის კომპენსაციისა და პენსიის მიღების აკრძალვა, რომელიც ჩინოვნიკს შეიძლება მიეღო ჩვეულებისამებრ.

1906 წლის კორუფციის პრევენციის შესახებ კანონის მხედვით ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას იმის და მიუხედავად ქრთამის მიმღებმა პირმა ჩაიდინა თუ არა ქმედებები, რომელსაც იყო გადახდილი ქრთამი და რა მოტივები ამოძრავებდა ქრთამის მიმცემს.

1916 წლის კორუფციის პრევენციის შესახებ კანონის და მასში შეტანილი დამატებების მიხედვით მექრთამეობისათვის პასუხისმგებლოდა დაწესებულია იმ შემთხვევაში, როდესაც კორუფციული გარიგების საქმე ან შეთანხმება ეხებოდა ცენტრალურ ან ადგილობრივ უწყებებთან გარიგებას. კანონით გათვალისწინებული მექრთამეობა ისჯება თავისუფლების აღკვეთით 3-დან 7 წლამდე ვადით.

ბრიტანეთის კანონმდებლობა კორუფციის შემადგენლობის ცალკე ნაწილად განიხილავს სამართალდარღვევებს რომლებიც დაკავშირებულია საპატიო ჯილდოების მიღებასთან. არსანიშნავია, რომ პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია როგორც ქრთამის მიმცემის მიმართ ასევე ქრთამის მიმღების მიმართ. ქრთამის მიმცემი ისჯება თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე ვადით და ჯარიმით, სასამართლოს შეხედულებისამებრ. ქრთამის მიმღები კი თავისუფლების აღკვეთით სამ თვემდე ვადით და ჯარიმით, რომელიც გათვალისწინებულია 1925 წლის კანონით ჯილდოების ბოროტად გამოყენების აღკვეთის შესახებ.

1809 წლის კანონი თანამდებობების გაყიდვის შესახებ და 1967 წლის რედაქციის კანონი სისხლის სამართლის შესახებ ითვალისწინებს პასუხისმგებლობას კორუფციისათვის თანამდებობების გაყიდვის, ყიდვის, ან სხვაგვარი გარიგებების შემთხვევაში, მათ შორის კორუფციული გარიგებები დასაქმების საკიტხებში, როგორც დიდ ბრიტანეთში ასევე დიდი ბრიტანეთის კოლონიებში. ამგვარი ქმედების გამო დამნაშავე ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 2 წლამდე და სამუდამოდ ერთმევა უფლება დაიკავოს სახელმწიფო თანამდებობა.

ბრიტანეთის სამართალი ცალკე დანაშაულად გამოყოფს მოსამართლეებისა და სასამართლოს მოხელეების მოსყიდვას. პირები, რომლებიც სასამართლო მოხელეებს აძლევენ საჩუქრებს ან ფულს რათა საკუთარი გავლენის ქვეშ მოაქციოს მათი ოფიციალური ქცევა ან მოქმედება ჩადიან დანაშაულს რომლისათვისაც გათვალისწინებულია ჯარიმა და 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთა.

რაც შეეხება კორუფციას ფინანსურ ბაზრებზე, ბრიტანეთის სამართლებრივი სისტემის მოითხოვს ფინანსისტებისაგან, რომ მათ შეატყობონ სამართალდამცავ ორგანოებს რაიმე საეჭვო საქმიანობის ან გარიგებების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში ფინანსისტი განიხილება დანაშაულის თანამონაწილედ და იგი მიეცემა სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

ანტიკორუფციული სტრატეგიის ფარგლებში დიდ ბრიტანეთში ხორციელდება ასევე პროგრამა პატიოსნების პრინციპების დანერგვის საზოგადოების ყველა სფეროში მათ შორის საჯარო სამსახურში.

1994 წლის ოქტომბერში შეიქმნა დამოუკიდებელი საკონსულტაციო კომიტეტი. კომიტეტი შედგება 10 ავტორიტეტული საზოგადო მორვაწისაგან. მათ შორის, ორი - პარლამენტის წევრია. კომიტეტის ამოცანებში შედიოდა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საჯარო დაწესებულებების ფინანსური და ბიზნეს საქმიანობის შესწავლა და შეაფასება. „

ამ კომიტეტის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდნენ მინისტრები, მთავრობის წარმომადგენლები, ეროვნული და ევროპული პარლამენტების წევრები, ხელმძღვანელი

პირები, არასამთავრობო საჯარო დაწესებულებების წარმომადგენლები, ადგილობრივი ხელისუფლება. თუმცა კომიტეტი არ შეიმუშავებდა ქცევის დარღვევის სტანდარტების რეკომენდაციებს კონკრეტული შემთხვევებისათვის და ფოკუსირებას აკეთებდა განვითარების საერთო პრინციპებზე. შედეგად, 1995 წელს კომიტეტმა ჩაოყალიბა საჯარო მოხელეთა საქმიანობის შვიდი პრინციპი - ერთგარი ქცევის კოდექსი:

1. მიუკერძოებლობა - მხოლოდ საზოგადოებრივი ინტერესების სამსახური, უარი ნებისმიერ ქმედებზე რომელიც მიზნად ისახავს საკუთარი, ოჯახის წევრების ან მეგობრების ფინანსურ გამორჩენას;
2. მოუსყიდველობა - გარეშე პირებისაგან ან ორგანიზაციებისაგან, ფინანსური ან სხვა დამოკიდებულების თავიდან აცილება, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ოფიციალურ მოვალეობათა შესრულებაზე;
3. ობიექტურობა - ყველა საკითხის ობიექტური გადაწყვეტა;
4. ანგარიშვალდებულება - პასუხისმგებლობა საზოგადოებას წინაშე მიღებული ქმედებების გამო და სრული ინფორმაციის მიწოდება საჯარო შემოწმების შემთხვევაში;
5. ღიაობა - საზოგადოების მაქსიმალური ინფორმირება ყველა გადაწყვეტილების და ქმედების შესახებ, ქმედებების დასაბუთებულობა (ინფორმაციის შეზღუდვა დასაშვებია უმაღლესი საზოგადოებრივი ინტერესის დაცვის შემთხვევაში);
6. პატიოსნება - კერძო ინტერესების შესახებ სავალდებულო განაცხადი, კერძო და საჯარო ინტერესების შეუთავსებლობის, პოტენციური კონფლიქტების გადაწყვეტა;
7. ლიდერობა - საზოგადოებრივ ცხოვრებაში ლიდერობის და პირადი მაგალითის პრინციპების ერთგულება და სტანდარტების დანერგვა. მიუხედავად იმისა, რომ ამ სტანდარტების დარღვევა თავისთავად არ იწვევდა სამართლებრივ შედეგებს და დევნას და განიხილებოდა მხოლოდ როგორც „ღირსების კოდექსის" დარღვევა, სტანდარტებმა შემაკავებელი ფაქტორის როლი ითამაშეს კორუფციასთან ბრძოლის პროცესში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ავტორთა კოლექტივი. 2008. *კრიმინოლოგია*. თბილისი.
2. კავტორთა კოლექტივი. 2002 . *კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემები*. თბილისი.
3. ლონტი გ. 2003. *საქართველოში ორგანიზებული დანაშაულის და კორუფციის კრიმინოლოგიური შესწავლა*. თბილისი.
4. ლონტი გ. 2003. კორუფცია საქართველოში, თეორია და პრაქტიკა. *მაცნე*. თბილისი.
5. USAID ANTI-CORRUPTION PROJECTS AND PROGRAM IN EUROPE AND EURASIA International Anti- Corruption Forum, April, 17. 2002.
6. CORRUPTION TRIAL STARTS FOR MAYOR OF PROVIDENCE. *The New York Times*, 24.04.
7. Мелор Стурра НОВЫЙ ГЕРОЙ АМЕРИКИ МК, "23.08.02

8. РУССКАЯ МАФИЯ В США ИМЕЕТ ХОРОШУЮ РЕПУТАЦИЮ. NTVRU//Криминал. 24.07.02.

9. ВЫЯВЛЕНЫ НОВЫЕ НАРУШЕНИЯ В РАБОТЕ ЕВРОКОМИССИИ. Утро.руб 7. 12.01

ლია ჭილაშვილი

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

ქორწინების ფორმები - ზოგადი მიმოხილვა

რეზიუმე

სტატია ეძღვნება ქორწინების ფორმების ზოგად მიმოხილვას.

ქორწინება ოჯახის შექმნის საფუძველია, რომელიც ასახვას პოულობს ქალსა და მამაკაცს შორის არსებულ ურთიერთობებში. მისი შექმნის მიზანი კი კაცობრიობის მოდგმის გაგრძელებაა.

ინტერესმოკლებული არ იქნება თუ ზოგადად მიმოვიხილავთ ქორწინების ფორმების არსებობას, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს და მას არც დღევანდელიაში დაუკარგავს აქტუალობა.

სტატიაში ზოგადად არის განხილული სხვადასხვა ქვეყნის მაგალითებზე ქორწინების ფორმების უპირატესობები თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით, რომელიც თვალნათლივ კავშირშია რელიგიურ, საზოგადოებრივ და ზნეობრივ ნორმებთან.

შესავალი

ოჯახის განვითარების ადრეულ საფეხურზე ადამიანთა შრომითი და ყოფითი ერთობის პირველ ფორმას, მატრიარქატი წარმოადგენდა. ეს იყო ქალის უპირატესობის ეპოქა და მას წამყვანი ადგილი ეკავა. წყვილადი ოჯახის ჩამოყალიბებამდე მამის ვინაობა ხშირად უცნობი იყო და ერთადერთ უტყუარ მშობლად დედა ითვლებოდა.

საწარმოო ძალების განვითარებამ შეცვალა ქალის უფლებრივი მდგომარეობა ოჯახში. მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების შედარებით განვითარებულ ფორმებზე გადასვლამ წამყვანი როლი მამაკაცს მიაკუთვნა, შესაბამისად კაცი გახდა საგვარეულო თემის მეთაურიც და მოისპო დედის ხაზით შვილების მემკვიდრეობის წესი.

მატრიარქალური ოჯახი იყო გარდამავალი ფორმა წყვილადი ოჯახიდან მონოგამიური

ოჯახისაკენ. მონოგამიის დროს მამაკაცს ქალთან შედარებით დაწინაურებული ადგილი ეკავა. კაცს ქალი თავის გვარში მიჰყავდა, შვილებიც მამის გვარში იზრდებოდნენ და მათი გვარი ეძლეოდათ.

მონათმფლობელურ საზოგადოებაში უკვე დაწერილი კანონმდებლობით მტკიცდებოდა ქმრის გაბატონებული მდგომარეობა ოჯახში, რაც მთლიანად კერძო საკუთრების არსებობაზე იყო დამოკიდებული.

ფეოდალიზმისა და კაპიტალიზმის დროს მონოგამიური ოჯახი შემდგომ განვითარებას განიცდიდა, მაგრამ იგი კვალავ რჩებოდა ქმრის საბატონო ასპარეზად.

ამავე პერიოდს უკავშირდებოდა საქართველოში პატრიარქალური საოჯახო თემის, როგორც ოჯახის განვითარების ერთ-ერთი საფეხურის არსებობა, რომელიც ისტორიულადაა დადასტურებული.

ქორწინებას რომელი იურისტები განმარტავდნენ, როგორც ქალისა და მამაკაცის, თანასწორ კავშირს, სინამდვილეში კი რომში ქალი და მამაკაცი თანასწორი არასდროს ყოფილა.

რომის სამართალი იცნობდა ორი სახის ქორწინებას: 1. კანონიერი რომაული ქორწინება, როცა ორივე მხარე რომაელია. 2. რომაელ მოქალაქეთა ქორწინება პერეგინებზე, რომელთა უფლებები განისაზღვრებოდა რომის სამოქალაქო სამართალით.

VI საუკუნემდე, რომის სამართალი იცნობდა ისეთი ქორწინების ფორმას, რომლის მიხედვითაც ქალი ქმრის ძალაუფლებას ექვემდებარებოდა და ასევე ქორწინებას, რომლის ძალითაც ქალი არ შედიოდა ქმრის ძალაუფლებაში და ექვემდებარებოდა მამის ხელისუფლებას.

საინტერესოა მონოგამიური ქორწინების ფორმების არსებობა შორეული ქვეყნების ისტორიაშიც, მაგალითად-ირლანდიელ გლეხებს, ტრობრიანდულ კუნძულებსა და ისრაელის კიბუცებში ჰქონდათ ქორწინების ერთი ძირითადი ფორმა. საუბარია მონოგამიის არსებობაზე-ქორწინება ერთ მამაკაცსა და ქალს შორის.

აქვე ვხვდებით ცნობებს ქორწინების სხვადასხვა ფორმების არსებობის შესახებაც. მაგალითად -ოლიგამია ეწოდება ერთ და რამდენიმე სხვა ინდივიდს შორის ქორწინებას. ქორწინებას ერთ მამაკაცსა და რამდენიმე ქალს შორის პოლიგინიად მოიხსენებენ, ხოლო ერთ ქალსა და რამდენიმე მამაკაცს შორის ქორწინება პოლიანდრიაა. კიდევ ერთ ფორმას ვხვდებით ეს არის ჯგუფური ქორწინება-რამდენიმე მამაკაცი და რამდენიმე ქალის ერთობლივი თანაცხოვრება [6].

ისმის კითხვა- მაინც რა ფაქტორები განაპირობებდა ქორწინების რომელიმე ფორმის უპირატესობას?

ზოგიერთი მეცნიერი განსაზღვრულ საზოგადოებაში აღნიშნავდა ეკონომიკურ ფაქტორს. მაგალითად, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ციმბირის მეორე ჩუქჩებს შორის გავრცელებული

იყო პოლიგინია, იმ აუცილებლობიდან გამომდინარე, რომ ირმების ყოველი ჯოგის მწყემს მამაკაცს უნდა ჰყოლოდა რამდენიმე ცოლი.

თანამედროვე საოჯახო სამართლის მიხედვით ქორწინება არის მამაკაცსა და ქალს შორის თავისუფალი, ნებაყოფლობითი და თანასწორუფლებიანი კავშირი ოჯახის შექმნის მიზნით, რომელიც დამყარებულია ურთიერთსიყვარულსა და პატივისცემის გრძნობებზე და რეგისტრირებულია სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში [4].

არ იქნება ინტერსმოკლებული თუ ზოგადად მიმოვიხილავთ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში რა ფორმის ქორწინებებია უპირატესი. მათგან გამოვყოფთ სამ ძირითად ჯგუფს;

1. სახელმწიფო ორგანოებში რეგისტრირებული ქორწინება, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს.
2. ალტერნატიული საფუძვლით დადებული ქორწინება. ამ ფორმას მიეკუთვნება ქვეყნები, სადაც გათანაბრებულია, როგორც სახელმწიფო ორგანოებში, ისე საეკლესიო წესით რეგისტრირებული ქორწინება.
3. ქორწინების მხოლოდ საეკლესიო ფორმა [1, 32].

XXI საუკუნეში ფართო გამოყენება ჰპოვა საქორწინო ხელშეკრულების ფორმამ. განვითარებულ ქვეყნებში ეკონომიკურმა წინსვლამ საფუძველი ჩაუყარა მის პრაქტიკაში დანერგვას და ქონების დაზღვევის მიზნით მეუღლეები აფორმებენ არსებულ ხელშეკრულებას.

სამოქალაქო კოდექსის 1172-ე მუხლში ფორმულირებულია, რომ „მეუღლეებს შეუძლიათ დადონ საქორწინო ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება მათი ქონებრივი უფლებები და მოვალეობები, როგორც ქორწინების განმავლობაში, ისე განქორწინებისას. ეს გახლავთ საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტის რიგით პირველი სამართლიანი ნორმა [1, 17].

საქორწინო კონტრაქტი წარმოადგენს სამოქალაქო გარიგების საოჯახო სამართლებრივი ხელშეკრულების სახეს. კონტრაქტი არის დასაქორწინებელ პირთა შორის ვადით ან უვადოთ დადებული გარიგება, იგი შეიძლება გაფორმდეს, როგორც ქორწინების რეგისტრაციამდე, ასევე მისი რეგისტრაციის შემდეგ ნებისმიერ დროს, რომელიც ძალაში შედის ქორწინების რეგისტრაციიდან. საქორწინო კონტრაქტი იდება წერილობით და დასტუდრება სანოტარო წესით [1, 20].

საყურადღებოა, რომ საქორწინო ხელშეკრულებით, მხოლოდ ქონებრივი უფლება-მოვალეობების განსაზღვრა შეიძლება. ხელშეკრულებით არ შეიძლება შეიცვალოს მეუღლეთა პირადი უფლებები და მოვალეობები. ხელშეკრულებით, მეუღლეებმა შეიძლება განსაზღვრონ, როგორც უკვე არსებული, ისე მომავალში შეძენილი ქონების ბედი.

ასევე შესაძლებელია საქორწინო ხელშეკრულების შეცვლა თუ მეუღლეები ამაზე შეთანხმდებიან, გარდა ამისა, დაინტერესებულ მხარეს შეუძლია განცხადების საფუძველზე მიმართოს სასამართლოს და მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე მოხდება საქორწინო ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა, რომლითაც უკიდურესად არახელსაყრელ მდგომარეობაში იმყოფება ერთ-ერთი მეუღლე.

საქორწინო ხელშეკრულება მეტად პრაქტიკული ინსტიტუტია, კარგად აპრობირებული და დანერგილია ევროპულ სახელმწიფოებში.

მსგავსი ხელშეკრულებით შეიძლება მხარეებმა, მათი ქონებრივი უფლებები და მოვალეობები გაითვალისწინონ, როგორც ქორწინების განმავლობაში, ასევე განქორწინებისას. მეტად რომ დავაკონკრეტოთ საქორწინო ხელშეკრულებით შეიძლება წინასწარ განვსაზღვროთ, თუ ვის რა ქონება ერგება განქორწინებისას, ან თუნდაც ქორწინების განმავლობაში, ქონების რა ნაწილი იქნება რომელიმე მეუღლის განკარგულებაში და ა.შ.

ამასთანავე, მსგავსი ხელშეკრულებით შესაძლოა, მეუღლეებმა ამა თუ იმ სახის ინდივიდუალურ ქონებას თანასაკუთრების სამართლებრივი რეჟიმი მიაკუთვნონ ან პირიქით. შეიძლება ითქვას, რომ უცხოური პრაქტიკისაგან განსხვავებით, ეს ინსტიტუტი საქართველოში ამ ეტაპისათვის არ არის ფართოდ გამოყენებული. თუმცა მისი პრაქტიკაში ფართოდ დანერგვა მრავალ უსიამოვნებას აარიდებდა მეუღლეებს, რომელსაც ისინი საჯაროდ განიცდიან განქორწინების სტადიაზე სასამართლოს წინაშე.

დსთ-ს ბევრ ქვეყანაში გვხვდება საოჯახო სამართლის კოდექსი, რომელიც თავის მხრივ იცნობს საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტს. აღნიშნულ ქვეყნებში პრობლემა დგას საოჯახო სამართლის საქმეებზე, სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმების გამოყენების მართებულობასთან დაკავშირებით. ამ ქვეყნების სამოქალაქო და საოჯახო სამართლის ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ საქორწინო ხელშეკრულება ორმაგი ხასიათის გარიგებაა: ერთის მხრივ სამოქალაქო-სამართლებრივი, ხოლო, მეორეს მხრივ საოჯახო-სამართლებრივი.

ამგვარად, თუ სამოქალაქო სამართლის ნორმები არეგულირებენ საქორწინო ხელშეკრულებას, საოჯახო სამართლოს ნორმები განსაზღვრვენ მის სპეციფიკურ თავისებურებებს [3, 34].

საინტერესო მოსაზრებებია ტრანსაციონალურ ქორწინების ფორმაზეც. ბოლო დროს საქართველოს სხვადასხვა ქალაქში ხშირად ვხვდებით წყვილებს, რომელთაგანაც ერთ-ერთი პარტნიორი არაქართველია.

შერეულ ქორწინებას უწოდებენ ოჯახის შექმნის ისეთ შემთხვევას, როდესაც პარტნიორები სხვადასხვა ქვეყნის, ეროვნებისა და კულტურის წარმომადგენლები არიან.

თანამედროვე საზოგადოებაში ძნელად მოიძებნება ისეთი სახელმწიფოები, რომლებიც მხოლოდ ერთი რასის, ეთნოსის თუ რელიგიის მოსახლეობით იყოს დასახლებული. როგორც პროფესორი გ.ხუბუა აღნიშნავს: „სახელმწიფოთა აბსოლუტური უმრავლესობა ფუნქციონირებს მულტიკულტურულ, მულტიეთნიკურ საზოგადოებაში, რომელთათვისაც დამახასიათებელია ენობრივი, რასობრივი, რელიგიური განსხვავებები. ეს კი იმის მანიშნებელია, რომ ადგილი აქვს შერეულ ქორწინებას [2, 35].“

ისტორიული წარსულის მიხედვით ჯერ კიდევ სხვადასხვა ტომი ცდილობდა თავისი წარმომადგენლების ერთმანეთთან დაკავშირებას, რაც ხელს უწყობდა ტომთა შორის ალიანსების ჩამოყალიბებას სხვა ტომების წინააღმდეგ.

ადრეულ ეპოქაში შერეული ქორწინების მიზეზები ძირითადად პოლიტიკური და ეკონომიკურ ხასიათს ატარებდა. მაგალითისათვის გავიხსენოთ დავით აღმაშენებელი, რომელსაც ყივჩაღთა მეთაურის ასულის ცოლად შერთვა სამხედრო ძალების ყივჩაღთა შევსებასა და გაძლიერებაში დაეხმარა. ასევე გავიხსენოთ თამარ მეფე, რომელმაც რუსეთის ერთ-ერთი სამთავროს, ვლადიმერ-სუზდალის მთავარ ანდრია ბოგოლუბსკის ვაჟზე იურიზე იქორწინა, ჩრდილო მეზობელთან დაახლოების მიზნით.

ისტორიაში ასევე ვპოულობთ მართლმადიდებლებსა და კათოლიკებს შორის შერეული ქორწინების უამრავ მაგალითს. შერეული ქორწინებები იმდენად მრავალი იყო, რომ მათი შვილებისაგან გარკვეული ეროვნებებიც კი შეიქმნა, ამ შთამომავლობას გაზომულებს უწოდებენ.

ეკლესია ყოველთვის ცდილობდა შერეული ქორწინების დარეგულირებას და გარკვეული წესების შემუშავებას, რომლებიც წყვილებს ურთიერთობის აგებაში დაეხმარებოდა.

XI საუკუნეში, გლობალიზაციის აღზევების ეპოქაში, არ არის გასაკვირი, რომ კიდევ უფრო მეტია ტრანსაციონალური ქორწინებების შემთხვევები. ადამიანები ტოვებენ თავიანთ საცხოვრებელ არეალს და ნაციონალურ საზღვრებს მიღმა მიდიან სასწავლებლად, სამუშაოდ, ემიგრაციაში და ა.შ.

საბჭოთა პერიოდში, ჩაკეტილი იყო საზღვრები და შერეული ქორწინება იშვიათ მოვლენას წარმოადგენდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კი სწრაფი ტემპით დაიწყო ხალხმა საქართველოდან გადინება და ევროპის ქვეყნებში გადავიდნენ საცხოვრებლად, ხალხის ნაწილი სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას სწორედ ამ მიზნით ცდილობდა.

ტრანსნაციონალური ქორწინებების ასეთი მომრავლების გამო განსახილველია ის ურთირთადამოკიდებულებითი და ღირებულებითი კონფლიქტები, რომლებმაც შეიძლება მომავალში იჩინოს თავი წყვილებს შორის.

პარტნიორებს შორის დისკომფორტისა და დამაბულობის მნიშვნელოვანი წყარო შეიძლება გახდეს განსხვავებული გენდერული როლები, რომლებიც სხვადასხვანაირად კონსტრუირდება მათ კულტურებში სოციალიზმის პროცესში.

შერეული ქორწინების შედეგად დაბადებულ ბავშვებს სავსებით სამართლიანად უწოდებენ მესამე კულტურის ბავშვებს. ამ ტერმინიდან უკვე კარგად ჩანს ის სირთულე, რომელიც მშობლებმა უნდა გადალახონ შვილის აღზრდისას. მათ უწევთ ერთმანეთის კულტურული ღირებულებების გათვალისწინება, რომელიც არც ბავშვს და არც მათ ოჯახურ ცხოვრებას არ დააზარალებს.

სერიოზული უთანხმოების მიზეზი შეიძლება გახდეს თითოეული ქვეყნის თვითმყოფადობის თავისებურებანი და ტრადიციები. ზოგიერთი ადამიანი აღნიშნულ გარდამავალ პერიოდს ვერ გადალახავს ხოლმე, რასაც ქორწინების შეწყვეტა და სამშობლოში დაბრუნება მოჰყვება, ეს კი მიუღებელია საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირებისათვის.

ამდენად ქორწინება არის წინასახელმწიფოებრივი ინსტიტუტი, რომელიც აძლიერებს ოჯახს და წარმოადგენს ცივილიზებული საზოგადოების ორგანიზმს. ოჯახის წევრები არა მხოლოდ ყოფითი პრობლემითაა ერთმანეთთან კავშირში, არამედ ძლიერი და ჯანსაღი ოჯახის არსებობა ასუსტებს სოციალურ, მორალურ ყოფას და პირდაპირ კავშირშია ფინანსურ მხარესთან.[5]

ოჯახი სოციალური მოვლენაა, რომელიც მუდმივად განიცდის ცვლილებებს, იგი დაბალი ფორმიდან უმაღლეს ფორმაში ინაცვლებს და შესაბამისად საზოგადოებაც დაბალი საფეხურიდან უმაღლესი საფეხურისაკენ იზრდება. სწორედ ამ ცვლილებებთან ერთად იცვლება ოჯახის წევრთა უფლება-მოვალეობებიც.

ყველა ქვეყანაში საქორწინო-საოჯახო ურთიერთობები მაინც ტრადიციებთან ასოცირდება და განსხვავდება კიდევაც, საუბარია ქორწინების განსხვავებულ წესებზე და პირობებზე, რომლებიც ასახვას ჰპოვებს შესაბამის კანონმდებლობაში.

ექვგარეშეა, რომ საქართველოში, როგორც ქრისტიანულ მართლმადიდებლურ ქვეყანაში ტრადიციულად მიღებულია ურთიერთსაპირისპირო სქესთა შორის (ქალსა და მამაკაცს შორის) ქორწინების ფორმა, რაც გამართლებულია ქვეყნის შიგნით არსებული რელიგიური, საზოგადოებრივი და ზნეობრივი ნორმებით.

უდავოა, რომ ტრადიციებისა და ქვეყნის რეგულირების გარეშე არ არსებობს არცერთი საზოგადოება. ადმიანთა შორის ურთიერთობას სამართლის ნორმები აწესრიგებენ, რომელიც პრაქტიკული მიზნებისათვის ყველაზე საუკეთესო საშუალებაა.

და ბოლოს ქორწინება გახლავთ მრავალფეროვანი მოვლენა, რომელიც სამართლის მიერ დარეგულირებული ურთიერთობის სახით გვევლინება და მიჩნეულია სამართლებრივ კატეგორიად.

გამოყენებული ლიტერატურა

12. თუმანიშვილი გ.გ. 2009. *საქორწინო კონტრაქტის საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ასპექტები*. დისერტაცია.
13. ხუბუა გ. 2000. *ფეოდალიზმი, როგორც ნორმატიული პრინციპი*. თბილისი: მერიდიანი.
14. Максимович Л.В. 2000. *Брачный договор (контракт)*. Москва. Изд-Ось-89.
15. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.1997.
16. <http://www.Blawg.ge>

ქეთევან სვინტრაძე

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

**კრედიტორის უფლებების დაცვის პრობლემა სახელშეკრულებო
ვალდებულების არსებობისას**

რეზიუმე

საბაზრო ეკონომიკის განვითარების ახალი ტიპის ურთიერთობების და ხელშეკრულებების სახეების ჩამოყალიბება აქტიურ საკითხად იქცა კრედიტორის უფლებების დაცვის საქმეში, რაც გარდაუვალად განაპირობებს ხელშეკრულების მხარეთა უფლებების დაცვის პრობლემის გადაჭრას. იურიდიულ და ფიზიკურ პირთა მონაწილეობა ხელშეკრულების დადებასა და სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილეობისათვის დამოკიდებულია მათ უნარზე, უზრუნველყონ დარღვეული უფლებების სათანადო წესით დაცვა, მითუმეტეს დღეს არსებული კრიზისისა და ინფლაციის პირობებში. აუცილებელია, ყურადღება გავამახვილოთ იმ ნორმებზე, რომლებიც სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში განსხვავებულ ასპექტებს არეგულირებენ და არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც უფლებათა დაცვის საშუალება, თუმცა, განსაზღვრულ პირობებში შესაბამისი ნორმები შეიძლება ეფექტურად გამოვიყენოთ სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა უფლებების დასაცავად. წინამდებარე სტატიით დაინტერესებულ პირთათვის გარკვეული რეკომენდაციები შეთავაზებული ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით.

საბაზრო ეკონომიკის განვითარება, ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის მყარად დანერგვა ყოველდღიურ ცხოვრებაში, ახალი ტიპის ურთიერთობების და ხელშეკრულების სახეების ჩამოყალიბება, გარდაუვალად განაპირობებს ხელშეკრულების მხარეთა უფლებების დაცვის პრობლემის აქტუალობას. ამჯერად, მოცემული კვლევის ფარგლებში, განვიხილავთ კრედიტორის უფლებების დაცვის პრობლემას სახელშეკრულებო ურთიერთობებში [7]. თანამედროვე პერიოდში დიდ მნიშვნელობას იმენს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა კანონიერი ინტერესებისა და უფლებათა დაცვის უზრუნველყოფის პრობლემა. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის თანახმად, ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. სასამართლოსადმი მიმართვის უფლება სამართლებრივი პრინციპია. იურიდიულ და ფიზიკურ პირთა მონაწილეობა სამოქალაქო ბრუნვაში ხშირად დამოკიდებულია მათ უნარზე, უზრუნველყონ დარღვეული უფლებების აღდგენა და სასამართლო წესით დაცვა. უმეტეს შემთხვევაში ვალდებულების არსებობისას ისინი არაკეთილსინდისიერი კონტრაქტის წინაშე რჩებიან სამართლებრივი დაცვის გარეშე. ძირითადად, ასეთი ვალდებულების არსებობისას და მეორე მხარის მიერ

მისი დარღვევის შემთხვევაში, კრედიტორი სასამართლოს გზით აღწევს ვალდებულების შესრულებას ნატურით. მართალია, ნატურით შესრულება, რომელსაც რეალურ შესრულებას უწოდებენ უფლების დაცვის პირველადი გზაა, როდია უფლების დაცვის ეფექტიანი საშუალება. მითუმეტეს დღეს არსებული კრიზისისა და ინფლაციის პირობებში.

სამოქალაქო ბრუნვისათვის მნიშვნელოვანია, რომ სამოქალაქო უფლებები სწორად განხორციელდეს. უფლებამოსილი პირის ინტერესები რომ იქნეს დაცული, გასათვალისწინებელია ეკონომიკური პროცესებიც, მაკროეკონომიკურ ტენდენციები, რომელიც ზოგჯერ განაპირობებს კრიზისს, ჩნდება მეწარმე სუბიექტების გადახდისუნარიობა, მატულობს კომერციულ საქმიანობაში არაკეთილსინდისიერების ფაქტორიც. სამოქალაქო უფლებების განხორციელება არის უფლებამოსილი პირის შესაძლებლობების (უფლებამოსილებების) განხორციელება, რომელსაც თავად ამ უფლების შინაარსი ითვალისწინებს.

სამოქალაქო ბრუნვის ნებისმიერ მონაწილეს შეუძლია უფლების დაცვა. უფლების მქონე სუბიექტი აღჭურვილია უფლების დაცვის უფლებამოსილებით კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი მექანიზმების გამოყენების გზით. სადავო ან დარღვეული უფლების დაცვა დამოკიდებულია მთელ რიგ ფაქტორებზე. კერძოდ, გათვალისწინებული უნდა იქნეს, თუ რომელი უფლების დაცვა ხდება და რა ხასიათის დარღვევაა სახეზე. პირველ რიგში, უფლება რა დოზით უნდა იქნეს დაცული (უფლების დაცვის შინაარსი) ძირითადად განისაზღვრება თავად ამ უფლების იურიდიული ბუნებით. თუკი საუბარია საკუთრების უფლების დარღვევაზე ან მსგავს სანივთო უფლებაზე, გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ, სანივთო უფლების დაცვის მექანიზმი სხვადასხვაგვარია, ვიდრე ვალდებულებითი უფლების დაცვის მექანიზმი მისი დარღვევის შემთხვევაში. ეს ბუნებრივიცაა, რამეთუ სანივთო და ვალდებულებითი უფლებები იურიდიული ბუნებით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. კერძოდ, სანივთო-სამართლებრივ ურთიერთობებში უფლებამოსილი პირის ინტერესების დაკმაყოფილებას ადგილი აქვს მისთვის სასარგებლო თვისებების ხარჯზე, ამ ნივთზე უმაულო ზემოქმედების გზით [6,7]. ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის დროს კი პირის ინტერესების დაკმაყოფილება ვალდებული პირის განსაზღვრული მოქმედების ხარჯზე მიმდინარეობს. ასეთი კლასიფიკაციის პრაქტიკული არსი სანივთო და ვალდებულებითი სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე პირთა ქცევის სხვადასხვა სამართლებრივი მოწესრიგებაა. საკუთრების და სხვა სანივთო უფლებათა დაცვის სანივთო-სამართლებრივი საშუალებები სპეციფიკურია იმ თვალსაზრისით, რომ მათი მეშვეობით ხორციელდება აბსოლუტური უფლებების დაცვა ე.ი. მათი მეშვეობით სანივთო უფლების მფლობელი უფლებას იცავს ნებისმიერი მესამე პირის არამართლზომიერი ხელყოფისაგან. უფლების დაცვის სანივთო საშუალებები განსხვავდება ქონებრივ უფლებათა დაცვის ვალდებულებით-სამართლებრივი საშუალებათაგან. უფლების დაცვის ვალდებულებით-სამართლებრივი საშუალებების გამოყენება ხდება იმ შემთხვევაში, როცა მესაკუთრესა და უფლების ხელმყოფს შორის ვალდებულებით-სამართლებრივი (სახელშეკრულებო) ურთიერთობა არსებობს, მაგალითად, როდესაც მოიჯარე არ უბრუნებს მეიჯარეს (მესაკუთრეს) ქონებას იჯარის ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ და ამით არღვევს მესაკუთრის უფლებას. ასეთშემთხვევაში გამოიყენება უფლების დაცვის ვალდებულებით-სამართლებრივი საშუალებები. რა დროსაც გათვალისწინებული უნდა იქნეს მხარეთა შორის ჩამოყალიბებული კონკრეტული ურთიერთობის სპეციფიკა. ამიტომ,

ქართული კანონმდებლობა მესაკუთრეს არ აძლევს უფლებას აირჩიოს სარჩელის სახე და არ ითვალისწინებს ე.წ. «სარჩელთა კონკურენციას», რაც დამახასიათებელია ანგლო-ამერიკული სამართლებრივი სისტემისათვის და არა კონტინენტურ-ევროპული მართლწესრიგისათვის. შესაბამისად, თუ სახელშეკრულებო ან სხვა ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე პირთა შორის წარმოიშობა დავა, დაუშვებელი იქნება უფლებათა დასაცავად სანივთო-სამართლებრივი მოთხოვნის წამოყენება. ამაში მდგომარეობს უფლების დაცვის სანივთო-სამართლებრივი და ვალდებულებით-სამართლებრივი საშუალებების ერთმანეთისაგან გამიჯვნის პრაქტიკული მნიშვნელობა [10].

ის, თუ რა დოზით უნდა იქნეს დაცული დარღვეული უფლება, დამოკიდებულია მისი დარღვევის სახესა და ხარისხზე. ეს კრიტერიუმი ნათლად იკვეთება იმაში, რომ კანონმდებელი ერთმანეთისაგან ასხვავებს ვალდებულების არაჯეროვან შესრულებისადა ვალდებულების შეუსრულებლობას. პირველ შემთხვევაში მოვალის მიერ განხორციელებული არაჯეროვანი შესრულება და ზიანის მიყენება არ ათავისუფლებს მას ვალდებულების ნატურით შესრულებისაგან. მეორე შემთხვევაში მის მიერ ვალდებულებათა შეუსრულებლობა წარმოადგენს ვალდებულების ნატურით შესრულებისაგან მისი გათავისუფლების საფუძველს.

კერძო უფლების დაცვის საშუალებებში იგულისხმება კანონით გათვალისწინებული იძულებითი ხასიათის მატერიალურ-სამართლებრივი ღონისძიებები, რომელთა მეშვეობითაც ხდება დარღვეული ან სადავო უფლებების აღდგენა ან აღიარება და სამართალდამრღვევზე ზემოქმედება [3,419]. სამოქალაქო სამართლის სუბიექტს მინიჭებული აქვს დაცვის სხვადასხვა საშუალებანი. მაგალითად, კერძო უფლების დაცვის საშუალებებია უფლების აღიარება, ვალდებულების ნატურით შესრულების დაკისრება, რომელსაც რეალურ შესრულებასაც უწოდებენ, ზიანის, მათ შორის მორალური ზიანის ანაზღაურება, უფლების თვითდაცვა და სხვა. ბრუნვის მონაწილის პრობლემა გამოიხატება იმ ოპტიმალური არჩევანის გაკეთებაში და ეფექტურ განხორციელებაში, რომელსაც კანონი ითვალისწინებს. ამ პრობლემის გადაწყვეტა შეიძლება უზრუნველყოფილი იქნეს ერთი მხრივ კანონმდებლობის სიღრმისეული ცოდნით, რომელიც არეგულირებს სამოქალაქო უფლებათა დაცვის სხვადასხვა საშუალებებს და მეორეს მხრივ, მათი გამოყენების აუცილებელი პირობების არსებობით.

სამოქალაქო კანონმდებლობაში უფლებათა დაცვის საშუალებანი ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს. პირველიჯგუფში მოიაზრება უნივერსალური ხასიათის საშუალებანი, რომლებიც საერთოა ნებისმიერი სამოქალაქო უფლების დაცვის დროს შეიძლება იქნენ გამოყენებულნი. ასეთი საშუალებები დადგენილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით. გასხვავებით რუსეთის კანონმდებლობისაგან, საქართველოსა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსები არ შეიცავენ კონკრეტულ მუხლს, რომელიც თავად განსაზღვრავს უფლებათა დაცვის საშუალებათა ჩამონათვალს [12]. უნივერსალურის გარდა არსებობს დაცვის ისეთი საშუალებები, რომლებიც გამოიყენება კონკრეტულ უფლებათა დასაცავად [10].

უფლებათა დაცვის საშუალებებათა კლასიფიკაცია ხდება სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით: გამოყენების სფეროს შესაბამისად (უნივერსალური და სპეციალური); განხორციელების მეთოდების მიხედვით (სასამართლოში სარჩელის შეტანით, სახელმწიფო

ორგანოებისათვის მიმართვით, დამოუკიდებელი მოქმედებით) და ა.შ. თუმცა ლიტერატურაში შედარებით პრაქტიკული მნიშვნელობის კრიტერიუმად მიიჩნევენ უფლებათა დაცვის საშუალებათა კლასიფიკაციას შედეგის მიხედვით, იმის მიხედვით, თუ რაზეა გათვლილი ამ საშუალების გამოყენება. მითითებული კრიტერიუმი ერთდროულად შეიძლება ემსახურებოდეს ძირითად კრიტერიუმებს კრედიტორის მიერ არჩეული შესაბამისი საშუალების გამოყენებისას. სწორედ ამაში გამოიხატება მისი პრაქტიკული მნიშვნელობა. განსხვავებით სხვა სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობათაგან, ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობები დინამიურობით ხასიათდება. რაც იმაში გამოიხატება, რომ ერთი მხარის ვალდებულებას შეასრულოს მოქმედება უპირისპირდება მეორე მხარის მოთხოვნა მის შესრულებაზე. ამიტომ უფლება, რომელიც წარმოიშობა ვალდებულებისაგან, ატარებს ფარდობით ხასიათს.

სამოქალაქო სამართალში, როგორც ცნობილია, ვალდებულება სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენება. ვალდებულება პირველ ყოვლისა, სამართლებრივი ურთიერთობაა და როგორც ნებისმიერ სამართლებრივ ურთიერთობას, მასაც თავისი ელემენტები გააჩნია [5]. კერძოდ, ვალდებულების ერთ-ერთი ელემენტია მისი სუბიექტი (ხელშეკრულების მხარეები): მოვალე-ე.ი. პირი, რომელიც ვალდებულია გადასცეს ქონება, შეასრულოს სამუშაო, გასწიოს მომსახურება, შეასრულოს სხვა მოქმედება და კრედიტორი-პირი, რომელიც უფლებამოსილია მოითხოვოს მოვალესაგან ამ ვალდებულების შესრულება. ასეთი სახისაა ვალდებულებითი ურთიერთობის მარტივი მოდელი (ცალმხრივი ვალდებულება) [7]. რეალურად, სამოქალაქო ბრუნვაში გამოიყენება, როგორც წესი, უფრო რთული კონსტრუქციები: პირველი, როგორც მოვალის ისე კრედიტორის მხარე შეიძლება იყოს რამდენიმე პირი. მეორე მხრივ, მხარეები ზოგჯერ კისრულობენ ორმხრივ ვალდებულებას, როდესაც ერთდროულად ორივე მხარე გამოდის მოვალის როლში ვალდებულების არსებობისას და ერთდროულად წარმოადგენენ კრედიტორებს. ორმხრივი ვალდებულების პრინციპზეა აგებული პრაქტიკულად ყველა სახელშეკრულებო ვალდებულება სამეწარმეო სფეროში [5].

ვალდებულებათა არსებობისას კრედიტორის დარღვეული უფლებები შეიძლება დაცული იყოს როგორც უნივერსალური, ისე სპეციალური საშუალებებით. შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისას კრედიტორის წინაშე მოვალე კისრულობს ვალდებულებას, რომელსაც კანონი ან ხელშეკრულება ითვალსწინებს. ვალდებულების დარღვევისას დგება საკითხი ანაზღაურების შესახებ. მოვალემ კრედიტორს უნდა აუნაზღაუროს ხელშეკრულების დარღვევით მიყენებული ზიანი. სახელშეკრულებო ვალდებულების არსებობისას კრედიტორის დაცვის ამ საშუალების გამოყენება შეიძლება მნიშვნელოვანი სახით დაკორექტირდეს მხარის თანხმობის შემთხვევაში. ხშირად, ხელშეკრულებაში შეიძლება გათვალსწინებული იყოს მოვალის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების დამატებითი საფუძვლები (მაგალითად, ბრალის არ არსებობა), ზიანის შემცირებული ოდენობით ანაზღაურება და ა.შ.

შესაბამისი ზიანის ანაზღაურება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ოდენობა არის რეალური ზიანისათვის დადგენილი ისევე, როგორც მიუღებელი შემოსავალი. რაც შეეხება ვალდებულების არსებობისას ინფლაციის შემთხვევას, სკ 89-ე მუხლი ითვალისწინებს საჯარო წესრიგის გამოვლენას, ნორმა წარმოადგენს გამოხატულებას ნომინალიზიმის

პრინციპისა. ამ შემთხვევაში საინტერესოა, რომ სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლის განმარტებისა და გამოყენებისას სასამართლოები აიგივებდნენ ფულის ერთეულის (კურსის) გაზრდას ან შემცირებას ქართული ვალუტის კურსის მიმართებას უცხოურ ვალუტებთან, რაც ახლოსაა «ფულის კურსის» მიმართ საყოფაცხოვრებო დამოკიდებულებასთან და საერთო არაფერი აქვს სამართლებრივ ინტერპრეტაციასთან; ამასთან, საგულისხმოა, რომ სასამართლოები აკმაყოფილებდნენ რა სარჩელებს ფულის კურსთაშორის სხვაობით (იგულისხმება ლარის დოლართან მიმართება) გამოწვეული ზარალის ანაზღაურების თაობაზე, უგულვებელყოფდნენ იმ გარემოებას, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში სავსებით დასაშვებია ვალუტის მერყეობა და რა მოხდებოდა იმ შემთხვევაში, თუკი ლარის კურსი აშშ-ის დოლართან მიმართებით გაიზრდებოდა, ეს სრულ ქაოსს გამოიწვევდა, უპირველესად, სასამართლოში დავათა განხილვისას. სააპელაციო სასამართლოს მიერ ნორმის ინტერპრეტაციისას მითითებული მაგალითიც რუსეთის სახელმწიფოში განხორციელებული ფინანსური რეფორმის შესახებ, როდესაც შეიცვალა ფულის ერთეულის ნომინალური ღირებულება, ადასტურებს სააპელაციო სასამართლოსეულ სწორ და მართებულ ინტერპრეტაციას, ამყარებს აზრს, რომ კანონი სწორედ ამგვარ ვითარებაში (ანუ საჯარო სამართლის სუბიექტის – სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომების შემთხვევაში) იცავს მოვალის ფინანსურ ინტერესებს, როცა ადგენს, რომ გადახდა უნდა მოხდეს ფულადი ვალდებულებების წარმოშობის დროისათვის არსებული კურსით და ეს სავსებით ლოგიკურია, ვინაიდან სახელმწიფოებრივი ინტერესების განხორციელებისას მაქსიმალურად უნდა იქნას დაცული კერძო სამართლის ფიზიკური და იურიდიული პირების ინტერესები. ეს კი ქართული სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობით ამ სფეროში რეალიზებულია.

ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობებში, როდესაც მხარე არაჯეროვნად ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას, კერძოდ გადააცილებს ვადას, კრედიტორი უფლებამოსილი ხდება მოითხოვოს, როგორც ვალდებულების შესრულება, ისე პირგასამტეხლოს გადახდევინება.[4] პირგასამტეხლო შესრულების აღმატებული მოთხოვნაა, იგი დამოუკიდებელია ზიანის ანაზღაურებისაგან. თუ კრედიტორს პირგასამტეხლოსთან ერთად დაყენებული აქვს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაც, არ შეიძლება ორივე მოთხოვნა დაკმაყოფილდეს, ვინაიდან პირგასამტეხლოთავისთავად თვითონ წარმოადგენს ზიანის ანაზღაურების მინიმალურ თანხას. ამ შემთხვევაში, კრედიტორს ენიჭება უპირატესი უფლება, ანუ აირჩიოს მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების თუ პირგასამტეხლოს შესახებ. დაუშვებელია ერთდროულად პირგასამტეხლოსა და მთლიანი ზიანის ანაზღაურების დაკისრება, ვინაიდან ეს იქნება საჯარიმო სანქცია, რომელიც უკიდურესად დაამძიმებდა მოვალის მდგომარეობას დაგამოიწვევდა კრედიტორის უსაფუძვლო გამდიდრებას. ანალოგიური შეიძლება ითქვას ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების გამო პროცენტის გადახდასთან დაკავშირებით. სკ-ის 403-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მოვალე, რომელიც ფულადი თანხის გადახდის ვადას გადააცილებს, ვალდებულია, გადაცილებული დროისათვის გადაიხადოს კანონით განსაზღვრული პროცენტი, თუკი კრედიტორს, სხვა საფუძვლიდან გამომდინარე, უფრო მეტის მოთხოვნა არ შეუძლია. სკ-ის 403-ემუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს პასუხისმგებლობის სპეციალურ ზომას. ამ ნორმას უნივერსალური ხასიათი აქვს და შემოღებულია იმ მიზნით, რომ დაიცვას სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეების უფლებები და კანონიერი ინტერესები არაკეთილსინდისიერი მოვალეების უკანონო და ზოგჯერ თაღლითური ქმედებებისაგან.

ვადის გადაცილებისათვის დაწესებული პროცენტი ვალდებულების დროული შესრულების პრევენციული ფუნქციის მატარებელია, ანუ მოთხოვნის უზრუნველყოფის ერთ-ერთი საშუალებაა. იგი, როგორც პირგასამტეხლო, მინიმალური ზიანის ანაზღაურების საშუალებას წარმოადგენს. ამ შემთხვევაშიც დაუშვებელია ერთდროულად მოვალისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოსა და გადახდის ვადის გადაცილებისათვის კანონით განსაზღვრული პროცენტის გადახდევინება, რამეთუ, როგორც პირგასამტეხლო, ისე გადახდის ვადის გადაცილებისათვის კანონით გათვალისწინებული პროცენტი წარმოადგენს ზიანის ანაზღაურების თანხას და არ შეიძლება ერთსა და იმავე დარღვევისათვის მოვალეს დაეკისროს გადახდა გაორმაგებული სტანდარტით, მითუმეტეს მაშინ, როცა სკ-ის 403-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადების შესაბამისად, ვადის გადაცილების გამო კანონით გათვალისწინებული პროცენტი მოვალეს დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი სხვა საფუძვლიდან გამომდინარე, მას უფრო მეტის მოთხოვნა არ შეუძლია. ამ მუხლის მოთხოვნა მოვალეს საშუალებას აძლევს, აირჩიოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოსან მის ნაცვლად გადახდის ვადის გადაცილების გამო კანონით განსაზღვრული პროცენტის ანაზღაურება. სამოქალაქო კოდექსის 387-ე მუხლი ადგენს სხვადასხვა საფუძვლიდან (ხელშეკრულებიდან) გამომდინარე ფულადი ვალდებულების შესრულების რიგითობას და არა ერთი სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი ფულადი ვალდებულების ოდენობის დადგენისა და გაანგარიშების წესს. მოცემული მუხლი არეგულირებს იმ შემთხვევას, როცა სხვადასხვა ვალდებულებიდან გამომდინარე მოთხოვნათა შესრულების ვადა ერთდროულად დადგა... ჯერ გადახდილ უნდა იქნეს საპროცენტო განაკვეთი და შედეგ ძირითადი ვალი.⁵

კრედიტორი ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალებების არჩევისას უნდა ითვალისწინებდეს კონკრეტული საშუალებების თავისებურებებსა და მათი გამოყენების მიზანშეწონილობა-აუცილებლობის ურთიერთმიმართებას. პირგასამტეხლო და ბე ერთდროულად სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ზომას წარმოადგენს. მათი არსებობა აიძულებს მოვალეს ვალდებულების ნატურით (რეალურ) შესრულებას, რადგანაც ფიქსირებულად ჯარიმის ან საურავის გადახდევინების მოთხოვნა კრედიტორისათვის რაიმე სირთულესთან არ იქნება დაკავშირებული, მაშინ, როდესაც სხვა სახის ზიანის არსებობა მან არა მარტო უნდა დაასაბუთოს, არამედ პროცესუალურად უნდა დაამტკიცოს. გირაო, თავდებობა, საბანკო გარანტია კრედიტორისათვის ზრდის იმის ალბათობას, რომ მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, იგი შეძლებს, დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა. ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებები, როგორც წესი, ძირითადი ვალდებულების გარეშე არ არსებობს. ამ სახის ურთიერთობების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ თუ რაიმე საფუძვლით აღარ იარსებებს ვალდებულება ის, რომლის უზრუნველსაყოფადაც გამოყენებულ იქნა ზემოაღნიშნული საშუალებები, მაშინ ავტომატურად შეწყდება მათი მოქმედებაც.

მოთხოვნის საფუძვლების მიხედვით, კრედიტორი უფლებამოსილია, მოვალეს წარუდგინოს შემდეგი სახის მოთხოვნები: პირველადი მოთხოვნა – როდესაც კრედიტორი ითხოვს ვალდებულების შესრულებას (შესაძლებელია კომბინაცია ზიანის ანაზღაურებასთან ერთად). მეორადი მოთხოვნა – როდესაც კრედიტორი მოითხოვს იმ ზიანის ანაზღაურებას, რომელიც

⁵საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №3კ/321-02

წარმოიშვა მოვალის ქმედების გამო. კრედიტორს სურს ხელშეკრულებიდან გასვლა (შესაძლებელია კომბინაცია ზიანის ანაზღაურებასთან ერთად). დამხმარე, ანუ არამირითადი მოთხოვნები – როდესაც კრედიტორი ისეთ მოთხოვნებს აყენებს, რომლებიც უშუალოდ მირითადი ვალდებულებებისაგან არ გამომდინარეობს, მაგრამ დამოუკიდებლად წარმოადგენს ხელშეკრულების შესრულების აუცილებელ წინაპირობას (განსაკუთრებული ვალდებულებების დარღვევა). სკ-ის 316-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ვალდებულების შესრულების უმთავრესი კანონისმიერისაშუალებაა კრედიტორის უფლება, მოსთხოვოს მოვალეს შესრულება, რომელიც პირველად მოთხოვნას წარმოადგენს.

სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევისას, კრედიტორი უფლებამოსილია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურებაც, რომელიც მას მიადგა ხელშეკრულების შეუსრულებლობით. შეთანხმება ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ არის მხარეთა გარიგება და მასზე ვრცელდება ზოგადად ხელშეკრულების დადების წესები. შესრულებულ ოფერტზე (ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ) დუმილი უნდა ჩაითვალოს აქცეპტად სამოქალაქო კოდექსის 335-ე მუხლის შესაბამისად...⁶ პრაქტიკაში გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული ხელშეკრულებიდან გასვლის, ხელშეკრულებაზე უარის თქმის, ხელშეკრულების მოშლის, ხელშეკრულების გაუქმებისა და ხელშეკრულების შეწყვეტის ერთმანეთისაგან გამიჯვნა. სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეები ხშირად არასწორად იყენებენ ამ ცნებებს მათი მკაფიო გაუმიჯნაობის გამო. ხელშეკრულებიდან გასვლა და უარი ხელშეკრულებაზე, როგორც წესი, ერთსა და იმავე სამართლებრივ შედეგებს იწვევს; ამ დროს ორმხრივ რესტიტუციას აქვს ადგილი, მხარეები ახდენენ ხელშეკრულების დადებამდე არსებული მდგომარეობის აღდგენას. ხელშეკრულებიდან გასვლა თავისი სამართლებრივი შედეგებით ემსგავსება უსაფუძვლო გამდიდრებას (976-ე და 979-ე მუხლები), რადგანაც, ორივე შემთხვევაში, ადგილი აქვს გარიგებით მიღებულის დაბრუნებას, თუმცა, ეს ორი ინსტიტუტი მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან: გასვლის დროს გარიგება ნამდვილია, ხოლო უსაფუძვლო გამდიდრების დროს – ბათილი. გარდა ამისა, გასვლის დროს პასუხისმგებლობის განსაზღვრისას მოვალეს შეიძლება დაეკისროს ზიანის ანაზღაურებაც (სკ-ის 407-ე მუხლი), რასაც, როგორც წესი, უსაფუძვლო გამდიდრებისას ადგილი არ აქვს.

ყველაზე გავრცელებული დაცვის საშუალება კრედიტორისთვის, რა თქმა უნდა, არის ფულადი კომპენსაცია, რაც ნიშნავს, რომ მოვალემ უნდა აანაზღაუროს ზიანი, რომელიც გამოწვეულია ვალდებულების დარღვევით. უნდა აღინიშნოს, რომ ზიანის ანაზღაურებასთან ერთად სასამართლომ შეიძლება მოვალეს დააკისროს კონკრეტული შესრულებაც, კერძოდ, იმ საქმეებზე, რომლებშიც დარღვევით გამოწვეულია ზიანი, რომელიც სრულად ვერ ანაზღაურდება კონკრეტული შესრულებით. რაც შეეხება ზიანის ანაზღაურებას, ხშირად განასხვავებენ ზიანის სახეებს. ჩვეულებრივ, ჯანმრთელობისათვის მიყენებული და ქონებრივი ზიანი ანაზღაურდება სრულად ყველა შემთხვევაში. ხშირად, სხვაგვარადაა საქმე ე.წ. არამატერიალურ ანუ მორალურ ზიანთან მიმართებით.სსკ-ის 413-ე მუხლის მიხედვით: «2. სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში, დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც.იმ შემთხვევაში, თუკი დებიტორი არ ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას და,

⁶უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №ს-760-1396-03

შესაბამისად, არღვევს მას, წამოიჭრება საკითხი, თუ რა სახის სამართლებრივი დაცვის საშუალებები გააჩნია, კანონმდებლობის თანახმად, კრედიტორს თავისი ინტერესების დასაცავად. თეორიულად შესაძლებელია გამოვყოთ ოთხი სახის სამართლებრივი დაცვის საშუალება. პირველ რიგში, კრედიტორს შეუძლია კონკრეტული ქმედების შესრულების მოთხოვნა, მეორე, მას შეუძლია მოითხოვოს ფულადი ანაზღაურება ზიანისათვის, მესამე, ორმხრივ ხელშეკრულებაში მოვალეს უფლება აქვს უარი თქვას მისთვის დაკისრებულ ვალდებულებაზე, ხოლო, გარემოება, რომელიც მას აძლევს ამის უფლებას, გამოწვეულია კრედიტორის ბრალით, მაშინ იგი ინარჩუნებს საპასუხო შესრულების მიღების უფლებას და ბოლოს, უკიდურეს შემთხვევაში მას შეუძლია, უარი განაცხადოს ხელშეკრულებაზე ან შეწყვიტოს იგი და ამგვარად წერტილი დაუსვას მხარეებს შორის არსებულ სახელშეკრულებო ურთიერთობას. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სამართლებრივი დაცვის ხსენებული საშუალებები პრინციპში არ არის ორმხრივად ექსკლუზიური ხასიათის. მაგალითად, შესაძლოა სახეზე იყოს შემთხვევა, როდესაც კრედიტორს ენიჭება სამართლებრივი დაცვის საშუალების სახით გარკვეული მოქმედების შესრულების უფლება ისევე, როგორც ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული უფლება, თუკი დებიტორის გამო მოხდება მოქმედების შესრულების გაჭიანურება.

იმ შემთხვევაში, თუკი დებიტორი არ ასრულებს მასზე დაკისრებულ სახელშეკრულებო ვალდებულებას, სამართლებრივი დაცვის პირველი საშუალება, რომელსაც კრედიტორმა შეუძლია მიმართოს, არის კონკრეტული მოქმედების შესრულება. საკითხი მდგომარეობს იმაში, სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევისას შეუძლია და დაავალებს თუ არა სასამართლო დებიტორს, განახორციელოს მასზე დაკისრებული ვალდებულება და ექნება თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილებას ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობა, რომ ვალდებულება შესრულებული იქნება კეთილსინდისიერად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, როგორც ეს გამომდინარეობს კოდექსის 361-389-ე მუხლებიდან, ამოსავალს წარმოადგენს დებიტორის მოვალეობა, შეასრულოს მასზე დაკისრებული ვალდებულება და, მიუხედავად იმისა, რომ ბევრია დეტალური წესები ქმედების შესრულებასთან დაკავშირებით (როგორც ეს გვხვდება ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსში, რომლის 6:27-5:51-ე მუხლები დეტალურად აწესრიგებენ ხელშეკრულების შესრულებას), როგორც ჩანს, არ არსებობს წესი, რომ მოსამართლეს შეუძლია, მოსთხოვოს მხარეს ხელშეკრულებასთან დაკავშირებით კონკრეტული ქმედების შესრულება, თუკი დებიტორი არღვევს ვალდებულებას. ყოველ შემთხვევაში, არანაირი მსგავსი ნორმა არ მოიპოვება სამოქალაქო კოდექსში. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ვალდებულების დარღვევასთან დაკავშირებით, მე-3 კარის მე-3 თავი, ეხება მხოლოდ ზიანის ანაზღაურებას, როგორც ხელშეკრულების დარღვევისაგან სამართლებრივი დაცვის საშუალებას. ასე რომ, ქმედების შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული კანონმდებლობა შესაძლოა განმარტებულ იქნეს, როგორც ბრალეულ ქმედებასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა. ანალოგიური ხდება ნიდერლანდების კანონმდებლობაშიც.

თავისთავად, დარღვევა ან ქმედების განხორციელებაზე თავის შეკავება არ წარმოადგენს ხელშეკრულების შეწყვეტას. იმ დრომდე, სანამ ხელშეკრულება არ იქნება შეწყვეტილი, ამ ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულებები კვლავ ძალაში რჩება არა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სხვა მხარე ვალდებულების დარღვევის გამო პასუხისმგებელია კრედიტორისათვის კომპენსაციის გადახდაზე, არამედ ასევე იმ შემთხვევებში, როდესაც

მხარე არ არის პასუხისმგებელი, რადგანაც მას შეუძლია, დაეყრდნოს ფორს-მაჟორს. ამიტომ, კრედიტორმა, რომლის მიმართ ადგილი აქვს ვალდებულების შეუსრულებლობას, უნდა შეწყვიტოს ხელშეკრულება და ამით უარი თქვას მასზე დაკისრებული ვალდებულების შესრულებაზე. ხელშეკრულებაზე უარის განცხადება არ ართმევს კრედიტორს უფლებას, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება ისეთ შემთხვევებში, როდესაც მეორე მხარე პასუხისმგებელია ასეთ დარღვევაზე. ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში ვალდებულებითი ურთიერთობის სამართლებრივი საფუძველი – ხელშეკრულება ძალაში რჩება. ხდება მხოლოდ ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის ტრანსფორმირება და მის ადგილს იკავებს უკუშესრულების ვალდებულებითი ურთიერთობა.

აუცილებელია გავამახვილოთ ყურადღება იმ ნორმებზე, რომლებიც სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობათა განსხვავებულ ასპექტებს არეგულირებენ, რომლებიც არ შეიძლება განვიხილოთ უფლებათა დაცვის საშუალებებად. თუმცა, განსაზღვრულ პირობებში შესაბამისი ნორმები შეიძლება ეფექტურად იქნეს გამოყენებული სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა უფლებების დასაცავად. ესენია, ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებათა მომწესრიგებელი ნორმები, რომლებიც განსხვავდებიან მოვალეზე ზემოქმედების ხარისხით და მიზნის მიღწევის მეთოდით – აიძულოს მოვალე შეასრულოს ვალდებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით

გამოყენებული ლიტერატურა

1. ახვლედიანი ზ. 1999. *ვალდებულებითი სამართალი*. თბილისი.
2. ქურდაძე შ. ხუნაშვილი ნ. 2012. *საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო*. თბილისი.
3. ქურდაძე შ. თოდუა მ. 2005. *ცალკეულ კატეგორიის სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილების მიღების თავისებურებანი*. თბილისი.
4. ჭანტურია ლ. 2012. *კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი*. თბილისი.
5. ჭეჭელაშვილი ზ. 2008. *სახელშეკრულებო სამართალი*. თბილისი.
6. ჰუბსი ვ., თოდუა მ. 2006. *ვალდებულებითი სამართალი*, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. თბილისი.
7. Брагинский М.Н., Витрянский В.В. 2009. *договорное право*, книга первая, статут. Москва.
8. Суханов Е.А. 2011. *Российское гражданское право*. учебник, Том I, статут.
9. Садиков О.Н. 2009. *Комментарий к гражданскому кодексу Российской Федерации части первой*
10. Суханов Е.А. 1995. *Гражданский кодекс Российской Федерации. Комментарий части первой*, гл. 20 М., Спарк.
11. Medicus D. 1987. *Schuldrecht II, Besonderer Teil*, 3 Aufl.
12. Fikentscher Wolfgang, 1997. *Schuldrecht*, 9., durchges. und ergänzte Aufl. Berlin; New York: de Gruyter.

სარჩელების კლასიფიკაცია

რეზიუმე

იურისპრუდენციაში სარჩელის ინსტიტუტთან დაკავშირებულ თანამედროვე პრობლემას წარმოადგენს სარჩელთა კლასიფიკაციის საკითხი. სარჩელის არსისა და კლასიფიკაციის თაობაზე არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. ამიტომ, სარჩელის ინსტიტუტი არ კარგავს სამეცნიერო და პრაქტიკულ მნიშვნელობას. სარჩელის სამართლებრივ ბუნებასა (არსსა) და სარჩელის კლასიფიკაციაზე ჩამოყალიბებულ დასკვნებს დიდი მნიშვნელობა აქვს სამართლის სუბიექტებისათვის, რათა დაიცვან თავიანთი უფლებები და კანონიერი ინტერესები, რაც, მეორე მხრივ, განპირობებულია ასეთი შეფასებების არსებობის აუცილებლობით, მითუმეტეს, რომ იგი წარმოადგენს სამართლის ღერძს და უფრო მნიშვნელოვან მიზეზს პირთა უფლებების დაცვის ეფექტური განხორციელებისათვის. სარჩელის შესახებ არსებული მოსაზრებები, ერთი მხრივ, განსაზღვრავს სამოქალაქო უფლებათა და კანონიერი ინტერესთა რეალური დაცვის შესაძლებლობას, მეორე მხრივ კი სამართალწარმოების განხორციელების შედეგის იდეალურ სახეს წარმოგვიდგენს, რაც დადებითად აისახება სამოქალაქო საქმეთა სამართალწარმოებაზე. თანამედროვე პერიოდში სარჩელი საშუალებას გვაძლევს დაცული იქნეს უფლება და კანონიერი ინტერესი. ამ პოზიციიდან გამომდინარე, სამოქალაქო პროცესუალურ სამართალში სარჩელთა კლასიფიკაციის პრობლემის გამოკვლევას პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება, რამდენადაც მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციები და წინადადებები შემდგომ უკვე საკანონმდებლო ცვლილებათა განმაპირობებელი ფაქტორი შეიძლება გახდეს.

საუბარი სარჩელების კლასიფიკაციაზე მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო. ის, როგორც მეცნიერული კვლევის სპეციალურიმეთოდიფართო გამოყენებას პოულობს იურიდიულ მეცნიერებაში, მათ შორის სამოქალაქო საპროცესო სამართალშიც.

ტრადიციულად სარჩელები იყოფა სახეებად პროცესუალური მიზნის (პროცესუალურ-სამართლებრივი კლასიფიკაცია), ან სადაო მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობის ხასიათის მიხედვით. სარჩელების მოცემული კლასიფიკაციაკრიტერიუმების მიხედვით, დღევანდელ სამოქალაქო პროცესში, ვფიქრობ, რომ სადაო საკითხია.

იმდენად, რამდენადაც ქართული სამოქალაქო საპროცესო მეცნიერება მწირია სარჩელის თაობაზე არსებული ლიტერატურით, მიზანშეწონილია უცხოური დოქტრინის განხილვა. დოქტრინის მიხედვით, კლასიფიკაციაში იგულისხმება საგნების, მოვლენების, ფაქტების გადანაწილება ჯგუფებად. კლასიფიცირებული ობიექტების საერთო ტიპიური ნიშნების თანახმად, ყოველ კლასს აქვს თავისი მუდმივი, განსაზღვრული ადგილი. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ კლასიფიკაციის ამოცანაა - “გადაანაწილოს ნივთები ჯგუფებად ისეთი თანმიმდევრობით, რომელიც ყველაზე ხელსაყრელია ნივთების

თვისებების განსაზღვრისათვის”. ამგვარად, იმისათვის რომ კლასიფიკაციამ შეასრულოს თავის წინაშე დასმული ამოცანები, აუცილებელია ფაქტებისა და მოვლენების კლასიფიკაციისათვის საფუძვლად გამოვიყენოთ ყველაზე არსებითი და მნიშვნელოვანი ნიშან-თვისებები. არსებით ნიშან-თვისებებად ითვლება თვისებები, რომლებიც მოვლენების შინაგან ბუნებასა და არსს გამოხატავენ [8,23].

სარჩელიარის დარღვეული ან სადავო უფლების, ან კანონიერი ინტერესის დაცვის მოთხოვნა. ამგვარი განსაზღვრება საშუალებას გვაძლევს პრაქტიკული თვალსაზრისით გამოვიყოთ მისი ის მნიშვნელოვანი თვისებები, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს სარჩელების კლასიფიკაციას.

1.მატერიალურ - სამართლებრივი ურთიერთობების (სამართალურთიერთობების), კანონიერი ინტერესებისა და უფლებების ხელყოფის ხასიათი, სარჩელების დაყოფას განაპირობებს შემდეგ სახეობად: ა) სამოქალაქო სარჩელი, როგორც სამოქალაქო, შრომითი და სხვა ჰორიზონტალური (კერძო-სამართლებრივი) ურთიერთობების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მოთხოვნა; ბ) ადმინისტრაციული სარჩელი, როგორც ადმინისტრაციული, სხვა ვერტიკალური (საჯარო-სამართლებრივი) ურთიერთობებიდან გამომდინარე უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის საშუალება; ამ ნიშნის მიხედვით ადრე მოქმედი სისხლის სამართლის საროცესო კანონმდებლობა იცნობდა სისხლის სამართლის იმ სარჩელსაც, რომელიც დღეს აღარ გვაქვს მოცემულ კანონმდებლობაში.

სარჩელების მოცემული კლასიფიკაცია არის ზოგადი, იგი ცილდება სამართლის ერთი დარგის ჩარჩოებს. მას საფუძვლად უდევს სარჩელის უნივერსალური, გვარეობითი ცნება, როგორც ნებისმიერი უფლების ან კანონიერი ინტერესის დაცვის მოთხოვნა, მისი დარგობრივი კუთვნილებისა და ხელყოფის ხასიათის მიუხედავად. ამგვარად, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სარჩელები - სარჩელის ერთიანი გვარობითი ცნების ნაირსახეობებია.

2.იმის მიხედვით, თუ რომელი უფლებამოსილი ორგანო განიხილავს და გადაწყვეტს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სარჩელებს, ეს უკანასკნელები შეიძლება იყოს კლასიფიცირებული: ა) სამართლებრივ სარჩელებად; ბ) საარბიტრაჟო სარჩელებად.

სამართლებრივი სარჩელები თავის მხრივ იყოფა : ა) სამოქალაქო სარჩელებად, რომლებიც განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით; ბ) ადმინისტრაციული სარჩელებად, რომლებიც განიხილება ადმინისტრაციული წესით.

სამოქალაქო სამართალურთიერთობების სუბიექტების უფლებების ან კანონიერი ინტერესების დაცვის შესახებ აღძრული სარჩელი განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. სარჩელების კლასიფიკაციის პრაქტიკული დანიშნულება ისაა, რომ მოცემული კლასიფიკაცია საშუალებას იძლევა ყურადღება გავამახვილოთ, როგორც უფლებებისა და ინტერესების დაცვის სასარჩელო ფორმის ზოგად თვისებებზე, ასევე საერთო იურისდიქციის სასამართლოებისა და არბიტრაჟების მიერ სარჩელების განხილვისა და გადაჭრის პროცედურის თვისებებზე.

3.სადავო სამართალურთიერთობის ხასიათის მიხედვით, რომლისგანაც წარმოიქმნა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მოთხოვნა, განსხვავდებიან სარჩელები, რომლებიც გამომდინარეობენ სამოქალაქო, შრომითი და სხვა ჰორიზონტალური (კერძო-სამართლებრივი) ურთიერთობებიდან და სარჩელები, რომლებიც გამომდინარეობენ, ადმინისტრაციული და სხვა ვერტიკალური (საჯარო-სამართლებრივი) ურთიერთობებიდან. მოცემულ კლასიფიკაციას უწოდებენ მატერიალურ-სამართლებრივს ან კლასიფიკაციას მატერიალურ-სამართლებრივი ნიშნის მიხედვით.

თავის მხრივ, პროცესუალური თავისებურებების ცოდნა ხელს უწყობს სარჩელს, როგორც უფლებებისა და კანონიერი ინტერესების სასამართლო წესით დაცვის საშუალების სწორ და ეფექტურ გამოყენებას, სამოქალაქო საქმეების უფრო სწორ განხილვასა და გადაჭრას. ამით ხელს უწყობს სათანადო იურისდიქციის მქონე ორგანოების წინაშე დამდგარი ამოცანების წარმატებულ გადაწყვეტას. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა მეცნიერი არ არის ერთსულოვანი სარჩელების კლასიფიკაციის საკითხში. მაგალითად: ლოგინოვი, გურვიჩი, არა მარტო უარყოფდა სარჩელების მატერიალურ-სამართლებრივი კლასიფიკაციის პრაქტიკულ მნიშვნელობას, არამედ ეჭვქვეშ აყენებდა თვით მის არსებობას. იგი ამტკიცებდა, რომ საუბარი არის, არა სარჩელების კლასიფიკაციაზე, არამედ მის უბრალო ჩამონათვალზე. იმის გათვალისწინებით, რომ ლოგინოვი სარჩელების დაყოფას სადაო სამართალურთიერთობის ხასიათის მიხედვით განიხილავდა, როგორც სარჩელების უბრალო “ტერმინოლოგიურ გადანაწილებას”, მისი მოსაზრება გურვიჩის აზრით, არ არის კორექტული. საქმე ისაა, რომ გურვიჩი აღიარებდა სარჩელების მატერიალურ-სამართლებრივი კლასიფიკაციის არსებობას (აუცილებლობას), თუმცა, მისი აზრით, ეს კლასიფიკაცია არამეცნიერულია იმ მიზეზით, რომ არ არის ყოვლისმომცველი და ამომწურავი. აქედან გამომდინარე, უნდა აღვნიშნოთ, რომ არცერთი კლასიფიკაცია არ შეიძლება იყოს ყოვლისმომცველი, ამომწურავი, სრულყოფილი, ამიტომაც აბსოლუტურად მკვეთრი მიჯნის დაწესება შეუთავსებელია თეორიასთან [8,68].

4.სამოქალაქო პროცესუალური სამართლის თეორიაში არანაკლებ ტრადიციულია სარჩელების კლასიფიკაცია პროცესუალური ნიშნით, რომელიც წარმოდგენილია როგორც პროცესუალური მიზანი [10, 68-69]. ამ მიზნის მიხედვით სარჩელები შემდეგ სახეობებად იყოფა: მიკუთვნებითი და აღიარებითი (უფლებადამდგენი) სარჩელები.

სარჩელის მიზანი არ შეიძლება იყოს კლასიფიკაციის ნიშანი, რადგანაც ნებისმიერი კლასიფიკაცია წარმოადგენს ობიექტების გადანაწილებას ურთიერთდაკავშირებულ კლასებად მათი ტიპური ნიშნების მიხედვით, ამიტომ კლასიფიკაციის ნიშანმა უნდა ასახოს არა მარტო საკლასიფიკაციო ობიექტების ერთიანობის ერთობლიობა, არამედ მისი განსხვავება სხვა ერთობლიობისაგან [11,55].

ლოგინოვი უარყოფდა სარჩელების კლასიფიკაციას დაცვის ხერხის მიხედვით, მისი აზრით, სახეობებად იყოფა არა სარჩელები, არამედ სამოქალაქო უფლებების დაცვის ხერხები [10,103]. თავის პოზიციას მეცნიერი ასაბუთებდა იმით, რომ “სარჩელი მოსარჩელეს მიერ შერჩეული და სასამართლოს მიერ დამტკიცებული ნებისმიერი დაცვის ხერხთანმდართებით, თავისი არსით რჩება იგივე, რადგანაც მისი ბუნება არ არის დამოკიდებული დაცვის ხერხზე”

[10,104]. ამ აზრს ვერ დავეთანხმებით სხვადასხვა მოსაზრების გამო. პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ლოგინოვის პოზიცია, როცა იგი სარჩელების კლასიფიკაციას, დაცვის ხერხის კლასიფიკაციით ანაცვლებს, გამომდინარეობს მისი ნეგატიური დამოკიდებულებიდან, რომელსაც იგი იჩენს ამ საკითხის მიმართ. მან სტატიაში “სარჩელის ცნება და უფლების დაცვის სასარჩელო ფორმა [13]” სარჩელი განსაზღვრა, როგორც “სამოქალაქო სამართალწარმოების აღძვრა”, როგორც “დაინტერესებული პირის მიერ სასამართლოში განცხადებით მიმართვა, მოსარჩელესა და მოპასუხის მატერიალურ-სამართლებლივი დავის განხილვის და გადაჭრის შესახებ”. ამით მან სარჩელის მნიშვნელობა, როგორც სამართლებრივი ინსტრუმენტის, უარყო. ის წერდა: “დოქტრინა სარჩელის სტრუქტურის შესახებ, მეცნიერულად არ არის დასაბუთებული და პრაქტიკულად უსარგებლოა”, მისი აზრით, ინდივიდუალიზაციის საგანი არის არა სარჩელი, არამედ დავა. ლოგინოვმა სარჩელის უფლება განსაზღვრა, როგორც სასამართლოსთვის მიმართვის უფლება. მეცნიერის აზრით, სარჩელის ფუნქციონალური მნიშვნელობა ამოიწურება სამოქალაქო საქმის აღძვრის სტადიით, თანაც პროცესის ამ სტადიაში სარჩელის მნიშვნელობა თითქმის ნულზეა დაყვანილი. ამიტომაც, სამოქალაქო საქმეების იდენტიფიკაცია საქმის აღძვრის მომენტში, ლოგინოვის აზრით, უნდა განისაზღვროს არა სარჩელის, არამედ დავის ელემენტებით.

ყოველივე აქედან გამომდინარე, სარჩელის ბუნება, როგორც უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მოთხოვნა, ნამდვილად არ იცვლება და არც შეიძლება შეიცვალოს იმის გამო, თუ რა ხერხით იქნება დაცული დარღვეული უფლება ან კანონიერი ინტერესი, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ შეუძლებელია სარჩელების დაყოფა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის ხერხის მიხედვით. ნებისმიერი სარჩელი, როგორც უფლების ან ინტერესის დაცვის მოთხოვნა, გულისხმობს მისი დაცვის განსაზღვრული ხერხის არსებობას. სარჩელი და უფლების (ინტერესის) დაცვის ხერხი ერთმანეთთანაა შეფარდებული როგორც მთლიანი, და მისი არსებითი (განუყოფელი) ნაწილი (ანუ ნიშანი), რადგანაც არსებობს უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის სხვადასხვა ხერხი.

სარჩელების კლასიფიკაციის განხილვისას არ შეიძლება გვერდი ავუაროთ სამოქალაქო პროცესუალურ-სამართლის მეცნიერების ისეთ დისკუსიურ საკითხს, როგორცაა გარდაქმნითი სარჩელები. გარდაქმნითი სარჩელების თეორია წარმოაჩინა და დაასაბუთა გურვიჩმა. გარდაქმნითი სარჩელები არის ისეთი სარჩელები, რომელიც ცვლიან ან წყვეტენ სამართალურთიერთობებს სასამართლო გადაწყვეტილების მეშვეობით და განახორციელებენ მოსარჩელის კანონიერი და საფუძვლიანი ცვლილებების მოთხოვნის უფლებამოსილებას.

გარდაქმნითი სარჩელის არსებობას აღიარებენ ქართულ იურიდიულ ლიტერატურაშიც. მაგალითად, პროფ. თ. ლილუაშვილის შეხედულებით „გარდაქმნითი სარჩელები, როგორც სარჩელების ერთ-ერთი დამოუკიდებელი სახესხვაობა, არაა აღიარებული ყველა პროცესუალისტის მიერ, ისინი თვლიან, რომ ეს სარჩელები სინამდვილეში აღიარებითი სარჩელებია“ [2,96]. გარდაქმნითი სარჩელების თეორიას არ აქვს არსებობის უფლება. ამგვარ სარჩელს არ იცნობს ქართული პრაქტიკაც. ამასთან დაკავშირებით საინტერესო და ყურადსაღებია დობროვოლსკის და ივანოვას ნაშრომებში ჩამოყალიბებული მოსაზრებები და

არგუმენტები. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგანაც ზუსტადაც მათ აზრს ეყრდნობიან სხვა ავტორებიც, რომლებიც გამოდიან გარდაქმნითი სარჩელების თეორიის წინააღმდეგ.

ამ ავტორთა ძირითადი თეზისი იმაში მდგომარეობს, რომ გარდაქმნითი სარჩელების თეორია ეყრდნობა სასამართლოს კანონშემოქმედებით ფუნქციებს, მაგრამ ასეთი ფუნქციები არ ახასიათებს სასამართლოს, რომლის ამოცანაა, არა უფლებებისა და ვალდებულებების შექმნა, არამედ მათი დაცვარადგან სასამართლოს არ შეუძლია შექმნას სამართალი, ამიტომ სასამართლო გადაწყვეტილება არ შეიძლება განიხილოს, როგორც იურიდიული ფაქტი, რომელსაც კანონი აკავშირებს სადავო სამართალურთიერთობების სახეცვლილებას. ამის საფუძველზე კეთდება დასკვნა: გარდაქმნითი სარჩელების თეორიის არამეცნიერულობისა და პრაქტიკული უნაყოფობის შესახებ. ჩემი აზრით, გარდაქმნითი სარჩელი თავისი არსით სხვა არაფერია თუ არა აღიარებითი სარჩელი. დობროვოლსკის და ივანოვას პოზიცია გარდაქმნითი სარჩელის წინააღმდეგ გამოთქმული მართებულია. თუმცა ვერ დავეთანხმებით მათ მსჯელობას იმ ნაწილში, რომელშიც ისინი მიიჩნევენ, რომ თითქოს სასამართლო არ ქმნის სამართალს და გადაწყვეტილებას არ აქვს იურიდიული ფაქტის მნიშვნელობა. იურიდიული ფაქტი უკავშირდება სამართალურთიერთობის წარმოშობას, შეცვლას ან შეწყვეტას. თუმცა პირდაპირ არ აღინიშნება, მაგრამ სასამართლოს გადაწყვეტილება წარმოშობს მომავალში ვალდებულებებს და შესაბამისად წარმოშობს ცვლის ან წყვეტს მხარეთა შორის სამართალურთიერთობებს, სასამართლოს გადაწყვეტილება წარმოადგენს ნორმას, ქცევის წესს, რომელის შესრულება საქართველოს მთელს ტერიტორიაზე სავალდებულოა. ასეთი გადაწყვეტილების და მის საფუძველზე მიღებული აქტის (სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ნოტარიუსის მიერ ცვლილებები იყო შეტანილი სამკვიდრო მოწმობაში) გათვალისწინება, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული გადასაწყვეტ დავასთან ასევე სავალდებულოა სასამართლოსთვის“. „სასამართლოს გადაწყვეტილება სავალდებულოა და ის უნდა შესრულდეს, ე.ი. მხარეს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ წარმოეშობა მისი შესრულების ვალდებულება“.

კანონის შესაბამისად გარდაქმნით სარჩელებს მიეკუთნება ისეთი სარჩელები, რომლებიც მიმართულია არსებულ სამართალდამოკიდებულების შეცვლაზე და შეწყვეტაზე. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ ბევრი ავტორი, მათ შორის გურვინჩი და დობროვოლსკი, გარდაქმნით სარჩელებს მიაკუთნებდნენ აღიარებით სარჩელებს. მაგალითად, გურვინჩი გარდაქმნით სარჩელს მიაკუთნებდა გარიგების ბათილად აღიარების სარჩელს, ხოლო დობროვოლსკი კი სარჩელს მამობის დადგენის შესახებ, თუმცა ორივე სარჩელი, ტიპური სარჩელია აღიარების შესახებ. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ პირველი სარჩელი არის უარყოფითი სარჩელი აღიარების შესახებ, ხოლო მეორე კი, დადებითი სარჩელი აღიარების შესახებ.

უარყოფითი სარჩელი აღიარების შესახებ, გარდაქმნითი სარჩელისაგან განსხვავებით მიმართულია სადავო სამართალურთიერთობის არარსებულად აღიარებაზე. დადებითი სარჩელი კი აღიარების შესახებ, მიმართულია სადავო სამართალურთიერთობის არსებულად აღიარებაზე.

სარჩელი, ქონების დაყადაღება-გათავისუფლების შესახებ სასამართლომ არ შეიძლება განიხილოს, როგორც გარდაქმნითი სარჩელი, შემდეგი მიზეზების გამო: ნებისმიერი გარდაქმნითი სარჩელი მიმართულია არსებული, რეალური სამართალურთიერთობის შეცვლაზე ან შეწყვეტაზე. სარჩელი, ქონების დაყადაღება-გათავისუფლების შესახებ მიმართულია მოსარჩელის ნივთობრივ უფლებაზე (დაკავებულ) ქონებაზე და ამ გაგებით, ის (სარჩელი) მიეკუთვნება დადებით სარჩელებს აღიარების შესახებ. მოპასუხის მიმართ ასეთი სარჩელის დაკმაყოფილება არ ნიშნავს მის ნივთობრივ უფლების შეწყვეტას სადაო ქონებაზე, იმიტომ რომ ის მოპასუხეს არასდროს არ ეკუთვნის. როცა სასამართლო უარს ეუბნება ქონების დაკავებიდან გათავისუფლების სარჩელზე, ამით ის ადასტურებს მოსარჩელის უფლებას სადაო ქონებაზე, მაგრამ აღიარებს იმას, რომ ასეთი უფლება არაქვს მოპასუხეს.

რაც შეეხება ზემოაღნიშნულ საკითხებზე ქართველი მეცნიერების მოსაზრებებს, თ. ლილუაშვილი თავის ნაშრომში წერს: „სასამართლო პრაქტიკის ანალიზი სრულ საფუძველს გვამლევს გავაკეთოთ დასკვნა, რომ მიკუთვნებითი სარჩელები, რომლებიც ზოგჯერ აღსრულებით სარჩელებსაც უწოდებენ, ყველაზე მეტადაა გავრცელებული და მას ყველაზე ხშირად ფიზიკური და იურიდიული პირები მიმართავენ. მაგალითად ასეთ სარჩელებს მიეკუთვნება: ვალის დაბრუნება, ლიზინგის საგნის დაბრუნება, ბინის განთავისუფლება, ალიმენტის გადახდა, სამუშაოზე აღდგენა და ა.შ“ [2,280].

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლი ეხება აღიარებით სარჩელს აღიარებითი სარჩელები ყოველთვის გულისხმობენ მოდავე მხარეებს, ამიტომ ასეთ სარჩელებში ყოველთვის გვყავს ორი მოდავე მხარე, მოსარჩელე და მოპასუხე, რითაც იგი განსხვავდება უდაო წარმოების წესით იურიდიული ფაქტის დადგენისაგან. ასევე მას წაეყენება დამატებითი წინაპირობა - იურიდიული ინტერესი. აქედან გამომდინარე, თუ არსებობს სარჩელის აღძვრის ყველა წინაპირობა, რომელიც გათვალისწინებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლით მაგრამ არ არსებობს იურიდიული ინტერესი, მოსარჩელეს უარი უნდა ეთქვას აღიარებით სარჩელის მიღებაზე და განხილვაზე.

სარჩელი აღიარებითია თუ მიკუთვნებითი, ეს კლასიფიკაცია დოქტრინის საქმე უნდა იყოს და არა კანონმდებლობის. რაც შეეხება სასამართლოს, მან მაშინ უნდა დააკმაყოფილოს სარჩელი, თუ პირს ექნება რეალური იურიდიული ინტერესი. ამგვარი ინტერესი აქვს თუ არა მოსარჩელეს, უნდა დადგინდეს ნებისმიერი სარჩელის განხილვისას, რამეთუ მარტოდენ ფორმალური მითითება სარჩელში, რომ პირს გააჩნია იურიდიული ინტერესი, ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ სახეზეა ის იურიდიული ინტერესი, რომელიც შეიძლება დაცულია კანონით. ეს უნდა გაირკვეს პროცესის მიმდინარეობისას და აისახოს სასამართლოს გადაწყვეტილებაში. 181-ე მუხლი ფაქტობრივად აღიარებითი სარჩელია [3,308]. საქმე იმაშია, რომ მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის თანახმად, თუ აღძრულია აღიარებითი სარჩელი, მასში უნდა მიეთითოს იურიდიული ინტერესი. ქართულ სასამართლო პრაქტიკაში ამგვარი მოთხოვნის დაწესებამ გამოიწვია მოსარჩელეთა უფლებების გაუმართლებელი ხელყოფა საქმის აღძვრის სტადიაზევე. კერძოდ, სასამართლოები სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველად ხშირად უთითებენ, რომ წარმოდგენილია აღიარებითი სარჩელი და მოსარჩელის მიერ მითითებული არ არის იურიდიული ინტერესი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, იურიდიული ინტერესი არის, არა მხოლოდ ადამიანის ცნობიერების შედეგი, არამედ საზოგადოებაში

რეალურად არსებული მოვლენა, რომელიც აუცილებელია გათვალისწინებული იყოს. ამდენად, იურიდიული ინტერესი მხარეს უნდა გააჩნდეს არა მარტო აღიარებითი სარჩელის აღძვრისას, არამედ ნებისმიერი სარჩელის შეტანის შემთხვევაში. ზოგიერთი ქვეყნის (მაგალითად რუსეთის) საპროცესო კანონმდებლობა აღიარებით სარჩელს საერთოდ არ იცნობს. ამრიგად, ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ უფლების და კანონიერი ინტერესის დაცვის ხერხის მიხედვით სარჩელები იყოფა შემდეგ სახეებად: მიკუთვნებითი და აღიარებითი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ. 2004. *საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი*. თბილისი: სანი.
2. ლილუაშვილი თ. 1992. *სამოქალაქო საპროცესო სამართლის კომენტარი*. თბილისი: მეცნიერება.
3. ქურდაძე შ. ხუნაშვილი ნ. 2012. *საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი*. თბილისი: მერიდიანი.
4. Кириллов В.И., Старченко А.А. 1999. *Логика*. М., юрист;
5. Осокина Г.Л., *Иск(теория и практика)*. 2000. М., Городец;
6. *Зейдер Н.Б.* 1939. *Основные вопросы учения об иске в советском гражданском процессе*: Дис. канд. юрид. наук. Саратов.
7. Добровольский А.А.; Иваново С. А. 1979. *Основные проблемы исковой формы защиты права*. Москва. Изд-во Моск ун-та;
8. Гурвич М. А. 1981. *Учение об иске (состав, виды)*: Учебное пособие. Москва. Вюзи;
9. Логинов П.В, 1983 *Понятие иска и исковая форма защиты права*, Москва советское государство и право;
10. Логинов П.В. 1983. *Понятие иска и исковой формы защиты права // Сов. ГиП. . № 2*.
11. საქართველო, პარლამენტი. 1997. საქართველოს კანონი: საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, (1106,14,11.1997), თბილისი, პარლამენტის უწყებანი, 48-48 31/22/1997.
12. *საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები*. 2002. #7
13. *საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები*. 2002. # 2
14. *საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები*, 2003. №11.

გიორგი შაშიაშვილი

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

**ქმედების შემადგენლობის ანალიზის სქემის გამოკვლევის აქტუალობა
(საქართველოს სსკ-ის 194-ე მუხლი)**

რეზიუმე

სტატიაში განიხილება შეადარებით-სამართლებრივი პრობლემატიკა. ცენტრალური ადგილი უკავია დანაშაულის ნიშნების დეტალურ ანალიზს, ვინაიდან მათ სწორ გააზრებასთან პირდაპირ არის დაკავშირებული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ადეკვატური დასაბუთება. ამ კუთხით მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს საქართველოს სსკ-ის 194-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის ანალიზი.

შეადარებით-სამართლებრივი საკითხების გააზრების აუცილებლობა განპირობებულია იმ პრობლემებით, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობის პრაქტიკული გამოყენების დროს იწვევს გარკვეულ დაბრკოლებებს:

პირველი - კანონმდებლის მიერ არ არის ცალსახად გადაწყვეტილი საკითხი დანაშაულებრივი გზით მოპოვებული შემოსავლის ლეგალიზაციის (გათეთრების) დასრულების მომენტის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებულის მიერ დანაშაულებრივი კაპიტალი გამოიყენება ეკონომიურ საქმიანობაში განუსაზღვრელი ვადის განმავლობაში.

მეორე - დღეის მდგომარეობით კანონმდებლის მიერ არ არის მკვეთრად განსაზღვრული განსახილველი დანაშაულის საგანში არამატერიალური ფასეულობების გათეთრების ჩართვის შესაძლებლობა; პირველ რიგში, აქ იგულისხმება ქონების უფლება.

საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვით არაა დაზუსტებული ლეგალიზაციის ძირითადი ქმედება. ამიტომ ღიად რჩება საკითხი: რომელ ქმედებაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება, ქმედებაზე, რომელზეც გამოტანილია საბრალდებო დასკვნა, თუ ქმედებაზე, რომელიც ოპერატიული სამსახურების მონაცემების მიხედვით „კრიმინალურია“, მაგრამ მასზე გამოძიება ჯერ არ დაწყებულა? დასაშვებია თუ არა პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიცემა ფულის ლეგალიზებისთვის (გათეთრებისთვის), თუ არ არსებობს სასამართლოს განაჩენი პირველად (ძირითად) დანაშაულზე?

რა დასკვნის გაკეთება შეიძლება? პირველადი ქმედების მცირე მნიშვნელობა დაკავშირებულია მისი შემსრულებლის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხთან. თუმცა, ამ დებულებას (ჩვენს შემთხვევაში საქართველოს სსკ-ის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილი) არავითარი კავშირი არა აქვს ლეგალიზაციის შემადგენლობასთან. და მეტიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლეგალიზაციის წყარო შესაძლოა იყოს ნებისმიერი არასამართლებრივი ქმედება. ამრიგად, პირველადი ქმედების მცირე მნიშვნელობას არავითარი კავშირი არა აქვს ლეგალიზაციის შემადგენლობასთან.

მსოფლიო მაშტაბით კრიმინალური ინვესტიციების მოცულობის ზრდამ, რაც ადვილად აღწევს სხვადასხვა ქვეყნების ლეგალურ ეკონომიკაში, განაპირობა დანაშაულებრივი გზით მოპოვებული შემოსავლების ლეგალიზაციის (გათეთრების) საწინააღმდეგო ღონისძიებების სტრატეგიის აქტუალობა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით, მსოფლიოში „შავი“ ფულის ბრუნვის ჯამი, სხვადასხვა ფინანსურ სისტემებში 590 მილიარდიდან 1,5 ტრილიონ აშშ დოლარს შეადგენს, რაც ყველა ქვეყნის საერთო ნაციონალური პროდუქტის 205% -ია.

თანამედროვე სამყაროში ასეთი დანაშაულის სისტემატური ზრდის საშიშროება მსოფლიო თანამეგობრობის ქვეყნების დიდი ნაწილის აღშფოთებას იწვევს. ფინანსური სისტემის გლობალიზაციასთან ერთად, საერთაშორისო დონეზე დგება საკითხი დანაშაულებრივი შემოსავლების გათეთრების წინააღმდეგ სხვადასხვა სახელმწიფოების ქმედებების კოორდინაციის აუცილებლობის შესახებ [1,3-6].

ამ მიზეზით ძალზე აქტუალური გახდა დანაშაულებრივი გზით მოპოვებული შემოსავლების ლეგალიზაციის კვლევა. აღნიშნული საკითხის შესწავლა განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს სისხლის სამართლისა და სამართლებრივი დოგმატიკის თვალსაზრისით. კვლევის პროცესში ცენტრალური ადგილი უკავია დანაშაულის ნიშნების დეტალურ ანალიზს, ვინაიდან მათ სწორ გააზრებასთან პირდაპირ არის დაკავშირებული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ადექვატური დასაბუთება. ამ კუთხით მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის ანალიზი.

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, რომელიც დანაშაულებრივი გზით მოპოვებული შემოსავლის ლეგალიზაციის (გათეთრების) საწინააღმდეგო ქმედებას ეძღვნება, არსებობს მთელი რიგი დებულებები, რომლებიც ამ კანონმდებლობის პრაქტიკული გამოყენების დროს იწვევს გარკვეულ დაბრკოლებებს:

პირველი - კანონმდებლის მიერ არ არის, ცალსახად გადაწყვეტილი საკითხი დანაშაულებრივი გზით მოპოვებული შემოსავლის ლეგალიზაციის (გათეთრების) დასრულების მომენტის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებულის მიერ დანაშაულებრივი კაპიტალი გამოიყენება ეკონომიურ საქმიანობაში განუსაზღვრელი ვადის განმავლობაში.

მეორე - დღეისმდგომარეობით კანონმდებლის მიერ არ არის მკვეთრად განსაზღვრული განსახილველი დანაშაულის საგანში არამატერიალური ფასეულობების გათეთრების ჩართვის შესაძლებლობა, პირველ რიგში აქ იგულისხმება ქონების უფლება.

თანამედროვე საქართველოში, ზემოაღნიშნული დანაშაულის თვალსაზრისით, არ არსებობს ჩამოყალიბებული სასამართლო ან საგამომიებო პრაქტიკა. ამ თემის აქტუალობა განპირობებულია მისი ნაკლებად შემუშავებულობით. ქართულ ენაზე არსებობს მხოლოდ ერთი ნაშრომი, რომელიც აღწერილია ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ სახელმძღვანელოში. თუმცა არ არსებობს ამ საკითხთან დაკავშირებული სპეციალური კვლევა. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ქართველი მეცნიერების მიერ (გამყრელიძე, ტურავა) განვითარებულმა ნორმატიულმა თეორიამ ჯერჯერობით ვერ ჰპოვა სათანადო ასახვა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ანალიზის დროს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მთელი რიგი განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობებისა და ასევე დანაშაულებრივი გზით მოპოვებული შემოსავლის ლეგალიზაციის (გათეთრების) საწინააღმდეგო ქმედებების სფეროში, საერთაშორისო სისხლის-სამართლებრივი ნორმების კომპლექსური ანალიზი, აქტუალურია იმ შემთხვევაში, თუ მჭიდროდ იქნება დაკავშირებული მოცემული ქმედების შემადგენლობის ნორმატიულ ანალიზთან [2,9,10].

საფუძვლიან გამოკვლევას საჭიროებს სისხლის სამართლის ნორმატიული თეორიის თვალსაზრისით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) შემადგენლობა.

ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა დაისახოს და განხორციელდეს შემდეგი ამოცანები:

- უნდა გაიხსნას ქმედების ობიექტური შემადგენლობა; გამოიყოს და გაანალიზდეს ობიექტური შემადგენლობის ძირითადი ელემენტები;
- უნდა გაიხსნას ქმედების სუბიექტური შემადგენლობა; გამოიყოს და გაანალიზდეს სუბიექტური შემადგენლობის ძირითადი ელემენტები;
- მიეცეს ფორმულირება ქმედების შემადგენლობას.

აღნიშნული ამოცანების შესრულების მეთოდოლოგიური ინსტრუმენტი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ფორმირებისადმი ლოგიკურ-ნორმატიული მიდგომა. მისი გამოყენების შედეგად შესაძლებელია შემდეგი სქემის ჩამოყალიბება:

I. წინმსწრები ქმედებები.

II. ძირითადი ქმედებები: 1) ობიექტური შემადგენლობა: ა) ქმედების საგანი. ქმედების საგნის წარმომავლობა; ბ) მოქმედება (უმოქმედობა). 2) სუბიექტური შემადგენლობა.

III. მართლწინააღმდეგობა.

IV. ბრალი.

ზემოაღნიშნული კვლევების პრაქტიკულ ფასეულობას წარმოადგენს ის, რომ მისი შედეგები საშუალებას გვაძლევს გამოვიყენოთ ავტორის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებების შემადგენლობის სწორი კვალიფიკაციისთვის. გამოტანილი დასკვნები და ჩამოყალიბებული წინადადებები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას როგორც საგამოძიებო, ასევე სასამართლო საქმიანობაში. მიღებული სამეცნიერო შედეგები შეიძლება გამოვიყენოთ ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ მიმართული კანონმდებლობის სრულყოფისთვის [7,8,11].

საბოლოოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე და 194¹ მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის კვალიფიკაციისას წარმოქმნილი დოგმატური პრობლემების კვლევის შედეგად გამოტანილი იქნება საფუძვლიანი დასკვნები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Alldridge P. 2003. *Money Laundering Law: Forfeiture, Confiscation, Civil Recovery, Criminal Laundering and Taxation of the Proceeds of Crime*. Hart Publishing Business&Economics.
2. Arzt, G. 1990. Geldwäscherei. *Eine neue Masche zwischen Hehlerei, Strafreitelung und Begünstigung* in: Neue Zeitschrift für Strafrecht, Jg. 10.
3. Bernarsconi P.1988. *Finanzunterwelt*. Zürich, Wiesbaden.
4. Christoph J., L. Safferling (LSE). 2008/09. Geldwäsche, § 261 StGB. Besonderer Teil. S.111
5. Gallant M. 2005. *Money Laundering and the Proceeds of Crime: Economic Crime and Civil Remedies*. Cheltenham, UK: Edward Elgar.
6. Алешин К. Н. 2004. Легализация (отмывание) доходов, полученных преступным путем, как преступление международного характера : Автореферат диссертации на соискание ученой степени канд. юрид. наук. СПб., с. 6 -24.
7. Беницкий А.С., Розовский Б.Г., Якимов О.Ю. 2008. *Субъективные признаки легализации (отмывания) доходов, полученных преступным путем: Ответственность за легализацию преступно приобретенных доходов в уголовном законодательстве Украины и Российской Федерации*. Луганск: РИО ЛГУВД им. Э.А. Дидоренко.
8. Букарев В.Б., Трунцевский Ю.В., Шулепов Н.А. 2007. *Уголовная ответственность за легализацию (отмывание) доходов, приобретенных преступным путем*. М.: Издательская группа «Юрист», с. 102.
9. გამყრელიძე ო. 1998. *ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის*. თბილისი.
10. სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი. ეკონომიკური დანაშაული. თბილისი: მერიდიანი.
11. ტურავა მ. 2011. *დანაშაულის მოძღვრება*. თბილისი.

ინფორმაცია ავტორებზე

გიორგი თოდრია - სამართლის დოქტორი, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სრული პროფესორი, დაიბადა 1949 წლის 12 ნოემბერს. 1971 წელს დაამთავრა თბილისის ივ.ჯავახიშვილის უნივერსიტეტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით. 1983 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე: "კრიმინოლოგიის ძირითადი ცნებები" არის ოცზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი სამართლის ფილოსოფიაში, სისხლის სამართალსა და კრიმინოლოგიაში. არის კრიმინოლოგიის სახემძღვანელოს თანაავტორი. მონაწილეობა აქვს მიღებული სხვადასხვა პროექტებში და საერთაშორისო კონფერენციებში. არის დანაშაულის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის წევრი, ასევე საქართველოს კრიმინოლოგთა ასოციაციის წევრი.

დევი ხედელიანი სამართლის დოქტორი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დეკანი. 1998 წელს დაამთავრა ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. ასევე სწავლობდა გერმანიაში, კერძოდ, ვესტფალიის ვილჰელმის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე და გოეთეს სახელობის ინსტიტუტში. 2001-2005წწ სწავლობდა თბილისის ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურაში. 2011 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე: „მემკვიდრეობის სამართლის პრობლემები საერთაშორისო კერძო სამართალში“ და მიიღო შეფასება Magna cum laude. საერთაშორისო და კერძო სამართლის პრობლემატიკაზე გამოქვეყნებული აქვს რვა პუბლიკაცია. 1998 – 2001 წლადმე მუშაობდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროში მრჩეველად. 2001 – 2004 წლებში გახლდათ საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის უფროსი სპეციალისტი, ხოლო 2004 – 2005 წლებში საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს კანონშემოქმედებითი სამმართველოს უფროსი. 2003 – 2005 წლებში ლექციებს კითხულობდა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. 2005 – 2007 წლებში ადვოკატად მუშაობდა იურიდიულ კომპანიაში „თალაკვაძე და პარტნიორები“. 2007 წლიდან დღემდე ლექციებს კითხულობს კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში. 2011 წელს არჩეულ იქნა გ.რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორად.

მანანა მოსულიშვილი - სამართლის დოქტორი, პროფესორი. აქვს უმაღლესი პედაგოგიური და იურიდიული განათლება. 1976-2004 წლებში მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში სხვადასხვა თანამდებობებზე. 1990 წლიდან ეწევა სამეცნიერო - პედაგოგიურ საქმიანობას, 2001 წელს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიცვა დისერტაცია თემაზე "იურიდიული პასუხისმგებლობის ზნეობრივ-სამართლებრივი ასპექტები", აქვს 45 სამეცნიერო პუბლიკაცია, მათ შორის 5 მონოგრაფია (4 თანაავტორობით) მონაწილეობა აქვს მიღებული ათამდე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში. 2004 წლიდან მუშაობს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში. 2006-2010 წლებში იყო იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, ამჟამად უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და სრული პროფესორია. კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით იმყოფებოდა პოლონეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. მანანა მოსულიშვილი არის საქართველოს ქალთა საბჭოს წევრი, საქართველოს კალათბურთის ფედერაციის წევრი, შსს დამსახურებული მუშაკი, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი, მიღებული აქვს სამთავრობო ჯილდოები - 8 მედალი და ღირსების ორდენი.

გია დეკანოზიშვილი - სამართლის დოქტორი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სრული პროფესორი, სადისერტაციო საბჭოს წევრი, კრიმინალისტიკური ლაბორატორიის ხელმძღვანელი. დაიბადა 1962 წლის 18 თებერვალს თბილისში. 1984 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი და 2001 წელს საქართველოს შსს აკადემია. 2009 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე: "დაკითხვის

თანამედროვე პრობლემები სისხლის სამართალწარმოებაში და კრიმინალისტიკაში". გრიგოლ რობაქიძის სახელობის იურიდიული ფაკულტეტის საბაკალავრო პრაგრამაზე მიჰყავს სალექციო კურსი კრიმინალისტიკის საფუძვლებში. გამოქვეყნებული აქვს 12 სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის მონოგრაფია.

გიორგი ბერიაშვილი - დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია; ასევე სწავლობდა მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის პირველი იურიდიული ინსტიტუტის ასპირანტურაში.

სამეცნიერო ინტერესი - კორპორაციული და ინტელექტუალური სამართალი.

გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე ნაშრომი, რომელთა შორის აღსანიშნავია სტატიები:

1. "Фактор доверия между партнерами в обществах с уставным капиталом" - "Правовой вестник Сибири" Новосибирск, 1993 г.
2. "Облигации акционерного общества и издательские дома ценных бумаг" - "Вся Юридическая Россия" Москва, 1993 г.

დავით ძამუკაშვილი, სამართლის დოქტორი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის პროფესორი. დაამთავრა ბელორუსიის პოლიტექნიკური ინსტიტუტი, მიენიჭა ინჟინერ-ტექნოლოგის კვალიფიკაცია; ასევე დამთავრებული აქვს მოსკოვის პატენტომცოდნეობის ცენტრალური ინსტიტუტი "ЦИПК", კვალიფიკაცია - პატენტომცოდნე; დისერტაცია დაიცვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

სამეცნიერო ინტერესი: ინტელექტუალური სამართალი; შრომის სამართალი; კერძო სამართალი ზოგადად.

გამოქვეყნებული აქვს 50-ზე მეტი ნაშრომი, მათ შორის უცხოურ პერიოდიკაში, რომელთაგანაც 20 მონოგრაფიაა (2 წიგნი საქართველოს უნივერსიტეტების მიერ გამოიყენება სახემძღვანელოდ), გამოსაყოფია წიგნები:

1. ინტელექტუალური უფლებები, თბილისი, "ინტელექტი", 2006 წ;
2. ინტელექტუალურ უფლებათა სამართალი, თბილისი, "მერიდიანი", 2012 წ;
3. შრომის სამართალი (მეოთხე გადაამუშავებული გამოცემა შრომის ახალი კოდექსის მიხედვით), თბილისი, "ზონა კაუზა", 2013 წ.

პეტრე დაუთაშვილი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი. 1992 წ. დაამთავრა სსრკ შსს მილიციის უმაღლესი სკოლა და მისი ადიუნქტურა. მოსკოვში დაიცვა დისერტაცია თემაზე: "არასრულწლოვანთა და ახალგაზრდობის დანაშაულის კრიმინოლოგიური დახასიათება და პროფილაქტიკა სოფლად".

1980-1983 წლებში იყო შსს სამინისტროს სახელმწიფო ობიექტებისა და დაწესებულებათა დაცვის ლეგიონის მილიციის ზემდევო, 1991-1993 წწ. - საქ. შსს მილიციის უმაღლესი სკოლის მასწავლებელი, 1993-1994 წწ. - საქ. შსს აკადემიის უფრ. მასწავლებელი, 1994-1996 წწ. - საქ. შსს აკადემიის დოცენტი, 2006 წ. 10 მარტამდე - საქ. შსს აკადემიის კრიმინალური ფაკულტეტის პროფესორი, 1997 წლიდან დღემდე - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორია.

გამოქვეყნებული აქვს 53-ზე მეტი სამეცნიერო სტატია, მონოგრაფია და სახელმძღვანელო. არის ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი.

ამირან მოსულიშვილი - სამართლის დოქტორი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორი, სადისერტაციო საბჭოს წევრი. დაიბადა 1983 წლის 9 სექტემბერს თბილისში. 2004 წელს წარჩინებით დაამთავრა საქართველოს შსს აკადემია. 2007 წელს ჩაირიცხა გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის დოქტორანტურაში. 2009 წლის 10 ნოემბერს დაიცვა დისერტაცია თემაზე: "ნარკომანიის კრიმინოლოგიური დახასიათება და მასთან ბრძოლის ასპექტები". პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა 2006 წლიდან.

გრიგოლ რობაქიძის სახელობის იურიდიული ფაკულტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე მიჰყავს კურსი სისხლის სამართლის მიმართულებით. 2008 წელს მიენიჭა 30-საათიანი კურსის "კრიტიკული აზროვნება და აქტიური სწავლა უმაღლეს სასწავლებლებში"-სერტიფიკატი. სერთიფიცირებულია დისციპლინაში „დემოკრატია და მოქალაქეობა“. მონაწილეობა აქვს მიღებული ხუთ სამეცნიერო კონფერენციაში, მათ შორის, საზღვარგარეთ. არის 2 სამეცნიერო მცირე გრანტის მონაწილე - 2007 წელს "ახალგაზრდობა დანაშაულობის წინააღმდეგ" და 2009 წელს ტრეინერი "კორუფციული დანაშაულის წინააღმდეგ" ბრძოლის საკითხებში. მიღებული აქვს შესაბამისი სერტიფიკატები. გამოქვეყნებული აქვს 9 სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის, 1 ევროპის სამეცნიერო ჟურნალში, 2012 წელს გამოსცა მონოგრაფია „ნარკომანიის კრიმინოლოგიური დახასიათება და მასთან ბრძოლის ასპექტები“.

მანანა კოპალიანი -1994წ. წარმატებით დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ისტორია-იურიდიული ფაკულტეტი, 2004წ. თბილისის ბიზნესის სახელმწიფო ინსტიტუტი, მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია, 2009წ. დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა სამართალმცოდნეობის დოქტორის აკადემიური ხარისხი. 2010 წლიდან დღემდე მიჰყავს სალექციო კურსი „რომის სამართალსა“ და „ქართული სამართლის ისტორიაში“ გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, თბილისის სასწავლო უნივერსიტეტ „გორგასალში“ და თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტში, როგორც მოწვეულ პროფესორსა და აკადემიურ პერსონალს. მანანა კოპალიანი არის რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათ შორის, ერთი მონაგრაფიის, ერთი ბროშურის და ათი სტატიისა.

გიორგი შაშიაშვილი 1994 წელს დაამთავრა ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 2010 წლიდან დღემდე სწავლობს გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დოქტორანტურაში. სპეციალობა: სისხლის სამართალი. 1994 წლიდან – დღემდე მუშაობს საქართველოს პროკურატურაში სხვადასხვა თანამდებობებზე. გამოქვეყნებული აქვს 4 სამეცნიერო სტატია.

ლეილა არხომაშვილი - 1996 წ. დაამთავრა თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, სამართალმცოდნეობის სპეციალობით. 2010 წლიდან არის გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დოქტორანტი, მუშაობს სადისერტაციო თემაზე: „სარჩელისაგან თავდაცვის პროცესუალურ - სამართლებრივი საშუალებები“, 2009 წლიდან არის ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრი, ადვოკატი (სიითი N 4620). გამოქვეყნებული აქვს სტატიები: „მტკიცებულებათა უზრუნველყოფა სამოქალაქო საპროცესო სამართლის მიხედვით“, „შეჯიბრებითობის პრინციპის ზოგიერთი თავისებურებანი სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობებში“; „პრაქტიკაში არსებული პრობლემური საკითხები, რომლებიც ეხება სარჩელისაგან მოპასუხის პროცესუალურ თავდაცვის საშუალებებს“.

გივი ამირანაშვილი 1996 წელს დაამთავრა სამართლისა და ეკონომიკის უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი წარჩინებით, ხოლო 1998 წელს საქართველოს დიპლომატიური აკადემია. 2001 წელს სწავლობდა ჰელსინგორის ხალხთა საერთაშორისო კოლეჯში (დანია). 2007 წელს დაამთავრა „კონფლიქტების ტრანსფორმაციის“ ერთწლიანი პროგრამა ამერიკის შეერთებულ შტატებში (ქ. ბრათლებორო, აშშ). 2003 წლიდან ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში. ამჟამად სწავლობს ამავე უნივერსიტეტის დოქტორანტურაში საჯარო სამართლის სპეციალობით. გამოქვეყნებული აქვს 10-ზე მეტი სტატია. 2002 და 2003 წლებში ორჯერ მოიპოვა ამერიკის უნივერსიტეტის ტრანსნაციონალური დანაშაულისა და კორუფციის ცენტრის (ქ. ვაშინგტონი) მცირე სამეცნიერო გრანტები. მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ საერთაშორისო კონფერენციაში აშშ-სა და ევროპაში. 2005 წელს მოიპოვა ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის (ბუდაპეშტი, უნგრეთი) კურუკულუმის რესურსების ცენტრის გრანტი სასწავლო კურსის განვითარებისთვის. ისევ სოროსის ფონდის ორგანიზებითა და დაფინანსებით, როგორც ლექტორი და მკვლევარი 2009-2011 წლებში კვალიფიკაციას იმაღლებდა ნიუ იორკის უნივერსიტეტში. 2010 წლიდან არის ნიუ იორკის პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის წევრი. სხვადასხვა წლებში მუშაობდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატში. ამჟამად არის ევროკავშირის ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური და ბირთვული რისკების შემცირების გამოცდილების გაზიარების ცენტრის სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის, სამხრეთ კავკასიის, მოლდოვისა და უკრაინის რეგიონური სამდივნოს უფროსი.

ქეთევან სვინტრაძე - გრიგოლ რობაქიძის სახელობის სამართლის სკოლის დოქტორანტი; 1983 წელს დაამთავრა სამხრეთ ოსეთის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. ხოლო 1999 წელს - აკ. წერეთლის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტი. გამოქვეყნებული აქვს ოთხი პუბლიცაცია სამეცნიერო ჟურნალებში.

მაია ცქიტიშვილი - გრიგოლ რობაქიძის სახელობის სამართლის სკოლის დოქტორანტი; 2004 წელს დაამთავრა თბილისის ეკონომიკურ-ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის

სამართლის ფაკულტეტი, ხოლო 2006 წელს დაასრულა საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობათა უნივერსიტეტის მაგისტრატურა. იკვლევს სარჩელთან დაკავშირებულ პრობლემებს სამოქალაქო სამართლის პროცესში.

ლია ჭილაშვილი - გრიგოლ რობაქიძის სახელობის სამართლის სკოლის დოქტორანტი; კვლევის ინტერესის სფერო - დაუქორწინებელ პირთაგან დაბადებული ბავშვების სამართლებრივი მდგომარეობა, მათი იურიდიული სტატუსი, შედარებითი კვლევა და ანალიზი, როგორც საქართველოს ასევე სხვა ქვეყნების მაგალითებზე. გამოქვეყნებული აქვს სტატიები როგორც ქართულ სამეცნიერო, ასევე უცხოურ საერთაშორისო ჟურნალებში; „ქორწინებისგარეშე დაბადებულ ბავშვთა უფლებები, ზოგადი მიმოხილვა“; „მამობის დადგენის სამართლებრივი საფუძვლები, ზოგადი მიმოხილვა“; „ქორწინების ფორმები, ზოგადი მიმოხილვა“; „სუროგატი დედის მიერ ხელოვნური განაყოფიერების გზით დაბადებული ბავშვის სამართლებრივი სტატუსი, ზოგადი მიმოხილვა“; „ქორწინების, ოჯახისა და ჯვრისწერის სამართლებრივი არსი“, მონოგრაფია - „მემკვიდრეობის კოლიზიური საკითხები“ მონაწილეობა აქვს მიღებული ევრაზიის მულტიდისციპლინარულ ფორუმში, რომელზეც წარსდგა მოხსენებით: „დაუქორწინებელ პირთაგან დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი უფლებები, მოკლე მიმოხილვა“.

ზურაბ ლაზაშვილი გრიგოლ რობაქიძის სახელობის სამართლის სკოლის დოქტორანტი; დაამთავრა ქ. თბილისის ი. ჯავახიშვილის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, მაგისტრატურა. 2003-2004 წლებში დაასრულა უშიშროების აკადემიის 6-თვიანი კურსები. 2001 წლიდან დღემდე მუშაობს შინაგან საქმეთა სამინისტროში, ამჟამად შსს-ს ანტიკორუფციულ დეპარტამენტში. კვლევის ინტერესია კორუფცია საქართველოში და ზოგადად, მსოფლიოში.